

K 257 920

3

სერიალი 6 უცნობი ლიტერატურის

კავკასიონის  
ეროვნული მუზეუმი

კავკასიონის ხალხთა  
ითხოვგრაფიკა



## ქათევან ხეციშვილი

# ქავების ხალხთა კონფლიქტი



„კავკასიური სახლი“  
თბილისი  
2006



UDC (ජාය) 39(479)  
b-973

නොදේනුයේ දෙක්සේ

# සිංහල ප්‍රධාන සේවක මණ්ඩලය

පරීක්ෂිත ආච්චරි නාඛන තෙක්ෂණය  
ගාරුපානි දින් මිනින් ප්‍රති මූල්‍ය රැකියාවනි  
රුදාක්ෂි ආච්චරි තුළු තුළු තුළු

ISBN 99940-921-2-X

## რედაქტორისგან

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთნოლოგიური მეცნიერება ხალხებს (ეთნოსებს) და მათ კულტურებს (ხალხურ კულტურას) და ტრადიციებს სწავლობს. ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ქართველოლოგის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს სათანადო ყურადღება ექცევოდა. მიუხედავად ამისა, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ს. ჭანტურიშვილი), ქართველი სტუდენტები სახელმძღვანელოებითა და სალექციო კურსებით განებივრებული არ იყვნენ. ქეთევან ხუციშვილის წიგნი (სალექციო კურსი) ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისია. ამ სალექციო კურსის დასტამბვა იმ მხრივაცაა აღსანიშნავი, რომ იგი კავკასიის ხალხებს ეძღვნება. ქართველებს ღმერთმა სხვა 50-მდე ხალხთან ერთად კავკასიელობა გვარგუნა. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, ქართულ ეთნიკურ ისტორიასა და ეთნიკურ კულტურასთან ერთად ვალდებული ვართ კავკასიის სხვა ხალხების მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურაც შევისწავლოთ. კავკასიის ხალხების ეთნოლოგიის შესწავლას არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რადგან თანამედროვე ეთნოლოგია ეთნოსთა შორის ურთიერთობებს და ეთნიკურ კონფლიქტებსაც სწავლობს. კავკასიელი ხალხების ყოფის, კულტურის, წეს-ჩვეულებების შესწავლა კი ქართველ ხალხს მეზობელ ეთნოსებთან ურთიერთობებსა და ეთნიკური დაპირისპირების მოგვარებაში დაეხმარება.

ქეთევან ხუციშვილის კავკასიის ხალხების ეთნოლოგიის სალექციო კურსი მრავალრიცხოვან ლიტერატურას ემყარება. ის ქართველ სტუდენტებს სრულ წარმოდგენას შეუქმნის კავკასიის ხალხების შესახებ. წინამდებარე სალექციო კურსი და რედაქტორის ამავე სათაურით დაბეჭდილი სალექციო კურსები ერთმანეთს ავსებენ. ვფიქრობთ, რომ წინამდებარე წიგნის დაბეჭდვა



## ქართველები

ქართველების თვითსახელწოდება ქართველი. ქართველები შეადგენენ საქართველოს ძირითად მოსახლეობას. ცხოვრობენ ასევე აზერბაიჯანში, რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თურქეთში, ირანსა და ევროპის მრავალ ქვეყანაში. ისინი ანთროპოლოგიურად დიდ ანუ პირველად ევრაზიულ რასას განეკუთვნებიან. ქართული ენა კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური ჯგუფის სამწერლობო ენაა. სალიტერატურო ენის გარდა იგი წარმოდგენილია ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების დიალექტებით.

ქართველები სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ქართველი ხალხის ეთნიკური ბირთვი იყო ერთ-მანეთის ახლომონათესავე სამი დიდი ტომობრივი გაერთიანება – ქართების, მეგრელ-ჭანებისა და სვანების, რომელთაც ეკავათ ვრცელი ტერიტორია ჩრდილოეთითიდიდი კავკასიონის ქედიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მცირე კავკასიონამდე და მდინარე ჭოროხის აუზი სამხრეთ-დასავლეთით. ჩვ.ნ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ტომობრივი გაერთიანებები (დიაუხი, კულხა) და პირველი სახელმწიფოები (კოლხეთისა და ქართლის სამეფოები).

საქართველო ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იყოფა. აქ გვხვდება დაბლობის, მთისწინეთისა და მთისთვის დამახასიათებელი ყოფითი და კულტურული მახასიათებლები. ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფები ცხოვრობენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემდეგ ეთნოგრაფიულ მხარეებში: ქართლი, კახეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, ერწო-თიანეთი, სამეგრე-

ლო, იმერეთი, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, სამცხე-  
ჯავახეთი. მათთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული თავისე-  
ბურებების მიუხედავად, სოციალური და კულტურული განვი-  
თარების მეტ-ნაკლებად თანაბარმა დონემ განაპირობა საერთო  
ქართული კულტურის ჩამოყალიბება. დღეს საქართველოს საზ-  
ღვრებს გარეთ არის მოქცეული შემდეგი ისტორიულ-ეთნოგ-  
რაფიული მხარეები: დვალეთი (რუსეთის ფედერაცია), საინგილო  
(აზერბაიჯანი), შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, კოლა (თურქეთი).

საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება დასახლების, რო-  
გორც დაბლობის, ასევე მთისწინეთისა და მთის ტიპები. სოფლებს  
მოსახლეობის სიმჭიდროვისა და რაოდენობის სხვადასხვა  
ხარისხი ჰქონდა და დაგეგმარების თვალსაზრისით იყო როგორც  
უსისტემო, ასევე უბნობრივი. დაბლობში და მთისწინეთში გავრ-  
ცელებულია მჭიდრო, გაფანტული და გზისპირა (ცალმხრივი ან  
ორმხრივი) დასახლებები; მთაში უპირატესად მცირეკომლო-  
ბრივი, მჭიდროდ დასახლებული სოფლები. მთის სოფლისთვის  
დამახასიათებელია ვერტიკალურად განფენილი საზაფხულო და  
საზამთრო სადგომების ქონა. დასახლების ასეთი ტიპი დამახას-  
იათებელი იყო იმ რაონებისთვის, სადაც განვითარებული იყო  
გადარეკვითი მესაქონლეობა. სოფელს ზოგჯერ თავდაცვითი  
კოშკების გარდა ჰქონდა გალავანი. თავშეყრის ადგილები სოფ-  
ლის შიგნით იყო მოქცეული. ამას გარდა მნიშვნელოვანი ფუნქ-  
ცია ჰქონდა მთაში სოფლის გარეთ მდებარე სალოცავს. სამეურ-  
ნეო ნაკვეთები და სავარგულები სოფლის გარეთ იყო განთავსე-  
ბული. განსხვავებული ტიპის იყო მთისწინეთსა და აღმოსავლეთ  
საქართველოს ბარში გავრცელებული მსხვილი დასახლება, სა-  
დაც სახლები ერთმანეთის სიახლოესაა განლაგებული, სავარ-  
გულები სოფლის გარეთაა მოქცეული, საცხოვრებელი კი ჰორი-  
ზონტალური განფენილობისაა. საკულტო ნაკებობა ასეთ  
სოფელში შესაძლებელია სოფლის შიგნით მდებარეობდეს. დასავ-  
ლეთ საქართველოს დაბლობისთვის დამახასიათებელი იყო გზ-  
ისპირული დასახლება, სადაც სახლი და ნაკვეთი ერთიანობაში  
იყო ნარმოდგენილი. ხშირად მცენარეული ღობით შემო-

საზღვრულ ეზოში საცხოვრებლის გარდა განთავსებული იყო სამეურნეო ნაგებობები. ასეთ დასახლებასაც ჰქონდა საზაფხულო და საზამთრო სადგომები.

მთაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ერთ ჭერქვეშ, ვერტიკალურად განლაგებულ კომპაქტურ კომპლექსებს წარმოადგენდნენ. დაბლობში სამეურნეო ნაგებობები სახლისგან გამოყოფილი იყო.

საქართველოში სახლის მრავალფეროვანი ტიპები გვხვდება. მათგან აღსანიშნავია: ფაცხა — ნეულკედლებიანი, თიხით შელესილი, მინისიატაკიანი დაუნაწევრებელ ფართიანი ნრიული ან ოთხუთხა ნაგებობა, რომელიც ისლით ან ჩალით იყო გადახურული და ზოგჯერ ნინ ან ირგვლივ აივანი ჰქონდა; ჯარგვალი — გაუთლელი მორით, ულურსმნოდ ნაგები, დაუნაწევრებელ ფართიანი ორფერდა გადახურვიანი ნაგებობა, რომელიც საცხოვრებელიც შეიძლებოდა ყოფილიყო და სამეურნეო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა (მაგ., ნისკვილი, ხულა, ბელელი და სხვ.); ოდა — ფიცრული, დანაწევრებულ ფართიანი (სამ-ექვს ოთახიანი), ხის ან ქვის ბოძებზე მდგარი ნაგებობა ხის იატაკითა და აივნით, რომელსაც კრამიტით ან ყავრით დაფარული ორ ან ოთხფერდა სახურავი ჰქონდა; საჯალაბო სახლი — ფიცრული, ოთხუთხა, დაუნაწევრებელ ფართიანი, მინის იატაკიანი სახლი; ციხე-სახლი — ქვით ნაგები, რთულგადახურვიანი და მრავალსართულიანი (ორ-ოთხ სართულიანი) კოშკურა ნაგებობა; ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზი — გვხვდება ერთთვალიანი და კომპლექსური. ერთთვალიანი დარბაზი დიდი ზომის იყო და ნინ დერეფანი ჰქონდა, გავრცელებული იყო ქართლში. კომპლექსები დამახასიათებლი იყო სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთისთვის, მასში საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსი ჰორიზონტალურად იყო ერთჭერქვეშ განლაგებული. დარბაზის გადახურვას გვირგვინი წარმოადგენდა. გვირგვინი ხის მრავალსაფეხურიანი გუმბათია, რომელიც კოჭების პარალელური ან კუთხური ნყობით იყო ნაგები და ერდოთი მთავრდებოდა. ერდო ერთდროულად საკვამლეც იყო და სინათლის წყაროც. ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით

დარბაზის გეგმა სხვადასხვანაირი იყო: კვადრატული დანაწელებულ ოთხეუთხედამდე. დარბაზის ცენტრში მოთავსებული იყო კერა, მის შიდა მხარეს იდგა დედაბოძი, შიდა და გვერდითა კედლებში დატანებული იყო თაროები, წალოები და განჯინები. საქართველოში გავრცელებული საცხოვრებლის სხვა ტიპებიდან აღსანიშნავია შერეული მასალით ნაგები, ბრტყელბანიანი სახლი; ტერასული მიწურ-ბანიანი სახლები; კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსები, კალოიანი სახლი, ქვითკირი, გომური. სახლის მთავარი ელემენტი იყო ღია კერა. იგი გამოიყენებოდა როგორც გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად, ამავე დროს, წარმოადგენდა მნიშვნელოვან საკულტო ადგილს. ძეგლ საცხოვრებელ ნაგებობებში კერა ცენტრში იყო მოთავსებული და შედგებოდა ცეცხლის დასანთები ადგილის (ყვები), ოთხფეხას, ჯაჭვის ჩამოსაყიდებლისა (აყარი) და სასანთლე-საკვარისაგან. გავრცელებული იყო ასევე კედელზე მიღდგმული ბუხარი, საცხობად გამოიყენებოდა თონე — ცილინდრული ფორმის პატარა, საშუალო და დიდი პირმოხვეული ან პირგანიერი თიხის ნაკეთობა. დარბაზის ტიპის ერთიან კომპლექსებში თონე საცხოვრებლის შიგნით იყო მოთავსებული, სხვაგან კი ეზოში იდგა.

მრავალფეროვანი იყო საქართველოში გავრცელებული სამეურნეო ნაგებობები. ისინი განსხვავდებოდნენ როგორც ფუნქციურად, ასევე სამშენებლო ტექნიკისა და ფორმის მიხედვით (გომური, ბოსელი, საბძელი, ჩანური, საზეთე, სათონე, მარანი, ბელელი ან ხულა, სასიმინდე, საქათმე, წისქვილები და სხვ.). განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა მარანს — „საღვინე სახლს“. საქართველოში გვხვდება ორი სახის მარანი — დახურული და ღია. დახურული მარანი აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ასეთი ტიპის მარანში ერთ შენობაშია განთავსებული ინვენტარი, საწნახელი (ქვის, უპირატესად კი ხის) საღვინე ქვევრები და სხვა ჭურჭელი (ჭური, გოზაური, რუმბი, ტიკი, მარანი, ყანნი და სხვ.). დახურული მარანი შესაძლებელია საცხოვრებელ კომპლექსში იყოს მოქცეული, ან განცალკევებით იდგას ეზოში. ღია ტიპის მარანი დასავლეთ საქართველოშია გავრ-

ცელებული და ღია ცის ქვეშ მიწაში ჩაყრილ ქვევრებს წარმოადგენს. მარანს სამეურნეოს გარდა საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა და მთელი რიგი რიტუალები იყო მასთან დაკავშირებული.

ქართველების ტრადიციული ტანსაცმელი, ეთნოგრაფიული კუთხეების მიუხედავად, ერთი ტიპისაა. მამაკაცის კოსტიუმი შედგებოდა პერანგის, შარვლის, ჩოხისა და ახალუხისგან. ატარებდნენ მატყლის, აბრეშუმის ან ტყავის ქამარს. ზამთარში ხმარობდნენ ქურქს (ტყავი), ტყაპუჭს, ნაბადს. თავსაბურავად გამოიყენებოდა ნაბდის ქუდი, ბენვეულის ფაფახები, ყაბალახი, ფაფანაკი. ფეხზე იცვამდნენ ნინდებს, მოქსოვილ ან ტყავის პაჭიჭებს, ქალამანს, მთაში ჩითებს, შეძლებულები — ქუსლიან ტყავის ჩექმებს. ქალის ტანსაცმელი იყო პერანგი, შეიდიში (გრძელი შარვალი), ქართული კაბა გულისპირითა და სარტყლით, ზევიდან იცვამდნენ ქათიძს. თავზე იხურავდენენ ჩიხტს, ლეჩაქს, მანდილს, ბალდადს. ფეხზე ატარებდნენ ქოშს, ფლოსტებს (ტარსიკონის რბილ უქუსლო ფეხსაცმელს), წუღასა და ქალამანს. ტრადიციული ტანსაცმლის სახეებიდან გამორჩეულია ხევსურული ტალავარი (ლურჯი ან შავი, ნაქარგობებითა და აპლიკაციებით უხვად ორნამენტირებული კაბა, მანდილიანი სათაურით), ასევე გურული და აჭარული მამაკაცის სამოსი (ჩაქურა), რომლისთვისაც დამახასიათებელია განიერი შარვალი და მოკლე ჩოხა.

ქართველთა ტრადიციული საკვები ძირითადად რძისა და მცენარეული პროდუქტებისგან შედგებოდა. რძის პროდუქტებიდან გავრცელებული იყო ყველის სხვადასხვა სახე (სულგუნი, იმერული, თუშური), მანონი, კარაქი, ხაჭო, ნალები. ფართოდ გამოიყენებოდა ბოსტნეული და ხილი (ზამთარში ხმელი), ლობიო, მარცვლოვნები, მწვანილი, მათ შორის ველურად მზარდიც. პური ცხვებოდა როგორც ხორბლის (ბარში და მთისწინეთში) ასევე ქერის, შვრის, ჭვავის (მთაში), ხმიადიც და საფუარიანიც: ლავაში, შოთი. დასავლეთ საქართველოში სიმინდის ფქვილისგან ამზადებენ მჭადს და ღომს, ასევე განსაკუთრებულ კერძს, რომელიც სიმინდის ფქვილში ამოზელილ ჭყინტ ყველს წარმოადგენს (ელარჯი). გავრცელებულია ხაჭაპურის სხვადასხვა სახე (იმერული,

მეგრული, აჭარული). ცომეულიდან აღსანიშნავია ლობიანები და ქადები (სხვადასხვა გულით). ფართოდ გამოიყენება როგორც საქონლის, ასევე ცხვრის, ღორისა და ფრინველის ხორცი. ხორცეული კერძებიდან გავრცელებულია მწვადი, ხინკალი (ხორცის გარდა გვხვდება ყველის, ხაჭოს ან კარტოფილის გულიანი), ხაშლამა, ბოზბაში, ჩიხირთმა, ფლავი, საცივი. კერძებში უხვად გამოიყენება მწვანილი, სანელებლები და ნიგზი. გავრცელებულია ცხარე სანებლები (ტყემალი), ცხიმებიდან მცენარეული ზეთი, კარაქი, ერბო. ტკბილეულიდან აღსანიშნავია ჩურჩხელა (ნიგზის, თხილის, ქიშმიშის), გოზინაყი (საახალწლო ტკბილეული), ფელამუში, ტკბილი ტყლაპი. სასმელებიდან დიდი დატვირთვა აქვს ლვინოს, არაყს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ასევე ქერის ლუდს, რომელსაც რიტუალური მნიშვნელობაც ჰქონდა. გავრცელებულია ასევე სანესო კერძები (კოლიო). ქართველების საჯვებმა შეინარჩუნა ტრადიციულობა, ამავე დროს რაციონი შეივსო ახალი კერძებით. საკმაოდ მყარი აღმოჩნდა სუფრის ტრადიციული ეტიკეტი.

საქართველოში ტრადიციულად ჩამოყალიბდა კომპლექსური სამეურნეო-კულტურული ტიპი, რომელშიც შეთავსებულია მინათმოქმედება და მესაქონლეობა. მეურნეობის ამ დარგებთან ერთად განვითარებული იყო მეფუტკრეობა, თევზჭერა, ნადირობა, ხელოსნობის დარგები (მჭედლობა, მეთუნეობა, ხის, ტყავის, ქვის დამუშავება, საფეიქრო საქმე და სხვ.). მეურნეობის ტრადიციული ფორმების განვითარება საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ და კლიმატმა განსაზღვრა. აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა ბალჩეულ-ბოსტნეული კულტურების მთელი ნლის მანძილზე წარმოების საშუალებას იძლევა, დასავლეთ საქართველოში კი ხელს უწყობს ციტრუსების, ჩიის და სხვა ტენის მოყვარული მცენარეების წარმოებას. ჰავის ვერტიკალური სარტყელურობა მომთაბარე მეცხოველეობის განვითარებას უწყობს ხელს.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი გარემოს შესატყვისად გამოიკვეთა განსხვავებული სამეურნეო

ტრადიციების მქონე სამეურნეო უბნები, თავისებური სამეურნეო ცხოვრების წესითა და მატერიალური კულტურით. მათი ფორმირება საუკუნეების მანძილზე დაგროვილ პრაქტიკიკულ ცოდნას ეფუძნებოდა და საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს ვერტიკალურ ზონალობას ასახავს. ასეთი დარაიონების მიხედვით საქართველო იყოფა ბარის (ზღვის დონიდან 800 მეტრამდე), მთისნინეთისა (800-1400 მ.) და მთის (1400-2000 მ.) ზონებად. ეს ზონალობა მულავნდება ნლიური სამინათმოქმედო ციკლის სისტემაში, სამეურნეო წესების დინამიურობაში, შრომის იარაღების მრავალფეროვნებაში და სხვ.

მინათმოქმედების დარგებიდან, არსებული ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, დიდად იყო განვითარებული მემინდვრეობა. საქართველო კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და კულტივირების უძველეს კერადაა აღიარებული. უძველესი დროიდნ მისდევდნენ აქ აღამიანები მინათმოქმედებას. საქართველოში ხორბლის თერთმეტი ჯიში ხარობდა, მათგან ექვსი — ენდემური. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მონაცემები ხორბლის კულტურის განვითარების სრულ სურათს წარმოგვიდგენენ — ველური-რელიქტური ფორმებიდან მაღალ განვითარებულ ფორმებამდე.

არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია საქართველოში 8 ათასწლეულის წინ რბილი ხორბლისა და მარცვლეული კულტურების თანმდევი სარეველების არსებობის ფაქტი. ბოლო დრომდეა შემონახული ველურ და კულტურულ ხორბლეულს შორის გარდამავალ როვლად მიჩნეული ისეთი ენდემური ჯიშები, როგორიცაა დიკა, მახა, ზანდური და კოლხური ასლი. მარცვლეული კულტურებიდან ხორბლის ვარდა მოჰყავდათ ქერი, შვრია, ჭვავი, ბრინჯი; დასავლეთ საქართველოში ძირითადი კულტურა იყო ფეტვი, ლომი, მოგვიანებით — სიმინდი.

საქართველოში ძველთაგანვე მოქმედებდა მინათმოქმედების რამდენიმე სისტემა: ახოს აღება, ტერასული, საანეულო, მშრალად ხვნა, ორმინდვრიანი, სამმინდვრიანი სისტემა და სხვა. დიდად იყო განვითარებული სარწყავი მინათმოქმედება. მინის

დამუშავების ეტაპები იყო: განმენდა, განაყოფიერება, უცნავა, ფარცხვა, მორნყვა, თესვა. შემდგომი ეტაპი იყო მარგვლა, მკა, ლენვა, დაბინავება, დაფქვა.

ახოს აღება სამინათმოქმედო სისტემის ერთ-ერთ უძველეს და სახნავი მიწათმოქმედების განვითარების პირველად ფორმადაა მიჩნეული. საქართველოში ახოს აღების წესი დადასტურებულია, როგორც ბარში, ასევე მთაში, თუმცა უპირატესად მთაში გამოიყენებოდა ტყის ხარჯზე სახნავ-სათესი და სათიბი მიწების გაზრდის მიზნით. ცნობილია ახოს აღების სხვადასხვა ხერხი (ტყის გაჩეხვა, შემოყვერვა, დაწვა და სხვ.). ირჩეოდა სწორი, ადვილად მისადგომი, მეჩხერტყიანი ადგილი. საუკეთესოდ მდინარის ახლოს მდებარე ჭალის ტყე ითვლებოდა. მნიშვნელოვანი იყო ხეების ჯიშიც. საუკეთესოდ ითვლებოდა მურყნის, თხმელას, მუხის, იფნის, წყავის ნადგომი ადგილები. ადგილის განსაზღვრის შემდეგ ხდებოდა მისი დასაკუთრება, თხრილის, სამანის გაკეთების ან ნიშნის დადების გზით. ახოს სიდიდის შესაბამისად, სამუშაოები კოლექტიურად, ნადის დახმარებით, მარტივი იარაღების გამოყენებით ნარმოებდა. სამუშაოების ეტაპები იყო ტყის მოჭრა, „დაკოდვა“ – „გაქერქვა“ ანუ ბუჩქებისა და ჯირკვების ამოღება, გასუფთავება, დაწვა, მიწის „მოქვავება“, ნიადაგის დამუშავება (რაც ფარცხვა, თოხნა, თესვას გულისხმობდა), წყლის გაყვანა, ფერდობებზე აკეთებდნენ წყლის ასაქცევ თხრილებს.

მიწათმოქმედების უძველესი ექსტენსიური ფორმების ინტენსიური მეურნეობით შეცვლა დაკავშირებული იყო სარწყავი სისტემების აღმოცენება-განვითარებასთან. ისტორიულად საქართველოში არა სარწყავი მიწათმოქმედებაც იყო განვითარებული, მაგრამ სარწყავი უფრო ფართო მასშტაბებისა იყო. დაბლობსა და მთისწინეთში იგი ინტენსიური მიწათმოქმედების საფუძველი იყო, მთიან ზონაში კი სათიბ მეურნეობას უკავშირდებოდა. მორწყვისთვის იყენებდნენ მთის ნაკადულებს, წყაროებს, მდინარეებს, აკეთებდნენ ჯებირებს, გაჰყავდათ დიდი, საშუალო და მცირე ზომის არხები, იქმნებოდა ირიგაციული სისტემები (მოსარწყავ უბნებს ემსახურებოდა ნაკადელები, საქცევი და სხვ.

ძირითადი არხიდან მომდინარე მცირე არხები). ფართოდ გამოიყენებოდა კოლექტიური შრომა, როგორც სისტემის მოწყობისას, ისე მისი მომსახურებისათვის (არხების განმეობით სამუშაოებში ჩართული იყო სოფლის მთელი მოსახლეობა, იცოდნენ სათავეზე გასვლა, რუზე გასვლა და სხვ.). რწყვის მრავალფეროვანი სისტემა შედარებით მარტივი იყო მთაში, უფრო რთული ბარში. მთაში, ზოგ რაიონში, ირწყვებოდა სათიბები, ბარში კი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, თითქმის მთლიანად მორწყვაზე იყო დამოკიდებული სამინათმოქმედო მეურნეობა. დასავლეთ საქართველოში იცოდნენ მორწყვა ჩატკორვის ან მოტბორვის გზით.

საქართველოში სიძველითა და ტრადიციულობით ხასიათდება მთური მინათმოქმედების ერთ-ერთი უძველესი სახეობა – ტერასული მინათმოქმედება. მინის ტერასული დამუშავება თითქმის ყველა რეგიონში გვხვდება. უძველესი ტერასები ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება, ქვისკედლიანი სარწყავ-სამეურნეო ტერასები კი, რომლებითაც საქართველოს მთელი მთისწინეთია მოფენილი, გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ტერასები კონსტრუქციული თავისებურებებისა და მშენებლობის ტექნიკის მიხედვით სამ ძირითად ტიპად იყოფა. ესენია: 1. მდინარეთა ტერასები, რომლებიც უმთავრესად მთების დაბალ და დამრეც კალთებზე ხეობებშია განლაგებული და მდინარეთა კალაპოტის ცვლილებების ან მათი დაშრობის შედეგად არის ნარმოქმნილი. ისინი სწორი ზედაპირის ქვინე მოედნებს ნარმოადგენენ და შემოკავებული არიან ქვის ჯებირებით; 2. დაკორდებულზღვრებიანი ტერასები მაღალმთიან და ნაკლებად დანანევრებულ რელიფს მოიცავენ. ისინი ადამიანის მიერ არის შექმნილი მინის დაცავების გზით და ფერდობის ათვისების მარტივი ტექნიკით ხასიათდება. მათ საყრდენი, შესამაგრებელი კედლები არ უკეთდებათ, ერთმანეთისაგან კი ფერდების ბუნებრივი დახრილობით არიან გამიჯნული. ამ ფართობებს ძირითადად სახვნელ ნაკვეთებად იყენებდნენ; 3. კედლებიანი ტერასები, ხელოვნური კედლებით ნაშენი ტერასები. ისინი ფერდობზე რამდენიმე საფეხ-

ურად, პორიზონტალურადაა შეჭრილი ქანობებში. ამასთან, ყოველი ქვედა საფეხური მომდევნოზე წინ იყო გამოყენებული. ნაკვეთებს შორის კი ქვის ან ხის კედლები იყო ამოყვანილი, რაც, თავის მხრივ, ზედა საფეხურის საფუძველს ქმნიდა. ასეთი ტიპის უძველესი ტერასები ნეოლითის ეპოქას განეკუთვნება (მესხეთში – ნავარძიევი, წუნდა, ამირანის გორა). კონსტრუქციულად კედლები-ანი ტერასების ტიპში რამდენიმე სახე გამოიყოფა.

საქართველოში სამივე ტიპის ტერასები სრული სახით გვხვდება მესხეთში, აჭარაში, მთიულეთსა და ხევში, სადაც ისინი სათანადო ტერმინოლოგიითა და ფაქტობრივი მასლით ფიქსირდება. ტერასული მეურნეობის სიძველე, მისი საყოველთაო გავრცელება, მისი განსხვავებული სახეობანი (ბაქანი, ლარი), მისი ლოკალური კონსტრუქციები (თაროიანი) და ა.შ. მეტყველებს განვითარებული ინტენსიური ნიადაგთსარგებლობის მაღალ კულტურაზე. ტერასული მინათმოქმედება საშუალებას იძლეოდა და დიდი ფართობი აეთვისებინათ სამეურნეო საქმიანობისათვის. ამავე დროს იგი იყო მთაგორიანი რელიეფის პირობებში ნიადაგის ეროზის, ხოლო მაღალი ტენიანობის მქონე სარტყელში მოჭარბებული წყლისა და წყლით დარეცხვის საწინააღმდეგო საშუალება. ტერასებს ძირითადად იყენებდნენ სახნავ-სათეს, ასევე სავენახე ფართობად, მოგვიანებით დაიწყეს მებალეობა-მეხილეობისთვის გამოყენებაც. ტერასებზე საგანგებო გრძელულლიანი სახვნელით ამუშავებდნენ მინას, ხელოვნურ ტერასებს უკავშირდებოდა საქართველოში მცირე სარწყავი სისტემები. მთისა და მთისწინეთის მოსახლეობის ბარისკენ მიგრაციამ დააკნინა ტერასული მინათმოქმედების მნიშვნელობა.

საქართველოში ხვნა-თესვის ორგვარი წესია დამოწმებული: თესვა და შემდეგ დახვნა-დათოხლა ან ხვნა და შემდეგ დათესვა. ვერტიკალური ზონალობისა და სათესი კულტურების ჯიშების მიხედვით საქართველოში გავრცელებული იყო თესვის ორი ტიპი: საგაზაფხულო და საშემოდგომო. დაბლობში საშემოდგომო თესვას მისდევდნენ, მთისწინეთში როგორც საშემოდგომოს, ასევე საგაზაფხულოს, მთის ზოლში კი საგაზაფხულო თესვას. თესვის

ვადები დამოკიდებული იყო ცალკეულ რაიონში ადგილისა და სათესი კულტურების ჯიშებზე. დაბალ ზოლში საშემოდგომო თესვა სექტემბრის შუა რიცხვებიდან იწყებოდა და ნოემბრამდე გრძელდებოდა, შედარებით მაღალმთიან ზოლებში ეს პერიოდი ივლის-აგვისტოს მოიცავდა.

საქართველოში ჩამოყალიბებული იყო ბუნებითსარგებლობისა და ბუნების დაცვის ხალხური საშუალებანი. ნიადაგების დაცვა სამინათმოქმედო დარგების განვითარებისა და სრულყოფის აუცილებელი პირობა იყო. ქართველი გლეხი კარგად ერკვევოდა ნიადაგის მოსავლისუნარიანობასა და ხარისხში. ნიადაგს ასხვავებდნენ როგორც ვერტიკალური ზონალობისა და მდებარეობის (ჭალის მიწები, ვაკე, ფერდის ადგილები, მზიანი და ჩრდილიანი), ასევე მისი მოსავლიანობა-ნაყოფიერების, თვისებებისა (აყალი, ალიზის მიწა, თიხნარი, ლამიანი, ნარბილი, გოხი და სხვ.) და ფერის (შავმიწა, ნითელმიწა, ყვითელმიწა, ტრედის-ფერი და სხვ.) მიხედვით. იცოდნენ, რომელ კულტურას რა ნიადაგი შეესაბამებოდა, მნიშვნელოვანი იყო მზის ფაქტორიც. წელიწადის დროთა შესაბამისად, სამეურნეო ნაკვეთების განათების მიხედვით, სახნავ-სათესი მიწები იყოფოდა მზისა და ჩრდილის მხარედ. ზოგი კულტურისათვის მზიანი მხარეა უკეთესი (მაგ., ჭვავი, დოლი), ზოგი მარცვლეულისთვის კი (მაგ., ქერი) ჩრდილიანი. სათესი ნაკვეთების ხვნის წესებიც ნაკვეთის მდებარეობაზე, ნიადაგებსა და მარცვლეულის ჯიშებზე იყო დამოკიდებული. გვალვიან რაიონებში ღრმა ხვნაა მიღებული. ღრმა ხნულს მოითხოვს სიმინდი, დოლის პური. ფერტვისნაირი და თავთავიანი კულტურებისთვის ნაკლები სიღრმე იყო განკუთვნილი. დიკა ზედაპირულად აჩერილ მიწაზეც ითესებოდა. ჭვავი კი კავით განერილ მიწაზე. ღრმად იხვნებოდა მნირი, მშრალი ნიადაგი, შედარებით ზედაპირულად — ნოყიერი და ნესტიანი მიწა.

საანეულო სისტემა ძირითადად ბარის მძიმე მიწების ხვნისას გამოიყენებოდა. გაზაფხულზე მოხნული ნიადაგი შემოდგომაზე ხელმეორედ იხვნებოდა და მაშინვე ითესებოდა. იცოდნენ მიწის სანასვენო სისტემაც, ზედიზედ დამუშავების შემდეგ ნიადაგს

რამდენიმე წლით დაასვენებდნენ. ასეთი მიწები, როგორც წესი, სათიპად გამოიყენებოდა.

სამიწათმოქმედო საქმიანობისას, იქნებოდა ეს ახოს აღება, ტერასირება, ხვნა-თესვა, მკა, ლენვა თუ თიბვა, არსებობდა ურთიერთდახმარების ტრადიციები. ახოს აღების დროს, ჩვეულებრივ „მუშათ შეყრას“ მიმართავდნენ. ლენვაში, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ძირითადად საკუთარი ძალებით ანარმობდნენ, თანასოფლელთა დახმარება გამნევი ძალის ან კალოს თხოვებაში გამოიხატებოდა. ლენვის დროს იცოდნენ „შებრალებით“ დახმარებაც, რაც გულისხმობდა ხელმარტო, მოხუცი ან ავადმყოფი თანასოფლელის მიმართ მეზობლებისა და ნათესავების დახმარებას ყოველგვარი გამასპინძლების გარეშე. „დანაცვლებით შევლის“ დროს ორი ან მეტი ოჯახი ერთმანეთს მორიგეობით ეხმარებოდა შეთანხმების მიხედვით. ხვნა-თესვის დროს იქმნებოდა შრომითი გაერთიანება „მონდავი“, „მოდგამი“. მონდავის წევრებს მუშახელის, სახვნელი იარაღისა და გამნევი ძალის სახით შეჰქონდათ წვლილი გაერთიანებაში, რის მიხედვითაც ნაწილდებოდა შრომა.

საქართველოს ყოველი ბუნებრივი ზონისათვის დამახასიათებელი იყო სახვნელი იარაღების თავისებური ტიპი. ყოფაში შემონახულია სხვადასხვა ფორმის სახვნელები – დიდი ქართული გუთანი, ჯილდა-გოგორა, ორხელას ტიპის სახვნელები, კავნერა, კავის ტიპის სახვნელები და ა.შ. ყოველ მათგანს კონსტრუქციულ-ფუნქციური თავისებურებანი ახასიათებთ და რთულ, შუალედურ და მარტივ ფორმათა სახით დასტურდებიან.

ყოველი სახვნელი იარაღი ზონალობის შესატყვის გარემოში გამოიყენება სხვადასხვა ინტენსივობით. თუმცა მათი ერთდროულად გამოყენების პრაქტიკაც არსებობდა, განსაკუთრებით გარდამავალ ზოლში. თითოეული სახეობა შეგუებული იყო ჰავის, ნიადაგების, ტენიანობის, რელიეფის თავისებურებებთან. ამასთან, განსხვავებულ სახვნელ იარაღებს შესაბამისი შრომის ორგანიზაციის ფორმები შეესატყვისებოდა. სახვნელი იარაღების მრავალფეროვნების მიუხედავად ისინი შეიძლება დაჯგუფდეს

შემდეგი სახით: 1. ნიადაგის გამწერი საშუალებანი (თუშური კავშირი ერა, ხევსურული საწერა, სვანური ლილრავი და სხვ., რომლებიც გავრცელებული იყო მთის ზოლში. ასეთი იარაღების გამწევი ძალა იყო უდელი ხარი ან კამეჩი. მათ აქვთ მხარი, ხელნა, ეშვი, არა აქვთ ქუსლი, სახნისი და საკვეთელი. ისინი უპირატესად მთლიანი ხისგან მზადდებოდა); 2. ნიადაგის ასაჩეჩი სახვნელი. მას აქვს გრძელი მხარი, ხელნა და ქუსლი. მისი ქუსლი მაგარი ხისაა. ნიადაგის შესატყვისად უკეთდება ქუსლში ჩამჯდარი ან ხელნაში გაყრილი მხარი, რომელიც უღელს მოძრავად უკავშირდება და აიოლებს მანევრირებას. ხელნის დახრილობის შესაბამისია ხვნის სილრმე. ებმის ერთი წყვილი ხარი. ასეთი ტიპისაა კოლხური კავი, მოხევური მხარგადაბმული სახვნელი, ხევსურული სახვნელი, კახური და ქართლური აჩაჩა, ჯილდა, თუშური კავი და სხვ. მათ იყენებდნენ ისეთ რაიონებში, სადაც ნიადაგის ღრმად დამუშავება არ იყო საჭირო, აქვე შედის ერქვანი, ფამფალაკიანი უფრთო სახვნელი, რომელსაც თანაბარი ზომის ბორბლები აქვს და გრძელი და ფართო კვალის გატანა შესაძლებლობას იძლევა, და ჯილდა გოგორა. ჯილდას შემადგენელი ნაწილებია: კბილაი, სახნისი, მანჭუა, სახელური, ხმალაი, რკილაი, კორა და ფამფალაკი. კბილაი სახვნელი იარაღის მთლიანი ხისგან (უპირატესად რცხილის) დამზადებული ქუსლია. იგი ბოლოს კენ თანდათან მსხვილდება, განიერდება და ზემოთ აშერილი ორი ყურით ბოლოვდება. ქუსლის წვერზე სწორგვერდებიანი სამკუთხა სახნისია წამოგებული. კბილას ყურებთან სვეტად ჩაყენებულია მანჭუა (იზნის ან რცხილისაგან დამზადებული), რომელსაც ზემო ნაწილში სახელური აქვს ჯილდის დედისთვის. ქუსლშივე გაყრილი ითნის ხმალაი, რომელიც თავის მხრივ ეყრება რვილაის, ეს უკანასკნელი კი მანჭუას. რვილას ყელთან აქვს კორა, რითიც იგი ფამფალაკს უმაგრდება. მის თავისებურებებს ყურიანი ქუსლი წარმოადგენს, რაც ხვნის მეტი ეფექტურობისთვის იყო საჭირო; 3. სახვნიელი, რომელიც ჭრის ბელტს და ავლებს კვალს. იგი მოკლემხრიანი, წენენიანი იარაღია. წენენა მხრის საყრდენია და აადვილებს მუშაობას, გამწევ ძალას უმსუბუქებს შრომას, გუთნის-

დედას კი — სახვნელი იარაღის მართვას. ასეთი ტიპის იარაღი ძირითადად მთის ზოლისთვისაა განკუთვნილი და 4. ფრთიანი გუთანი, საანაეულო გუთანი — რთული სახვნელი იარაღი, რომელიც გავრცელებული იყო ქართლ-კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და იმერეთში. ეს არის ფამფალაკიანი იარაღი, რომელსაც სხვადასხვა დიამეტრის ბორბლები აქვს ფამფალაკები, ფრთა კი ოვალურია, რაც ღრმა ხვნის შესაძლებლობას იძლევა. იგი აბრუნებს და ფშვნის აჭრილ ბელტს. მისი სახნისი ასიმეტრიულია და 8-10 უღელ ხარ-კამერის შეუბამდნენ ხოლმე. ამ იარაღის რეინის ქუსლა-ფრთიანი გაუმჯობესებული ვარიანტია მუხრანული გუთანი. ასეთი სახვნელი დიდი რაოდენობით მუშახელს საჭიროებდა: გუთნის დედა, მნაფელები, მეხრეები. იგი ვაკე ადგილისთვისაა განკუთვნილი.

მარცვლეული ილენებოდა კალოზე. საქართველოში დადასტურებულია ღია ან დახურული ტიპის კალოები. დახურული კალო აღმოსავლეთ საქართველოს მთის ზოლში გვხვდება. კალო სწორ, გაშლილ ადგილზე იმართებოდა, ზოგჯერ მიწური სახლის ბანზეც. კალოზე მარცვლეული კევრით, ჭარჭარით, ქვის დაკბილული მორგვებით ან საქონლის გადატარებით ილენებოდა.

სახვნელი იარაღების გარდა ქართველთა ყოფაში დადასტურებულია მოსავლის აღებისთვის საჭირო, მარცვლეულის დასამუშავებელი იარაღები და საცავ-ნაგებობანი (ნამგალი, შნაკვი, ფარცხი, კევრი, ხელსაფქვავები, სანაყები, სასრესები, პურის საცხობი ბრტყელი რიყის ქვები, კალო, ჩამური, ბელელი და ა.შ.). მარცვლეული კულტურების დამზადება-შენახვისთვის განკუთვნილი (ცხავი, ცხრილი, ხელვარცლი, ტაბაკი, რიჭი, გოდორი, ხოკერი, კოდი) და ცომის საზელი ჭურჭელი (ვარცლი, ხელვარცლი, ხონი, ტმობტი) ხის ქერქისგან, წნელისგან და მერქნისგან მზადდებოდა. ხის ქერქისგან დამზადებული ჭურჭელი ჭურჭლის უძველეს სახეობას ნარმოადგენს. ხის ქერქის დამუშავება ტყავის დამუშავებასთან ერთად შინამრეწველობის ყველაზე ადრეულ და უნივერსალურ დარგადა მიჩნეული. საქართველოში ხის ქერქისგან ამზადებდნენ ხოკერს, ცხავსა და ცხრილს.

ხოკერი (ბოყვი, გოლი) ცილინდრული ფორმის ვინწრო და ღრმა ჭურჭელია. იგი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. ქალები მასში თავის ხელსაქმეს (საქსოვ-საკერავს) ინახავდნენ. ხოკერში ყრიდნენ კენკროვანსა და ტყის ხილს. მას ფუტკრის სკა-დაც იყენებდნენ. დიდი ზომის ხოკერი კი მარცვლეულის შესანახი სათავსი იყო. იგი გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე — დასავლეთში. ხოკერის დასამზადებლად (ცაცხვის, ბლის ან თელის) ხის ქერქს ცეცხლით ამუშავებდნენ. საცრის მსგავსი ცხავი და ცხრილი (ტაშხარბული, ჩხაკვი, ძლავი, კაკაბა, ლარსგვალ, ცხვრილ) ხორბლის გასასუფთავებლად გამოიყენებოდა. ცხავის ნაჩერტები ცხრილისაზე უფრო დიდია. მასში მარცვალი და წერილი მინარევი გადის, ქვები კი რჩება. ცხრილში კი პირიქით, მიწა, სილა, სარეველა მცენარეები გადის, მარცვალი კი რჩება. გასაცხავებელ-გასაცხრილავი მარცვლის სიდიდის მიხედვით გავრცელებული იყო სახვილ-იფექტე, საქერე და სხვ. ცხავ-ცხრილები. ცხავ-ცხრილის დაწვნა მამაკაცის საქმედ მიიჩნეოდა. გალენილი მარცვლეულის გასანიავებელ-გასასუფთავებლად გამოიყენებოდა ხელვარცლი, ტაბაკი და რიჭი. ხელვარცლი სწორკუთხედი ფორმის ჭურჭელია, ორივე მხარეს ფრთებით – სახელურებით. მისი ერთი გვერდი ღიაა, საიდანაც განიავებიასას მარცვალი ცვივა. იგი მარჯვენა ხელში ისე უჭირავთ, რომ მისი პირი ზემოთ იყოს ანეული და ზომიერი მოძრაობის შედეგად უკანა გვერდიდან ხორბალი საგებელზე ცვიოდეს, ბზე კი ნიავს მიჰქონდეს. ამავე ფუნქციის იარაღია ბრტყელი, ხის ტარიანი ნიჩაბიც, ტაბაკიცა და რიჭიც. ტაბაკი (სარკვევი) მრგვალი, პირგადაშლილი ჭურჭელია, რომელსაც საოჯახო და სამეურნეო ყოფაში სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა. მარცვლეულის გასუფთავების გარდა, მას გამოიყენებდნენ როგორც სახილე, ყინულისთვის ან პურისთვის განკუთვნილ ჭურჭელს. ტმოშტი მრგვალი, გვერდებამოწეული სამფეხა, ცომის საზელი ჭურჭელია. მას ერთი მთლიანი (უპირატესად თელის) ხისაგან თლიდნენ. არსებობდა სპილენძის ტმოშტებიც, რომლებიც უფრო მეტად დგამ-ჭურჭლის ფუნქციის მატარებელი

იყვნენ. ხის ტმოშტის ძირითადი დანიშნულება მასში ხალის (ქუმელი, ყვა, ყაუტი) მომზადება იყო. ხის ჭურჭლის დამზადება საქართველოში შინახელოსნობის ტრადიციული დარგი იყო. ხელოსანი ხელობას მამა-პაპისაგან სწავლობდა. ჭურჭლს იგი ზამთრობით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისგან თავისუფალ დროს ამზადებდა. მისი შრომა ნატურით, მოგვიანებით ფულით ანაზღაურდებოდა.

საქართველოსთვის მეურნეობის ტრადიციული დარგებიდან ერთ-ერთი მაღალგანვითარებული და მნიშვნელოვანი დარგია მევენახეობა-მეღვინეობა. საქართველო კულტურული ვაზის ნარმოშობის ერთ-ერთ ცენტრადაა აღიარებული. კულტურული მევენახეობის სათავე ენეოლითის ხანაშია ნავარაუდევი. მისი განვითარებისთვის არსებობდა გარკვეული ხელშემწყობი ფაქტორები, კერძოდ, შესაფერისი ბუნებრივი პირობები, ზომიერი კლიმატი, მთის რადიაციის ხარისხი, ნალექების რაოდენობა, ტენიანობა, ნიადაგის საფარი და სხვა. საქართველო განსაკუთრებით მდიდარია გარეული ვაზით და მისი გარდამავალი ფორმებით. საქართველოში ხუთასზე მეტი აბორიგენული ჯიშია დადასტურებული. არქეოლოგიური მასალების – ყურძნის დასამუშავებელი მოწყობილობანის, სხვადასხვა ზომისა და ფორმის თიხის ქვევრების, ქვაში ნაკვეთი საწნახლების, მრავალრიცხოვანი ლვინის ჭურჭლის, ქვევრის ძირში დაცული ნიპნებსა და ა. შ. მიხედვით მევენახეობის კულტურული ფორმების აღმავლობის პერიოდი II-I ათასწლეულების მიჯნაა. საქართველოში ვაზის გავრცელების ზონა დაბლობიდან მთამდე ვრცელდება. მისი საუკეთესო ჯიშები ფერდობებსა და მთის ზომიერ კალთებზეა განლაგებული. საქართველოში დასტურდება ვაზის კულტურის ეტაპობრივი ფორმები, კერძოდ მაღლარი, ოლიხნარი (მაღალ ძელებზე გასული) და დაბლარი ვაზი. გავრცელებულია ტალავერი. ზონალობისა და მიკრო რაიონების მიხედვით გავრცელებულია ვაზის მოვლის სხვადასხვა ხერხები. ტრადიციული მევენახეობის მაღალკულტურული დონე განაპირობებდა მეღვინეობის მაღალ დონეს. ცნობილია ლვინის სხვადასხვა ხერხით დამზა-

დების ტექნოლოგიები. განსაკუთრებული მნიშვნელობისას სამეურნეო და საკულტო ფუნქციის მქონე მარანი.

მინათმოქმედების დარგებიდან განვითარებული იყო მებაღეობა-მებოსტნეობა (ანუ მემტილეობა). აშენებდნენ ვაშლს, მსხალს, თუთას, გარგარს, ჭერამს, ქლიავს, ატამს, ბრონეულს, ლელვს. იცოდნენ ხილის საზამთროდ შენახვა (ორმოებში), ჩირად გახმობა (მზეზე და თონეში), ამზადებდნენ ტყლაპს და კონახურს. მოჰყავდათ მუაუნა, ისპანახი, ბალბა, სატაცური, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ბოლოკი, სხვადახვა სახის მწვანილი და სანელებლები. მრავალფეროვანი იყო საბოსტნე იარაღები (მარგილი, შალთა, თოხი, ბარი, ფოცხი და სხვ.).

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს შავიზღვისპირეთში ფართოდ გავრცელდა სუბტროპიკული კულტურები: ციტრუსები, ტუნგო, დაფნა. დიდი მნიშვნელობა შეიძინა ჩაის კულტურამ.

უძველესი დროიდან იყო განვითარებული მესაქონლეობის სხვადასხვა დარგი. ბარში ისტორიულად საქონლის მოშენება მინათმოქმედებასთან იყო შეგუებული და ხშირად ამ უკანასკნელის ხელშემწყობ დარგს წარმოადგენდა, რადგან მას გამწევი ძალით უზრუნველყოფდა. მთის ზოგ რეგიონში მესაქონლეობას, როგორც მეურნეობის წამყვან დარგს, დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ბუნებრივი პირობების სპეციფიკით იყო განპირობებული. ცალკეულ კუთხეებში საქონლის ადგილობრივი ჯიშებიც შეიქმნა, მაგ., მეგრული, ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა. ყველგან მისდევდნენ მელორეობას, თუმცა ტრადიციულად ამ მხრივ სვანეთი და კახეთი გამოიყოფა. დასავლეთ საქართველოს რეგიონებში გავრცელებული იყო მეთხობა.

მეურნეობის დამხმარე დარგებიდან განვითარებული იყო მეფუტკრეობა, თევზჭერა, ნადირობა, შემგროვებლობა. მეფუტკრეობა მთელ საქართველოშია გავრცელებული, ცნობილია რამდენიმე ტიპის სკა: ორგანულფილებიანი, ნნული კონუსისებრი და ხის ქერქისგან დამზადებული. იცოდნენ თაფლის ცივად და ცხ-

ლად ამოღება. საქართველოში ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები გააჩნია ნაოსნობასა და სანაოსნო ხელოვნებას, შესაბამისად კარგად იყო განვითარებული თევზჭერა, როგორც საზღვაო, ასევე სამდინარო. თევზის (კალმახი, მურნა და სხვ.) საჭერად სხვადასხვა ხერხი გამოიყენებოდა – მდინარეებზე ფაცერის დადგმა, ანკესი, ბადეები. საქართველოში უძველესი სამონადირეო ტრადიციებია დადასტურებული. ნადირობდნენ ჯიხვზე, დათვზე, ირემზე, ტახზე, მგელზე, კურდღლზე, ფრინველებზე და სხვა. იცნობდნენ ნადირობის თითქმის ყველა ხერხს – ხაფანგით ჭერიდან დაწყებული — მიმინოთი ნადირობით დამთავრებული. გავრცელებული იყო კვალზე დადგომა, ჩასაფრება. მრავალფეროვანი იყო მონადირის აღჭურვილობა. ნადირობას სამეურნეო დატვირთვის გარდა სპორტულ-გასართობი ფუნქციაც ჰქონდა. მონადირეობასთან იყო დაკავშირებული მთელი რიგი რნმენა-ნარმოდგენები და წეს-ჩვეულებები. როგორც დამხმარე სამეურნეო დარგი, მნიშვნელოვან როლს ველური ხილისა და ბალახეულის შეგროვება ასრულებდა.

ხელოსნობის დარგებიდან განვითარებული იყო სამჭედლო საქმე, მეთუნეობა, ხის, ქვის მხატვრული და სამშენებლო მასალად დამუშავება. მოიპოვებდნენ მადანს, ამუშავებდნენ რკინაფოლადს, სპილენძს, ასევე ძვირფას ლითონებს. ამზადებდნენ იარაღსა და საომარ საჭურველს.

გავრცელებული იყო საფეიქრო საქმე (ამუშავებდნენ მატყლს, ბამბას, აბრეშუმს, სელს), მეხალიჩეობა (ხალიჩების, ფარდაგების, ჯეჯიმების, ხურჯინების დამზადება), თექის წარმოება (თექა, ნაბადი, ქუდები), ნაჭრების მხატვრული გაფორმება (მოსირმვა, ნაქარგობა). ხალიჩების, მთიანეთის ზოგ რაიონში კი შალის ნაჭრების დასამზადებლად, გამოიყენებოდა ვერტიკალური საქსოვი დაზგები.

ისტორიულად ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები იყო ქალაქები, სადაც მზადდებოდა და იყიდებოდა ადგილობრივი კერამიკული და ლითონოს ნანარმი, ტყავის, ხესა და ქვაზე კვეთილი ნაკეთობანი და ა.შ. არსებობდა შინამრენველობის დარგების ოსტატთა გაერთიანებები – ამქრები.

შემორჩენილი დიდი ოჯახები XIX საუკუნის ბოლოდან პატარა არა ოჯახებმა ჩაანაცვლა. დიდი ოჯახი სტრუქტურულად ძმათა შთამომავლების გაერთიანებაა. ეს იყო ნათესაური ჯგუფი, როგორც პირდაპირი, ასევე გვერდითი ხაზით. დიდ ოჯახში ჩვეულებრივ სამი-ოთხი თაობა. ტიპოლოგიურად, ფორმით და შინაარსით იდენტურ ქართულ ტრადიციულ სოციალურ ორგანიზაციათა რეგიონალურ ნაირსახეობებს წარმოადგენდა შემდეგი გენეალოგიური ერთობები, გვარის დანაყოფები: ბუდობა (ქართლი), კომობა, მამიშვილობა, ძირი, მამანი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი), ნოგრო, ბიძაშვილობა, მოძმიანობა (აჭარა), ბუნობა, მამაშვილობა ბაბუიშვილობა (გურია, იმერეთი, რაჭა), თური, გამნარყი, მოჯიმალეფი (სამეგრელო), სამხუბ/ლამხუბ (სვანეთი) და სხვ. საკუთრების ფორმები იყო საერთო სათემო და საძმო-სანილო (ძმების ნილები). გაუყოფელი იყო სათემო-საოჯახო საკუთრება: ნისქვილი, ზეთის სახდელი.

საქორნინო ურთიერთობები მკაცრად ეგზოგამიური იყო (არათუ ნათესავებს შორის, ზოგან ერთი ხეობის მცხოვრებთა შორისაც იკრძალებოდა საქორნინო ურთიერთობები). ქორნინება მშობლების თანხმობით ხდებოდა. გავრცელებული იყო მაჭანკლობის ინსტიტუტი. იცოდნენ მცირენლოვანთა დანიშვნაც. საქორნილო რიტუალების ეტაპები პატარძლის ნახვის, ნიშნობისა და ქორნილისგან შედგებოდა. საქმროს ოჯახი საცოლის შერჩევისას, პირველ რიგში, ყურადღებას ნათესაური კავშირის არარსებობას აქცევდა, აფასებდნენ ასევე პირად თვისებებს, ხელსაქმის ცოდნას და სხვ. შუამავლების მიერ საპატარძლოს ოჯახის მხრიდან დასტურის შემთხვევაში, საქმროს ოჯახი იხდიდა ბელგას (ბე — ფული, სამკაული). ბელგის შემდეგ მოდიოდა „პატარა ნიშანი“: საპატარძლოს უგზავნიდნენ თავსაფარს, რის შემდეგაც საპატარძლო სახლიდან თავდაუხურავი ვერ გამოვიდოდა. შემდეგი ეტაპი იყო ნიშნობა ორივე მხარის ნათესავების მონანილეობით. საქორნილო რიტუალში დიდი როლი ეკისრა მეჯვარეს, იგი საქმროს ახლო მეგობარი უნდა ყოფილიყო. მეჯვარეობა ხელოვნური დანათესავების ფორმა იყო. ნიშნობაზე ხდებოდა შეთანხმება

ქორნილის თარიღზე. ქორნილის დღეს საქმრო და მისი მაცხარი მიემართებოდა საპატარძლოს სახლისკენ, მათ ოჯახის უფროსი ხვდებოდა და მიიპატიუებდა სუფრასთან. ქეიფი დილამდე გრძელდებოდა, დილით პატარძალს გამოაწყობდნენ, დედა და ლოცავდა, სიძე-პატარძალს კერის ირგვლივ შემოატარებდნენ სიმღერის თანხლებით და გამოიყვანდნენ გარეთ. ეკლესიაში ჯვრისნერის შემდეგ მიემართებოდნენ სიძის ოჯახში, სადაც სიძე-პატარძალს ხანჯლების ქვეშ გაატარებდნენ, პარმალზე სიძე გატეხდა თეფშს ფეხით, დედამისი კი პატარძალს შაქრის ნატეხს მიაწვდიდა. ამის შემდეგ იმართებოდა წვეულება, სადაც რიგის მიხედვით სვამდნენ სადლეგრძელოებს. ზოგჯერ ქორნილი რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ქორნილიდან ერთი კვირის შემდეგ სიძე სტუმრობდა სიდედრ-სიმამრს. გარკვეული დროის შემდეგ შესრულდებოდა პატარძლის წყალზე გაყვანის რიტუალი, რის შემდეგაც იგი ერთვებოდა ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში. ქმრის სალოცავში გასვლით სრულდებოდა პატარძლის ქმრის ოჯახთან ინტეგრირების რიტუალები.

საოჯახო და საზოგადოებრივი ურთიერთობები პატრიარქალური იყო. იმ რაიონებში, სადაც თემი არსებობდა, თემს ჰქონდა საერთო-სათემო სალოცავი, ადგილ-მამული (სახნავი, სათიბი, ტყე), ურთიერთობები ადათობრივი სამართლით რეგულირდებოდა. მნიშვნელოვანი საკითხები სათემო ყრილობაზე წყდებოდა. აქ იხილებოდა ქალის მოტაცების, შეურაცხყოფის, ქურდობის, ჭრილობის მიყენების, თემიდან ოჯახის გახიზვის, მკვლელობის, საძოვრების, საზღვრების, აგრეთვე მეზობელ თემთა შორის ურთიერთობაში ნამოჭრილი სხვადასხვა საკითხები. შეერების ადგილი იყო სამსხვერპლო, სასაფლაო, ხატის კარი ან საფიხვნო (სააჯგმო).

თემის წევრები ვალდებული იყვნენ ერთმანეთს დახმარებოდნენ. არსებობდა ურთიერთდახმარების სხვადასხვა ფორმა. იცოდნენ მატერიალური დახმარება, სამეურნეო საქმიანობის ერთად ნარმართვა. საცხოვრებლის მშენებლობის პროცესში იცოდნენ „მუშათ შეყრა“ და „ულამი“. მუშას „ყრიდნენ“ უშუალოდ მშე-

ნებლობის დროს, ულამი სამშენებლო მასალის მოზიდვის დრო<sup>1959 წლის 1960 წლის</sup> იკრიბებოდა და მუშახელის გარდა ხარ-მარხილსაც მიახმარდნენ. მეცხვარეები ერთმანეთს ეხმარებოდნენ საძოვრებზე ცხვრის გადარევის, მწყემსვის დროს, ასევე წველაში, პარსვასა და დოლის დროს. იქმნებოდა სპეციალური გაერთიანებები (მონარეობა). დასტურდება ასევე პარსვაში მუშათ შეყრა, მწყემსვაში რიგით მწყემსვა და ა. შ. საქორნინო რიტუალების დროს იცოდნენ მატერიალური დახმარების განევა (მაგ., გადასალოცი, ზღვენი, პირისანახავი, შესანევარი და სხვ.). იცოდნენ შესანევარი გლოვის დროს, ოჩხარი დაზარალებული ოჯახისთვის.

თემს გააჩნდა სოციალური კონტროლის მექანიზმებიც. თემს შეეძლო ვინმე დაეფიცა (ე.ი. შემოხიზნული ხატის ყმად და თემის წევრად მიეღო), მაგრამ ამის პარალელურადც შეეძლო თავისი წევრი გაეძევებინა, მოეკვეთა. მოკვეთა უმძიმეს სასჯელად ითვლებოდა. მოკვეთილს ყოველგვარი უფლებები წართმეული ჰქონდა. დროთა განმავლობაში შეიძლებოდა მოკვეთილის შერიგება, რისთვისაც მოკვეთილი „ჭდეს ამოაგდებდა“ ხეზე და დაიფიცებდა, რომ მეტად აღარ დააშავებდა. იცოდნენ გაძევება: გასაძევებელს მიიყვანდნენ „ქვეყნის სამანთან“, რომელიც თემის ტერიტორიის დასასრულს მდებარეობდა და გაუშევებდნენ აქ აღმართული სამანის იქით. გაძევების გარდა გვხვდება აპარეკად და ამანათად წასვლის ჩვეულებები, როცა თემი თავად არ იკვეთს, მაგრამ ისეთი პირობები აქვს შექმნილი, რომ ადამიანი იძულებული ხდება ან აპარეკი გახდეს, ან ამანათი. უკიდურესი ზომების მიღებამდე თემი შერისხავდა ულირს მეთემეს.

მთაში გავრცელებული იყო სისხლის აღების ჩვეულება. სისხლის აღება მკვლელობისათვის ღირსების საქმედ, საღვთო მოვალეობად ითვლებოდა. სისხლის აუღებლობა სამარცხვინო იყო, როგორც ცალკეული გვარისთვის, ასევე მთელი თემისთვისაც. მაგრამ სისხლის აღება თემის შიგნით და ძმათაშვილებში დაუშვებლად ითვლებოდა. სისხლის აღება, პირველ ყოვლისა, ევალებოდათ მოკლულის ძმებს, პიძაშვილებსა და დედის ძმებს. ჩვეულებითი სამართალი ცნობდა სისხლის საზღაურის გადახ-



დასაც. ზოგჯერ მკვლელს თემიც შერისხავდა და გააძევებდა სოფლიდან. იგი ვალდებული იყო მიეტოვებინა სახლ-კარი და ფეხშიშველსა და წვერმოშვებულს მოენანიებინა დანაშაული. იცოდნენ მკვლელისთვის ქონების განადგურება. ასხვავებდნენ განზრას და შემთხვევით მკვლელობას. მართალია, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა სისხლის საზღაურისთვის, მაგრამ ითვალისწინებდნენ შერიგებისას. მანამდე კი მკვლელი და მისი ახლობლები შურისძიების თავიდან აცილების მიზნით სხვა სოფელში იხილებოდნენ ამანათად. გახიზვნისთანავე იწყება ზრუნვა მესისხლეთა შერიგებაზე, რაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა (მინად შასვლის საკლავის გაგზავნა, რიგის ყენება, სადავო და სამამიდო, სადედო, რიგის საკლავი, ჯვარში შაჯდომა და ა.შ.). საბოლოოდ შერიგდებოდნენ თავ-სისხლის გათავების შემდეგ მეხელის მხრიდან სისხლის საზღაურის გადახდით. ხშირად შერიგება ხელოვნური დანათესავების ფორმითაც ხდებოდა. გავრცელებული იყო შეიძლად აყვანის, დაძმობილების, სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულებები.

ქართველთა ძირითადი ნაწილი ისტორიულად მართლმადიდებელი ქრისტიანია IV საუკუნიდან, არიან სუნიტი მუსლიმები (აჭარლები, ინგილოები) და მცირე ნაწილი მონოფიზიტები და კათოლიკები.

დღემდე შემორჩენილია უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი. ენეოლიტის და ბრინჯაოს ხანის საოჯახო და საკულტო ნივთების ფრაგმენტებზე გამოსახულია ასტრალური ნიშნები, გეომეტრიული ფიგურები და გამოსახულებები. ამ პერიოდიდან-ვეა შემორჩენილი დაკრძალვის სხვადასხვა ტიპი, რაც იმქვეყნიური სამყაროს შესახებ როიული წარმოდგენების არსებობაზე მიუთითებს. ქართველთა კოსმოგონიური შეხედულებით მინას მრგვალი ფორმა ჰქონდა და შემოსაზღვრული იყო ზღვით ან მთებით, ქვეყნის დასასრულს იდგა სიცოცხლის ხე (ბოძი, კოშკი, რქები, ციდან დაშვებული ჯაჭვი და სხვ.), რომელიც ვერტიკალურად აერთებდა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სამყაროებს, რომლებიც შემდეგნაირად იყვნენ განლაგებული: სამყაროს ცენტრს

წარმოადგენდა შუასკნელი (წითელი), მის ზევით განფენილი იყო ზესკნელი (თეთრი), ქვევით – ქვესკნელი (შავი), წინ – წინასკნელი და უკან – უკანასკნელი. ეს სისტემა შემოსაზღვრული იყო გარესკნელით. ერთი სკნელიდან მეორეში გადასვლა ღვთაებებს ან გმირ-ნახევარლმერთებს შეეძლოთ, ადამიანი ამას მხოლოდ ღვთის ნებით დროებით ან სამუდამოდ სახეცვალების (გარდაცვალების) შედეგად ახერხებდა. სიცოცხლის ხის გარდა სამყაროებს შორის დაკავშირება შესაძლებელი იყო სასწაულმოქმედი, ფანტასტიკური არსებების (ცხენი, არწივი, ცხვარი, ფასკუნჯი და სხვ.) მეშვეობით.

თაყვანს სცემდნენ ხეებსა და წმინდა ტყეებს (მუხის ან გელოზი, რკონი, ჭყონდიდი), ნადირთ პატრონებს (ორჩოპინტრე, დალი, ჯგრაგი, სამძივარი, ტყაშიმაფა). მოგვიანებით სამონადირეო მოტივები აგრარულ და კოსმოგონიურ წარმოდგენებს შეერწყა. ცხოველთა მფარველი ღვთაებები ხშირად „წილიანი“ ცხოველის სახით ევლინებოდნენ ადამიანებს (მონადირეებს). შერმოჩენილი იყო ცხოველთა (ძალლი, მგელი, გველი, თევზი, ირემი, ცხენი) კულტი, ასტრალური (მზის, მთვარის ცისკრის ვარსკვლავის) კულტები.

უძველესი პანთეონი მორიგე ღმერთის, მზექალისა და კვირიასაგან შედგებოდა. პანთეონის სათავეში მორიგე ღმერთი იდგა. იგი იყო წესრიგის მცველი და ყოველივე არსებულის გამგებელი. მისი თანმხელები იყვნენ მწევრები, მგლები და იასაულები. ქალღვთაება მზექალი (დღედღესინდელი, ნანა, ბარბალე) მზის ფუნქციის მატარებელი სინათლის, ნაყოფიერების, ფურობის, მკურნალობის მფარველია. მისი თანმხელები არიან მზისმყოლი ანგელოზები, დობილები, ბატონები. ღვთისშვილთა შორის მთავარი ხმელეთის გამგებელი კვირია (კარვიანი, ხმელთმოურავი) სამართლიანობის, მიწიერი ცხოვრების და ოჯახის მფარველი იყო. სხვა ღვთისშვილი (პირქუში, იახსარი, კოპალა) ლოკალური ღვთაებები იყვნენ. ისინი შუამავლის როლს ასრულებდნენ ადამიანებსა და მორიგე ღმერთს შორის. მის ნებას ღვთისშვილები მეენებს ან ქადაგებს ამცნობდნენ, ეს უკანასკნელი კი ხალხს.

ღვთისშვილთა თანაშემნენი იყვნენ მექილიკენი, კეთილი ანგელოზის ზები, მეყურადენი, ურჩინი და გველფერნი. სწამდათ, რომ ყველაფერს ჰყავდა მფარველი ანგელოზი (ადგილის დედა), თაყვანს სცემდნენ წყლის, მიწის, ღვინის მფარველ ღვთაებებს. სწამდათ ბოროტი სულების (დევები, ქაჯები, ჭინკები, ალები) არსებობაც.

კულტმსახურებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ადამიანისა და პირუტყვის გამრავლებისათვის გამიზნულ ფალიურ მოქმედებებს, წრიულ ფერხულებსა და უწყვეტ ორპირულ (ორგუნდიან) სიმღერებს. რიტუალურ ქმედებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედების პროდუქტებს, კერძოდ, სასმელს (ლუდს, ღვინოს), ასევე ხორცეულს (სამსხვერპლო ცხოველი) და რძის პროდუქტებს. არსებობდა რიტუალური პურობა, რიტუალური საჭმელი. ბუნების ძალთა გამოსალვიძებლად და გვალვა-დელგმის საწინააღმდეგოდ მიმართავდნენ მაგიურ-რიტუალურ ქმედებებს (კოხინჯრობა, გონჯაობა, ლაზარობა). საწესო რიტუალები სრულდებოდა თესვის, ხვის დაწყების, ცხვრისა და საქონლის გადარევის ნინ.

ქართველთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანების პანთეონი არმაზის, ზადენის, გაცის, გასა და ქალღმერთ ნანას-გან შედგებოდა. თითოეულ მათგანს თავისი დღესასწაული ეძღვნებოდა და თითოეულისთვის განსხვავებული საკულტო რიტუალი სრულდებოდა.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მოხდა ადგილობრივი ღვთაებებისა და კულტების ქრისტიანულ წმინდანებთან სინკრეტიზაცია.

ფოლკლორული ნიმუშებიდან აღსანიშნავია ამირანის ეპოსი, ეთერიანი, ზღაპრები, მითოლოგიური გადმოცემები, ხალხური ლირიკა. ცნობილია ქართული მრავალხმიანობა, შრომითი (ჰერიო, არალო, ოპუნა, ოროველა, ნადური), საწესო (დიდება, მზეშინა), გლოვის (ზარი), საქორნილო, ისტორიული, პერიოკული, სასიყვარულო, სახუმარო, საცეკვაო (სათამაშო, ნანავდა) სიმღერები, შაირები, სატირლები, იავნანები, ტრადიციული ქორეოგრაფია (საწესო ფერხულები, ხორუმი, სამაია, ხანჯლური,

ფარიკაობა, მთიულური, დავლური, განდაგანა და სხვ.). ტრადიციული საქართველოს აღსანიშნავია ღარჯემი (სოინარი), ჭიბონი (გუდასტვირი), ჩონგური, ჭიანური, სალამური, ფანდური, დოლი, დაირა, ქნარი, ებანი, ბობლანა და სხვა.

## აფხაზები

აფხაზების თვითსახელწოდებაა აფხაზუა. აფხაზური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება და ნარმოდგენილია ორი დიალექტით: აბუური და ბზიფის. აბუური დიალექტია ლიტერატურული აფხაზურის საფუძველი. აფხაზური ანბანი რუსულ გრაფიკას ეფუძნება. აფხაზები კავკასიის ავტოქტონი მოსახლეობაა. ენათესავებიან ადილეელებს. აფხაზების ადილურ და ქართველურ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან სიახლოვემ თავი იჩინა ანთროპოლოგიურ ტიპში და კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებაში.

აფხაზების სასოფლო დასახლება საკარმიდამო ტიპისაა. სასოფლო თემი (აკიტა) იყოფოდა რამდენიმე დასახლებად (აცუტა, ახაბლა), რომელიც ბაღების, ბოსტნების, სახნავ-სათესი ნაკვეთებისა და ვენახებისგან შემდგარ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. სოფელი იზოლირებული საკარმიდამო ნაკვეთების ერთობლიობას წარმოადგენდა. ყოველი ნაკვეთი შემოლობილი იყო წნული ხის ლობით ან არხით, ზოგჯერ ქვის ლობით. ნაკვეთი რამდენიმე დამოუკიდებელი სამეურნეო დანიშნულების ნაწილად იყოფოდა. ჩვეულებრივ გამოიყოფოდა ძირითადი ეზო საცხოვრებლითა და დამხმარე სადგომებით, ბოსტანი, სახნავი, საქონლის ეზო და სხვ.

ადრეული ტიპის სახლები თხილის ხისგან იწვებოდა და გეგმაში წრიული, ნახევრადნრიული (კონუსისებრი გადახურვით) ან ოთხეუთხა (ოთხფერდა გადახურვით) იყო. მოგვიანებით გაჩნდა ხიმინჯებზე მდგარი, რამდენიმე ოთახიანი, ყავრით გადახურული ფიცრული ნაგებობები (აკუასკა), რომელსაც ფასადზე აივანი

გასდევდა. შეძლებულ ოჯახებს რამდენიმე საცხოვრებელი წარმატები მობა ედგათ: ასას-აპირტა სტუმრებისათვის, ამაცურტა ოჯახებისთვის და ამხარა ახალდაქორწინებულთათვის. ძირითად საცხოვრებელს ამაცურტა წარმოადგენდა, მიწის იატაკით, ცენტრში განთავსებული კერით, გვერდითა კედლებზე მიდგმული ტახტებითა და დაბალი მაგიდებითა და სკამებით. მოვარინებით ტრადიციული საცხოვრებელი ქვის ან აგურის, ჩვეულებრივ ორსართულიანი სახლებით შეიცვალა. ცვლილება განიცადა საცხოვრებლის ინტერიერმაც.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა და შრომის იარაღების მსგავსად აფხაზური ტრადიციული ტანსაცმელიც უმთავრესად მსგავსებას ავლენს დასავლეთ საქართველოს და კავკასიურ ტიპთან, ზოგიერთი ადგილობრივი თავისებურებით. ტრადიციული აფხაზური ტანსაცმელი კავკასიელ მთიელთა კოსტუმის მსგავსია. მამაკაცები ატარებდნენ ახალუხს, ჩოხას, დავინროებულ შარვალს ქამარ-ხანჯლითა და ნაბადს. თავსაბურავად ხმარობდნენ ყაბალახსა და ფაფახს. ქალები იცვამდნენ ნელში გამოყვანილ კაბას, რომელიც მკერდზე ლითონის შესაკრავებით იკვრებოდა. აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენდა ქამარი და მოსახვევი. გოგონები ატარებდნენ ასევე ნაჭრის კორსეტს (აილაკ) და მაღალქუსლიან ხის ქოშებს (აკაპ-კაპ). XX საუკუნის დასაწყისიდან ტრადიციული ტანსაცმელი თანდათან გამოიდევნა ყოფიდან.

აფხაზური საკვები საკმაოდ მრავალფეროვანია. ძირითადი ადგილი უჭირავს სიმინდის ფქვილისგან დამზადებულ ღომს (აბისტა), რომელიც პურის მაგივრად, ყოველდღიურ საკვებადაც გამოიყენებოდა და სადლესასწაულოდაც. ტრადიციული საკვები დღემდე გამოიყენება. დიდი მნიშვნელობა აქვს რძეს და რძის პროდუქტებს (განსაკუთრებით ყველს). ხორცეულიდან გამოიყენება თხის, ძროხის, ცხვრისა და შინაური ფრინველის ხორცი. დიდი დატვირთვა აქვს ლობიოს, მწვანილეულს, ხილს, თაფლს. აფხაზური სამზარეულოსთვის დამახასიათებელია ცხარე საწებლები და აჯიკა. სასმელებიდან გავრცელებულია ლვინო.



აფხაზებისთვის ტრადიციულ სამეურნეო დარგებს ინტენსიური მინათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენენ, განვითარებული იყო აგრეთვე მეფუტკერეობა, შინამრეწველობის დარგებიდან ფეიქრობა, მჭედლობა, ხითხუროობა და სხვ. მოჰყავდათ მარცვლეული, ყურძენი, თამბაქო, ბამბა, სელი, კანაფი, სიმინდის გავრცელებამდე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ღომი იყო. მინას მარტივი იარაღებით ამუშავებდნენ. გავრცელებული იყო რკინისპირიანი ხის კავი (აცემატვა), წნული ფარცხი, ხისა და რკინის თოხი, ნამგალი. მარცვლეული ქვის ხელის საფქვავით იჯქვებოდა. სამინათმოქმედო საქმიანობაში ჩართული იყვნენ მამაკაცებიც და ქალებიც. ვაზს მამაკაცები უკლიდნენ. განვითარებული იყო მეხილეობა, მეჩაიეობა.

მესაქონლეობა გადარეცვითი, მთაბარული ტიპის იყო. აშენებდნენ როგორც მსხვილფეხა (ბარში), ასევე წვრილფეხა (მთისნინა ზოლში) რქოსან პირუტყვს, ასევე ცხენებსა და ტვირთმზიდ საქონელს.

მნიშვნელოვანი დარგი იყო მონადირეობა. გავრცელებული იყო სპეციალური სამონადირეო აღკაზმულობა (კლდეზე საცოცი ნალები, თხილამურები, და სხვ.). მისდევდნენ ასევე მეფუტკრეობას. განვითარებული იყო საფეიქრო საქმე, ხისა და ლითონის დამუშავება.

აფხაზთა ყოფაში დიდ როლს ასრულებდა გვაროვნული თემი (აუვლა). მას აერთიანებდა საერთო წარმომავლობა და სახელი, ეგზოგამია და საერთო საგვარეულო სალოცავი. ყოველი გვარი იყოფოდა შტოებად, რომლებიც პატრონიმიებს (აბიფარა) წარმოადგენდნენ. საოჯახო ყოფა პატრიარქალური იყო. ორ-სამთაობიანი დიდი ოჯახების პარალელურად XIX საუკუნეში აფხაზებში უკვე არსებობდა მცირე მონოგამიური ოჯახები. ოჯახის უფროსი ერთპიროვნულად განაგებდა საოჯახო ქონებას, იგი წყვეტდა ყველა საკითხს. ქონების გაყოფისას მცირედი უპირატესობა უფროს და უმცროს ვაჟებს ენიჭებოდათ, მშობლების სახლში უმცროსი ვაჟი უნდა დარჩენილიყო და მის ვალდებულებას წარმოადგენდა მოხუცი მშობლების მოვლა. ოჯახში გარკვეული



პრივილეგიებით სარგებლობდა უფროსი დიასახლისი უზუმრა  
ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებ უფლებებს ფლობდ-  
ნენ. საქორნინო ურთიერთობებში არსებობდა ნათესაური და  
წოდებრივი სახის აკრძალვები. ეგზოგამია ვრცელდებოდა  
როგორც მამის ასევე დედის ხაზით ნათესავებზე. დაუშვებელი  
იყო ქორნინება ხელოვნურ ნათესაობაშიც. სისხლის აღრევა (ამახ-  
აგა) მკაცრად ისჯებოდა, ამისათვის შეეძლოთ მონად გაყიდვა ან  
სიკვდილით დასჯა, რაც მოგვიანებით გაძევებითა და მოკვეთით  
შეიცვალა. აფხაზებმი გავრცელებული იყო ლევირატი და სორო-  
რატი. იცოდნენ ქალის გამოსყიდვა საქონლით ან ფულით, აკ-  
ვანში დანიშვნა (აკვანზე ნიშნის დადებით, გოგოს აკვანში კი  
ტყვია-ნამლის ჩადებით), მოტაცება (ამცარსა). ამ გზას უარის  
თქმის შიშით ან საპატარძლოს ოჯახის მხრიდან სიტყვის გატეხ-  
ის შემთხვევაში მიმართავდნენ. მოტაცება, როგორც წესი, შერი-  
გებით თავდებოდა, რათა თავიდან აერიდებინათ სისხლის აღება  
და მოტაცებულსაც "შერცხვენილის" სახელი არ ჰქონდა. რიგი  
მიზეზების გამო თუ მოტაცება ვერ განხორციელდებოდა, შეი-  
ძლება მომტაცებელი მოეკლათ. გადარჩენის შემთხვევაში კი  
ძნელად თუ ვინმეს დაითანხმებდნენ ცოლად გაყოლოდა უილბ-  
ლოს. დასაქორნინებლად ახალგაზრდები თავადაც მიმართავდ-  
ნენ შუამავალს. ქორნინების აუცილებელი პირობა იყო საპატარ-  
ძლოს მშობლებისთვის გადასახადის (აჩმა) გადახდა. აჩმა ძირი-  
თადად საქონლის სახით გადაიხდებოდა. ქორნინება საქმროსა და  
საპატარძლოს ნათესავების მოლაპარაკებით წყდებოდა. ნიშ-  
ნობაზე ვაჟის უფროსი ნათესავი რამდენიმე თანმხლებთან ერ-  
თად საჩუქრებით მივიდოდა საპატარძლოს სახლში. თანხმობის  
შემთხვევაში საპატარძლოს ოჯახიც საჩუქარს უგზავნიდა სასი-  
ძოს. ნამოსვლისას ტოვებდნენ ტყვია-ნამლს და ჰერში ისროდ-  
ნენ. ნიშნობის შემდეგ ქალიშვილი საცოლედ კი არა, არამედ ცო-  
ლად ითვლებოდა, მაგრამ გადასახადის მთლიანად დაფარვამდე  
მშობლების სახლში რჩებოდა. თუმცა ქორნინებამდე დაშვებული  
იყო ახალგაზრდების შეხვედრა ვაჟის სახლში სპეციალურად  
აშენებულ საქორნინო ქოხში (ამხარა). სიძეს სიმამრის სახლში

მხოლოდ ქორნილის შემდეგ ოფიციალური სტუმრობისა და მის მიზანის თვის საჩუქრების მირთმევის შემდეგ შეეძლო შეუზღუდავად ევლო. ქორნილის დღეს პატარძალს საჩუქრებს ჩუქნიდნენ და შეჰყავდათ ამხარაში, სადაც ორი-სამი კვირა უნდა დარჩენილიყო. ნეფე ამ ხნის მანძილზე დღისით ამხანაგებთან იყო და ღამით მაღლად სტუმრობდა პატარძალს. შემდეგ იმართებოდა ორივეს ამხარიდან გამოყვანისა და დიდ სახლში შეყვანის რიტუალი. წყალზე გასვლის რიტუალის შემდეგ პატარძალი ერთვებოდა ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში. პირველ მშობიარობამდე იგი რამდენიმე თვით ბრუნდებოდა მშობლების სახლში, შემდეგ კი საბოლოოდ გადავიდოდა ქმრის ოჯახში. ოჯახში დაცული იყო უმძრახობის ჩვეულება, ურთიერთობები სქესობრივ-ასაკობრივი სტატუსის მიხედვით რეგულირდებოდა. ახალდაქორნინებულები ნიშნობიდან ქორნილამდე და შემდეგ ამაცურტაში შეყვანის რიტუალამდე თავს არიდებდნენ უფროს ნათესავებს. ცოლ-ქმარი სხვების თანდასწრებით ერთმანეთს არ ელაპარაკებოდა, არც სახელით მიმართავდნენ და არც ახსენებდნენ ერთმანეთს, ასევე არ ახსენებდნენ მამამთილ-დედამთილისა და სიდედრ-სიმამრის სახელებს. რძალს არ ჰქონდა უფლება მჯდარიყო და ელაპარაკა დედამთილის, მამამთილის და სხვა უფროსი ნათესავების თანდასწრებით. გავრცელებული იყო გაძიძავების ჩვეულება (ააძარა), ამასთან, აღმზრდელი ყოველთვის სოციალურად უფრო დაბალი ფენის ნარმომადგენელი იყო. მას ბავშვის მშობლები ამარაგებდნენ საჭირო ინვენტარით, ჭურჭლითა და მენველი საქონლით.

აფხაზებში გავრცელებული იყო სამეზობლო და საგვარო ურთიერთდახმარების ფორმები (მაგ., მესაქონლეების გაერთიანება (აგუპ), მიწათმოქმედების გაერთიანება (კერაზ) და სხვ., სტუმარმასპინძლობის, სისხლის აღებისა (აშაურა) და უფროსთა პატივისცემის ჩვეულება. სისხლს უცხო გვარისგან იღებდნენ, გვარის შიგნით მკვლელობის შემთხვევაში, მკვლელს მხოლოდ მოიკვეთდნენ. სისხლის აღების ვადა არ ჰქონდა და შურისძიების აუცილებლობა თაობებზე გადადიოდა. შურისძიების ობიექტი,

პირველ ყოვლისა, მამის მხრიდან ახლო ნათესავი, შემდეგ კი მთელი გვარის მამაკაცები იყვნენ. მესისხლე, სანამ სისხლს არ აიღებდა, სახლიდან მიდიოდა და არ მონაწილეობდა არანაირ საერთო (სადღესასწაულო თუ სამგლოვიარო) საქმიანობაში. შესაძლებელი იყო „სისხლის საფასურის“ (აშაფსა) გადახდა და შერიგება. შერიგების ერთგვარ საშუალებას წარმოადგენდა ასევე ბავშვის აღსაზრდელად აყვანა (ათალიკობა), რითაც ნათესაური კავშირი მყარდებოდა ორ გვარს შორის და სისხლის აღება დაუშვებელი ხდებოდა. შერიგება შესაძლებელი იყო, აგრეთვე, თუ მკვლელი მოახერხებდა და მოკლულის ოჯახის წევრ რომელიმე ქალს ძუძუზე ებილს დაადგამდა, ან მკვლელის ოჯახის წევრი ქალი მოკლულის ოჯახის წევრი ბავშვისთვის ძუძუს წოვების იმიტაციას მოახერხებდა. ასეთ შემთხვევაში, მიიჩნეოდა, რომ ხელოვნური დანათესავების რიტუალია შესრულებული და აღარ დაიშვებოდა სისხლის აღება.

საბჭოთა პერიოდში მოხდა ცვლილებები როგორც საქორწინო ურთიერთობებში, ასევე საოჯახო ყოფაში.

ისტორიულად აფხაზები ქრისტიანები (მართლმადიდებლები) იყვნენ. XVI საუკუნიდან აფხაზთა დიდ ნანილში ფეხი მოიკიდა სუნიტურმა ისლამმა, მაგრამ დღემდეა შემორჩენილი ტრადიციული რწმენა-ნარმოდგენები. გავრცელებული იყო წმინდა ხეების, ტყეების, საგვარეულო საღლოცავების თაყვანისცემა. აფხაზთა ნარმართული პანთეონის უზენაესი ღმერთი იყო ანცვა. თაყვანს ცემდნენ მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების (ჯაჯა), მესაქონლეობის (აითარ), ნადირობის (აუვეიფშა), ჭექა-ქუხილის (აფი), სამჭედლოს მფარველ (შაშვი) ღვთაებებს. მათ სახელებთან იყო დაკავშირებული დღეობები და საკულტო ქმედებები. მიცალებულს საგვარეულო სასაფლაოზე კრძალავდნენ. დაკრძალვის რიტუალებში მნიშვნელოვანი როლი გარდაცვლილის ცხენს ეკისრებოდა. მიცვალებულთა ხსენების დღეებში იმართებოდა დოლი (ათარჩეი).

აფხაზური ფოლეკლორი მდიდარია ლეგენდებითა და თქმულებებით (ნართების ეპოსი), მრავალფეროვანია სასიმღერო ჟანრი



(საგმირო, შრომის, სამონადირეო, საწესო სიმღერები). ხალხური ქორეგრაფია ნარმოდეგენილია ჯგუფური და სოლო ცეკვებით. მუსიკალური ინსტრუმენტებიდან გავრცელებულია ორსიმიანი საკრავი (აფხარცა), სალამური, არფა და სხვ.

## სომხები

სომხები ანთროპოლოგიურად ევრაზიული რასის არმენოდულ ტიპს ეკუთვნიან. ძველი სომხური ტრადიციით სომხეთის ეპონიმებია ჰაიკი და არმენი. შესაბამისად სომხები თავის თავს ჰაიებს (ჰაიქ) უწოდებენ, ხოლო ყველა სხვა ხალხი (ქართველების გარდა) მათ არმენების სახელწოდებით იცნობს. სომხების ეთნოგენეზის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. არსებობს ორი თეორია: სომხების ავტოქტონობისა და მიგრაციის შესახებ. დღეს ისინი ცხოვრობენ სომხეთსა და მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში. სომხების ეროვნულ სახელმწიფოს დღეს სომხეთის რესპუბლიკა ეწოდება, დედაქალაქია ერევანი. სომხები ლაპარაკობენ სომხურ ენაზე. დამწერლობაც სომხური აქვთ. არსებობს ლიტერატურული სომხურის ორი ვარიანტი: აღმოსავლეთ სომხური და დასავლეთ სომხური. სომხურ ენას აქვს მრავალრიცხოვანი დიალექტები და კილოები. იგი ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნის. დამწერლობის შექმნა მიენერება მესროპ მაშტოცს (V ს.). სომხური წერილობითი ძეგლები V საუკუნიდანაა შემორჩენილი. ძველი სომხური ენა, რომელიც 'თანდათან ძნელად გასაგები გახდა ხალხისთვის სამწერლობო ენად იქცა და "გრაბარი" (ანუ სამწერლობო ენა) ეწოდა. პარალელურად XI საუკუნიდან დაიწყო ახალი სალიტერატურო ენის გამოყენება, რომელიც ძველი სომხურისა და ხალხური კილოების ნაერთს ნარმოადგენდა. ამ ენაზე იწერებოდა სასამართლო და სხვა სახის სამოქალაქო დოკუმენტები, სამედიცინო ნიგნები, საერო ლიტერატურა (ლექსები, იგავები, გამოცანები და სხვ.). გვიან შუასაუკუნეებიდან თანდათან ჩამოყალიბდა ახალი სალიტერატურო ენა - აშხარაბარი (საერო,

სამოქალაქო ენა). სომხური ეროვნული სალიტერატურო ენა-თე აღმოსავლეთსომხურ და დასავლეთსომხურ ვარიანტად ჩამოყალიბდა, თუმცა მათ შორის უმნიშვნელონ განსხვავებანია. პრაქტიკულად აღმოსავლური ვარიანტის საფუძველზე განვითარდა თანამედროვე სომხური ეროვნული ლიტერატურული ენა. დასავლური ვარიანტი შენარჩუნებულ იქნა სომხურ დიასპონებში. XX საუკუნის დასაწყისში აღნერილია სომხური ენის ოცდაათზე მეტი დიალექტი, თანდათან მოხდა მათი უმეტესობის გაქრობა.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით სომხები ორ ოლქად — აღმოსავლეთ და დასავლეთ სომხებად იყოფიან. დასავლეთ სომხეთი XVI-XIX საუკუნეების მანძილზე თურქეთის გავლენის ქვეშ იყო, აღმოსავლეთი — სპარსეთის. ეს გარემოება აისახა, როგორც სომხურ ენაზე, ასევე კულტურისა და ყოფის თავისებურებებზე. ორი ეთნოგრაფიული ოლქის შიგნით გამოიყოფა რვა ეთნოგრაფიული რაიონი, მათგან ხუთი დასავლეთ სომხური (შირაქი, არაგაცოტი, არარატის ველი, გეხარკუნიკი და ვაიოც-ძორი) და სამი აღმოსავლეთ სომხური (ლორი, იჯევან-ტავუში და ზანგეზური). ორ ოლქად დაყოფის პარალელურად გამოიყენება ასევე სომხეთის ოთხ ეთნოგრაფიულ-ისტორიულ ოლქად დაყოფა. კერძოდ: 1. ზემო სომხეთი (ერზინჯან-ერზინკა, კარინ-ერზერუმი და ყარსი), 2. სოფენა-ალენიკი (ჰარბერდი და დიარბექირი), 3. ვასპურაკან-ტურუბერანი (ვანის ტბის აუზი და მუში) და 4. არარატ-სიუნიკი (არარატის ველი და მისი მიმდებარე მცირე კავკასიონის მთიანი ზოლი). ეთნოგრაფიული რაიონების მოსახლეობის ყოფისა და კულტურის თავისებურებები განპირობებულია ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული პირობებით.

ძველი სომხური სოფელი (გიუს ან შენ) მჭიდრო დასახლებას წარმოადგენდა; სადაც ნათესავები უბნებად იყვნენ დასახლებული. მთიან რეგიონებში სახლები იარუსებად იყო განლაგებული და ქვედა იარუსის სახურავები ხშირად ზედა იარუსის ეზოს წარმოადგენდა. ერთმანეთისაგან განსხვავდება დასავლეთ და აღმოსავლეთ სომხური დასახლებების ტიპი. აღმოსავლეთში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ცალ-ცალკე დგას. დასავ-

ლეთში კი ნაგებობები ერთმანეთზეა მიდგმული. მჭიდროდ განლაგებული სახლები ხშირად საიდუმლო გასასვლელებით იყვნენ დაკავშირებულნი. ორივე ტიპის დასახლებაში ქუჩები გამოკვეთილი არ იყო და ნაგებობებს შორის იკარგებოდა. ეზოების შემოლობვა მხოლოდ მებოსტნეობის რაიონებისთვის იყო დამახასიათებელი, სხვაგან ეზო არ იღობებოდა. განსაკუთრებული ტიპის დასახლება ჩამოყალიბდა ზანგეზურის რაიონში, სადაც ბუნებრივი პირობები (ხშირი ქარები და თოვლი) აიძულებდა ადამიანებს საცხოვრებლად გამოქვაბულები გამოეყენებინათ. მათზე იყო მიდგმული ხის აივნები. სახლიდან სახლამდე ვიწრო ბილიკები ან უხეშად ნაგები ქვის საფეხურები მიდიოდა.

დაბლობი რაიონები მჭიდროდ იყო დასახლებული, იმ განსხვავებით, რომ სახლებს გარს ბალები ერტყა. სოფლის ცენტრში ეკლესია იდგა ქვის ან ხის სამრეკლოთი. ეკლესიის ეზოში იმართებოდა ჩვეულებრივ სასოფლო კრებები. ზოგან ამისათვის სპეციალური მოედნები ჰქონდათ. სასაფლაო სოფლის გარეთ ამაღლებულ ადგილას იყო გატანილი. წყალი ქვის ფილებით ამოშენებული წყაროებიდან მოჰქონდათ ოჯახის უმცროს წევრებსა და ქალიშვილებს. იქვე იყო საქონლის დასარწყულებელიც. თუ სოფელს წყარო არ ჰქონდა თხრიდნენ პორიზონტალური ტიპის ჭებს (კახრებ). მთიდან პორიზონტალური არხებით გამოჰყავდათ წყალი.

ტრადიციული საცხოვრებლის ძირითადი ტიპია მიწისზედა ან ნახევრად მიწისზედა კვადრატული ფორმის ნაგებობა, უფანჯრო, ქვის კედლებით, პირამიდულ-გვირგვინიანი გადახურვით და ერთადერთი ღიობით ჭერის ცენტრში (ერდიკ), რომელიც სინათლის წყაროც იყო და საკვამურის მოვალეობასაც ასრულებდა. ერდიკი საფეხურიან გვირგვინს წარმოადგენდა. ერდიკიანი სახლები ძირითადად ორი ტიპისაა: 1. ტონრატუნ ან ხაცატუნ (საცხობი სახლი) ან გლავატუნ (გვირგვინიანი სახლი) და 2. კარნაუჩ ან კარნაკუნჯ. პირველი ტიპის სახლში კედლებიდან გარკვეული მანძილით დაშორებულ ქვის ბოძებზე დგამდნენ სქელ მორებს, რომელთა გარდიგარდმო უფრო მცირე ზომის მორები იდგმებოდა და იქმნებოდა კვადრატი. ამ კვადრატზე უფრო პატ-

არა ზომის კვადრატი იდგმებოდა და ა.შ. ასე იარუსებად იქმნებოდა საფეხურებიანი გუმბათი, რომელიც სინათლის შემოსასვლელი ღიობით მთავრდებოდა. ეს გუმბათი (კუბა) გარედან იფარებოდა თიხის სქელი ფენით. გუმბათის სიმაღლე 75-130 სმ იყო, ღიობი შიგნიდან 100-130 სმ, გარედან კი 34-40 სმ დიამეტრის. გლახატუნის ტიპის სახლში ზოგჯერ კედლების გასწორივაც იდგა კოლონები, ჰორიზონტალურად განთავსებული მორებით. ეს კარკასი (არორმა) იჭერდა მთელ ჭერს. სახურავი მიწით იყო დაფარული. მიწას ტექპნიდნენ ქვის ლოდით. გლახატუნს ჩვეულებრივ აივანიც ჰქონდა, რომელსაც ძირითადი საცხოვრებლის ნინ წამონეული გვერდითა კედლები ქმნიდა. აյ იყო განთავსებული სახლის ერთადერთი კარებიც. თბილ ამინდში სომხური ოჯახი მთელ დროს ამ აივანზე ატარებდა, მიწის იატაკზე დაგებულ ჭილობებზე დაფენილ ხალიჩებსა და ქეჩაზე ან ფართო ტახტებზე მსხდარი. საცხოვრებელ სახლში ჩვეულებრივ კარებთან ახლოს კედელთან კერა იყო გამართული (კრაკნოც ან ოჯახ). ყარაბახში ასეთ სახლს ყარადამს ("შავ სახლს") ეძახდნენ, რადგანაც ასეთი სახლის კედლები კვამლისგან შავდებოდა. ყარაბახში, ზანგეზურსა და ლორეში იცოდნენ ლია კერის (კრაკნოც) ოთახის შუაგულში გამართვა, რომლის გარშემოც ქვის ფილებს აწყობდნენ, ნაცარი და ნაკვერჩხლები რომ არ გაფანტულიყო და ამავე დროს მათ სკამის ფუნქციაც ეკისრათ. ყოველი სომხური სახლის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა სახლის შიგნით განთავსებული თონე (თონირ).

უფრო რთული კონსტრუქციის იყო მეორე ტიპის სახლი (კარნაუჩ ან კარნაკუნჯ). ამ ტიპის სახლში პირველი იარუსის მორებზე მეორე იარუსი ცერად იდგმებოდა და ასე შემდეგ. ყოველი იარუსი უფრო მცირე იყო ზომით და ქმნიდა საფეხურებიან გუმბათს სინათლის ღიობამდე. ასეთი გადახურვის რამდენიმე ტიპი არსებობდა. ყველაზე რთული იყო ხაზარაშენჯ ("მრავალსაფეხურიანი"), სადაც იარუსები შეიძლება 8, 16 ან 32 კუთხიანი ყოფილიყო. ხაზარაშენჯის სახურავი კონუსისებრია. ხშირად ხაზარაშენჯის კედლებს ღებავდნენ.

თონეს საცხოვრებელ ფართთან თაღით დაკავშირებულ მოშენებულ ფართზე ათავსებდნენ, რომელსაც თავისი საკვამური ჰქონდა და საცხოვრებელი ფართი დაცული იყო კვამლისაგან, ამ მინაშენს თონრათუნი ერქვა. თონრათუნის იატაკი საცხოვრებელის იატაზე ოდნავ მაღალი იყო და ერთმანეთთან საფეხურით იყო დაკავშირებული. თონრათუნს წაგრძელებული ნახევარწრის ფორმა ჰქონდა, მის კედლებში ნიშებს აკეთებდნენ, სადაც ჭურჭელი, პროდუქტები და საოჯახო ნივთები იყო მოთავსებული. თონრათუნი გვერდითა კარით დაკავშირებული იყო საკუჭნაოსთან (მარან ან კილარ), შეძლებულ ოჯახებში ასეთი საკუჭნაო თონრათუნს ორივე მხრიდან ჰქონდა მოშენებული.

სამხერეთ სომხეთის რაიონებში გავრცელებული საცხოვრებელი სახლი განსხვავდებოდა ერდიკიანი სახლისაგან. ასეთ სახლში მეორე სართული ლია იყო. კერა კედელს აყოლილი საკვამურიანი ბუხრის ტიპისა იყო. სახლს შეიძლებოდა რამდენიმე შესასვლელი ჰქონოდა.

სომხეთში იშვიათად, მაგრამ გვხვდება თიხით შელესილ კედლებიანი სახლები, ბრტყელი გადახურვით.

მებაღეობის რაიონებში გავრცელებული იყო ერთ ან ერთნახევარ სართულიანი ბანიანი თიხით შელესილი სახლები. ქვედა, ვიწრო ფანჯრებიანი ნახევრად სარდაფის სართული საკუჭნაოდ (ერზამბი, მაგაზა) გამოიყენებოდა. ზედა სართულზე განთავსებული იყო ფანჯრებიანი საცხოვრებელი ოთახები. ერთსართულიან სახლებში საკუჭნაო მიმენებული იყო საცხოვრებელ ფართზე.

ბოსელს (გომ), აღმოსავლეთში სახლისგან მოშორებით აგებდნენ, დასავლეთ სომხეთში კი იგი საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შედიოდა. საერთო აღმოსავლეთ და დასავლეთ ტიპის გომს შორის ის იყო, რომ მას ქვისგან აშენებდნენ და სწორი, წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა, მაგრამ კონსტრუქციითა და შიდა მოწყობილობით ისინი არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ზანგეზურში, ლორესა და არარატის დაბლობში ასევე მთიან ყარაბაღში ბოსელი ჩვეულებრივ მინაში იყო



ამოთხერილი, ან ოდნავ იყო აცილებული მიწის დონეს. იშვიათად  
იატაკი ქვით იყო მოკირნყლული. ბოსელი ბნელი და სველი იყო,  
ნებვი კალათებით გამოჰქონდათ. ხშირად ბოსელი საპირფარე-  
შოდაც გამოიყენებოდა. თივას ეზოში ან ბოსლის სახურავზე  
ათავსებდნენ. ზოგ რაიონში თივას მიწურგადახურვიან, სამი  
მხრიდან ქვისეედლიან და ერთი მხრიდან წნულკედლიან სათავს-  
ში აწყობდნენ. დასავლეთ სომხებს საქონლის სადგომი მშრალი  
და ნათელი ჰქონდათ, რომლის ერთი ნაწილი — გომი ოდა, ოჯახ-  
ისთვის იყო გამოყოფილი. აქ იკრიბებოდნენ მამაკაცები ან ხნიერი  
ქალები, საერთოდ გომი ოდა სტუმრების მისაღებად განკუთვნი-  
ლი ოთახი იყო. ეს ნაგებობა დაკავშირებული იყო ხაზარაშენის  
ტიპის საცხოვრებელ სახლთან ღია დერეფნით (პოგან, სირახ),  
სადაც საცხოვრებლის გარდა გამოდიოდა საჯუჭნაოს კარიც,  
ცხვრის სადგომის კარი და სასტუმრო ოთახის (დრის ოდა) კარ-  
იც. ეს უკანასკნელი შედარებით გვიან შევიდა საცხოვრებელ კო-  
მპლექსში და მკვეთრად გამოირჩეოდა დანარჩენი ოთახებისგან  
კედლებში დატანებული ეზოში გამავალი ფანჯრებით. დერეფანი  
ფართო გასასვლელით უკავშირდებოდა ეზოს. დერეფანში ზაფხ-  
ულობით ოჯახის წევრების ნაწილს ეძინა. დროებით აქვე ათა-  
ვსებდნენ ახალდაფქვილ მარცვლეულიან ტომრებს, სამეურნეო  
იარაღს და სხვა. ბოსლის იატაკი ქვით იყო მჭიდროდ მოკირნყ-  
ლული და სისუფთავეს იცავდნენ. სადგომების ორ რიგს შორის  
ხშირად ჭას თხრიდნენ. ამ წყალს ასმევდნენ საქონელს და გამ-  
ოიყენებდნენ მათ დასაბანად. თუ ჭის ამოთხერა შეუძლებელი იყო,  
მაშინ აგებდნენ პატარა აუზს, რომელშიც სპეციალური მოწყო-  
ბილობით თოვლის წყალს აგროვებდნენ.

საცხოვრებელი ოთახის კედლებს ხის თაროები ამკობდა,  
რომელზეც ჭურჭელს აწყობდნენ. ოთახშივე იდგა ლავაშების  
სკივრი. თუმცა, უმეტესწილად ლავაშებს ჰორიზონტალურად  
დაკიდულ დაფაზე აწყობდნენ და ნაჭერს აფარებდნენ. მთელი  
დანარჩენი საოჯახო ნივთები ნიშებში იყო მოთავსებული. ხის  
ჭურჭელს (ტაშტებს და სხვ.), რაც სათავსოებში არ ეტეოდა, კედ-  
ლის გასწვრივ აწყობდნენ. კარებიანი ნიშები კარადების მაგ-

ივრობას წევდა. ლრმა და მაღალი ნიშები ლოგინის შესანახად კუთხით განკუთვნილი, რომელთაც დღის მანძილზე ნიშებში ათავსებდნენ, ლამით კი შლიდნენ ჭილოფებზე, ხალიჩებზე, თექაზე, პირდაპირ იატაკზე, ან კედლების გასწვრივ დადგმულ ხის ტახტებზე. ტანსაცმელი, განსაკუთრებით ქალის ტანსაცმელი და სამკაულები ხის სკივრებში ინახებოდა. იარაღს ხის ლურსმნებზე ჰკიდებდნენ. ოთახის ერთი კუთხე სართავი დაზისთვის იყო გამოყოფილი. ოთახი ღია კერით ან თონირით თბებოდა. თონირზე დადგმულ დაბალ ფართო სკამზე გადაფარებულ ხალიჩას ზამთარში გარს შემოუსხდებოდნენ, მკერდამდე აიფარებდნენ და თბებოდნენ.

საჭმელს იატაკზე დამსხდარნი ჭამდნენ. სუფრა იატაკზე ან ტახტზე იშლებოდა. მაგიდები მოგვიანებით რუსეთის გავლენით შემოვიდა ხმარებაში. მანამდე მაგიდას უწოდებდნენ დიდ თუჯის მრგვალ ლანგარს (სინი) და მის სადგამს, ნახევარი მეტრის სიმაღლის მოძრავ ფეხებს. აღმოსავლეთ სომხეთში გამოიყენებოდა აგრეთვე დაბალი, მრგვალი ხის მაგიდა (სეგან ტახტაკ). არ გამოიყენებოდა არც სკამები, ისხდნენ იატაკზე, ტახტებზე, ტყავებზე, ხალიჩაზე, ქეჩასა ან პატარა ბალიშებზე. აბანოები არ ჰქონდათ. იბანდნენ საცხოვრებელი სახლის კუთხეში.

საბჭოთა პერიოდიდან იცვლება სოფლის იერსახე. სახლები ერთმანეთზე ალარაა მიდგმული, ისინი ბალებსა და ბოსტნებშია ჩადგმული. სოფლის დაგეგმარებისას გამოყოფდნენ სასოფლო ცენტრს, მოედანს (გიუხამეჯ), რომლის გარშემოც იყო განლაგებული სასოფლო საბჭოს შენობა, კლუბი, მაღაზია, ბიბლიოთეკა, დიდ სოფლებში, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, აბანო და სხვ. სასაფლაოები ისევ სოფლის გარეთ ამაღლებულ ადგილას არის განთავსებული, ზოგ სოფელში ძეელი სასაფლაოები უკვე სოფლის შიდა ტერიტორიაზე მოექცა. შეიცვალა სახლის ტიპიც. გაჩნდა დობით შემოკავებული ნაკვეთები. ქვის სახლები ძირითადად ორსართულიანია და აქვთ აივნები. ისინი ეზოს სიღრმეში ქუჩისენ ფასადით დგას. სახლისგან გამოყოფილია სამეურნეო ნაგებობები. ეზოშივეა გატანილი თონე. პურს თონის გარდა აცხობენ სპეციალურ ღუმელში (ფურ). გლახატუნ-ის (თონრატუნ ან

ხაცატუნ) ტიპის სახლს გაუჩინდა ფანჯრები. გაქრა ერთდღიული აუცილებლობა და იგია ან შეიღესა, ან ზედა ფანჯრად იქცა. უმეტესწილად კი გლახატუნმა სამზარეულოს ფუნქცია შეიძინა და საძინებლები ახალ შენობაში გადავიდა. მთიან რეგიონებში გავრცელდა სართულნახევრიანი ქვის სახლები, შემინული აივნებით. სომხური სახლებისთვის დამახასიათებელია თაღოვანი ფანჯრები და კარები. სახლის შიდა ინტერიერში გაჩინდა საწოლი, კარადები და სხვა ახალი საოჯახო ინვენტარი.

სატრანსპორტო საშუალებად გამოიყენებოდა ორბორბლიანი მძიმე კონსტრუქციის ურემი (საილ), რომლის ბორბლები მთლიანი ხის იყო ისრების გარეშე (ბრმა ბორბალი) და ლერძთან ერთად ტრიალებდა, დასავლეთ სომხურ რაიონებში მათ რკინის სალტე ეკრათ. XX საუკუნიდან რუსეთიდან შემოვიდა ლერძის გარშემო მოტრიალე ისრებიანი ბორბლები.

სომხურ ტრადიციულ ტანსაცმელში ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის საფუძველია დაბალსაყელოიანი პერანგი და განიერი შარვალი. აღმოსავლეთ სომხეთში მამაკაცი ატარებდა დაბალსაყელოიან, გვერდზე შესაკრავიან პერანგს (შაპიკ). ზევიდან ატარებდნენ სატინის, აბრეშუმის ან ბამბის ქსოვილის მუხლამდე ახალუხს, წვრილი წნული ღილებით. ახალუხზე კი იცვამდნენ უფრო გრძელ მუქი ფერის ჩოხას, რომელიც მხოლოდ წელზე იკვრებოდა. ხმარობდნენ ტყავის ან ვერცხლის მოოქროვილ ვინო ქამარს, ჩვეულებრივ, მასიური ვერცხლის ბალთებით. ზამთარში ატარებდნენ ცხვრის ტყავის ქურქს. დასავლეთ სომხების ტანსაცმელი ფორმით განსხვავდებოდა აღმოსავლელების ტანსაცმლისგან. ისინი ახალუხის ნაცვლად ატარებდნენ მოკლე, უსახელო ჟილეტებს (ელაკ), საიდანაც ჩანდა მკერდსა და სახელოებზე მოქარგული, მარცხენა მხარეს შეკრული პერანგი. ზევიდან იცვამდნენ სხვადასხვა სახის ჩოხის ტიპის ტანსაცმელს, უფრო ხშირად მოკლე წელამდე ქურთუქს (ბაჩქონ) გრძელი სახელოებითა და შესაკრავის გარეშე. იშვიათად ატარებდნენ ფართო შარვალს (ვარტიკ), უფრო ხშირად იცვამდნენ ვინო შარვალს. პერშინები ატარებდნენ კოჭთან შევიწროებულ და შეკრულ შარ-

ვალს. უილეტიცა და ქურთუკიც ნაქარგებიანი იყო, მიღებული იყო შარვალის მოქარგვაც, განსაკუთრებით ახალგაზრდების ტანსაცმელი ძირითადად მცენარეული ორნამენტით იყო დამშვენებული. წელზე ატარებდნენ ფართო, ნაქსოვ ან ნაჭრის მოსახვევს, რომელსაც რამდენიმე ფენად იხვევდნენ. ასეთი ქამრის ნაკეცები ჯიბის მოვალეობას ასრულებდა. ზამთარში ხმარობდნენ ქურქებს, უფრო ხშირად კი თხის ტყავის უსახელო, მოკლე ტყაპუჭს (კაზახი), რომელსაც ზაფხულშიც ატარებდნენ. აღმოსავლეთ სომხეთში მამაკაცების თავსაბურავი ბეწვის ქუდი იყო, დასავლეთში კი ნაბდისა და ნაჭრის ქუდები. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სომეხთა ტანსაცმელში ადგილობრივი ელემენტებიც მკვიდრდებოდა.

აღმოსავლეთ სომხეთში ქალები გრძელი წითელი პერანგის (ხალავ) ქვეშ ატარებდნენ გრძელ, ფართო, კოჭთან შეერულ და მოქარგულ, ჩვეულებრივ წითელი ფერის შარვალს (ფოხან). წითელი პერანგის ზევიდან გრძელ, მკერდზე ამოჭრილ კაბას, რომელიც მხოლოდ წელთან იკვრებოდა და ჩაჭრილი იყო თეძებს ქვევით (ერეკ პეშვანი). საგარეოდ ზევიდან ასეთივე ჭრილის, მაგრამ გვერდებში ჭრილის არმქონე კაბას იცვამდნენ (მინტანა). კაბას სახელოები იდაყვიდან მაჯამდე ჩაჭრილი ჰქონდა და ღილებით იკვრებოდა. ასაკოვანი ქალები ქამრად გრძელ აბრეშუმის ან თხელი შალის მოსახვევებს ხმარობდნენ, ახალგაზრდები ვერცხლის ქამარს.

დასავლეთ ოლქებში სომეხი ქალის ტანსაცმელი ნაკლებ განსხვავდებოდა აღმოსავლეთ სომხურისებან. წითლის ნაცვლად თეთრ პერანგს ატარებდნენ, წითელ შარვალზე ეცვათ ჩაჭრილი კაბა (ანტარი ან ეპუნ). ზევიდან ჩასაცმელ გამოსასვლელ კაბას აქ სხვადასხვა სახელი ჰქონდა: ჩუხა, დალმა, ხრხა. წელზე რამდენიმე ფენად იკრავდნენ გრძელ მოსასხამს. დასავლეთში ქალის ტანსაცმლის აუცილებელი ელემენტი იყო წინსაფარი (გოგნოც), რომელსაც კაბაზე იკეთებდნენ. წინსაფარი ჩვეულებრივ წელიდან იწყებოდა, თუმცა გავრცელებული იყო მთლიანი წინსაფარიც, რომელიც ვიწრო ნაქსოვი თასმებით იკვრებოდა, თასმებში იცოდნენ ნარნერის ჩაქსოვა.

საკმაოდ რთული იყო ქალის თავსაბურავი. აღმოსავლეთში გოგონებს რამდენიმე ნაწილი და ჰქონდათ თმა დავარცხნილი, თავისუფლად დაშვებული და მოსახვევით შეკრული. გათხოვების შემდეგ სპეციალურ ქუდს (პალტი, პალი, პოლი, ბასპინდ) ატარებდნენ, რომელსაც თეთრი სამკუთხა მოსახვევით იკრავდნენ და იფარავდნენ თავს, პირსა და ცხვირის ნაწილს. ქუდის წინა მხარე მოქარგული თასმით იფარებოდა. ქუდის ქვეშ თასმით იმაგრებდნენ დაკიდულ ვერცხლის ან ოქროს მონეტებს ან საკიდებს. საფეხქლებთან იკიდებდნენ ვერცხლის ბურთებს (შახ), ზოგჯერ მარჯანთან ერთად. თეთრი მოსახვევის ზევიდანაც მეორე სხვა ფერის მოსახვეებს იხვევდნენ, ზოგჯერ მესამესაც, რომლებსაც კეფაზე იმაგრებდნენ. მოსახვევის ზევიდან გადაკიდებული იყო ოქროს, ვერცხლის ან მოვერცხლილი ძენკვი. ასეთ თავსაბურავს რამდენიმე დღის მანძილზე მოუხდელად ატარებდნენ. მისი მოხსნა მხოლოდ მამაკაცების სახლში არყოფნის დროს შეიძლებოდა, ამ დროსვე იძანდნენ თავს. მოგვიანებით თავსაბურავი ოდნავ გამარტივდა, ალარ ატარებდნენ მონეტებს, ალარ იფარავდნენ ნიკაპსა და სახეს. ასეთი სახით ეს მორთულობა XX საუკუნემდე შემორჩია. საქართველოში მცხოვრები სომეხი ქალები ქართულ ჩიხტიკიოპსა და ლეჩაქს ატარებდნენ. წინა აზიაში კი ვერცხლით მორთულ ფესკის ტიპის თექის ქუდს (კტაკ, ფას). სამხრეთ რაიონებში გათხოვილი ქალები ატარებდნენ ხის რგოლს, რომელიც წინა მხარეს ამაღლებული იყო (კოტიკ), რაზეც მარგალიტებით, ვერცხლის ფირფიტებითა და ხავერდის ნაქარგობით გამოყვანილი ზეცის თაღის გამოსახულება ეკერებოდა. ამ რგოლის ზევიდან იხვევდნენ მოსახვეებს. მეორე სახის რგოლი (ვარდ ან ტანტანა) უფრო რბილი და დაბალი იყო, იგი ხავერდით შემოხვეული ნაჭრისგან მზადდებოდა, წინა მხარეს ფოთლებს, ყვავილებსა და ჩიტებს აქარგავდნენ. გვერდებზე ამ რგოლს მაღალი ღილები (კოტიზ) უმაგრდებოდა. რგოლის ქვეშ შუბლზე რამდენიმე ოქროს მონეტას იკიდებდნენ, ცენტრში დიდი მონეტით, საფეხქლებთან კი მარგალიტის აცმას, რომელიც მრგვალი თხელი ოქროს ფირფიტით ბოლოვდებოდა. ასეთ რგოლს წინა თელ ქუდზე იხურავდნენ.

დასავლეთ სომხების ტანსაცმელი მხატვრული მორთულობა გამოიჩინა. დასავლეთში უფრო მეტად ხმარობდნენ სამკაულს: მძივებს, ყელსაბამებს, სამაჯურებს, ღილებს.

დასავლეთ რაიონებში ორნამენტებიან წინდებზე იცვამდნენ ენიან, დაბალქუსლიან, მკვეთრად ცხვირანეულ ფეხსაცმელს (სოლერ), ქალები წითელ ან მწვანე ტყავისგან, მამაკაცები წითელ ან შავი ტყავისგან დამზადებულს. ქალები ატარებდნენ ასევე ულანჩი ჩექმებს (მახსერ), რომლებზეც ზევიდან იცვამდნენ ქუსლიან ქოშებს (შმეც). მამაკაცები ატარებდნენ თექისძირიან, რბილ წითელ ჩექმებს (რშეკატერ). აღმოსავლეთში ფეხზე ეცვათ უხეში ტყავისგან დამზადებული წუღები (ტრეხ). ატარებდნენ სქელლანჩიან, ქუსლიან ჩექმებს, ხის ფეხსაცმელს (ნალიკ, ოგატაპ).

საბჭოთა პერიოდში ეროვნული ტანსაცმელი ევროპულით შეიცვალა და ყოფაში მხოლოდ მისი ზოგი ელემენტი შემორჩა, მაგ: სამკაულები, ტყავის წუღები, მამაკაცის თავსაბურავი.

ტრადიციული საკვები ძირითადად მარცვლეული იყო. ხორბლის ფქვილისგან, ძველად ქერისგან აცხობდნენ ოვალური ფორმის თხელ ლავაშს (ხაც). იგი დიდხანს ინახება და წინასწარ რამდენიმე თვეს ინახავდნენ. პურის სხვა სახეობებია: მატნაკაშ, ბლით, ბომბი იგივე პრუზ. ლორეში და სხვა რაიონებში, სადაც თონის ნაცვლად იყენებენ რუსულის მსგავს ლუმელს (ფურ), აცხობენ ბლითს და ბომბის. პურის ცხობისას საცხობში არ შეიძლებოდა მამაკაცის ყოფნა ჩვილების ჩათვლით, არ შეიძლებოდა პურის გაჭრა, იგი ხელით უნდა გატეხილიყო, რათა ოჯახს დოვლათი არ დაკლებოდა, არ შეიძლებოდა ნამცეცების იატაკზე დატოვება, რათა ავ სულებს არ ჩაეგდოთ ხელში. აცხობდნენ სხვადასხვა ნამცხერებს. დღესასწაულებზე — სქელ ქადებს (გატა), კარაქში შეზელილი ფქვილისაგან დამზადებული ტკბილი ან მლაშე შიგთავსით. ქადას ზევიდან ორნამენტს უკეთებდნენ, რისთვისაც ყოველ ოჯახში საკუთარი შტამპი (გატანახშ) ინახებოდა. მარცვლეულისგან მზადდებოდა სხვადასხვა სახის ცომეული კერძები, ფაფები, ფლავი, წვნიანები. რძის პროდუქტებიდან ამზადებენ მანონს (მაცუნ), რძისგან დღვებენ კარაქს, დარჩენი-



ლი სითხე (ტან) გამაგრილებელ სასმელად და საკვების მოსამზურებელი დებლად გამოიყენებოდა. კარაქის სადღვები ორი ტიპის იყო: დასაკიდი ან დასადგმელი. გავრცელებული იყო ხის (ხნოცი) ან თიხის (ძუშმი) სადღვებლები. ამზადებენ სხვადასხვა სახის ყველს (პანირ), რომელიც ყოველდღიური მოხმარების პროდუქტია. იცოდნენ ძაფისმაგვარი ყველის ამოყვანა, რომელიც გორგალივით იყო დახვეული. ამზადებდნენ ნადულის მსგავს მლაშე პროდუქტს (შორ). ხორცეულიდან გამოიყენება ფრინველის, ძროხის, ღორის, უმეტესწილად კი ცხვრის ხორცი, როგორც მოხარშული, ასევე შემწვარი. სანესო კერძებში გამოიყენება მოხარშული ხორცი, დღესასწაულებზე შემწვარი. ხორცეული კერძებიდან ამზადებენ ღორის ან ცხვრის ხორცის მწვადს (ხოროვაც), ლულაქაბაბს, ტოლმას, ბურთებად მოხარშულ დაბეგვილ ხორცს (კუფა), ხორბლის ფაფას ცხვრის, ქათმის ან ინდაურის ხორცით (არისა). ხაშს, ბატკნის ხორცის ბოზბაშს, ხორციან კერძს კარტოფილითა და პომიდვრით, რომელიც თიხის ქოთანში იხარშება (ჩანახი, პუტუკი). ხორცს ინახავდნენ თიხის ქოთნებში ცხვრის დუმით თავმოდგმულს (გავურმა). ასევე ამზადებდნენ შებოლლილ ძეხვსა და შებოლლილ ხორცს (ბასტურმა). ფართოდ მოიხმარდნენ მცენარეულ ზეთს, დიდი რაოდენობით ცოცხალ მწვანილს და გამხმარ ან ნედლ სანელებლებს. ბოსტნეულიდან — კომბოსტოს, ბადრიჯანს, კიტრს, შედარებით გვიან შემოვიდა კარტოფილი, პომიდორი და ბულგარული ნინაკა. დიდი ადგილი უკავია ხილს, ბაღჩეულს. ვაშლსა და მსხალს ბოსტნეულის მსგავსად ამარილებდნენ ზამთრისთვის. ამზადებდნენ მურაბებს, ჩურჩხელას, ძაფზე აცმულ კურქაგამოცლილი ატმის ჩირს (ალანი), რომელშიც გულად შაქრიანი დანაყილი ნიგოზია. სვამდნენ ჩაის, ყავას, მშრალ ღვინოს. საკვებს ამზადებდნენ თონეზე, ჭამდნენ საერთო ჭურჭლიდან.

სომხეთში მეურნეობის ტრადიციული დარგებია მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. სომხეთის მთიანეთის ვერტიკალურმა ზონალობამ განაპირობა მიწათმოქმედების ნამყვანი როლი

დაბლობებსა და მთისწინეთში და მესაქონლეობისა მაღალმთიან  
 ზონაში. საერთო ნილით მიწათმოქმედება იყო წამყვანი დარგი.  
 გავრცელებული იყო ტერასული მიწათმოქმედება. კარგად იყო  
 განვითარებული ირიგაციული სისტემა. მოგვიანებით უპირატე-  
 სობა მიენიჭა სახნავ მიწათმოქმედებას. მოჰყავდათ მარცვლო-  
 ვანი კულტურები: ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, კანაფი, ბრინ-  
 ჯი. უცნობი იყო შვრია. დაბლობში და მთისწინეთში სახნავი მი-  
 წათმოქმედება შეხამებული იყო მევენახეობასა და მებალე-  
 ობასთან. მიწას ხნავდნენ მძიმე სახვნელი იარაღით (არორ, ვეც-  
 კი). ეს იყო ხის ძელი რეინის სახნისით. მასში აბამდნენ ერთ-სამ  
 წყვილ კამეჩის ან ხარს. შედარებით პატარა სახნისი გამოიყენე-  
 ბოდა საბოსტნე მიწისათვის, უფრო დიდი (გუთან) კი დაბლობებ-  
 ში. მასში ზოგჯერ 6-8 წყვილ ხარს აბამდნენ. მიწის დამუშავები-  
 სას გლეხები ერთიანდებოდნენ ამხანაგობებად (ამკალ), რომელ-  
 შიც ყველას თავისი წილი შეჰქონდა და ფიზიკურადაც მუშაობ-  
 და. მოგვიანებით დაინყეს დაქირავებული მუშახელის გამოიყენე-  
 ბაც. გასაფარცხად გამოიყენებოდა ფართო ცოცხის მსგავსი იარ-  
 აღი (ტაპანი), მკიდნენ ფართო და ვიწრო ნამგლებით (მანგახ).  
 ქალები არ მონაწილეობდნენ არც ხენა-თესვაში, არც მოსავლის  
 აღებაში. აღებული მოსავალი მინდვრიდან ურმით მთიან რეგიონ-  
 ში კი ცხენით, ვირით ან ჯორით გამოჰქონდათ. საჭიროების  
 შემთხვევაში ამ საქმიანობაში ერთვებოდნენ ქალებიც, რომელთ-  
 აც ზოგან მოსავალი მხრით მოჰქონდათ კალოზე (კალ). მარცვ-  
 ლეულს ლენდნენ ბრტყელი ქვიანი კევრით (კამ). მას ხარები ან  
 კამეჩები, იშვიათად ცხენები ატარებდნენ. კამის სიმძიმის გაზრ-  
 დის მიზნით მასზე ბავშვებს სვამდნენ ან ქვებს აწყობდნენ. ჩალა  
 საქონლის საკვებად გამოიყენებოდა. მარცვლეულს ანიავებდნენ  
 ფართო ნიჩებით და შემდეგ რამდენიმე საცერეში ატარებდნენ.  
 მარცვლეული ძირითადად ინახებოდა კირქვით შელესილ ხაროებ-  
 ში. პირველ რიგში მოსახმარი მარცვლეული დიდი შალის ტომრე-  
 ბით საცხოვრებელ სახლში ან საკუჭნაოში (მარან) იდებოდა მორე-  
 ბზე ან ქვებზე. მარცვლეულსა და ფეტვის ასევე ინახავდენ მხ-

ატვრული კვეთით გაფორმებულ, დაბალფეხებიან ხის ყუთებში მოქმედი რომელსაც ორი განყოფილება ჰქონდა ერთი მარცვლეულისთვის და მეორე ფქვილისთვის. ორივე განყოფილებას ქვედა მხრიდან დატანებული ჰქონდა ღიობი ზევით ასაწევი საკეტით. ასეთ ყუთს ამზადებდნენ მთლიანი ხისაგან ან წნავდნენ და თიხაშერეული თივით შელესავდნენ. ასეთ კალათისმაგვარ მარცვლეულის სათავსს ერქვა პეტაკ. მარცვლეულს ნაყავდნენ. მოგვიანებით გაჩნდა ხელის და ფეხის საფქვავები (სანდ, დინგ). შემორჩენილია უძველესი ნყლის ნისქვილები (ჯრაგაც), რომლებიც მოძრაობაში ვარდნილ ნყალს მოჰყავდა. სომხეთში, ისევე როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაში, წისქვილი ტურბინის სისტემის იყო.

მარცვლეულისგან ხდიდნენ აგრეთვე ზეთს სპეციალური ქვის სასრესით, რომელშიც გამთბარი ნედლეული ისრისებოდა. მოგვიანებით გაჩნდა ზეთის სახდელებიც (ძიტან ან სრანოც).

მინათმოქმედების დარგებიდან სომხეთში გავრცელებული იყო მორწყვითი მებალეობა და მევენახეობა, მოგვიანებით განვითარდა ბამბის ნარმოება. სომხეთში დადასტურებულია ვაზის ენდემური ჯიშები. ამზადებდნენ ღვინოს. სანახელი (ხნძან) ქვის ან აგურის იყო, შიგნიდან შელესილი, დახრილი ფსკერით და სითხის გამოსასვლელი ღიობით. ყურძენს შიშველი ფეხებით წურავდნენ. სითხეს ერთხელ უცვლიდნენ რეზერვუარს და შემდეგ ანანილებდნენ მინაში ჩაფლულ ქვევრებში (კარას).

მესაქონლეობა ყველა ზონაში იყო გავრცელებული. ქვედა ზონებში მას საოჯახო მოხმარების მიზნით მისდევდნენ, ზედა ზონებში კი სასაქონლო ხასიათი ჰქონდა. ძირითადად ჰყავდათ ძროხა და ცხვარი. ნახირისათვის სოფელი გაზაფხულიდან შემოდგომამდე ქირაობდა საერთო მწყემსს (ნახრაპან). ცხვრის ფარა კი მთელი წლის მანძილზე მეცხვარეს (ოვიც, ჩაბან) ებარა. სომხეთში გადარეკვითი მესაქონლეობა იყო გავრცელებული. ზაფხულის საძოვრებზე საქონელს მიჰყვებოდნენ ქალები და ბავშვები. საძოვარზე შლიდნენ ხალიჩებით ან თექით დახურულ კარვებს, ზოგჯერ აგებდნენ მიწურებს. ასეთი თავშესაფარი გამოიყენე-

ბოდა, როგორც საცხოვრებლად, ასევე რძის პროდუქტების სათანაბოი ავსოდ. რძის პროდუქტების წარმოება ქალების საქმედ მიიჩნეოდა. პრაქტიკაში იყო რამდენიმე ოჯახის გაერთიანება (ხაბ) და ერთად მოგროვილი დღიური მონაწველის რიგრიგობით ერთი ოჯახისთვის გადაცემა.

კარგად იყო განვითარებული მეფუტკრეობა. ხეების ფულუროებსა და კლდეებში პოულობდნენ ფუტკრის ბუდეს, ადებდნენ ნიშანს, ან გადაჰქონდათ სკაში. სკა (კტოც) გარედან ნაკელით, შიგნიდან კი თიხით შელესილ ტირიფის ხისგან დაწნულ კალათას წარმოადგენდა. გავრცელებული იყო ასევე სპეციალურად ხისგან გამოჭრილი და ორივე მხრიდან თიხის თხელი ფენით შელესილი სკები (კოტ). თაფლს ხელით წურავდნენ. XIX საუკუნიდან გაჩნდა სკები ცვილის ფირფიტებით.

სომხეთში მონადირეობა განსაკუთრებით განვითარებული დარგი არ ყოფილა, თუმცა მოყვარულებმა იცოდნენ ხაფანგების დადგმა და გარეულ ცხოველთა დასაჭერი ორმოების მოწყობა. თევზაობდნენ ძირითადად სევანისა და ვანის ტბის მიდამოებში. იცოდნენ წყალში სპეციალური წნული გოდრების (ტარპ) ჩადგმა, იჭერდნენ ხელითაც, იშვიათად იყენებდნენ ანკესა.

შინამრეწველობის დარგებიდან განვითარებული იყო ფეიქრობა. მატყლისგან რთავდნენ შალის ძაფს. შუა საუკუნეებიდან დასავლეთ რაიონებში გავრცელდა ბამბა, აღმოსავლეთში ჭარბობდა აბრეშუმის ნაწარმი. მაგრამ ყოფაში ძირითადად შალის ძაფს იყენებდნენ. გაკრეჭის მერე მატყლს ჩეჩავდნენ საჩეჩელზე (სანდერკ) – დაფაზე ვერტიკალურად ორ რიგად დამაგრებულ ნემსებზე, ან გრძელი მშვილდის ლარით (ნეტუაგეგ) ხის ჩაქუჩის ცემით. ძაფს ხელის სართავზე (ილიკ) ან სართავ დაზგაზე (ჩახარაკ) რთავდნენ ხალიჩაზე დამსხდარი ქალები. დაზგები ჰორიზონტალურიც იყო და ვერტიკალურიც. პირველი მსუბუქი ხის ბორბლებით მოდიოდა მოძრაობაში და ვიწრო ნაჭრების დამზადებისათვის იყო განკუთვნილი. განიერი ნაჭრები ვერტიკალურად ირთვებოდა. ფეიქრობა ძირითადად ქალების საქმე იყო, გოგონებმა ექვსი წლის ასაკიდან უკვე იცოდნენ რთვა, 15 წლიდან

კი ქსოვა. ნაჭრები მცენარეული საღებავებით იღებებოდა. განვითარებული იყო ქარგვა, მაქმანის ქსოვა, მეხალიჩეობა.

მამაკაცები ამზადებდნენ ქეჩას: საფენზე თანაბარ ფენად გაფენდნენ მატყლს, მოასხამდნენ თბილ წყალს და ზევიდანაც გადააფარებდნენ საფენს და ფრთხილად დაახვევდნენ მორზე. შემდეგ გარედანაც შემოახვევდნენ კიდევ ერთ საფენს, თოკით დაამაგრებდნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში აგორებდნენ მუსიკის თანხლებით. რაც უფრო იტკეპნებოდა მატყლი, მით უფრო უჭერდნენ თოკს, სანამ არ მიიღებდნენ ქეჩას. მეორე დღეს მზა ქეჩას ასევე მუსიკის თანხლებით ფეხებით რეცხავდნენ. არსებობდა სპეციალური ცეკვაც — „ქეჩა ლმელ“, რომელიც ქეჩის დამზადების პროცესს ასახავს.

ტყავი მუშავდებოდა პატარა ქარხნებში, ე. ნ. „დაბახანებში“. ამასთან, ყოველმა მამაკაცმა იცოდა ტყავის დამუშავება ფეხსაცმლისათვის, ტომრებისა და ქამრებისთვის. მთლიან, გაუჭრელ ტყავს იყენებდნენ ტიკისთვის (ტიკ). ტიკი გამოიყენებოდა როგორც სასმელებისთვის ასევე რძის პროდუქტების — მაწვნის, რძის, კარაქის, ყველის (მოტალ) შესანახად.

საოჯახო მოხმარებისათვის უმეტესწილად თიხის ჭურჭელი გამოიყენებოდა. მეთუნები (დრუტ) ძირითადად მამაკაცები იყვნენ, თუმცა ქაღებიც ამზადებდნენ თიხის ჭურჭელს ხელით, დაზგის გარეშე. ასევე ქაღები ამზადებდნენ თონებს. თონე ცილინდრული ფორმის იყო, ორმოში თიხით ამოყვანილი და გამომნვარი. თონეშივე გამოწვავდნენ სხვადასხვა სახის (ერთ ან ორყურიან) ქოთნებს და სხვა ჭურჭელს. მაღალი ქოთანი (ოშნაკ) ერთი ყურითა და ვიწრო ძირით მარცვლეულის, ზეთისა და სხვა პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა, ორყურა ქოთანი (კჩუჩ და პუტუკ) საჭმლის მოსამზადებლად. თიხისგან ამზადებდნენ ნყლისა და საწველ ჭურჭელს, ჯამებს, ტოლჩებს, სამარილებსა და კარაქის სადღვებებს. ფაბრიკული ჭურჭელი სომხეთში მასობრივად XX საუკუნიდან ვრცელდება.

შედარებით დაბალ ღონეზე იდგა ხის დამუშავება. ხეს იყენებდნენ კოვზების, ვარცლების, სხვა ჭურჭლისა და სასოფლო-

სამეურნეო იარაღის დასამზადებლად. ტყის სიმცირის გამო ზემო მასალა ბევრი არ იყო და სახლის მშენებლობისას ხე მინიმალური რაოდენობით გამოიყენებოდა.

ამუშავებდნენ ლითონს, ძირითადად მზადდებოდა სპილენძის ჭურჭელი. განვითარებული იყო საიუველირო საქმე (ჭედვა, ფილივრანი, ემალი).

XX საუკუნიდან დაიწყო წიაღისეულის მოპოვება და განვითარდა მრეწველობა. მოიპოვებენ სპილენძს, ალუმინს, მოლიბდენს, ტყვიას, ოქროს. განვითარდა ქიმიური მრეწველობა და სამშენებლო მასალის ნარმოება. სომხეთი მდიდარია ტუფით, მარმარილოთი, გრანიტით, პემზით, ვულკანური შლაკებით, პერლიტითა და რიყის ქვით.

XIX საუკუნეში არსებობდა დიდი ოჯახი (გერდასტან), რომელიც რამდენიმე თაობას აერთიანებდა და მრავალრიცხოვანი იყო. მოგვიანებით ტიპური გახდა ოჯახი, რომელიც შედგებოდა სამი თაობისაგან (მშობლების, შვილებისა და დაუქორნინებელი შვილიშვილებისაგან). სრულწლოვანი შვილების პატრონი ვაჟები ოჯახს ეყოფოდნენ. ცდილობდნენ მშობლების სახლთან ახლოს დასახლებას და ქმნიდნენ უბნებს (ტაგ). თუმცა გვარი აღარ ნარმოადგენდა ერთიან სამეურნეო თემს და მეზობლური ურთიერთობები იყო ჩამოყალიბებული. გაყრისას გაუყოფლად ითვლებოდა რძლის მზითევი. ასევე გამოყოფდნენ გაუთხოვარი ქალიშვილის წილს (მის მზითევს) და დედის წილს. უფროსი ძმისთვის გამოიყოფოდა საუფროსე წილი: მიწის ნაკვეთი ან საქონელი. დანარჩენი ქონება, მიწის გარდა, თანაბრად იყოფოდა ძმებს შორის. მიწას სულადობის მიხედვით ყოფდნენ. წილები კენჭისყრით ნაწილდებოდა, კენჭისყრას სოფლის უხუცესი ან მღვდელი ესწრებოდა. ცალკე გამოიყოფოდა წილი დაუქორნინებელი ძმის ქორწილისთვის. ახალ სახლში კერიას მამისეული სახლიდან ნამოლებული ნაკვერჩხლით ანთებდნენ.

ტრადიციული სომხური ოჯახი დიდი, პატრიარქალური ოჯახია, უფლება-მოვალეობების მკაფიო სქესობრივ-ასაკობრივი რეგლამენტაციით. ცოლ-ქმარი სახელით არ მიმართავდა ერთ-

მანეთს, არც სხვასთან საუბრისას ახსენებდნენ ერთმანეთის სახელი ელს. ძმების შვილები და-ძმებად მიიჩნეოდნენ. გოგონები ადრევე ერთვებოდნენ საოჯახო საქმიანობაში, თავდაპირველად უმცროსებს უვლიდნენ, ოჯახის წევრებსა და სტუმრებს ემსახურებოდნენ, სწავლობდნენ ხელსაქმეს. ბიჭები მწყემსავდნენ საქმინელს და სამეურნეო საქმიანობაში ეხმარებოდნენ უფროსებს. ოჯახის უფროსი ერთპიროვნული მმართველი იყო. სახლის საქმეს დიასახლისი (ტანტიკინ), ოჯახის უფროსის ცოლი, ან უფროსი ქალი უძღვებოდა. მისი თანაშემწეო იყო უფროსი რძალი.

ქორწინება ნათესავებს შორის დასაშვებად არ ითვლებოდა. ნათესავების ქორწინება მხოლოდ კათოლიკოსის ნებართვით შეიძლებოდა. ქორწინების ასაკი დაბალი იყო. იცოდნენ აკვნის ბავშვების დანიშვნა. ბიჭის მამა გოგოს აკვანზე ნიშანს ადებდა და მას კისერზე ვერცხლის ან ოქროს მონეტას ჰკიდებდა, რის შემდეგაც ბავშვები დანიშნულად ითვლებოდნენ. ქორწინების ინიციატივა ახალგაზრდა კაცის დედისგან მოდიოდა, რომელიც ამას ნინასნარ ათანხმებდა ქმართან და ნათესავებთან. მაჭანკლის მეშვეობით ქალიშვილის დედასთან გაარკვევდნენ მათი ოჯახის დამოკიდებულებას შეთავაზებისადმი. ქალიშვილის დედა სათათბიროდ თავის ძმებს იწვევდა. მამა არ ერეოდა განხილვაში. თანხმობის შემთხვევაში ქალიშვილის სახლში ვაჟის მშობლები მიდიოდნენ ახლო ნათესავებითურთ და ნიშანი (ნიშან) მიჰქონდათ. ნიშანი შეიძლება ყოფილიყო ბეჭედიან სხვა სამკაული. ამის შემდეგ ქალიშვილი დანიშნულად ითვლებოდა. ნიშნობიდან ქორწილამდე შეიძლება რამდენიმე წელი გასულიყო, მაგრამ ნიშნობის შემდეგ ორივე ოჯახი ნათესავებად (ხნამი) მიიჩნეოდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ქორწილი (ჰარსანიკ) გარკვეული განსხვავებების მიუხედავად ზოგადად ყველგან ერთნაირად სრულდებოდა. ნინასნარ განისაზღვრებოდა პატარძლის (ტაგუი) დედისათვის გადასაცემი თანხის (ციცაგინ — სიტყვასიტყვით რძის ფული), მზითევის (ბაჟინკ, ოჟიტ), ასევე იმ პროდუქტის ოდენობა, რომლებიც ვაჟის მამას უნდა მიეტანა პატარძლის ოჯახში საქორწილო სუფრისთვის. მზითევში შე-

დიოდა ლოგინი, საქორნილო ფარდა (არაგასტ), ჭურჭელი და ზოგჯერ საქონელი, ძროხის გარდა. საქორნილო ტანსაცმელს საქმრო (ტაგავორ) უგზავნიდა პატარძალს. ქორნილი ჩვეულებრივ შემოდგომაზე ან ზამთარში იმართებოდა და სამი დღე (პარასკევიდან კვირამდე) გრძელდებოდა. ქორნილის წინ სრულდებოდა პატარძლის განბანების რიტუალი. ორივე ოჯახში საზეიმოდ აცხობდნენ პურს. საქმროს ოჯახში მოხუცი ნათესავების თანდასწრებით ხსნიდნენ ღვინის ქვევრებს და ღვინოს პატარა დოქებში ანანილებდნენ. საქმროს მამა მღვდელთან ერთად სასაფლაოზე მიდიოდა წინაპართა და ყველა გარდაცვლილთათვის პანაშვიდის გადასახდელად. საქმრო კი მღვდელთან ერთად ჩამოიყლიდა იმ ნელს გარდაცვლილის ოჯახებში. ორივე ოჯახში ამზადებდნენ კუთხეს პატარძლისთვის. ეს კუთხე ფარდით გამოიყოფა დანარჩენი ფართისგან. ფარდას, პატარძლის ავი თვალისაგან დასაცავად სხვადასხვა ავგაროზებითა და ნაქარგობებით რთავდნენ. საქმროს მაყარი უცოლო ახალგაზრდებისგან შედგებოდა (აღმოსავლეთ რაიონებში მათ ერქვათ მაკარ, დასავლეთში აზაბ ან აზაპ). მაყრის უფროსი მაკარბაში, ან აზაპბაში იყო. პარასკევ დილით მუსიკოსები (მეზურნეები და მედოლები) საქმროს სახლის ბაზზე იწყებდნენ დაკვრას. უკრავდნენ მოსანვევ მელოდიას (ქანჩი). საქმროს სახლში შეკრებილი სტუმრების დაშლის შემდეგ საქმრო და მისი მაყარი მუსიკისა და სამსხვერპლო ხარის თანხლებით მიემართებოდა პატარძლის სახლისკენ. ხარს პატარძლის (ზოგ რაიონში საქმროს) სახლის შესასვლელთან კლავდნენ. სამსხვერპლო სისხლით ხელისმომკიდე საქმროს შუბლზე ჯვარს ახატავდა, სისხლში ამოავლებდა ღია ბოქლომს ან ამოლებულ ხანჯალსა და ძაფს, შემდეგ, ბოქლომს გასაღებით კეტავდა, ხანჯალს ქარქაშში ჩაბაგებდა და ძაფს გაკვანძავდა, რათა შეეკრა ავი სულები. სხვა სოფლიდან მოსულ საქმროს მაყარს სოფლის ახალგაზრდები ხვდებოდნენ და გამოსასყიდის გადახდამდე არ უშვებდნენ სოფელში. მთავარ როლს ქორნილში ხელისმომკიდე კაცი და ქალი (კავორ და კავორკინ) ასრულებდნენ. კავორი შემდეგ ბავშვის ნათლია

(კნუავორი) ხდებოდა. ეს ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთი საკმაოდ მტკიცე ფორმა იყო.

საქმროსა და პატარძლის ტანსაცმელს ერთად აკურთხებდა მღვდელი. ჩაცმის რიტუალის შემდეგ საქმროს პარსავდნენ, რისთვისაც დალაქი საჩუქრებს ითხოვდა ხელისმომკიდისგან. საქმროს ქუდში აბამდნენ ფერად თასმას, ან ადგამდნენ ფერადი მოსახვევებისგან გაკეთებულ გვირგვინს (ტაგ), რაშიც ატანდნენ წითელი და მწვანე ძაფებისგან შეკრულ ჯვარს, მამლის ორი ბუმბულით. პატარძლის ტანსაცმელი ლანგრით მიჰეონდა მაყრის წევრ რომელიმე ახალგაზრდას და მას მაყრის შესახვედრად გამოსულ პატარძლის მშობლებსა და ნათესავებს გადასცემდნენ. პატარძალს ფარდის უკან აცმევდნენ (ზოგ რაიონში ქორნილის პირველივე დღეს, ზოგან მეორე დღეს). პატარძალს კავორი ქამრით სამჯერ შემოუვლიდა მარცხნიდან მარჯვნივ, ქამარს ზურგზე დაჰკრავდა „ლმერთმა ვაჟი მოგცესო“ და ნელზე შემოარტყამდა.

ქორნილის მსვლელობისას პატარძალი ფარდის უკან იჯდა. საქმრო, კავორი და „პატარძლის ძმა“ (ხარსნახპერ) ფარდასთან დგებოდნენ. იწყებოდა ქეიფი. საქორნილო სუფრას უძლევებოდა არჩეული თამადა. ირჩეოდა მისი თანაშემწეც (ცნგლაპეტი), რომელიც განაგებდა სიმღერის, ცეკვის, სადღეგრძელოს და სხვ. რიგს. საქორნილო სუფრასთან თუ ვინმე დამდურებული იყო არი-გებდნენ.

მეორე დილით მაყრები და სტუმრები ისევ იკრიბებოდნენ. ფარდიდან პატარძალი ცოლშვილიან კაცს გამოჰყავდა და საქმროს გვერდით აყენებდა. სახლიდან გასვლის ნინ ისინი თონის კიდეს კოცნიდნენ. მექორნილეები ცეკვა-სიმღერითა და თოფის სროლით მიემართებოდნენ ეკლესიისკენ. მაყრები თვალყურს ადევნებდნენ, რომ ვინმეს ქვა არ ესროლა ეკლესიის მიმართულებით და ამით ძალა არ დაეკარგა ქორნინებისთვის. საკურთხევლის ნინ მექორნილეთა თავზე კავორს გადაჯვარედინებულად ეჭირა ხმალი და ქარქაში. საქმროს და პატარძალს მათი განუყოფლობის ნიშნად ერთი თასიდან ასმევდნენ ღვინოს. მღვდელი მათ ყელზე ან ხელზე აბამდა მწვანე და

წითელი ძაფებისგან დაწნულ თასმას (ნაროტ) ანებებდა. პროცე-  
 სია უკან სხვა გზით ბრუნდებოდა. ნათესავებისა და მეგობრების  
 სახლებთან მათ უმასპინძლდებოდნენ. დასავლეთ რაიონებში  
 ჯვრისნერის შემდეგ საქმროს სახლში მიღიოდნენ, სხვა რაიონებ-  
 ში კი ისევ პატარძლის სახლში ბრუნდებოდნენ. პატარძალი ისევ  
 ფარდის უკან მიიმაღებოდა. გრძელდებოდა ქეიფი და ცეკვა-  
 თამაში. ეზოში იმართებოდა ჭიდაობა. ზოგიერთ რაიონში საქმ-  
 როს მომავალი წარმატების ნიშნად ხმლის ერთი მოქნევით კისერი  
 უნდა გადაეჭრა ქათმისთვის. სტუმრების ნასვლის შემდეგ, მხ-  
 ოლოდ ახლობლები რჩებოდნენ, გამოპერნდათ მზითევი და ათვა-  
 ლიერებდნენ. კვირა დილით საქმროს მშობლები ნათესავებთან  
 ერთად მოდიოდნენ „პატარძლის მისაღებად“. პატარძალი მამას  
 გამოჰყავდა და საქმროს მამას აბარებდა, რომელიც, თავის მხრივ,  
 ჰპირდებოდა, რომ მოუფროთხილდებოდნენ მას. პატარძალი  
 მშობლებს ხელზე კოცნით ემშვიდობებოდა და პროცესია საქმ-  
 როს სახლისკენ მიემართებოდა. გზაზე მათ უმასპინძლდებოდ-  
 ნენ. ნინ მიჰეონდათ მზითევი, რომელსაც საქმროს ნათესავები  
 იბარებდნენ და მომტანს ცხვირსახოცით, ნინდებით, ან მონეტე-  
 ბით ასაჩუქრებდნენ. სახლში შესვლისას ახალდაქორნინებულებს  
 თავზე აყრიდნენ ტებილეულს, თხილს, ჩირს, ნერილ მონეტებს  
 და სხვ. (სიტყვოს ნიშნად) ან მარცვლეულს (ნაყოფიერების ნიშ-  
 ნად). მათ კარებში დედამთილი ხვდებოდათ, რომელიც სამჯერ  
 ცეკვა-ცეკვით უვლიდა გარს ნეფე-პატარძალს და კარაქიან ქო-  
 თანს უწვდიდა. პატარძალი კარაქში მონეტას აგდებდა და ოდნავ  
 უქონავდა თმას დედამთილს, ზოგჯერ კართან პატარძალს ცხ-  
 ვარს უკლავდნენ. ახალდაქორნინებულები მანამ არ შეაბიჯებდ-  
 ნენ კარში სანამ დედამთილი მათ გამოსასყიდს არ მისცემდა ან  
 არ დაპირდებოდა. პატარძალი შესასვლელში ფეხის დაკვრით  
 ტეხავდა თხის ჭურჭელს, ზოგ რაიონში ამას საქმრო აკეთებდა.  
 სახლში შესული ახალდაქორნინებულები პირველ რიგში თონის  
 კიდეს კოცნიდნენ. ამით პარტარძალი საბოლოოდ მიიღებოდა  
 ქმრის ოჯახში. მას მისივე სახლიდან აქ გადმოტანილი ფარდის  
 უკან სვამდნენ და ვაჟიანობის სანინდრად კალთაში ბიჭს უსვამ-

დნენ. იწყებოდა ქეიფი, რომლის დროსაც ხმამაღლა აცხადებდნენ თუ ვინ რა მიართვა ახალდაქორნინებულებს. საღამოს წირვის შემდეგ მოსული მღვდელი ახალდაქორნინებულებს ახსნიდა ნაროტს, მსხვერპლშენირვის დროს სისხლნაპკურებ ძაფს ჭრიდა, ხსნიდა ბოქლომს და ქარქაშიდან ამოიღებდა ხანჯალს. ამ რიტუალის შესრულების შემდეგ ახალდაქორნინებულებს შეეძლოთ მოესვენათ. ცოლის დაუფლების ნიშნად კავორი თოფს ისროდა. უბინობის დადასტურების შემდეგ პატარძლის დედას უგზავნიდნენ ზენარს, დაკლულ ქათამს და ულოცავდნენ. ქორნინება ურლვევად მიიჩნეოდა. ლალატის შემთხვევაში მოღალატეს ჭრიდნენ თმას, ვირზე უკუღმა შესვამდნენ და ზურნის თანხლებით დაატარებდნენ სოფელში.

უშვილობა ბოროტი სულების მიზეზით თავს დატეხილ უბედურებად აღიქმებოდა და ამის სანინააღმდეგოდ გარკვეულ ზომებს იღებდნენ. დასავლეთ რაიონებში სრულნლოვან გოგონებს ფეხზე უღარუნებიან სამაჯურს უკეთებდნენ, რათა ავი სულები დაეფრთხოთ. უშვილო ქალები მიმართავდნენ სხვადასხვა მაგიურ ქმედებას, მოილოცავდნენ სალოცავებს, მიმართავდნენ ექიმბაშებს. სალოცავს გარს უვლიდნენ მძიმე ლოდაკიდებულნი, რათა თვითონაც ასე „დამძიმებულიყვნენ“.

მშობიარეს ბებიაქალი (ტატმერ) ეხმარებოდა. ახალდაბადებული ავ სულებს რომ არ მოეპარათ მშობიარეს ფეხებთან საცერს უდგამდნენ. ითვლებოდა, რომ მშობიარის დახმარება კავორს ან მეცხვარეს შეეძლო, რომელიც მას მშობიარობის დასაჩქარებლად სახეზე წყალს ასხამდა ან პეშვით ასმევდა. თუ ქალს ჩვილები უკვდებოდა, ახალდაბადებულს სხვადასხვა ოჯახიდან მოკრებილი ნაკუნებისგან შეკერილ პერანგს აცმევდნენ, რათა ავ სულს არ ეცნო იგი. ავი სულის სანინააღმდეგოდ ბებიაქალი ჩვილს მარილს აყრიდა. მარილიანი ჭურჭლისთვის უნდა შეევლოთ ხელი ახალშობილისა და მოლოგინებულის მნახველებსაც. ქალი მშობიარობის შემდეგ მშობლების სახლში არ მიდიოდა. ვაჟიანობა უფრო სასიხარულოდ მიიჩნეოდა. სამხრეთ რაიონებში დღესასა-ნაულების დროს იმ წელს დაბადებული ვაჟის დედას ნათესავები

თაფლიან ერბოკვერცხს, მაჭარს, კარაქს და სხვ, უგზავნიდნენ და ულოცავდნენ. მემკვიდრის არყოლის შემთხვევაში იცოდნენ შვილად აყვანა. შვილობილი კანონიერი შვილის ყველა უფლებით სარგებლობდა.

დიდი ოჯახის (გერდასტან) დაშლა საბჭოთა რევოლუციამდე დაიწყო და საბჭოთა პერიოდში დასრულდა. არსებითი ცვლილებები მოხდა ყოფაში. ოჯახში შეიცვალა სქესობრივ-ასაკობრივი ფუნქციები და ურთიერთობები. თუმცა ყოფის გარკვეული ელემენტები შენარჩუნებულ იქნა, კერძოდ, სტუმარმასპინძლობის წესები, ოჯახის უფროსის როლი, საქორწილო და სხვა რიტუალების ძირითადი მხარე.

სომხები ქრისტიანები არიან IV საუკუნის დასაწყისიდან. წინარექრისტიანული რწმენა-ნარმოდგენები სინკრეტული ხასიათის იყო, თაყვანს სცემდნენ წმინდა მთებს, გამოქვაბულებსა და წყაროებს. უზენაესი ტრიადა იყო ღვთება ვააგნუ, ქალმერთები ანაიტ და ასტეიკ. ზოროასტრული დუალიზმისა და კვდომადი და აღდგენადი ღვთაებების კულტის გავრცელებამ გარკვეულწილად გააიოლა ქრისტიანობის მიღება. თავდაპირველად სომხურ-გრიგორიანული ეკლესია აღმოსავლურ მართლმადიდებელ ბიზანტიურ ეკლესიასთან იყო გაერთიანებული. ქალკედონის მეოთხე საეკლესიო კრების შემდგომ დაიწყო დაშორება და 506 წლიდან სომხური ეკლესია დამოუკიდებელი გახდა. ისინი მონოფიზიტურ სწავლებას იზიარებენ. ჯვაროსნული ომების პერიოდში გავრცელდა სომხებს შორის უნიათობა და XV საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩნდა კათოლიკური თემები, მაგრამ მასობრივი გაკათოლიკება XVII საუკუნიდან დაიწყო. სომები კათოლიკები აღიარებდნენ პაპის უზენაესობას, მაგრამ ღვთისმსახურებისას შეინარჩუნეს ენა და რიტუალი. მოგვიანებით გაჩნდნენ მცირერიცხვანი პროტესტანტული თემები. თურქეთის ხელისუფლების გავლენით ისლამი გავრცელდა მდ. ჭოროხის აუზში მცხოვრებ სომხებში — ჰემშინებში. მუსლიმი ჰემშინები დღესაც სახლობენ იქ, ქრისტიანი ჰემშინები საქართველოს ტერიტორიაზე (ჰავიზლვისპირეთში) გადმოსახლდნენ. სომხური ეკლესიის

სათავეში დგას პატრიარქი — სრულიად სომეხთა კათოლიკოსის მისი რეზიდენცია ეჩმიაძინშია. მასვე ექვემდებარებიან იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის სომეხი პატრიარქები, ასევე კილიკიის კათოლიკოსი (რეზიდენციით ბეირუტში).

XIX საუკუნემდე არსებობდა ალბანეთისა (მთიანი ყარაბაღი) და ახთამარის საკათალიკოსოები, რომელთა გაუქმების შემდეგ მათი მრევლი პირდაპირ დაექვემდებარა ეჩმიაძინს. წინარექრისტიანული შეხედულებები დღემდეა შემორჩენილი და ქრისტიანობასთან სინკრეტულად არსებობს. ხალხურ დღეობათა კალენდარი ქრისტიანულს მისდევს. აღმოსავლეთ რაიონებში წელი ნავასარდით — ნოემბრის ან აგვისტოს შუიდან იწყებოდა. დასავლეთში ახალი წელი ქრისტიანულს ემთხვეოდა და კაგანდ (ძვ. სომხურად კალანდ) ერქვა. შობას და ნათლისღებას 6 იანვარს ზეიმობდნენ. ამ დღეს ეწყობოდა წყალკურთხევა მდინარეზე. 40 დღის შემდეგ ეკლესიის ეზოში ეწყობოდა ჭიაკოკონა, საიდანაც გადატანილი ცეცხლით ყოველი სახლის წინ ინთებოდა კოცონი, ამ ცეცხლიდნავე ანთებდნენ თონეებს ან მაშხალებს. ახალგაზრდები ცეცხლს ახტებოდნენ. გაზაფხულზე ზეიმობდნენ წმინდა (სურბ) სარქისის დღეს, სავარაუდოდ ამ წმინდანმა წარმართული ქარის ღვთაების ფუნქციები შეითვისა. თაყვანს სცემდნენ წმინდა სტეფანოზს, წმინდა ვარდან ზორავარს. ყველიერიდან (დარეკენდან) იწყებოდა მასიური მხიარულება ბუნების გასაღვიძებლად, იმართებოდა თამაშები და თეატრალიზებული წარმოდგენები. შემდეგ ზეიმობენ ბზობას (ცარზარდარ), ამაღლებას (ამბარძუმ), ფერისცვალებას (ვარდავარ). ამაღლებაზე ახალგაზრდები კრეფენენ ყვავილებს, კრავდნენ თაიგულებს და სამკითხაოდ ემზადებოდნენ. ფერისცვალება წარმართულ ღვთაება ვარდასა და მზის ბუნიობას უკავშირდებოდა. ცდილობდნენ ეს დღე მთაში გაეტარებინათ, წუნაობდნენ და აბანავებდნენ ცხვარს. ღვთისმშობლის მიძინება აგვისტოში აღინიშნებოდა, ამ დროისათვის მოსავალი აღებული უნდა ყოფილიყო და ეკლესიებში აკურთხებდნენ ყურძენსა და სხვა ახალ ხილს. ავი თვალის სანინააღმდეგოდ და დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით იცოდ-

ნენ წყაროს ნცლისთვის მსხვერპლის შენირვა. მიიჩნეოდა, რომ ქვეყნის მიერთების მიზანი არ იყო გარეთვე „წმინდა კერები“, რომლებსაც ჯანმრთელობას შესთხოვდნენ და ადამიანის პატარა ცვილის ან რეინის ფიგურებს, მტკიცანი სხეულის ნაწილის გამოსახულებებს, ნაჭრების ნაკუნებს და სანთლებს სწირავდნენ.

ხალხური შეხედულების მიხედვით გარდაცვალებისას სიკვდილის ანგელოზს მიჰყავდა სული, რომელიც ბოლო ამოსუნთქასთან ერთად ტოვებდა სხეულს. სულისთვის ხელი რომ არ შეეძალათ კარებს ფართოდ აღებდნენ. მიცვალებულს სუდარით კრძალავდნენ. სასაფლაოს ქვებით წრეს ავლებდნენ, ასევე საფლავს ზედ ადებდნენ ორნამენტებით შემკულ დიდ ქვას, ქვის ქანდაკებას, ან ხარებს (მასიურ სტელას ჯვრის გამოსახულებით), რათა მიცვალებულს არ დაეტოვებინა სამარე. თუ სოფელში მიცვალებული იყო, ნცდებოდა სამინათმოქმედო სამუშაოები. დაკრძალვაზე თავს იყრიდა მთელი ნათესაობა და მეზობლები. ყველას თითო მუჭა მინა უნდა მიეყარა საფლავისთვის. დაკრძალვის მერე იმართებოდა ქელები (ხოზეხაც). აღდგომაზე სოფელი ყველა მიცვალებულისთვის შეკრებილი ფულით ნაყიდ საერთო საკლავს კლავდა, ხორცს ინაწილებდნენ. ამას გარდა თითოეული ოჯახი საკუთარ მიცვალებულებისთვის გარკეულ რიტუალებს ატარებდა.

სომხური ფოლკლორი მდიდარია იგავებით (არაკ), ანდაზებით, გამოცანებით, ზღაპრებით (ზრუიც, ეკიატ), სიმღერებით, მითიური გადმოცემებით (არასპელკ). ცნობილი ეპიკური ნიმუშია (ვიპასანე) სასუნის გმირების ციკლი. მრავალფეროვანია სომხური ლირიკა. აღსანიშნავია დასატირებელი სიმღერები (ვოხბ) და მიცვალებულისთვის წასაკითხი ტექსტები (კოტც). შუა საუკუნეებში განვითარდა ლირიკული პოეზიის განსაკუთრებული ტიპი – ჰაირენ (სამგლოვიარო, სუფრის, სასიყვარულო, საქორნილო). დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ პროფესიონალი მომღერლები და მუსიკოსები. უკრავდნენ შემდეგ ინსტრუმენტებზე: ქამანჩა, ქამანი, პარკაპზუკი, გრძელი უენო სალამური (ბლულ), ღუდული, ზურნა, დოლი (დხოლ, ტავულ),



ნაღარა, დიპლიპიტო, დაირა (დაფ), ტიკი, ჩონგური (ჩონგურის ფერი), ფანდური (პანდირ), თარი, ქამანჩა. განვითარებული იყო სომხური საეკლესიო მუსიკა (ფსალმუნები, შარაკანები). სომხური ხალხური ცეკვები (ხაგ) არის როგორც სოლო, ასევე დუეტები და ჯგუფური. შინაარსის მიხედვით ცეკვები არის ეპიკური, შრომის, სამგლოვიარო, საქორწილო, სამხედრო, სამგზავრო, ყოფითი, სამონადირეო, სახუმარო, სატირული, ლირიკული.

## აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელების თვითსახელწოდებაა აზერბაიჯანლილარ, აზერილერ. ისინი ნარმოადგენენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის (დედაქალაქი ბაქო) ძირითად მოსახლეობას. ცხოვრობენ ასევე ირანში, უკრაინაში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, თურქეთში, რუსეთის ფედერაციაში (ძირითადად დაღესტანში: დერბენდის, თაბასარანის, რუთულისა და ყიზლარის რაიონებში). დერბენტის რაიონში ცხოვრობს აზერბაიჯანული ენის განსაკუთრებულ დიალექტზე მოლაპარაკე თარაქამების ჯგუფი), საქართველოში (მარნეულის, დმანისის, გარდაბანის, ბოლნისის, მცხეთის, კასპის, საგარეჯოს, ლაგოდეხის რაიონებში), მცირე რაოდენობით ავღანეთში, ერაყსა და თურქეთში. აზერბაიჯანელებში გამოიყოფა რამდენიმე ეთნოგრაფიული ჯგუფი: აირუმები, ფადარები, შაჰსევენები, აფშარები, ყარაფაფახები, ყარადაღელები, თარაქამები. აზერბაიჯანელთა ეთნოგრაფიული მონანილეობდნენ კავკასიურ (კასპიელები, ლეგები, ალბანელები) და ირანულენოვანი (ქურთები, მანები, მიდიელები) ტომები. ჩვ.წ. I ათასწლეულის II ნახევარში შეერიათ თურქულენოვანი მოსახლეობა (ჰუნები და ხაზარები). ინტენსიური თურქიზაციის პროცესი ძირითადად XI-XIV საუკუნეებში მიმდინარეობდა, რაც თურქოგუზების (სელჩუკების) და მონღოლ-თათართა შემოსევებთან იყო დაკავშირებული. XI-XIII საუკუნეებში მოხდა ადგილობრივი ენების ირანული აზერისა (სამხრეთში) და კავკასიური არანულის

(ჩრდილოეთში) შეცვლა თურქულით. XIX ს. შუა ხანებში ძველ აზერბაიჯანულისა და ბაქო-შემახური დიალექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა თანამედროვე ლიტერატურული აზერბაიჯანული ენა, რომელიც თურქული ენის სამხრეთ-აღმოსავლეთ შტოს განეცუთვნება. აზერბაიჯანული ენა წარმოდგენილია დიალექტებით. თავდაპირველად არაბული გრაფიკის საფუძველზე არსებული აზერბაიჯანული დამწერლობა 1929 წლიდან ლათინურ გრაფიკაზე გადავიდა, 1939 — რუსულზე, 1991 წლიდან კი ისევ ლათინურზე.

ტრადიციული სასოფლო დასახლება მთისწინეთისა და დაბლობის ზონებში უპირატესად გაფანტული დაგეგმარების იყო. მთაში გავრცელებული იყო ტერასული დასახლება, ბრტყელ-გადახურვიანი ერთმანეთთან მჭიდროდ ნაგები ქვის სახლებით. მთიან და ზოგ დაბლობ რეგიონებში გავრცელებული იყო ხე-მიწური სახლები საფეხურებრივ-პირამიდული გადახურვით (ყარადამი), სახლები ხის გუმბათისებური გადახურვით, ალიზის ნაგებობები ბრტყელი მიწატკეპნილი გადახურვით, მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობაში გავრცელებული იყო ქეჩის კარვები (ალაჩიგ). ქალაქის ტიპის დასახლებებში გამოიყოფოდა რამდენიმე განიერი ქუჩა სავაჭრო ობიექტებით, სახელოსნოებით (დალან) და ბაზრით (ჩარსი). დიდ დასახლებებში იყო ქარაგან-სარაი. ასეთ ცენტრალურ ქუჩებს ნვრილი ქუჩებითა და გასასვლელებით უკავშირდებოდა საცხოვრებელი რაიონი. საცხოვრებელი სახლები ჩვეულებრივ ფასადით ეზოს ან ბალის შიდა მხარისკენ იყო მოქცეული, ქუჩის მხარეს კი ყრუ კედლით იდგა.

საცხოვრებელ სახლებს ბუნებრივ გამოქვაბულებშიც აწყობდნენ. გამოქვაბულს აფართოებდნენ უხეში კვეთით და ქვის კედლით ამოაშენებდნენ, კედლები მხოლოდ შესასვლელ ღიობს ტოვებდნენ. მოგვიანებით დაინყეს ფანჯრის ღიობების კეთება. თუ კედელი საშუალებას იძლეოდა მასში იბურლებოდა საკვამური. კედლებში დატანებული იყო სხვადასხვა ზომის ნიშა საოჯახო ნივთებისთვის. ლოგინის მოწყობილობას ხის დაბალ ტახტებზე აწყობდნენ. ოთახის შუაგულში გამართული იყო მარტივი

კერა. მოგვიანებით კერამ ცენტრიდან გარეთა კედლისკენ შემდგრადებული ინაცვლა, ასეთ შემთხვევაში საკვამური კედელში გადიოდა. ზოგიერთ ღრმა გამოქვაბულში საცხოვრებელი ოთახის გარდა საქონლის სადგომსაც გამოყოფდნენ.

აზერბაიჯანში საცხოვრებელი სახლის ყველაზე გავრცელებული ტიპი ყარადამი (შავი სახლი) იყო. სახლების ასეთი ტიპი უძველესია სამხრეთ კავკასიაში. ეს არის გუმბათის მაგვარი საფეხურებრივ გვირგვინით გადახურული სახლი. იგი ორი სახისაა: მიწური და ნახევრად მიწური. მისი დამახასიათებელი ნიშანი ოთხ მასიურ ბოძზე დაყრდნობილი ზევითენ შევიწროებული საფეხურებიანი გუმბათით გადახურვაა. ბოძები კედლებზე იყო მიდგმული, ან ოდნავ იყო მათგან დაშორებული. სახლიც და გუმბათიც ხის იყო. გუმბათი ღია პატარა კვადრატით სრულდებოდა, რომელიც ერთდღროულად შუქის შემოსვლასა და კვამლის გასვლას ემსახურებოდა. გუმბათი გარედან გადახურული იყო გათლილი მორებით, რომელსაც ზევიდან წვრილი ტოტები, შემდეგ ჩალა და ბოლოს ტკეპნილი მინა ეფინა. მიწური ყარადამი ღრმად იყო მინაში ჩადგმული და გარედან საშუალო ზომის ყორლანს წააგვდა. ყარადამის შესასვლელი გადახურულ, ვიწრო, დაქანებულ დერეფანს წარმოადგენდა, სამხრეთისკენ ან აღმოსავლეთისკენ მიმართული პატარა ღია შესასვლელით. შიგნიდან ყარადამის კედლები კვამლის სქელი, შავი ფენით იყო დაფარული, რომლის სისქის მიხედვით შეიძლებოდა ყარადამის ასაკის განსაზღვრა. სახლის შიდა მოწყობილობა უბრალო იყო. ერთ კედელთან საყრდენ ბოძებს შორის ეწყო ხის ყუთები, მარცვლეულის შესახად. მეორე კედელთან ხისავე ტახტებზე ლოგინი იყო გამართული. დანარჩენ კედლებთან ეწყო ტომრები, საოჯახო ნივთები და სხვა ინვენტარი. ნახევრად მიწური ყარადამი მიწურის მსგავსი იყო, ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი უხეშად თლილი ქვის კედლები და ფასადი იყო.

გავრცელებული იყო ასევე სახლი, რომლის ფუნდამენტი მინაში ჩადგმულ ხის ბოძებს წარმოადგენდა. ბოძები ხის სარტყლით იყო შეერთებული, ცარიელი სივრცე კი დაწნული ლერწმით

ივსებოდა და ორივე მხრიდან თიხით ილესებოდა. ასეთი სახლის ერთი კედელი, რომელშიც ბუხარი იყო დატანებული, ქვისგან იყო ნაგები. ძელური გადახურვა ორფერდა იყო.

გადასატანი საცხოვრებლები (ალაჩიგი და მუხური) იყო გავრცელებული ნახევრად მომთაბარე მოსახლეობაში. ალაჩიგ ქეჩის კარავია. მისი გამართვისთვის მიწაში ერთმანეთისაგან გარკვეული დისტანციის დაშორებით არჭობდნენ ნამახვილებულ ბოლოებიან ძელებს. წვრილი ბოლოები ცენტრისკენ რკალის ფორმით იღუნებოდა და ამ მდგომარეობაში მაგრდებოდა ფერადი თასმით. ასეთი კარკასი ცენტრში განთავსებული ხის საყრდენით იყო გამყარებული. ძელები მიწის დონიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლემდე ლერწმის ჭილოფით იფარებოდა, ზევიდან მთელი ალაჩიგი ქეჩით იყო დაფარული. ჩვეულებრივ სამხრეთის მხრიდან ორ ძელს შორის დატოვებული იყო შესასვლელი, რომელსაც სპეციალური ფარდით ფარავდნენ. მუხურის საყრდენსაც მიწაში ჩარჭობილი ძელები წარმოადგენდა, რომელთა ზედა ბოლოები ხის საყრდენზე დამაგრებულ ხისავე სპეციალურ ბორბალზე ებმოდა. სიმყარისთვის ძელები შალის თასმებით იყო შემოვლებული. ამ კარკასს ალაჩიგის მსგავსად ჭილოფითა და ქეჩით ფარავდნენ.

გავრცელებული იყო უკანა და ხშირად გვერდითა კედლებით ბორცვში შეჭრილი სახლი (იმარეტ), რომელსაც არ ჰქონდა შიდა საყრდენი ბოძები. ასეთი სახლის გადახურვა ყარადამის მსგავსი იყო იმ განსხვავებით, რომ სახურავის ქვედა კვადრატი პირდაპირ სახლის კედლებს ეყრდნობოდა. ზედა ღიობი მხოლოდ სინათლისთვის იყო განკუთვნილი, რადგან სახლი საკვამურიანი ბუხრით თბებოდა. მოვაიანებით გარეთა კედლებზე დაინყეს ფანჯრების დატანება და სამხრეთით აივნის (ეივან) მიდგმა.

საცხოვრებლის განსაკუთრებული ტიპი ჩამოყალიბდა აფშერონის ნახევარკუნძულზე. ეს გახლდათ მაღალი ქვის ღობით გარშემორტყმული ქუჩისკენ ყრუ კედლით მდგარი ერთ ან ორთახიანი სახლები. ოროთახიან სახლში ერთი საცხოვრებელი ოთახი იყო, მეორე კი სასტუმრო. საცხოვრებელ ნაწილში თაღით

გამოიყოფოდა ამაღლებულიატაკიანი სამზარეულო, სადაც იყო  
მოთავსებული პურის საცხობი ღუმელი (თენდირ) და საჭმლის მო-  
სამზადებელი კერა (ოჯაღ). თენდირი თონის ტიპის, კონუსის  
ფორმის ღუმელია, რომელსაც ჰაერის მოძრაობისთვის ძირში  
ატანდნენ გარეთ გამავალ მიღს. თონესაც და კერასაც მასიური  
საკვამურები ჰქონდათ, რომლებიც სახლის ბრტყელ სახურავზე  
გუმბათის მსგავსად ჩანდნენ. სამზარეულოშივე კედლის სისქეში  
დატანებული იყო ბრტყელი ქვისიატაკიანი საკანი განბანვისთვის  
(სუახან), საიდანაც ნაბანი წყალი ქვის გასავალით პირდაპირ ქუ-  
ჩაში იღვრებოდა. სახლში კედლის ნიშებში (თახჩა) საოჯახო  
ნივთები და ჭურჭელი ენყო. ოთახის ოთხივე კედელს ადამიანის  
სიმაღლეზე გაუყვებოდა ქვის თარო ფაიფურისა და მინის ჭურ-  
ჭლისთვის. სახლის კარი გადიოდა ბალში. თითქმის ყოველ სახლს  
ჰქონდა ჭა.

მთიანეთში უმეტესნილად ორსართულიანი აგურისა და ხის  
სახლები იყო გავრცელებული. სამეურნეო დანიშნულების მქონე  
პირველ სართულზე საქონლის სადგომი და საკუჭნაო იყო გან-  
თავსებული, მეორე სართულზე კი ორი ოთახი, ერთი საცხოვრე-  
ბელი და მეორე სასტუმრო. მეორე სართულის დიდ ნაწილს ლია  
აივანი ნარმოადგენდა, რომელიც ხილისა და ბოსტნეულის გასაშ-  
რობად გამოიყენებოდა. აქ ადიოდა კიბე პირველი სართულიდან.  
ყოველ ოთახში იყო ბუხარი, ასეთი სახლებისთვის დამახასია-  
თებელია ასევე ბევრი დიდი ფანჯარა.

საცხოვრებლის შედარებით თანამედროვე ტიპს წარმოადგენს  
ხილის ბალში მოქცეული სახლი. ყოველი ნაკვეთი ქვის, თიხატ-  
კეპნილი ან ხის ღობითაა შემოსაზღვრული. სახლი ნაკვეთს მის-  
აღებ და სამეურნეო ფართებად ყოფს. სამეურნეო ნაწილშია მო-  
თავსებული წყალსაცავი, სახლზე მიდგმული საზაფხულო სამზა-  
რეულო, თონე, საქონლის სადგომი, საკუჭნაოები და სხვ. მისაღები  
ნაწილი ნარმოადგენს ყვავილებითა და ხილის ხეებით გაფორმე-  
ბულ მდელოს. სახლი სიგრძეზე გამნერივებული გრძელი აივნით  
შეერთებული ოთახებისგან შედგებოდა. ამ ტიპის სახლებისთვის  
დამახასიათებელი იყო დიდი მაღალი სხვენი, რომელიც განკუთვ-

ნილი იყო აბრეშუმის ჭიის გამოსაყვანად და ხილის გასაშრობად. აგურისა და ქვისგან ნაგები ასეთი სახლი ქვის საძირკეელზე იდგა. კრამიტის გადახურვა ორ ან თოხფერდა იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია სახლის შესამკობად გამოყენებული ხის დეტალები: ფანჯრების დარაბები (შებეკე), კარები, ვერანდის ბოძები და სხვ. ორსართულიან სახლში საცხოვრებელი ოთახები ჩვეულებრივ პირველ სართულზე იყო განლაგებული.

ზაქთალისა და ბელაქნის რაიონებისთვის დამახასიათებელია კვადრატული გეგმის მაღალი ზევითკენ შევიწროებული კოშკები, სადაც შიდა სივრცე გაყოფილი იყო რამდენიმე იარუსად, რომლებიც მისადგმელი კიბით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ზედა იარუსი ოდნავ იყო გამონეული. ყოველ სართულზე დატანებული იყო სათოფურები. გავრცელებული იყო საკარმიდამო ნაკვეთის შესასვლელში სათვალთვალო კოშკების აგება. ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველი სართული საქონლის საღომად გამოიყენებოდა, მეორე საცხოვრებლად, სახლს ჰქონდა სხვენი, სადაც მისადგმელი კიბით ადიოდნენ. სამშენებლო მასალად რიყის ქვა და კვადრატული აგური გამოიყენებოდა. სახლს ჩვეულებრივ ორფერდა კრამიტის სახურავი ჰქონდა.

ლენქორანის რაიონში საცხოვრებელ სახლთან აგებდნენ კოშკურის მაგვარ ნაგებობას (ლამ), რომელიც ზაფხულში ოჯახის დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. ეს იყო გეგმაში კვადრატული, ორ ან სამსართულიანი ნაგებობა აგურის ბოძებზე. პირველი და მეორე სართულები აგურს ეყრდნობოდა, მესამე და სხვენი კი ხის ძელებს. სართულები ერთმანეთთან ხის შიდა კიბით იყო დაკავშირებული და ლამს კედლები არ ჰქონდა.

საბჭოთა პერიოდში ძირეულად შეიცვალა როგორც საცხოვრებლისა და დასახლების ტიპი, ასევე სახლის ინტერიერიც.

აზერბაიჯანელი ქალის ტრადიციული ტანსაცმელი შედგება მოკლე პერანგის (კეინეკ), ასეთივე მოკლე ახალუხის (ქულაჯა, დონ), განიერი ან ვინრო შარვლისა და სხვადასხვა ჭრილის ქვედაკაბისგან. ზამთარში ზევიდან იცვამდნენ დათბილულ ტანსაცმელს. ატარებდნენ ტყავის ან ხავერდის მასიურ შესაკრა-

ვიან, მონეტებით მორთულ ქამრებს (ქემერ). ფეხზე ეცვათ ფე-  
 რადი, ჭრელი, ზოგჯერ ტყავამოკრული წინდები (ჯორაბა) და  
 ჭვინტიანი, რკინის ნალამოკრული საშუალო ქუსლიანი ქოში.  
 ატარებდნენ სამკაულებს. თავსამკაულებიდან აღსანიშნავია  
 საფეხქლებიდან ყელისკენ ჩამოშვებული ოქროს ძენკვი და მთე-  
 ლი თავის გარშემო შემოვლებული ოქროს, ვერცხლის ან ბრინ-  
 ჯაოს ძენკვი, სპეციალური სამაგრებით ჩაღმისთვის. დაწნული  
 თმები დაფარული ჰქონდათ თავსაფრით. ახალგათხოვილი ქალე-  
 ბი ატარებდნენ შუბლზე შეჭრილ თმასა და ყურებთან გრძელ ან  
 მოკლე კულულებს. გათხოვილი ქალის თავსაბურავი იყო დაბა-  
 ლი ქუდი მრგვალი ბრტყელი ძირით, ქუდის ზევიდან იხვევდნენ  
 პატარა აბრეშუმის მოსახვევს, ჩალმას და დიდ აბრეშუმის მო-  
 სახვევს. ქალაქელი ქალები სახლს გარეთ ატარებდნენ ჩადრს.  
 სოფელში ჩვეულებრივ პირსა და ცხვირს მოსახვევით იფარავდ-  
 ნენ. ქალაქში იცოდნენ წამნამების, წარბების, თმის, ფრჩხილები-  
 სა და სახის შეღებვა.

მამაკაცის ტანსაცმელი შედგებოდა პერანგის, ახალუხის,  
 ჩოხის, შარვლისა და ქამრისაგან. ზამთარში ატარებდნენ ქურქს,  
 მეცხვარეები ნაბადს. ფეხზე იცვამდნენ ერთი ფერის წინდებს და  
 ტყავის ფეხსაცმელს. ქალაქელები ატარებდნენ ჭვინტიან ფეხ-  
 საცმელს. გავრცელებული იყო ტყავის დაბალი ან მაღალი ჩექმე-  
 ბი (მასტ), ასევე შალის ნაქსოვი, ტყავამოკრული ფეხსაცმელი.  
 მამაკაცები თავს თითქმის სულ იპარსავდნენ ან მხოლოდ  
 საფეხქლებთან იტოვებდნენ თმას, ატარებდნენ წვერ-ულვაშს.  
 ფაფახის შიგნით იხურავდნენ პატარა თეთრ ქუდს. გავრცელე-  
 ბული იყო ასევე კონუსის ფორმის ჩაჩი. ტრადიციული ტანსაც-  
 მელი საპჭოთა პერიოდიდან თანდათან შეიცვალა ევროპულით.

ტრადიციული აზერბაიჯანული საკვები გამოირჩევა ხორ-  
 ცეული, ცომეული და ბოსტნეული კერძების მრავალფეროვ-  
 ნებით. რაციონში დიდი ადგილი პურს უჭირავს, რომელსაც რკი-  
 ნის მრგვალ ფირფიტებზე (საჯა) ან თონქში აცხობდნენ. ცომე-  
 ულიდან აღსანიშნავია ხორციანი ან მწვანილიანი ღვეზელი  
 (გუთაბ). ხორცეულიდან ინტენსიურად გამოიყენება ცხვრის ხორ-

ცი, რომელსაც ინახავენ თვეების მანძილზე (გოვურმა). რამდენიმე დღით ინახება სამწვადე საქონლის ან ცხვრის ხორცი (ბას-დირმა). ხორცის კერძებია: ფიტი, ბოზბაში, ლულა-ქაბაბი, ტოლმა, ჩიხირთმა. საქონლისა და შინაური ფრინველის (ძირითადად ქათმის) ხორცის გარდა გამოიყენება გარეულ ცხოველთა და ფრინველთა ხორცი, ასევე თევზი. ფართოდაა გავრცელებული ბრინჯის კერძები (ფლავის 50-ზე მეტი სახეობა). დიდი რაოდენობით გამოიყენება რძის პროდუქტები: რძე, ყველი (ცხვრის), ხაჭო, კარაქი, ერბო, ასევე ბოსტნეული, მწვანილი და ხილი. იციან ბოსტნეულის დამარილება, ზამთრისთვის შენახვა, ხილის გახმობა. ხილისგან ამზადებენ წვენს (დოშაბ), მუავე ტყლაპს (ტურშლავაშ), ძმარს. გავრცელებულია სხვადასხვა სახის ტკბილეული (ჰალვა, შემწვარი ნუში, ნამცხვრები, საწესო ტკბილეული (გუმიაგ, სემენი) და სხვ.). სასმელებიდან უმთავრესად სვამენ ჩაის, შარბათს და აირანს.

აზერბაიჯანელთა ტრადიციული საქმიანობა მიწათმოქმედება (მემარცვლეობა, მებამბეობა, მებალეობა, მევენახეობა, ტექნიკური კულტურების მოყვანა) და მესაქონლეობაა (გადარეკვითი მეცხვარეობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება). მოპყავდათ უპირატესად ხორბალი, ქერი და ბრინჯი, ასევე ფეტვი, ჭვავი, სიმინდი, შვრია. მემარცვლეობის გარდა გავრცელებული იყო სელის ნარმოება, მეთამბაქოეობა, ტექნიკური კულტურები, მებალეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მებალჩეობა და ა.შ. იცოდნენ საშემოდგომო თესვა. თესვის ნინ სახნავი ირწყვებოდა (ხშირი წვიმების შემთხვევაში ერთხელ, სხვა დროს ორჯერ). გავრცელებული იყო მარტივი ხის სახვნელი (ხიშ, ჯუტი), ასევე ხის გუთანი (გარა კეტან). სამიწათმოქმედო იარაღებიდან ალსანიშნავია კბილებიანი ნამგალი (ჩინ), უკბილო ნამგალი (ორაგ), ცელი (კერენტი, დერიაზ), ჩანგალი (იაბ, შანა). კალო (ხირმან), ლია, სწორ ადგილზე იმართებოდა. ყველაზე კარგ ადგილად ითვლებოდა მოედნები მყარი, სულაც ქვიანი გრუნტით. ლენავდნენ ხის კევრით (ველ), რომელსაც ქვედა მხარეზე კაუის ნატეხები ჰქონდა დატანებული. სალენები იყო ერთდაფიანი და ორდაფიანი.



ზოგიერთ რეგიონში კევრის გარეშე, საქონლის მიშვებით შენავდნენ. მარცვლეულს ანიავებდნენ ხის ნიჩბით (კიურეკ). სარეველასაგან გასაწმენდად მარცვლეული იცხრილებოდა. კალოსთანვე შენდებოდა ჩალის სათავსოები (სამანლიგ). მარცვლეულს ტომრებში, დიდ ხის კასრებში, სწორკუთხა ხის ყუთებში ან შელესილ, დანძულ, მრგვალ ან ოთხეუთხა კალათებში ინახავდნენ. გავრცელებული იყო ასევე სპეციალური სამარცვლეორმოები. სხვა რაიონებისგან განსხვავებით, ლენქორის რაიონში მინის დამუშავებით ქალები იყვნენ დაკავებული.

სოფლის მეურნეობის განვითარება ხელოვნურ რწყვასთან იყო დაკავშირებული. გამოიყენებოდა რწყვის სამი სახის სისტემა: ჭით, კიაგრიზული და წყალსაცავების სისტემით რწყვა. პირველ შემთხვევაში ჭიდან წყალი ცხენის ძალით ტყავის ტომრებით ამოქჯონდათ ვერტიკალური განლაგებით ან არხის მაგვარი ჭიდან ცხენის ძალით, ხის ჭურჭლით ჰორიზონტალური განლაგებით. უძველესია კიაგრიზული სისტემით წყლის მოპოვების ხერხი, რაც მინისქვეშა არხით (კიაგრიზი) გრუნტის წყლების მოგროვებას გულისხმობს. ეს სისტემა ძირითადად მთისწინაზოლში გამოიყენებოდა. რაც შეეხება მესამე სისტემას, ან სპეციალური წყალსაცავები (ისტილი) შენდებოდა წვიმისა და მდინარის წყლის დასაგროვებლად, რომლებიც არხების მეშვეობით უკავშირდებოდა მინდვრებს ან გუბდებოდა მდინარეები, მთიან რეგიონებში კი წყაროები. არსებობდა, როგორც საზოგადოებრივი, ასევე სახანო სარწყავი არხები (არხ). საზოგადოებრივი არხებიდან წყალი რიგითობის დაცვით ნაწილდებოდა. არხებს სპეციალურად გამოყოფილი პირები ემსახურებოდნენ: მირაბი იყო პასუხისმგებელი განაწილების წესის დაცვაზე, ჯუვარები კი აკონტროლებდნენ არხების ვარგისიანობასა და დანახარჯს.

ბრინჯაოს ეპოქიდანაა ცნობილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მებალეობა (მოჰყავდათ ატამი, გარგარი, ბრონეული, ნუში, კაკალი) და მევენახეობა, იცნობდნენ ვაზის მოყვანის ოთხ ხერხს:

1. ქვიშიან გრუნტზე გართხმული ვაზი,
2. ხეზე გასული ვაზი,
- ზამთარში მინით დაფარული ვაზი და
4. შუაში გადაჯვარედინებ-

ული სამი სარით გამაგრებული ვაზი. ყურძნისგან ძირითადად მზადდებოდა ღვინო, ასევე ქიშმიში, ძმარი და ბეკმეზ-დოშაბი (ყურძნის სქელი წვენი). ბეკმეზ-დოშაბში ხარშავდნენ ხილს ირჩალის (მურაბის ნაირსახეობის) მისაღებად. მოგვიანებით ისლამის გავრცელებასთან ერთად ღვინის ნარმოებამ მნიშვნელობა თანდათან დაკარგა. განვითარებული იყო ასევე მებალჩეობა.

აზერბაიჯანელთათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი მეაბრეშუმეობა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში მეაბრეშუმეობით განთქმული დასახლებები იყო ბარდა, შემახა, განჯა. მეაბრეშუმეობით (პარკის გამოყვანა, თუთის ფოთლებით კვება) ძირითადად ქალები და ბავშვები იყვნენ დაკავებული.

აზერბაიჯანელები უძველესი დროიდან მისდევდნენ გადარევითი ტიპის მესაქონლეობას. ჰქონდათ გაზაფხულის (იალაღები), ზამთრის (ყიშლაყი) და ზაფხულის (იაილები) საძოვრები. წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან აშენებდნენ ცხვარს, თხას. მსხვილფეხა საქონლიდან ჰყავდათ ძროხა, კამეჩი და ზებუ. აშენებდნენ ასევე ცხენებს, რომლებიც ტვირთმზიდ და სატრანსპორტო საშუალებად გამოიყენებოდა.

განვითარებული იყო მეფუტკრეობა. გავრცელებული იყო სკის სამი ტიპი: 1. თიხითა და ცხენის ფუნით შელესილი ცილინდრული ფორმის ვინწო წნული კალათები, 2. ორნანილიანი სკები და 3. ყუთოვანი სკები. მისდევდნენ მონადირეობას.

ხელოსნობის დარგებიდან განვითარებული იყო საფეიქრო საქმე და ქარგვა. ამზადებდნენ ბაფთას, ნაქსოვ ორნამენტიან ქამრებს (თუმანბალი), წინდებს (ჯორაბა).

შინამრენველობის ყველაზე გავრცელებული სახეა მეხალიჩეობა. ანარმოებდნენ ქეჩის (ქეჩე). ამზადებდნენ ნაბდებს, ტომრებს, ხურჯინებს, ჩანთებს, ცალფახალიჩებს (ხალი), მაღალ ხალიჩებს (გებე), დიდ ხალიჩებს მთელი იატაკისათვის და კომპლექტებს (დესტ). კომპლექტში ოთხი ხალიჩა შედიოდა: ერთი საშუალო ზომის განიერი (ხალი), ორ გვერდითა ვინწო (კენარე) და ერთიც კედლის (კელე). მასალად გამოიყენებოდა სპეციალურად დამუშავებული ცხვრის მატყლი. ძაფი იღებებოდა მინერ-

ალური და მცენარეული საღებავებით. ხალიჩებს ვერტიკალურ დაზგებზე (ხანა) ქსოვდნენ. დაზგაზე ერთდროულად ერთი, ორი ან სამი, ზოგჯერ მეტი ქალიც მუშაობდა. აზერბაიჯანული ხალიჩების ორნამენტი ძალიან დეკორატიულია, ჭარბობს რომბების, კვადრატების, მეანდრების, ვარდულების, ნუშის ნაყოფის გამოსახულებები (ბუტა), გვევდება ასევე ფრინველისა და ცხოველების გამოსახულებები.

განვითარებული იყო მეთუნეობა. ცნობილი იყო ფერადი მოჭიქვა. ამზადებდნენ საოჯახო ჭურჭელს, წყალგაყვანილობის მილებს, მოსაპირეთებელ სამშენებლო მასალას. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ლითონის (პირველ რიგში სპილენძის) დამუშავებას. ლითონისგან ამზადებდნენ ჭურჭელს, იარაღს. განვითარებული იყო სამჭედლო და საიუველირო საქმე.. იარაღის ნარმოებისა და სამჭედლო საქმისგან განსხვავებით საიუველირო საქმე დღესაც ნარმატებით ვითარდება (მზადება ქალის სამკაულები: ყელსაბამები, ქამრები, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები). გამოირჩევა ჭედური, ფილიგრანული და ემალის ნაკეთობანი. განვითარებული იყო ქვასა და ხეზე მხატვრული კვეთა. ხისგან ამზადებდნენ საცხოვრებლის დეტალებს, ასევე დარაბებს ფანჯრებისთვის (შებეკე), რომლებსაც ან ერთიანი დაფიდან ჭრიდნენ ან ცალკეული ფირფიტებისგან კრავდნენ. დღესაც პოპულარულია ხეზე ნაკვეთი საოჯახო ნივთები: ავეჯი, ზარდახშები, კოვზები და სხვ.

აზერბაიჯანულებს დიდხანს შემორჩით პატრიარქალური ყოფის ელემენტები: ენდოგამიური ქორნინება, ურვადი, მრავალ-ცოლიანობა (ძირითადად მეძლებულ ფენებში). დიდი ოჯახი მკაცრად პატრიარქალური იყო. ნათესაობა მამისეული ხაზით ითვლებოდა. ოჯახის უფროსი ერთპიროვნულად განაებდა ქონებას, ცოლის მზითევის გარდა. დაობლებულ ბავშვებს მზრუნველად დედის ან მამის ძმა ენიშნებოდათ. ქონება შარიათის მიხედვით იყოფოდა: ქვრივი საკუთარი მზითევის გარდა იღებდა მთელი ქონების მერვედს. ვაჟი ორჯერ მეტს იღებდა ვიდრე ქალიშვილი. სოფელში მნიშვნელოვან როლს უხუცესები — აქსაკალები, ას-

რულებდნენ. ისინი წყვეტდნენ ყველა მნიშვნელოვან სასოფლო თუ საოჯახო საკითხს ადათის დაცვით. მათ შეკრებებს, როგორც წესი, მოლაც ესწრებოდა. თუ საკითხი ქალს ან ქალიშვილს ეხებოდა შეიძლებოდა სათათბიროდ მოხუცი ქალიც მოეწვიათ. ახალგაზრდებს, ქალებსა და ბავშვებს, ამ თათბირებზე არათუ მონაწილეობა, დასწრებაც ეკრალებოდათ. უფროსთა პატივისცემა საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო. ოჯახში უმცროსები სრულად ემორჩილებოდნენ უფროსებს. ქალი ოჯახში დედასა და ბებიას, ქმრის ოჯახში კი დედამთილს ან უფროსი მაზლის ცოლს ემორჩილებოდა. ქალი ვალდებული იყო თავი აერიდებინა ქმრის ოჯახში ყველა მამაკაცისთვის, არ უნდა შესულიყო იმ ოთახში, სადაც უფროსები ისხდნენ. თუ მას ცალკე ოთახი არ ჰქონდა, მთელ დროს სამზარეულოში ატარებდა. საღამოს სახედაფარული რძალი ვალდებული იყო ფეხები დაებანა მინდვრიდან დაბრუნებული ყველა მამაკაცისთვის. თუ ოჯახში ახალგაზრდა რძალი არ იყო, ამ მოვალეობას ქალიშვილი ასრულებდა. პირველი შვილის დაბადებამდე ქალს არ ჰქონდა უფლება ოჯახის უფროსი წევრებისთვის პირდაპირ მიემართა, ან პასუხი გაეცა. ადათის მიხედვით ოჯახის უფროსი თავად არიდებდა თავს რძალთან შეხვედრას და ლაპარაკეს. ახალგაზრდა ქალს თავი და თმა უნდა დაეფარა. უფროს ქალებთან მარტო ყოფნის დროსაც რძალს უნდა დაეფარა პირი და სახის ქვედა ნაწილი. ხმამაღალი ლაპარაკე და სიცილი ქალისათვის უზრდელობად ითვლებოდა. ქალს ქმრის ნებართვის გარეშე არათუ მშობლების ოჯახში, არამედ მეზობელთან და ბალში გასვლაც კი არ შეეძლო. ბავშვების აღზრდა მთლიანად დედის მოვალეობა იყო. 6-7 წლის ასაკიდან ვაჟის აღზრდას პაპა, მამა და უფროსი ძმა თაობდა. აქედანვე იწყებოდა ბავშვების რელიგიური აღზრდა.

აზერბაიჯანული ოჯახი ენდოგამიური იყო. სოფელი რამდენიმე უბნისგან (მეხელე), შედგებოდა. ყოველ მათგანში ნათესავები ცხოვრობდნენ. ქორწინებისას უპირატესობა უბნის შიდა ქორწინებას ენიჭებოდა, დაუშვებელი იყო დედმამიშვილებს შორის

ქორნინება. მიღებული იყო პირველ ყოვლისა ბიძაშვილ, დეიდაშვილ, მამიდაშვილებს შორის ქორნინება. შარიათის მიხედვით სხვა ეროვნების მუსლიმან წარმომადგენლებთან ქორნინებაც დაშვებული იყო, მაგრამ პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა. შარიათი ცნობს მრავალ ცოლიანობასაც, თუმცა მეორე ცოლი ძირითადად იმ შემთხვევაში მოჰყავდათ, თუ პირველი უშვილი იყო. ამასთან, ქორნინება საკმაო ხარჯებს მოითხოვდა. ფართოდ იყო გავრცელებული სორორატი (ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში მის დაზე ქორნინება) და ლევირატი (ქვრივის მაზლზე გათხოვება). თუმცა ამისათვის ორივე მხარის თანხმობა იყო აუცილებელი.

ქალიშვილისთვის დაოჯახების ასაკი 14-18 წელი იყო, ვაჟისთვის 18-22 წელი. არსებობდა აკვანში დანიშვნისა და ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვების პირობითი ნიშნობის ჩვეულებები. ქორნინებისას მნიშვნელოვანი იყო ოჯახებს თანაბარი სოციალური და მატერიალური მდგომარეობა ჰქონიდათ. სარძლოს სადედამთილო ან მული შეარჩევდა. თუ მათი აზრი ოჯახის მამაკაცებსა და სხვა ნათესავებსაც მოეწონებოდათ, მაშინ ვაჟის ნათესავი ქალები მივიღოდონენ მომავალი სარძლოს დედასთან არაოფიციალურად ხელის სათხოვნებულად, რის შემდეგაც, თუ თანხმობა იქნებოდა მიღწეული, უკვე მამაკაცები ითხოვდნენ ხელს ოფიციალურად. როგორც წესი, მათ თან ახლდათ რამდენიმე პატივცემული მოხუცი. სტუმრებს ქალიშვილის მამა ან უფროსი ძმა ხვდებოდა და სასტუმრო ოთახში იწვევდა. მათ გაუმასპინძლდებოდნენ. იწყებოდა საუბარი მოსვლის მიზანზე და ქალიშვილის ოჯახის ერთ-ერთი უფროსი წარმომადგენელი გამოუცხადებდა მათ ოჯახის აზრს. ამ დროს, როგორც წესი, ოთახში უხმობდნენ ქალიშვილის დედასაც. შემდეგ ულოცავდნენ ერთმანეთს და არკვევდნენ გადასახადის მოცულობას. ეს გადასახადი მოიცავდა ქმრის ინიციატივით გაყრის შემთხვევაში ცოლისათვის დაწესებულ ფულად გადასახადს (მეხრ) და პატარძლის სანაცვლოდ მისი მამისთვის დაწესებულ საფასურს (ბაშლიგ). ამ საკითხის გადაწყვეტას ორივე ოჯახი თავის სასარგებლოდ ცდილობდა. ამ დროს უხუცესები ასრულებდნენ შუამავ-

ლის როლს. შეთანხმების მიღწევისას მაჭანქლები ქალის მხარეს გადასცემდნენ ოქროს ბეჭედს, აბრეშუმის მოსახვევს და ტკბილეულს (ბელგე). შემდეგი ეტაპი იყო ნიშნობა (ნიშან), როცა საპატარძლოსთვის მიაქვთ სამკაულები, საკაბე, ხოლო მისი ოჯახისთვის ტკბილეული, ასევე გადასახადი. საჩუქრებს ლანგარზე აწყობენ და ნითელ გადასაფარებელს აფარებენ. საჩუქრების ნახვის შემდეგ ახალგაზრდები ოფიციალურად დანიშნულად ითვლებოდნენ. ამ დღიდან ქორწილამდე საქმრო თავს არიდებდა სასიმამროსთან შეხვედრას. საპატარძლო თავის მხრივ თავს არიდებდა საქმროს, მის ნათესავ-მამაკაცებსა და ამხანაგებს.

გავრცელებული იყო ქალის მოტაცების ჩვეულებაც. რიგ შემთხვევებში ქალს ოჯახის თანხმობით იტაცებდნენ, საქორწილო თანხების უქონლობის დროს. ასეთ შემთხვევაში მოტაცებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ შერიგდებოდნენ. თუ მოტაცება ქალის მშობლების ნების სანინააღმდეგოდ მოხდებოდა, მაშინ დიდი ხარჯი იყო საჭირო შესარიგებლად.

ქორწილი (თოი) ძირითადად შემოდგომაზე ეწყობოდა. ქორწილის ნინა დღეს იდებოდა საქორწილო შეთანხმება (კებინ). საქმროსა და პატარძალს მათი ნდობით აღჭურვილი პირები (ვექილ) წარმოადგენდნენ. ესენი იყვნენ ძმა, ბიძა (დედის ან მამის მხრიდან) ან სიძე (დის ქმარი), ზოგჯერ თავად მამა. ქორწინება მოლას თანდასწრებით ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით დასტურდებოდა. ქორწილის პირველ დღეს საქმროს ოჯახში იმართებოდა ქეითი. სტუმრები მასპინძლებს ფულს (ნემერ, დუშელგე) ჩუქნიდნენ. სტუმრების მისაღებად ხის კარკასისა და ხალიჩებისაგან დროებით ნაგებობას (თაიხანა) აგებდნენ. ქორწილის მეორე დღეს სტუმრებს ბოზბაშსა და ფლავს მიართმევდნენ. მუსიკა და მხიარულება მთელი დღე გრძელდებოდა, მაგრამ საქმრო და მისი ამხანაგები მასში არ მონაწილეობდნენ. ისინი საქმროს რომელიმე ნათესავის ან ამხანაგის სახლში იმყოფებოდნენ. მესამე დღეს ზეიმში თითქმის მთელი სოფელი ერთვებოდა. ამ დღეს საზეიმოდ, მუსიკით, მაშალებითა და სროლით მოჰყავდათ სახლში საქმრო ამხანაგებიანად. ზოგ რაიონში იცოდნენ ცომეულით, ახალი და

გამხმარი ხილითა და ტკბილეულით მორთული ორი სპეციალური ური ტოტის (შახ) გამზადება, რომელიც პროცესის მონაწილეებს მოჰქონდათ. გვიან ღამით იწყებოდა მზადება პატარძლის მოსაყვანად. მთელი ამ ხნის მანძილზე იგი დედის მხრიდან ნათესავი ქალის სახლში იმყოფებოდა. საქმროს სახლში წაყვანამდე იგი მიჰყავდათ მშობლების სახლში, სადაც გამოაწყობდნენ საქორწილო ტანსაცმელში. დედის ნათესავები აქტიურად მონაწილეობდნენ მზითევის (ჯეხიზ) გამზადებაში. პატარძალს ატანდნენ ყველა საჭირო საოჯახო ნივთს. პატარძლის წასაყვანად მისულ მამაკაცებს უმასპინძლდებოდნენ და ხანმოკლე ცეკვა-მხიარულების შემდეგ პატარძალს ატანდნენ. პატარძლის ცხენს ან ურემს ნინ მიუძლოდა მისი ნათესავი საქმროსათვის გამზადებული ტკბილეულიანი ტოტით ხელში, რომელსაც მხედრები იცავდნენ, რათა საქმროს მხრიდან ვინმეს არ მოეტაცა ტოტიდან ვაშლი და საქმროსათვის არ მიეტანა. თუ ვინმე ამას მაინც მოახერხებდა, იგი საქმროსგან საჩუქარს დაიმსახურებდა. გზად სხვა სოფლის გავლისას პროცესიას გადასახადის გადახდამდე არ გაატარებდნენ. პატარძალს თან ახლდნენ ნათესავი და რამდენიმე ახალგაზრდა ქალი. სახლთან მათ ეგებებოდა საქმროს დედა და პატარძალს ტკბილეულს, მარცვლეულსა და მონეტებს აყრიდა. პარმალზე დებდნენ რაიმე რკინის ნივთს, რაზეც პატარძალს ფეხი უნდა დაედგა. საქორწილო ოთახი პატარძლის მზითევით ენყობოდა. საწოლის კუთხე ფარდით იფარებოდა. სტუმრების წასვლის შემდეგ პატარძლის მაჭანკალი შლიდა ლოგინს და ახალდაქორწინებულებს ვახშამს უმზადებდა. გვიან ღამით მეგობრები მალულად მიაცილებდნენ საქმროს საქორწილო ოთახამდე. ქორწილიდან ორი დღის შემდეგ პატარძლის დედა გამორჩეულ კერძს ამზადებდა და შვილს უგზავნიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ანყობდნენ სუფრას საქმროს სახლში, რომელსაც ესწრებოდა ყველა უხუცესი, სოფლის საზოგადოების სხვა საპატიო წევრები და თვით ახალდაქორწინებულები. ამის შემდეგ პატარძალს შეეძლო თავისი ოთახიდან გამოსვლა. თუმცა უნდა მორიდებოდა ოჯახის ყველა მამაკაცს. ქორწილიდან რამდენიმე

ხნის შემდეგ პატარძლის მშობლები უმასპინძლდებოდნენ შვილს, სიძესა და ახლო ნათესავებს. პირველი ბავშვის დაბადებამდე ქალის უფლებები ქმრის ოჯახში შეზღუდული იყო. თუ ქალი არ ფეხმძიმდებოდა სხვადასხვა მაგიურ ხერხს მიმართავდნენ. ავი თვალისგან დასაცავად ცდილობდნენ ფეხმძიმობა დაემალათ. მშობიარობის დაწყებისას მელოგინესთან იბარებდნენ ბებიაქალს, დედას ან გათხოვილ დას. ამ დროს ყველა მამაკაცი და ბავშვი ტოვებდა სახლს. მშობიარობის შემდეგ ბებიაქალი რამდენიმე დღე რჩებოდა დასახმარებლად დედა-შვილთან. თუ მშობიარობა მძიმედ მიმდინარეობდა, ავი სულის (ხალ) გასაუვნებელყოფად მშობიარეს ბალიშის ქვეშ უდებდნენ რკინის საგნებს, ხშირად დანას, მამაკაცები ისროდნენ ჰაერში. მშობიარის ოთახში შეჰქონდათ წყლიანი ტაშტი და წყალს ამოღებული მახვილით კვეთდნენ, ან ჰაერს კვეთდნენ მახვილით. ასევე იცოდნენ მსხვერპლის შენირვა (სადაგა): ქოთანში ყრიდნენ ფქვილს, ან ხორბალს ცოტა მარილით, თავზე შემოატარებდნენ მშობიარეს და მშობიარობის კარგად ჩავლის შემთხვევაში ამ ქოთანს გასცემდნენ. ვაჟის დაბადებისას მის ჭიპლარს თავლაში ან მეჩეთის ეზოში ფლავდნენ. გოგონასას კი – სახლის კართან. ჩვილის თეთრეული, ლოგინი და აკვანი დედის მხრიდან ბებიას ან რომელიმე სხვა ნათესავ ქალს უნდა მოემზადებინა. თუ ასეთი ნათესავი არ ჰყავდათ, მაშინ თვითონ დედა ან მამის მხრიდან ბებია ამზადებდა. დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვს აწვენდნენ ხის აკვანში (ბეში). 40 დღის მანძილზე ბავშვს სახესა და აკვანზე აფარებდნენ თხელ გადასაფარებელს, რათა „ბეშიკ გუშუ“-ს (აკვნის ფრინველს) არაფერი დაეშავებინა. მშობიარობიდან 40 დღის შემდეგ სრულდებოდა ქალის რიტუალური განწმენდა. განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ ვაჟის დედას.

გაყრა შარიათით იყო რეგლამენტირებული. გაყრის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო უშვილობა, ცოლ-ქმრის ოჯახებს შორის გაჩენილი მტრობა, რნმენისგან განდგომა ან ხასიათთა შეუთავსებლობა. გაყრის ფაქტიური უფლება მხოლოდ ქმარს ჰქონდა. საკმარისი იყო მას მოწმეების თანდასწრებით სამჯერ ნარ-

მოეთქვა გაყრის ფორმულა და ქორნინება ძალადაკარგულებად ითვლებოდა. თუმცა შესაძლებელი იყო გაყრის ინიციატორი ქალი ყოფილი იყო, ასეთ შემთხვევაში იგი უფლებას კარგავდა მზ-ითევზე.

აზერბაიჯანელთა უმეტესობა შიიტი მუსლიმანია, ნანილი (ძირითადად ჩრდილოეთ რაიონებში) — სუნიტი. შემორჩენილია ისლამამდელი მითოლოგიური წარმოდგენები, რომლის მიხედვით ზამთრის ბოლო თვიდან ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება იღვი-ძებს ზამთრის ძილისგან. პირველ კვირას იღვიძებს ჰაერი, მეორე კვირას — წყალი, მესამე კვირას — მინა და ბოლოს, მეოთხე კვი-რას დგება სითბო და აღინიშნება ახალი წლის დაწყება ნოვრუზ-ბაირამი (21-22 მარტი). ნინა ღამეს ოჯახის წევრები სახლში იკრიბებოდნენ და ცდილობდნენ ანთებული ლამპისთვის, სანთლისთვის, ახალი სიმწვანისთვის, ძვირფასი ქვებისთვის ან ოქროს მონეტებისთვის ეყურებინათ, რათა ახალ წელს ბეჭინიერე-ბა მოეტანა. ახალი წლის პირველ დღეს სროლითა და კოცონის დანთებით ხვდებოდნენ. დილით ადრე მიდიოდნენ მდინარეზე, არხთან ან წყლის ნისქვილთან, ხტებოდნენ წყალზე, ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ და უმასპინძლდე-ბოდნენ. აზერბაიჯანელთა შეხედულებით ცეცხლი ყველაზე სუფთად და წმინდა ელემენტად ითვლებოდა. თითქმის ყველა საკულტო ადგილს, წმინდა ხეებსაც მათ შორის, აზერბაიჯანელე-ბი უწოდებდნენ პირ, ან ოჯაგ (კერა). წმინდად ითვლებოდა მთის მწვერვალები (ოჯაგ დაგ ან ზიარეთ დაგ). გავრცელებული იყო ქვისა და წყლის კულტი. მათ განმკურნებელი ძალა მიენერებო-დათ. ხალხური წარმოდგენით, მდინარეებსა და წყაროს სათა-ვეებთან ცხოვრობდნენ კეთილი და ბოროტი სულები. წყაროები მოლოცვის ადგილად მიიჩნეოდა. თაყვანს სცემდნენ წმინდა ხე-ებს, საკულტო ტყეებსა და კორომებს. სწამდათ ავი თვალისა და მის სანინაალმდევოდ სხვადასხვა სახის ავგაროზებს იყენებდნენ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ყოფაში სახალხო მკურნალ-ები (ჰეკიმ, თებიძე, სინიგრი). მუსლიმანური დღესასწაულებიდან განსაკუთრებით აღინიშნება მარხვის დასასრული (ურაზა-ბაირ-



ამი) და მსხვერპლშენირვის დღესასწაული (ყურბან-ბაირამი), არმოდგენით, სული ბოლო ამოსუნთქვასთან ერთად ტოვებდა სხეულს. უხილავი სული მუდმივად ახალგაზრდად მიიჩნეოდა. ითვლებოდა, რომ ზოგჯერ გარდაცვლილის სული ფრინველის სახით სტუმრობდა თავის ოჯახს. შარიათის მიხედვით აუცილებელი იყო მიცვალებულის სწრაფად დაკრძალვა. განსასვენებელ ლოცვებს მოწვეული მოლა ან მცოდნე ქალი კითხულობდა. განბანვის შემდეგ მიცვალებულს თეთრ სუდარაში ახვევდნენ (ქალების სუდარა სამ ან შვიდ ნანილიანი იყო, მამაკაცებისა ორ ან ხუთ ნანილიანი), სპეციალურ საკაცეზე აწვენდნენ, გადააფარებდნენ გადასაფარებელსა და ხალიჩას და თავით ნინგამოასვენებდნენ სახლიდან. სასაფლაოზე მხოლოდ მამაკაცები მიდიოდნენ. მიცვალებული საკაციდან გადმოჰქონდათ და მარჯვენა მხარეს სახით მექისკენ ჩასვენებდნენ საფლავში. საფლავზევე უმასპინძლდებოდნენ ყველა იქ მყოფს ჰალვითა და ლავაშით. სახლში დაბრუნებულები მართავდნენ ქელებს. დაკრძალვიდან სამი დღის მანძილზე ნათესავებსა და თანასოფლელებს მოჰქონდათ პროდუქტი და ფული ქელებისთვის. მესამე, მეშვიდე და მეორმოცე დღეს იკრიბებოდნენ გარდაცვლილის სახლში და მართავდნენ სამგლოვიარო სუფრას. გლოვა 40 დღე გრძელდებოდა. ერთი წლის შემედეგ აღინიშნებოდა წლისთავი.

აზერბაიჯანული ფოლკლორული ნიმუშებია ზღაპრები, დასთანები (სასიყვარულო-რომანტიკული და ლირიკულ-ეპიკური თქმულებები გმირებზე, რომლებიც მუსიკის თანხლებით სრულდება). ცნობილი საგმირო ეპოსებია „დედე გორგულის წიგნი“ (XII ს.), „ქოროლლუ“ (XVI ს.). გავრცელებული იყო ლირიკული ლექსის სახეობანი ბაიათი და გოშმა. განსაკუთრებული ადგილი უკავია აშულურ პოეზიას. სასიმღერო შემოქმედებიდან აღსანიშნავია ლირიკული და საკულტო სიმღერები, ასევე მუღამები (დიდი, რამდენიმე ნანილიანი ვოკალურ-ინსტრუმენტული ნანარმოებები). აზერბაიჯანული მუსიკალური საკრავებიდან უძველესია ქადაფა (გავალ-დაში), გავრცელებული იყო თარი, დაირა, ჯანონი, უდი, ქამანჩა, ბალაბანი, ზურნა, ნაღარა, დაფი. გავრცელებუ-



ლია საწესჩვეულებო-საყოფაცხოვრებო, საფერხულო-სატამაშო-  
ცეკვები: თარაქამა, ჰაზხი, ჯეირანი, იალი, უზუნდარა. პოპუ-  
ლარულია მოლა ნასრედინთან დაკავშირებული თქმულებები და  
ანეგდოტები. იმართებოდა თეატრალური, ნიღბიანი წარმოდ-  
გენები (კილიმ არასი, მარალ ოიუნლუ და სხვ).

### ყარაჩაილები

ყარაჩაელები (თვითსახელწოდებაა ყარაჩაილ) ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ყარაჩაი-ბალყარული ენა მიეკუთვნება თურქული ენების ყივჩალურ (ჩრდილო-დასავლურ) ჯგუფს. ყარაჩაელები ბალყართა ახლო მონათესავე, ეთნიკურად თურქული წარმოშობის ხალხია. მათი მიგრაცია კავკასიაში მონდოლთა შემოსევების დროს განხორციელდა. ყარაჩაელთა ყოფა და კულტურა სხვა ჩრდილო კავკასიელი ხალხების მსგავსია.

ყარაჩაელთა სოფელი მრავალრიცხოვანი იყო. იგი უბნები-სგან (ტიირე) შედგებოდა, შემოსაზღვრული იყო სახნავებით და სათიბებით. უბნები გვარების მიხედვით იყო დასახლებული და საგვარეულო სახელწოდებები ჰქონდათ. ყმები და მონები ბატონის გვარის უბანში ცხოვრობდნენ. უბნის შიგნით სახლები არა-თანაბრად იყო გაფანტული. ფასადები სხვადასხვა მხარეს ჰქონდათ მიმართული. სამეურნეო ნაგებობები არ ჰქონდათ, რადგან საქონელი სადგომებზე ჰყავდათ, ურმები და სამეურნეო იარაღი კი ეზოში ეწყოთ. ტრადიციული საცხოვრებელი იყო მორებისგან შეკრული სწორეულთხა სახლი (იუი), ორფერდა მიწური გადახურვით. ზოგჯერ სახლი გარედან ილესებოდა თიხით. სახურავს ზევით ადიოდა კედლის კერა-ბუხრის წნული, თიხით შელესილი საკვამურით. ორნანილიანი კარები ზევითექნ თაღისებრი ფირფიტით ბოლოვდებოდა. ფანჯარა (თუ იგი სახლს ჰქონდა) ხის დარაბებით იხურებოდა შიგნიდან. ერთი ოთახისაგან შემდგარ სახლს, სადაც მშობლები და შვილები ცხოვრობდნენ, დიდი სახლი (ულუ იუი) ერქვა. კედლის კერა (ოჯაკ) ფორმით ყაბარდოელებ-

ის, ჩერქეზებისა და ბალყარელების კერას ჰგავდა. იგი ფასადის კედელზე კარსა და ფანჯარას შორის კეთდებოდა. ოთახის მიწის იატაკი თიხით იყო შელესილი. შიდა და გვერდითა კედელზე თაროები იყო მოთავსებული. ზოგჯერ გვერდითა კედელს ჰქონდა გასასვლელი საკუჭნაოში (გეზენ), სადაც საკვები პროდუქტები ინახებოდა.

ერთოთახიან სახლს მიაშენებდნენ ხოლმე ოთახს (ოტოუ) დაქორწინებული ვაჟისთვის. ოტოუს ცალკე გამოსასვლელი ჰქონდა ეზოში, მისი კერა პატარა იყო, რადგან მხოლოდ გასათბობად გამოიყენებოდა. საჭმელს ულუ იუიში ამზადებდნენ. განსხვავებული ტიპის საცხოვრებელს წარმოადგენდა ნაგებობები დახურული ეზოთი (ჯაბილგან არბაზი). ჩვეულებრივ მათ არასწორი ფორმა ჰქონდათ და შედგებოდნენ საცხოვრებლისა და დამხმარე ფარდულებისგან საქონლისთვის, რომლებიც განლაგებული იყო დიდი დახურული ეზოს გარშემო. მთელ ამ კონსტრუქციას ერთი შესასვლელი ჰქონდა და გარკვეულწილად სიმაგრეს წარმოადგენდა. ეზოს მასიური მინატეპნილი სახურავი სქელ ბოძებს ემყარებოდა. დახურული ეზო გამოიყენებოდა საქონლის სადგომად, შეშისა და თივის შესანახად და საოჯახო დღესასწაულებისთვის. დარბაზები XIX საუკუნემდე შეძლებული ოჯახების საცხოვრებელი იყო. დღემდევა შემორჩენილი რამდენიმე მათგანი. ყარაჩაული სახლები საქმაოდ მყარი იყო. არისტოკრატი-ისა და გლეხების საცხოვრებელს შორის განსხვავება მხოლოდ ზომაში იყო.

XX საუკუნიდან დაიწყო ტრადიციული საცხოვრებლის ტრანსფორმაცია: შემოვიდა დიდი შემინული ფანჯრები, ჭერი, იატაკი, ასეთ ოთახს რუსულის გავლენით პერი ენოდა. XX საუკუნის დასაწყისიდანვე დაიწყეს ორსართულიანი, გალერეიანი სახლების შენება, მაგრამ შენარჩუნდა ერთი ოთახი მიწის იატაკითა და კერით. ყარაჩაულთა საცხოვრებელი სხვა ჩრდილო კავკასიული ხალხებისგან გამორჩეული იყო მშენებლობის ტექნიკით. აშენებდნენ მორების ნებით, ასეთი სახლები ყარაჩაულების გარდა მხოლოდ ბაქსანის ხეობაში მცხოვრებ ბალყარელებს ჰქონდათ.

სხვა ჩრდილო კავკასიელი ხალხების (დაღესტნის ხალხების, რსებრის, ჩეჩენების, ბალყარების) ბრტყელი, მიწური გადახურვისგან განსხვავებული იყო ყარაჩაული სახლის ორფერდა მიწური გადახურვა. უფრო გვიანდელი ორსართულიანი სახლები გარკვეულ მსგავსებას ავლენს დასავლეთ საქართველოს საცხოვრებლის ტიპთან. ყარაჩაული სახლი იყოფოდა ქალების და მამაკაცების მხარედ. ეს უკანასკნელი საპატიო მხარედ მიიჩნეოდა. აქ იდგა ოჯახის უფროსის სამი მხრიდან თანაბარი სიმაღლის საზურგებიანი და ასეთივე ტახტი სტუმრისთვის. თაროებზე საოჯახო ნივთების და ტანსაცმლის სკივრები იყო განთავსებული. ქალების მხრიდან ოთახს ჰქონდა გასასვლელი საკუჭნაოში. ამ მხარეს თაროებზე იდო საოჯახო ნივთები, დაბალი სამფეხა მაგიდები კი კედელზე ეკიდა. ოჯახს რაც უფრო მეტი სპილენძისა და თუჯის ჭურჭელი, ლოგინი და სკივრი ჰქონდა მით უფრო შეძლებულად ითვლებოდა. თანდათან შეიცვალა ტრადიციული ავეჯი და ჭურჭელი. ცვლილება განიცადა საცხოვრებელმაც. თანამედროვე ყარაჩაული სახლები რამდენიმე ტიპისაა: 1. კვადრატული, ორსამ ოთახიანი, შემინულ აივნიანი, 2. სწორკუთხა ოროთახიანი, ოთახებს შორის დერეფნით, 3. ორსართულიანი მაღალ ფუნდამენტზე მდგარი სახლი. ყველა მათგანი ქვითაა ნაშენი, გადახურულია შიფერით ან კრამიტით. ულუ იუმ საზაფხულო საცხოვრებლის ფუნქცია შეიძინა, მასში მუდმივად მხოლოდ მოხუცები ცხოვრობენ, ოჯახის დანარჩენი წევრები პეჩში გადავიდნენ.

ყარაჩაელები გადასაადგილებად ძირითადად ცხენს, ხოლო გადასაზიდად — ვირს იყენებდნენ. ჰქონდათ სხვადასხვა სახის უნაგირები. ცხენით ქალებიც სარგებლობდენენ. თივის გადასაზიდად იყენებდნენ ციგას და ურემსაც. ქალებისა და ბავშვების ურმით გადაადგილებისას მას ქეჩით ხურავდნენ.

ყარაჩაელთა ტანსაცმელი ჩრდილო კავკასიელთა ტანსაცმლის მსგავსია. მამაკაცები ატარებდნენ ჩოხას (ჩებკენ), ახალუხს (კაბდალ), შიდა პერანგს (კელეკ), შიდა და გარე შარვალს, ქამარსანჯალს, ფაფახს, ფართო ფარფლებიან ქუდს ზაფხულში, ყაბალახს, ნაბადს (ჯამჩი), ცხვრის ტყავის ტყაპუჭს (ტონ), თექის

ქურქს (გებენევ), ტყავის ან ნაჭრის ფეხსაცმელს. ქალის ტანსაცალებებისა და მელი იყო კაბა (ჩებკენ), ახალუხის მსგავსი კოფთა, შიდა პერანგი (ქორნილამდე კორსეტი), ნაჭრის ან ვერცხლის ქამარი, მაღალი ხავერდის, მოსირმული ქუდი, ზევიდან მოსახვევით შეკრული, რომელსაც დროისა და ასაკის შესაბამისად სხვადასხვანაირად იკრავდნენ. ზამთარში მოხუცები დაბამბულ პერანგს ან ქურქს ატარებდნენ, ახალგაზრდები შალს. ფეხზე ეცვათ ხის ქოშები.

ყარაჩაელთა ძირითადი საკვები მესაქონლეობის პროდუქტები იყო (ყველი, არაუანი, კარაქი, ყაიმალი, ხორცი). შედედებული რძე (აირანი) ცვლიდა წყალსაც, ჩაისა და წვნიანსაც. მნიშვნელოვანი კერძი იყო ხორცის წვნიანი (შორპა), ამზადებდნენ ძეხვს. პური (გირჯინ) ხორბლის, ქერის ან სიმინდის ფექვილისგან მომზადებული ხმიადი იყო. საფუარიანი პური გვიან შევიდა ყარაჩაელთა რაციონში რუსების გავლენით. ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ღვეზელს (ხიჩინ) ხორცის, ყველის, ბალახეულის ან კარტოფილის გულით.

ყარაჩაელთა ძირითადი საქმიანობა გადარეკვითი მესაქონლეობა იყო. აშენებდნენ ცხვარს, თხებს, ცხენებს და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვას. ყარაჩაული ცხვარი განთქმული იყო კავკასიაში მატყლით, ხორცითა და რძით. ყარაჩაელები საქონელს სამხრეთ კავკასიაში ჰყიდდნენ. განვითარებული იყო მეფრინველეობა და მეფუტკრეობა. სახნავი ნაკვეთების (საბან) სიმცირის გამო მინათმოქმედება არ იყო მაღალგანვითარებული. მოპყავდათ ხორბალი, სიმინდი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი. განვითარებული იყო შინამრენველობა. მატყლისგან ამზადებდნენ ქეჩის ქუდებს, მხატვრულ თექას (ჩატკეპნილი ორნამენტით, ინკრუსტაციით და აპლიკაციით), ნაბდებს. მატყლის დამუშავების ტექნიკა სხვა ჩრდილო კავკასიელი ხალხების მსგავსი იყო. ჩატკეპნილ ორნამენტიან და ინკრუსტაციით შესრულებულ თექას მხოლოდ ყარაჩაელები და ბალყარელები ამზადებდნენ. იცოდნენ მოსირმვა.

ყოველი ყარაჩაელი მიეკუთვნებოდა გარევეულ გვარს (თუხუმს). თუხუმი ერთ უძნად (ტიირე) ცხოვრობდა, ყოველ თუხუმს



პქონდა საკუთარი სასაფლაო, ზოგჯერ მეჩეთიც. თუხუმი ეგზოგვადა  
ამიური იყო. ქორნინება იკრძალებოდა არათუ თუხუმის შიგნით,  
ზოგიერთ საერთო წინაპრიდან მომდინარე თუხუმებს შორისაც.  
ისლამის მიერ დაშვებული მრავალცოლიანობა თითქმის არ გვხ-  
ვდება. არჩევანს მშობლები აკეთებდნენ. არსებობდა ყალიმის გადა-  
ხდის ჩვეულება. იცოდნენ ქალის მოტაცებაც. საქორნილო პრო-  
ცესიას თავდახურული პატარძალი ხალიჩებიანი ურმით მოჰყავ-  
და, საქმროს ნათესავებს მისი გვარის დამღა ეკავათ საცოლის დამ-  
ღის ზევით. სოფლის ახალგაზრდობა ურმის გაჩერებას ცდილობ-  
და და სანაცვლოდ გამოსასყიდს (ქისებს და სხვა წვრილმანს) ითხ-  
ოვდა. პატარძალი წვეულებაში მონანილეობას არ იღებდა, კუთხ-  
ეში იდგა თავდახრილი. ნეფე საერთოდ არ იმყოფებოდა სახლში,  
იგი მეგობართან ან აღმზრდელთან (ათალიკთან) იყო. ქორნილის  
შემდეგ პატარძალი დედის სახლში ბრუნდებოდა გარკვეული  
დროით და შემდეგ ქმრის სახლში მოსული უკვე ოჯახის სრულუ-  
ფლებიან წევრად ითვლებოდა. ქალის მოვალეობა დიასახლისობა  
და ბავშვების აღზრდა იყო, იგი მინდორშიც მუშაობდა. ოჯახის  
უფროსის ცოლი (იუი ბიჩე) ხელმძღვანელობდა სხვა ქალებს. დიდი  
ოჯახის დაყოფა ყარაჩაიში XIX საუკუნიდან დაიწყო.

ყარაჩაიში სისხლის აღების ჩვეულება ნაკლებ იყო გავრცელე-  
ბული და XIX საუკუნიდან იგი გადასახადებმა ჩაანაცვლა, თუმ-  
ცა შერიგება ტრადიციის დაცვით ხდებოდა. იცნობდნენ ხელოვ-  
ნური დანათესავების ფორმებს. გვარში მიღების ერთი წესის  
მიხედვით გვარის უხუცესები ჯოხის ქვეშ ატარებდნენ ახლად  
მიღებულ წევრს. ნათესაობის ამ ფორმას „ჯოხით ნათესაობა“  
ერქვა, „ნაკვერჩხლით ნათესაობისგან“ განსხვავებით, რაც სისხ-  
ლით ნათესაობას გულისხმობდა (ოჯახის გაყრისას ძმებს ნაკვერ-  
ჩხალი მიჰქონდათ ახალ სახლში). თითოეულ გვარს საგვარო დამ-  
ღა პქონდა, მათ გამოსახავდნენ საფლავებზეც.

ყარაჩაელები სუნიტი მუსლიმები არიან. ისლამი XVIII საუკუ-  
ნეში გაავრცელა ყაბარდოელმა მოლამ ისკახ-ეფენდიმ. ყველა  
სოფელში იყო ერთი ან რამდენიმე მეჩეთი. მაგრამ შენარჩუნდა  
ისლამიამდელი ნარმოდგენებიც: ხეებისა და ქვების თაყვანისცე-

მა. ზოგიერთი გვარი უარს არ ამბობდა ღორის ხორციელი ყარაფი. ყარაფი ამაღლესი ღვთაება იყო თეირი, სწამდათ მფარველი სულების არსებობა. თაყვანს სცემდნენ ნადირობის მფარველსა (აპსატი) და ცხვრის მფარველ (აიმუშ) ღვთაებებს, „წყლის დედას“ (სუუ ანასი), ტყის სულებს (აგაჩ კიში), ადგილის მფარველ სულებს (ჯერ იქესი), კერის, ოჯახის მფარველ (იიესი, ბაიჩი, იუი ბიჩი) ღვთაებებს. მათ საკედეს უტოვებდნენ კერასთან. ჩვეულებების მთელი ციკლი იყო დაკავშირებული მესაქონლეობასთან (მსხვერ-პლშენირვა ავი თვალისგან დასაცავად და სხვ.), მიწათმოქმედებასთან (წვიმის გამოწვევა და სხვ.), სამეურნეო საქმიანობის დაწყებასა და დასრულებასთან. დაკრძალვა მუსლიმანური წესით ხდებოდა, მაგრამ საფლავის ქვაზე იმქვეყნიური ცხოვრებისათვის „საჭირო“ საგნების გამოხატვა იცოდნენ. ექიმბაშები (ხიინიჩი) და მოლები გათვალვასა და ავი სულისგან განსაკურნად მაგიურ ქმედებებს მიმართავდნენ.

## ბალყარელები

ბალყარელები (თვითსახელნოდება თაულუ, მალყარლი) ყარა-ჩაელთა მონათესავე კავკასიელი ხალხია, რომლებიც დასავლურ-თურქული (ყივჩაყური) ჯგუფის ყარაჩაულ-ბალყარულ ენაზე ლაპარაკობენ. დღეს ისინი ცხოვრობენ ყაბარდო-ბალყარეთში, სა-დაც უმცირესობას ნარმოადგენენ. კავკასიის რეგიონში ისინი მონ-ღოლთა შემოსევის დროიდან ჩნდებიან. ბალყარელთა ნინაპრებმა ცენტრალური კავკასიის ხეობებში შექმნეს ხუთი დიდი საზოგა-დოება ანუ თემი (ბალყარის, ხულამის, ბეზინგის, ჩეგემის, ურუს-ბიევის). საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ხეობების მიხედვით ახდენენ. ბაქსანის ხეობის მცხოვრებლები თავს ბახსანჩის (ბაქსანელები) უწოდებენ, ჩეგემის ხეობის მცხოვრებლები – ჩეგე-მლის, სხვები – ხალამლის, ბაზინგილის, მალყარლის.

ბალყარული დასახლება მთისნინეთისა და დაბლობის ტიპის იყო. სოფელი (ელ) სამეურნეო საქმიანობისთვის ნაკლებ ვარგის

და ამავე დროს მტრისთვის შედარებით მიუდგომელ ადგილას, ხეობებში მდებარეობდა. განსახლება მჭიდრო ტერასული ტიპის იყო. სოფელი ვიწრო გასასვლელებით იყო დაქსელილი, რომლებიც ჩიხით მთავრდებოდა. საცხოვრებლის ტიპი დროთა ვითარებაში იცვლებოდა. ყველაზე ადრეული იყო ნახევრად მიწური და მიწის ზედა ქვის, ზოგან ხის სახლები. ქვის სახლის პირველადი ტიპი იყო ერთოთახიანი, სწორკუთხა სახლი, რომელშიც პატრი-არქალური ოჯახი ცხოვრობდა. ასეთი სახლის კედლები გაუთლელი ქვისგან ამოჰყავდათ და თიხით აშენებდნენ. კედლების სისქე მეტრადე აღნევდა. იატაკი მიწის იყო. გადახურვა ბრტყელი მიწური. სახლს არ ჰქონდა ფანჯრები, მათ სახურავზე დატანებული ერთი ან ორი ღიობი ცვლიდა. ოთახი დიდი ღია კერით (ოჯაგა) თბებოდა. იგი ნარმოადგენდა ქვის ფილებით შემოფარგლულ პატარა ჩაღრმავებას. ჭერიდან ჩამოშვებული იყო ლითონის ჯაჭვი ქვაბისთვის. საკვამურის მოვალეობას ჭერის ღიობები ასრულებდა. ხის სახლები ქვის სახლისგან მხოლოდ მასალით განსხვავდებოდა. ბალყარეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია საომარი კოშკები (კალა). საცხოვრებლისგან განსხვავებით ისინი თლილი ქვისგან შენდებოდა და ცემენტით დუღაბდებოდა. კოშკები სხვადასხვა ფორმის იყო, ძირითადად გვხვდება სწორკუთხა და ზემოთ დავიწროებული. XIX საუკუნიდან შეიცვალა საცხოვრებლის ტიპი, დაინტერირებული. საცხოვრებლის შენება, რომელთაც დარაბებიანი, შემინული ფანჯრები ჰქონდათ. ხის სახლებს ძელზე ან ქვის ფუნდამენტზე აშენებდნენ, გადახურვა ორფერდა, კრამიტით ან ყავრით დაფარული იყო. გაჩნდა ხის იატაკი და ჭერი, ორსართულიანი სახლები. სახლის შიგნით კედლის გასწვრივ ხის (უფრო ადრე ქვის) ტახტები ან საწოლები იდგა. კედლებზე ერთ ან ორ რიგად ენყობოდა ხის თაროები, რომლებზეც ხის, თიხისა და სპილენძის ჭურჭელს ათავსებდნენ და თექით ან ნაჭრით ფარავდნენ.

ბალყარული ტანსაცმელი სხვა ჩრდილო კავკასიელების (ყარაჩაელების, ყაბარდოელების, ოსების და სხვ.) ტანსაცმლის მსგავსია. მამაკაცის კოსტიუმი შედგებოდა განიერი შარვლის, ჩოხა-

ახალუხის, ცხერის ტყაპუჭის ან ნაბდის, ფაფახის ან ყაბალახის და ტყავის ფეხსაცმლისაგან, ზამთარში კავკასიური ნაბდის ჩექმისგან. ქალის ტანსაცმელი იყო გრძელი ტუნიკის მაგვარი, ფერადი აბრეშუმის პერანგი, კოჭებამდე განიერი შარვალი, მოქარგულ-მოსირმული კოფთა და კაბა ვიწრო აზლუდითა და განიერი, გრძელი, ნინ ჩაჭრილი ქვედატანით. XIX საუკუნიდან დაიწყეს სამკერდების ტარება, გრძელი შარვალი კი მოკლეთი შეიცვალა. კაბის სახელოები გრძელიც შეიძლებოდა ყოფილიყო და იდაყვამდეც, საიდანაც პერანგის სახელო ჩანდა. ატარებდნენ ვერცხლით მორთულ ვერცხლის ან ტყავის ქამრებს. თავსაბურავი იყო მაღალი ცილინდრისებრი, მოქარგულ, მოსირმული და ვერცხლით მორთული ქუდი, რომელზეც იხურავდნენ აბრეშუმის მოსახვევს. გათხოვილი ქალი მოსახვევით თავნაკრული დადიოდა.

ბალყარული საკვები ძირითადად რძის პროდუქტებისგან (ყველი, კარაქი, აირანი, არაუანი, ყაიმალი, და სხვ.) შედგებოდა. ყველის ბევრი სახეობა ჰქონდათ (ცხერის, თხის, ძროხის, გამომშრალი (გამოყვანილი) ყველი, ჭყინტი ყველი). ყველისგან ცხელ კერძებსაც ამზადებდნენ (ყველის ფაფა, სადლესასწაულოდ კი უფრო მეტად ხორციან კერძებს (ძირითადად ცხერის ხორცი გამოიყენება). იცოდნენ ხორცის დაკონსერვება და ძეხვის დამზადება. მცენარეული პროდუქტები ნაკლებ გამოიყენებოდა. პური ხმიადის სახით მზადდებოდა. საფუარიანი პური მოგვიანებით რუსებთან ურთიერთობის შემდეგ გაჩნდა. ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ღვეზელს (ხიჩინი), ფუნთუშებს.

ბალყარების ძირითადი საქმიანობა მომთაბარული მესაქონლეობა (მეცხვარეობა, მეცხენეობა, მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენება) იყო. არსებობდა მთური მინათმოქმედებაც, რომელსაც დამხმარე მეურნეობის სახე ჰქონდა. მოჰყავდათ ქერი, ფეტვი, ხორბალი. XIX საუკუნიდან დაიწყეს კარტოფილის თესვა. მოგვიანებით კი — ბალჩეული და ტექნიკური კულტურების მოყვანა. შედარებით ახალი დარგია მებაღეობა. მთაში ნარმოებდა მინის ტერასული დამუშავება, იღებდნენ ახოს, ჰქონდათ ხელოვნური რწყვის სისტემა და იცოდნენ მინის განოყიერება ნა-

კელით. სახნავი იარაღი ადგილობრივ მზადდებოდა ან საქართველოდან შეჰქონდათ. იყენებდნენ ხის სახნის რეინის პირით, ადგილობრივ ნამგალს, ორპირიან ცელს. ჰქონდათ წყლის და ხელის ნისქვილები.

ბალყარები თავად იკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და საოჯახო ნივთებზე. ამზადებდნენ ნაბდებს (ჟამჩი). ბალყარები განთქმული იყვნენ მატყლის დამუშავების მაღალი ოსტატობით. მატყლს რთავდნენ ხის ხელის სართავით. შეულებავი მატყლის ნართისგან ამზადებდნენ რუს, ყავისფერ, შავ მაუდს. იცოდნენ ნართის ღებვაც. ამზადებდნენ ხალიჩებს, თექებს ჩატექეპნილი ფერადი ორნამენტით (კიიზ).

მამაკაცთა საქმედ ითვლებოდა ხის დამუშავება. ორნამენტითა და მინიატურული სკულპტურით ამკობდნენ ჭურჭელს, ავეჯს. ძველად ჰყავდათ იარაღის ოსტატები.

ბალყარებს XIX საუკუნეში ძირითადად პატარა ოჯახები ჰქონდათ. თუმცა შემორჩენილი იყო დიდი ოჯახებიც. პატრიარქალური ოჯახის უფროსი ერთპიროვნულად წყვეტდა ყველა საკითხს. შრომა თანაბრად იყო განაწილებული. არსებობდა ყალიმის გადახდის ლევირატის, ქალის მოტაცების, გაძიძავების ჩვეულებები, გვაროვნული და ფენობრივი ეგზოგამია. საქორწინო ჩვეულებები სხვა კავკასიელთა მსგავსია: საცოლე და საქმრო თავს არიდებდნენ ერთმანეთის უფროს ნათესავებს, ახალგაზრდა ქმარი გარკვეული დრო მეგობართან ცხოვრობდა და მალულად სტუმრობდა ცოლს და სხვ. ბავშვის დაბადებიდან მეშვიდე დღეს სტუმრებს იწვევდნენ, ბავშვს სახელს არქმევდნენ და აკვანში გადაჰყავდათ. ოთხი წლის ბიჭებს წინადაცვეთას უტარებდნენ.

ბალყარები ისლამზე XVIII საუკუნეში ნოღაელთა და თათართა გავლენით მოექცნენ. ისინი სუნიტი მუსლიმები არიან. ყოფაში დღემდეა შემორჩენილი ისლამიამდელი, ქრისტიანული და წინარექტისტიანული წარმოდგენები. დაკრძალვის წესი მუსლიმანურია. დაკრძალვიდან 6-7 დღე გარდაცვლილის სახლში საჭმელი არ მზადდებოდა. მეზობლები უკეთებდნენ. დაკრძალვის დღეს კლავდნენ საქონელს და ხორცს ღარიბებსა და ობლებს

ურიგებდნენ. იცოდნენ მესამე ან მეშვიდე დღის აღნიშვნა. ამ დღეს განმანველებსა და ღარიბებს გარდაცვლილის ნივთებს აძლევდნენ, ბავშვებს კი ტკბილეულსა და ღვეზელებს ურიგებდნენ. იცოდნენ გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის (კლავდნენ საკლავს – ცხვარს ან ხარს) და წლისთავის აღნიშვნა.

## ადილეელები

ადილეელები (თვითსახელწოდება ადილე) ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი ხალხია. ისინი ცხოვრობენ ადილეს ავტონომიურ ოლქში. დღეს ჩერქეზები, ადილეელები და ყაბარდოელები სხვადასხვა ხალხად განიხილება. თუმცა თავდაპირველად ეს ერთი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი ინდიგენური ხალხი იყო, რომელიც თავს ადილეს უწოდებდა. XIII-XIV საუკუნეებში ადილეების ერთი ნაწილი თერგის აუზში, თანამედროვე ყაბარდოს ტერიტორიაზე გადასახლდა, მეორე ნაწილი ყუბანსა და შავიზლვისპირეთში დარჩა. მათ გამოყვნენ ყაბარდოელები. დასავლეთი ტომები გახდნენ ადილეელების უშუალო ნინაპრები. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ბჟედულები, აბაძეხები, შაფსულები, ჭემგუელები, ბესლენელები და სხვა მცირე ჯგუფები. XIX საუკუნის 60-იან წლებში მათი დიდი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადილეური ჯგუფის ადილეურ ენაზე, რომელსაც ოთხი დიალექტი აქვს: ბჟედუსური, აბაძეხური, შაფსულური, ჭემგუსური. ანთროპოლოგიურად ყველაზე ახლოს ყაბარდოელებთან არიან. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწევრების მიუხედავად ადილე-ჩერქეზების და ყაბარდოელების (ბჟედულები, აბაძეხები, ბესლენელები, შაფსულები, ნათუხაელები, ხათუკაელები, თემირგოელები და სხვ.) ეთნიკური იდენტიფიკაციის და თვითიდენტიფიკირების სიმბოლოები, გარდა საერთო სახელისა (ადილე), არის ენა (ადილებზე) და სულიერი კულტურისა და ფსიქოლოგიური წყობის ერთობა, რაც ვლინდება ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა, „ადილაგე“ (ადილელობა), „ადილე შჩებ“

(ადილური ხასიათი) და სხვ., რომლებიც „ადილე ხაბზე“ -ს (სამართლებრივი საქართველოს კანონების, ჩვეულებების და ეთიკის კრებული) შემადგენელი ნაწილია.

ადილეური სოფელი (ხაბლი) რამდენიმე ტიპის იყო. შავმინანიადაგებზე საკარმიდამო ნაკვეთები დიდ ფართობზე იყო გაშლილი. უფრო მაღალ ადგილებში სახლდებოდნენ ცალკეულ მამულებად. სტეპების მიმდებარე ტერიტორიაზე საერთო ზღუდით შემოსაზღვრულ მჭიდრო დასახლებებს ქმნიდნენ, ასეთი სოფლის ცენტრში იყო მეჩეთი და ბაზარი, კიდეებზე ნისქვილები. სოფლის გარშემო იყო კალოები, ასევე სასაფლაო, ნინძა ტყეები და ხეები. თავდაპირველად ადილეელთა დასახლებები, როგორც ჩანს, ნათესავთა გაერთიანებები უნდა ყოფილიყო. დღემდეა შემორჩენილი გვაროვნულ-პატრონიმიული უბნები. XX საუკუნის დასაწყისისთვის ადილეელების სოფლებმა რუსული სტანიცების იერი მიიღო. ტიპური ადილეური ნაკვეთი შედგებოდა საერთო ლობის შიგნით მოთავსებული სამი ერთმანეთისგან წნულით გამოყოფილი ეზოსგან, ერთი შემოსასვლელით გზის მხრიდან და რამდენიმე პატარა გასასვლელ-გადასაძრომით. ნაკვეთის ფორმა ჩვეულებრივ ოთხეუთხა იყო. ყოველ ნაკვეთში იყო ერთოთახიანი საყონალო მიშენებული თავლით. საყონალოს საუკეთესო ადგილას დგამდნენ და მაღალ წნულს ავლებდნენ. მოგვიანებით სასტუმრო ოთახმა სახლში გადაინაცვლა. სამეურნეო ნაგებობები (სამზარეულო, საცხობი, საქათმე, ბელელი, ფარდული ხელის ნისქვილისთვის, ფარდულები სასოფლო-სამეურნეო იარაღი-სათვის) ლობის გასწვრივ იყო განლაგებული. მთავარ ეზოს ეკვროდა მეორე ეზო დამხმარე ნაგებობებით ცხენებისა და საქონლისთვის. ნაკვეთს ჰქონდა ბოსტნები და ბაღები. საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობების კარკასი წნული იყო, თიხით ილესებოდა და და ლერწმით ან ჩალით იხურებოდა. ერთ ან რამდენიმე ოთახიანი საცხოვრებელი სწორეული სწორეული სიყო. ყოველი დაქორწინებული ვაჟისთვის სახლს ცალკე ითახი მიშენდებოდა, საკუთარი კერითა და ეზოში გასასვლელით. სახლი იყოფოდა ქალისა და მამაკაცის მხარეებად, ქალის იყო მარცხენა, მამაკაცის კი მარჯვენა



მხარე. კერძო (ოჯევ) კედელზე იყო მიშენებული, თიხატკეპნილი დირი და წნული, თიხით შელესილი საკვამური ჰქონდა. ავეჯა წარმოადგენდა დაბალი ტახტები, სამფეხა მაგიდები (ანე) და სკამები. ინტერიერში ბევრი ბალიში ჰქონდათ. ოთახშივე ინახებოდა სამზარეულო მონცყობილობა და თვითნაკეთი სკივრები სხვადასხვა საოჯახო ნივთებით. უმეტესწილად ხის ჭურჭელი გამოიყენებოდა. ოჯახის წევრები ცალ-ცალკე ჭამდნენ. მამაკაცი არასოდეს დაჯდებოდა საჭმელად ცოლ-შეილთან ერთად.

XX საუკუნიდან ცვლილებები განიცადა როგორც კარმიდამომ, ისე დასახლების ტიპმა. შემცირდა დამხმარე ნაგებობების რიცხვი. შეიცვალა სახლის კონსტრუქცია, ფორმა და შიდა მონცყობილობა. ოთახები შიგნიდან ერთმანეთს დაუკავშირდა, მაგრამ შენარჩუნდა ცალკე გასასვლელი ეზოში. საყონალო სახლის შიდა ელემენტად იქცა. შეიცვალა ავეჯი, ჭურჭელი, ტრადიციული ჭურჭლიდან შენარჩუნდა სპილენძის სურა (კუმგან), ასევე, ხელის ნისქვილები, თუჯის ქვაბები ღომისა და ფაფისთვის, წნული კალათები ყველისათვის, ზოგჯერ გვხვდება კარაქის სადღვებები. ადილეელთა ყოფისთვის შედარებით ახალი ელემენტია ხორბლის პური, ტრადიციულად სიმინდის ფქვილის ღომს (მამრი), ასევე რძის პროდუქტებს, ცხვრისა და ფრინველის ხორცს იყენებდნენ.

ადილე მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელია განიერი შარვალი, ზედატანი (ჯანი), ახალუხი (კეპტალ), ჩოხა (ციი), რომელიც ფართო სახელოებიანი, მუხლს ქვემოთ დაშვებული იყო. იკვრებოდა ლილებით და შემორტყმული ჰქონდა ტყავის ქამარი, ვერცხლის მოსართავებით. ძირითადად ყავისფერ ჩოხას მკერდზე სატყვიერები ჰქონდა. ატარებდნენ ხანჯალს, ნაბადს. თავსაბურავი სხვადასხვა სახის იყო (დაბალი და მაღალი ფაფახები, მაუდის ფესკები). ისინი დღემდეა ხმარებაში. ქალი ატარებდა ორ, შიდა მოკლე და ზევიდან გრძელ, ვინრო ჰერანგს. კოჭებთან დავიწროებულ შარვალს. ქალიშვილები — კორსეტს. პერანგზე იცვამდნენ მოკლე კოფთას მკერდზე მასიური ვერცხლის (ან ლითონის მოვერცხლილი), ზოგჯერ მოსევადებული შესაკრავებით. კოფთას



სირმავდნენ. ქალის კაბა (საი) ჭრილით ჩოხას ჰგავდა. მუქი ფერის იყო, კიდეებზე მოსირმული და ნაქარგობით დამშვენებული. ატარებდნენ ვერცხლის, ლითონის ან ნაჭრის ქამრებს. გარეთ გას-ვლისას იხურავდნენ შალს. ქორწინებამდე გოგონები ერთ ან რამ-დენიმე ნაწილს ატარებდნენ. გათხოვილი ქალები თმას მოსახ-ვევში იკრავდნენ. ბავშვის გაჩენის შემდეგ ატარებდნენ ნიკაპქვეშ შეკრულ მოსახვევს.

ადილეელთა წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება. ძირი-თადად მოჰყავდათ ქერი, ფეტვი, ხორბალი და სიმინდი. სამეურ-ნეო იარაღები მარტივი იყო: ხის სახნისი რკინის პირით, ნამგალი, ცელი. მარცვლეულს ინახავდნენ დაწნულ, თიხით შელესილ სათა-ვსებში (სიმინდს — შეულესავში). ფქვავდნენ ხელის საფქვავით. განვითარებული იყო მებაღეობა (ცნობილი იყო ადილეური ვაშლი და მსხალი), ასევე — მევენახეობა. მნიშვნელობით მიწათმოქმედე-ბას ოდნავ ჩამორჩებოდა მესაქონლეობა (უპირატესად მეცხვარე-ობა, მეთხეობა, მეცხენეობა, შედარებით ნაკლებ მსხვილფეხა საქონლის მოშენება). მეცხენეობა ეროვნულ საქმიანობას წარმოად-გენდა, მაგრამ XIX საუკუნიდან მან თანდათან დაკარგა მნიშ-ვნელობა. მისდევდნენ მეფრინველეობას, მეფუტკრეობას. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ნადირობას. ხელოსნობის დარგებიდან განვითარებული იყო სამჭედლო და საფეიქრო საქმე.

ადილეელთა საზოგადოება პატრიარქალური იყო. სასოფლო თემები (კუაჯ, პსიხო) პატრონიმიულ ჯგუფებად იყო დასახლე-ბული. დაცული იყო ეგზოგამია. ძირითად სოციალურ ერთეულს პატარა ოჯახი წარმოადგენდა. ოჯახში ქალის უფლებები შეზღუდული იყო ადათობრივად და შარიათით. ქალი არ მონაწი-ლეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგრამ საოჯახო მეურ-ნეობაში მთავარ როლს ასრულებდა. იგი განაგებდა საკვებ პროდუქტს, მას ებარა ბავშვების აღზრდა. ქალი დიდ როლს ას-რულებდა მესისხლეთა შერიგებისას და შვილად აყვანის ჩვეულე-ბაში. ადილეური ეგზოგამიური ქორწინება მონოგამიურიც იყო. ქორწინება მშობელთა წინასწარი შეთანხმებით წყდებოდა. იცოდ-ნენ ქალის მოტაცებაც. სასიძო იხდიდა ყალიმს, შარიათით ასევე

დამკვიდრებული იყო გარკვეული ფულადი ვალდებულება (კუ-  
 ბინ-ხაკი), რომელიც პატარძლის პირადი საკუთრება იყო. ლევი-  
 რატი დიდი ხნის მანძილზე მოქმედი ჩვეულება იყო. განეორნინე-  
 ბა დაშვებული იყო, მაგრამ გაყრის შემთხვევაში შვილები მამის  
 სახლში რჩებოდნენ, ქალის მშობლების ოჯახში მიბრუნება კი დიდ  
 სირცხვილად ითვლებოდა.

ადილელები ხელმძღვანელობდნენ ადათით (ადილე ხაბზე),  
 რომლის ძირითადი ქარგა ისლამამდელი წარმოშობისაა. ადათო-  
 ბრივი სასამართლო საქმის სიტყვიერ გარჩევას გულისხმობდა.  
 სასამართლო საჯარო იყო. ორივე მხარეს მათ მიერვე არჩეული  
 წარმომადგენლები ჰყავდა, ინვევდნენ მონმეებს. თუ ადათში მს-  
 გავსი პრეცენდენტი არ არსებობდა, მაშინ ადათის საერთო პრინც-  
 იპების მიხედვით გამოქვენდათ გადაწყვეტილება (მასლაგათი),  
 რომელიც დროთა ვითარებაში ადათში გადადიოდა. მძიმე დანა-  
 შაულის (მკვლელობა, ძალადობა, დაჭრა და სხვ.) საკითხი სისხ-  
 ლის აღებით წყდებოდა. დაშვებული იყო ე.ნ. „სისხლის გამოსასყ-  
 იდი“. ადილეურ სამართალზე გავლენა იქონია მუსლიმანურმა  
 შარიათმა, მაგრამ ადათი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებ-  
 და ყოფაში.

ადილელთათვის დიდი მნიშვნელობის მქონე იყო სტუმარ-  
 მასპინძლობის ჩვეულება. იგი წმინდა მოვალეობად ითვლებოდა.  
 მტრისთვისაც არ შეიძლებოდა უარის თქმა, თუ ის თავშესაფარს  
 ითხოვდა. სტუმარი ხელშეუხებელი იყო. მისი მიღებისას იცავდ-  
 ნენ განსაკუთრებულ ეტიკეტს. სტუმარს ჭამის წინ და შემდეგ  
 ბანდნენ ხელებს, თუ მასპინძელი სტუმარზე ახალგაზრდა იყო  
 მასთან ერთად სუფრასთან არ დაჯდებოდა, იდგა და თვალყურს  
 ადევნებდა რომ ყველაფერი დროზე მიერთმიათ, თუ სტუმარ-  
 მასპინძელი ერთად ისხდნებ, მასპინძელს არ ჰქონდა უფლება  
 სტუმარზე ადრე შეეწყვიტა ჭამა და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანი  
 ჩვეულება იყო უფროსების პატივისცემა. სასოფლო სამეურნეო  
 თუ სხვა საქმიანობისას მიღებული იყო ურთიერთდახმარების  
 ფორმები, პირველ რიგში, გვაროვნული ნიშნით. გაძიძავებისა და  
 ძმადნაფიცობის ჩვეულებების გარდა, არსებობდა შვილად აყვა-

ნის ჩვეულება, ძმად ან დად მიღება და სხვ.

ადრეულ შუა საუკუნეებში ადილეელებთან გავრცელდა ქრისტიანობა, რომელიც ოფიციალური კულტის უფლებებით სარგებლობდა. ჰქონდათ საკათედროები და ჰყავდათ ეპისკოპოსები. ქრისტიანობის არსებობის კვალი დღემდე შეიმჩნევა (კვირის დღეების სახელები, ჯვრის კულტი და სხვ.). XVI საუკუნიდან ყირიმელი თათრების გავლენით ადილეელებში გავრცელდა სუნიტური ისლამი, რომელმაც სინკრეტული ხასიათი შეინარჩუნა. დღემდე შემორჩენილი საერთო ადილეული ლვთაებები მესისა და ელვის ღმერთი (შიბლე), ნაყოფიერების ლვთაება (სოზერება), მესაქონლეობის მფარველები (ემიშა, ახინა, ხაკუსტაშა), მჭედლობის მფარველი (ტლეპშა) და სხვ. ასევე შემორჩენილია ნმინდა ტყეები. გვალვის დროს იციან მაგიური რიტუალების შესრულება და სხვ.

ადილეელებს გააჩნიათ მდიდარი ფოლკლორი (ნართების ეპოსი, ზღაპრები, სასიმღერო კულტურა, ცეკვები). აქვთ ტრადიციული თამაშები (ქვის აწევა, სროლა, ჭიდაობა, სირბილი, ხტომა, დოლი და ჯირითი).

## ჩერქეზები

ჩერქეზები (თვითსახელწოდებაა ადილე), ადილეელები და ყაბარდოელები სხვადასხვა ხალხად განიხილებიან. თუმცა თავდაპირველად ეს ერთი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელი ინდიგენური ხალხი იყო. ისინი თავს ადილეის უნიდებენ, თურქულად კი ჩერქეზები ჰქვიათ. ამავე სახელით არიან ცნობილი ევროპაშიც.

XIV-XV საუკუნეებში ჩერქეზებმა გაიფართოვეს საცხოვრებელი არე შავი ზღვის სანაპიროდან სამხრეთით და აღმოსავლეთით. ამ დროს მათ გამოეყვნენ ყაბარდოელები. ადილეელები ისლამზე XVI საუკუნეში ყირიმელი თათრების გავლენით მოექცნენ, მაგრამ ისლამმა ფესვები ღრმად ვერ გაიდგა. მათ ჩამოაყ-

ალიბეს ფეოდალური საზოგადოება, არისტოკრატიის, თავისუფალი მეთემებისა და მონების შემადგენლობით.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ისინი ანარმოებდნენ ომებს რუსეთის ნინააღმდეგ, მაგრამ შამილის ამბოხებისთვის მხარი არ დაუჭერიათ.

ჩერქეზეთი და ადილე საბოლოოდ რუსულ მმართველობას დაექვემდებარა და მათი სოციალური სტრუქტურა დაირღვა. ადილეელთა 90%-ზე მეტი ოტომანთა იმპერიაში გადავიდა. დღეს მილიონ ადილეზე მეტი ცხოვრობს თურქეთში, ნინა აზიასა და აშშში. დღეს ოფიციალურად მაინც ჩერქეზები და ადილეელები ორ განსხვავებულ ხალხად არიან აღქმული. ჩერქეზების ნახევარზე მეტი ადილეში ცხოვრობს, როგორც ადილეელები, ერთი მეოთხედი კი ყარაჩაი-ჩერქეზეთში, როგორც ჩერქეზები, ცხოვრობენ აგრეთვე რუსულ პროვინციებში — კრასნოდარსა და სტავროპოლიში. ორივე ჯგუფი აბსოლუტურ უმცირესობას ნარმოადგენს თავიანთ რეგიონებსა და რესპუბლიკებში. მათი ახლო ნათესავი — შაფსულები — კიდევ ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე, მათი სახელი შემოსავლის ორიგინალურ საშუალებას — ცხენების გამოყვანას უკავშირდება.

ჩერქეზები როგორც ადილეების საერთო სახელწოდება, წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში. ამ სახელწოდებით მოიხსენიებდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებამდე. ჩერქეზებს სსრკ-ში უწოდებენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობას (მათ შორის ყაბარდოელების ნინაპრებსაც, რომლებიც ყუბანში გადასახლდნენ XIX ს. I მეოთხედში). ლაპარაკობენ ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენაზე, რომელიც განეკუთვნება კავკასიური ენების აფხაზურ-ადილეურ ჯგუფს. ჩერქეზებს უწოდებენ აგრეთვე თავიანთ თავს XIX საუკუნეში ოსმალეთში გადასახლებული კავკასიელი მთიელები — ადილეელები, აფხაზები, ოსები და ა.შ. საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ეთნონიმი ჩერქეზი დღემდე იხმარება, როგორც ყველა ადილეს სახელწოდება.

ყაბარდოელთა ნაწილი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გა-

დავიდა ყუბანის ზემო წელზე და დღეს ისინი შეადგენენ ჩერქეზის ხალხს. ჩერქეზთა ძირითადი მასა ყარაჩაი-ჩერქეზეთში მდინარეების — დიდი და პატარა ზელენჩუკის — აუზებში ცხოვრობს. ძველად ტერმინი „ჩერქეზი“ უფრო ფართო ცნება იყო და აღნიშნავდა ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ყველა ადილეს, ე. ი. თანამედროვე ადილებს, ყაბარდოელებს და ჩერქეზებს. მათ შეინარჩუნეს საერთო სახელი ადილე, ყაბარდოელები თავს აგრეთვე ყებერდების უწოდებენ.

## ყაბარდოელები

ყაბარდოელების თვითსახელწოდებაა ყებერდე, ადილე. ისინი ადილეელების აღმოსავლეთ შტოს წარმოადგენენ. ცხოვრობენ ყაბარდო-ბალყარეთის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნანილში, აგრეთვე ადილეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში. ყაბარდოელების ენა ყაბარდოულ-ჩერქეზული (ბაქასანური დიალექტის საფუძველზე), ეკუთვნის დასავლეთ კავკასიური (აფხაზურ-ადილეური) ენების ოჯახის ადილეურ შტოს. მას აქვს სხვადასხვა დიალექტები და კილოები: დიდი ყაბარდული, მოზდოკური, ბესლენური, ყუბანო-ზელენჩუკური, მცირე ყაბარდოული. დამწერლობა 1936 წლიდან რუსულ გრაფიკულ საფუძველზეა. ყაბარდოელებს ადილეელებსა და ჩერქეზებთან საერთო წარმომავლობა აკავშირებთ. დიდია მსგავსება მათ ენასა და კულტურის ელემენტებს შორის.

ყაბარდოელების სოფლები ძირითადად სტეპებში და მთისწინა ზოლშია განლაგებული. მათი დასახლება (კუაჟე) წნული ლობით ან არხებით გამოყოფილი, არათანაბრად განაწილებული საკარმიდამო ნაკვეთების პატარა ჯგუფს წარმოადგენდა. მათ გარს ერტყა ბალები და მინდვრები. კარმიდამო წნულით ან დაბალი ქვის ზღუდით შემოლობილი ვრცელი ეზო იყო, რომლის სიღრმეში იდგა საცხოვრებელი სახლი. ეზოში განალაგებული იყო ძირითადად წრიული ფორმის სამეურნეო ნაგებობები (მარცვ-

ლეულის სათავსი, თავლა, საქათმე და სხვ.). საცხოვრებელ ეზოს ეკვროდა ეზო და სადგომი საქონლისთვის, ასევე საკარმიდამო ნაკვეთი სიმინდითა და ბოსტნეულის ნათესებით. შეძლებულთა ნაკვეთში იდგა აგრეთვე სპეციალური ე.ნ. საყონალო ნაგებობა ცალკე ეზოთი. საცხოვრებელი სახლი (უნე), ხის მორებისგან იყო ნაშენი, წარმოადგენდა ან მოხატვით. სახლი ერთსართულიან სწორკუთხა ნაგებობას ნარმოადგენდა, ერთი ან რამდენიმე ოთახით. ყოველი ოთახის კარი ეზოში გამოდიოდა. ფანჯრები ხის დარაბებით იკეტებოდა. ოთახების რაოდენობას საქორნინო წყვილების რაოდენობა განსაზღვრავდა. მთავარი ოთახი (უნე-შხო) მშობლებისა და დაუოჯახებელი შვილებისთვის იყო განკუთვნილი. ნაკლებ შეძლებულები საყონალოდ სახლის ერთ ოთახს გამოყოფდნენ. სახლის შიდა მოწყობილობა საკმაოდ უბრალო იყო. ოთახის სიღრმეში იდგა ოჯახის უფროსის ხის საწოლი. დღისით ლოგინს სპეციალურ თაროებზე ან ოთახის კუთხეში მდგარ სკივრში ინახავდნენ. სანოლზე აფარებდნენ ხალიჩას ან თექას და დღისით ტახტის ფუნქციას ასრულებდა. სახლის უკანა კედელზე განთავსებული იყო თაროები, ტანსაცმლის სკივრებისა და ლოგინებისთვის. კედლები მორთული იყო ხალიჩებითა და იარაღით, კედელზე ტანსაცმელსაც ჰკიდებდნენ. გვერდითი კედლის თაროებზე ენყო საოჯახო ნივთები და ჭურჭელი. კედელზე ჰკიდებდნენ დაბალ სამფეხა მავიდებსაც, რომლებსაც მხოლოდ ჭამის დროს გამოიყენებდნენ. კაცები ჩვეულებრივ დაბალ ხის სკამებზე ისხდნენ, ქალები ბალიშზე ან ტყავზე.

საჭმელად ჯერ მამაკაცები სხდებოდნენ, შემდეგ ქალები და ბავშვები.

საყონალოს მოწყობილობაც სხვა ოთახების მსგავსი იყო, იმ განსხვავებით, რომ იქ არ იყო სამეურნეო ნივთები და კედელზე მუსიკალური ინსტრუმენტები ეკიდა. ეს ოთახი სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი, ამავე დროს იგი ოჯახის მამაკაცების თავ-შეყრის ადგილსაც ნარმოადგენდა. დღისით დიდი ოთახი ქალებ-

ის განკარგულებაში იყო და იქ ოჯახის უფროსის ნახვა სირცე ვიღად ითვლებოდა. თუ სტუმრები არ ჰყავდათ, ოჯახის დაუქორნინებელი ვაჟები საერთოდ საყონალოში იძინებდნენ. ქალ სტუმრებს უნეშხოში იღებდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ცვლილებები ტრადიციულ ყოფაში. სახლებში გაჩნდა ხის ჩარჩოში ჩასმული შემინული ფანჯრები, ხის იატაკი და ჭერი, აივნები. დაიწყო ქვის სახლების შენება კრამიტიანი გადახურვით. სახლის შიდა მოწყობილობაში გაჩნდა ფაბრიკული ნაწარმი. იგივე დარჩა საკარმიდამო ნაკვეთის საერთო სახე, მისი სიდიდე, ნაგებობების განლაგება და შემადგენლობა.

მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმლის შემადგენელი ნაწილი იყო ჩოხა-ახალუხი, მარტივი ქრილის, თასმით შეკრული შარვალი, ნაპადი (ძირითადად, გრძელი, მოკლე ნაპადებს მწყემსები იყენებდნენ), ფაფახი ან თექის ფარფლებიანი ქუდი, ტყავის ან თექის ფეხსაცმელი და ტყავის ქამარი ვერცხლის ბალთით. ქალის კოსტიუმი რთული იყო ფორმით. იგი შედგებოდა გრძელი, სწორი, უმეტესნილად წითელი ან ნარინჯისფერი პერანგის (ჯანე), შარვლის, მუქი წითელი, შავი, იშვიათად ლურჯი ახალუხის მსგავსი კოფთის (რომელიც მკერდზე იკვერდოდა 20-მდე წევილი მასიური ვერცხლის შესაკრავით) და გრძელი, ჩოხის მსგავსი კაბისგან (დოსცეე). მაღალი წრის ქალიშვილები ატარებდნენ ტყავის კორსეტს. ასაკოვანი ქალების კაბა დაბამბული იყო. ახალგაზრდები ხმარობდნენ შალს.

თავსაბურავს სხვადასხვა ფორმა ჰქონდა. გოგონა მოსახვევით ან თავმოხდილი დადიოდა, ქალიშვილი იხურავდა ე.ნ. "ოქროს ქუდს", რომელსაც ატარებდნენ პირველი ბავშვის დაბადებამდე. იგი ნარმოადგენდა მაღალ ქუდს, ოქროს ან ვერცხლის სირმით ან ნაქარგობით, კონუსისებრი ან ბრტყელი ბოლოთი. ქუდზე ზევიდან იხურავდნენ თხელ აბრეშუმის მოსახვევს, რომლის ბოლოსაც ყელზე იხვევდნენ. ბავშვის დაბადების შემდეგ ატარებდნენ შუბლის მხარეს განსაკუთრებული კვანძით შეკრულ პატარა მოსახვევს, ზევიდან შალს, ისე რომ თმები არ გამოჩენილიყო. ფეხზე ეცვათ ტყავის ან ტარსიკონის, ხავერდითა და ვერცხლით განყობილი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. ყოფაში

ტრადიციული ტანსაცმლის ელემენტებიდან შემორჩენილია მა-  
მაკაცის თავსაბურავი და ნაბეჭდი.

ყაბარდოელებისთვის პურის შემცვლელი იყო ხორბლის სქე-  
ლი უმარილო ფაფა (პასტა), რომელსაც ცივად, ნაჭრებად დაჭ-  
რილს მიირთმევდნენ. რძის პროდუქტებიდან გავრცელებული იყო  
მჟავე რძე, ყველი, არაუანი, კარაქი. მოიხმარდნენ საქონლისა და  
ცხვრის ხორცს, ქათამს, ინდაურს, თაფლს.

ყაბარდოელების ძირითადი სამეურნეო დარგები იყო გადა-  
რეკვითი მესაქონლეობა და სახნავი მინათმოქმედება. ძირი-  
თადად აშენებდნენ ცხენებს, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს,  
ცხვარს, თხებს. საქონელი ზაფხულში მთის საძოვრებზე ჰყავდათ,  
ზამთარში სტეპებში. XIX საუკუნეში საქონელი (ხარები და ცხ-  
ვრები) ფულადი ერთეულის როლს ასრულებდა. დიდი მნიშ-  
ვნელობა ჰქონდა მეცხენეობას. ყაბარდოელებმა გამოიყვანეს  
საჯდომ-სასაპალნე ცხენის ერთ-ერთი უძველესი ჯიში – ყაბარ-  
დოული ცხენი. იგი გამოირჩეოდა თვინიერებითა და ამტანობით  
და ცნობილი იყო ჩრდილო კავკასიის გარეთაც. ძველად ყაბარ-  
დოელები ცხენის ხორცსა და რძეს საკვებადაც იყენებდნენ. ცხ-  
ენს დიდი დატვირთვა ჰქონდა ტრადიციულ ყოფაში. ქორნილე-  
ბზე, დაკრძალვისას, საველე სამუშაოების დასრულებისას იმა-  
რთებოდა დოღი. ცხენების დამღა (დამიღა) თავდაპირველად საგ-  
ვარო ნიშანი იყო. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ მეცხ-  
ენეობის მნიშვნელობა თანდათან შემცირდა. მესაქონლეობის  
დარგებიდან საკმაო როლს თამაშობდა მეცხვარეობა. აშენებდ-  
ნენ აგრეთვე შინაურ ფრინველს (ქათამსა და ინდაურს).

მესაქონლეობასთან ერთად განვითარებული იყო მინათმო-  
ქმედება. მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები. ხნავდნენ მძ-  
იმე ხის სახნისით, რომელიც ახლოსაა ქართულ და უკრაინულ  
სახნისთან. სამეურნეო იარაღებიდან გამოიყენებოდა ნამგალი,  
ცელი. მარცვლეული ინახებოდა დაწნულ სათავსებში, ასევე  
დაწნულ, თიხით შიგნიდან გალესილ კალათებში. მარცვლეულს  
ხელის საფქვავებით ფქვავდნენ, რომელიც ყოველ ოჯახს ჰქონ-  
და. იყო ასევე მცირე წყლის ნისქვილებიც. შრომის დანაწილება

მკაცრად იყო განსაზღვრული. ხვნა-თესვა მამაკაცთა საქმე ჩემ. ხვნის დროს ქალებს საერთოდ ეკრძალებოდათ ველზე გამოჩენა. მოსავალსაც ძირითადად მამაკაცები იღებდნენ. ხელის საფქვავებზე ქალები მუშაობდნენ. მიწათსარგებლობის წესი სათემო იყო — ყოველწლიურად ნაწილდებოდა ნაკვეთები სოფლის უბნების მიხედვით, უფრო იშვიათად უბნებს შორისაც. ნაკვეთი გამოიყოფოდა ყოველ სახლზე (ეზოზე). ხვნის დაწყებისას (გაზაფხულზე) მამაკაცები ველზე გადიოდნენ და ქოხებში ცხოვრობდნენ ხვნა-თესვის დამთავრებამდე. იცოდნენ მიწის დასვენება.

საკმაოდ ძველი და კარგად განვითარებული მეურნეობის დარგი იყო მეფუტკრეობა. თაფლი საკმაოდ მნიშვნელოვან საკვებ პროდუქტს წარმოადგენდა. სკა კონუსისებრ თიხით შელესილ კალათას წარმოადგენდა, მრგვალი ძირით. მას ამაგრებდნენ დაბალ სკამზე ან სადგარზე და ზევიდან თივით ფარავდნენ. ზაფხულში სკები საძოვრებზე გადაჰქონდათ. სკების სოფელში დაბრუნებისა და თაფლის აღების დროს იმართებოდა დღესასწაული.

ყაბარდოში ხელოსნობის დარგებიდან განვითარებული იყო ნაბდებისა და უნაგირის წარმოება. ამზადებდნენ ასევე ქუდებს, თოკებს, მაუდს, ქეჩის. განვითარებული იყო ტყავის დამუშავება (მზადდებოდა ფეხსაცმელი, თასმები ცხენის აღვირისთვის, მათრახები). ყაბარდოული ტყავის წანარმი გამოირჩეოდა ნამუშევრის სიფაქიზით, სიმყარით და მოქნილობით. უნაგირისა და ლაგამის დამზადებაზე რამდენიმე ოსტატი მუშაობდა. უნაგირი ხისგან მზადდებოდა, მერე აკრავდნენ ტყავს, მჭედელი ამუშავებდა ლითონის დეტალებს, ოქრომჭედელი ამჟობდა ვერცხლით. მჭედლები ამზადებდნენ სამიწათმოქმედო იარაღების ლითონის ნაწილებს. განვითარებული იყო იარაღის წარმოება.

გავრცელებული იყო ხის დამუშავებაც. ლერწმის, ტირიფისა და თხილის წელისაგან წნავდნენ სხვადასხვა ნივთებს. წნავდნენ აგრეთვე სახლის კედლებსა და სათავსოებს, ლობეებს, სკებს, კალათებს. ამ საქმიანობით ძირითადად მამაკაცები იყვნენ დაკავებული. ხისგან მზადდებოდა ავეჯი, ჭურჭელი, მრგვალი მაგიდები (ანა), ლანგრები, ჯამები, აკვნები. კვეთდნენ ქვაზეც.

იცოდნენ საფლავის ქვებზე მცენარეული მოტივების ამოკვეთა და დაფურვა, ასევე საყოფაცხოვრებო საგნების ამოკვეთა. ქალები და ქავებული იყვნენ საფეიქრო საქმით (მოსირმვა, ქარგვა, ქსოვა, მატყლის დამუშავება). დღესაც ფართოდ არის გავრცელებული ფარდაგების წვნა ჭაობის ბალახებისგან. განვითარებული იყო საიუველირო საქმე.

ყაბარდოული გვარი ერთმანეთთან სისხლისმიერად და სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით დაკავშირებული ადამიანების ერთობას წარმოადგენდა. სოფელში (აული) გვარები უბნებად სახლობდნენ და სასოფლო სასაფლაოზეც საგვარო უბნების მიხედვით იკრძალებოდნენ. საზოგადოებრივ-საოჯახო ურთიერთობები პატრიარქალური იყო. გავრცელებული იყო სისხლის აღების, შვილად აყვანის, გაძიძავების, ქალის მოტაცების, ყალიმის გადახდის, სტუმარმასპინძლობის, ყონაღობის ჩვეულებები.

XIX საუკუნემდე არსებობდა დიდი პატრიარქალური ოჯახი (ბინიშეუ). იგი მოიცავდა საერთო მეურნეობის მქონე სამოთხოაობას. ოჯახის უფროსი (თჰამდა) განაგებდა საოჯახო საქმეებს. ქორწინება მკაცრად ეგზოგამიური იყო. ეგზოგამია ვრცელდებოდა ხელოვნურად დანათესავებულებზეც. საქორწინო წეს-ჩვეულებები რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. საცოლის არჩევის და მისი წათესავებისგან თანხმობის მიღების შემდეგ თანხმდებოდნენ ყალიმზე. შემდეგ ეწყობოდა ნიშნობა. დათქმულ დროს ხდებოდა ყალიმის ნაწილის გადახდა. გარკვეული დროის შემდეგ კი პატარძალი მიჰყავდათ. წევე-პატარძალი ვაჟის სხვადასხვა მეგობრის ოჯახში ბინავდებოდა და ერთმანეთს ლამით მაღლად ხდებოდა. მასპინძელ ოჯახებთან შემდგომი ურთიერთობა სისხლით წათესაურს უტოლდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ პატარძალი გადაჰყავდათ ქმრის ოჯახში ცალკე ოთახში (ლაგუნა). აუცილებელი იყო ახლობლებთან "შერიგების" რიტუალის შესრულება. მის შესრულებამდე საქმრო თავს არიდებდა წათესავებთან და აულის უხუცესებთან შეხვედრას. ცერემონია ლამით ტარდებოდა. ახალდაქორწინებული მიდიოდა მამასა და სოფლის უხუცესებთან და ისინი უმასპინძლდებოდნენ, ორი-სამი დღის შემდეგ იმართე-

ბოდა სადილი დედასა და სხვა ქალებთან. ლაგუნაში ერთი კვერცის  
მანძილზე ყოფნის შემდეგ ტარდებოდა პატარძლის უნეშხოში შეყ-  
ვანის რიტუალი. თავდახურულ პატარძალს ქალების თანხლებით  
უნეშხოში შეყვანისას აძლევდნენ თაფლისა და კარაქის ნაზავს და  
აყრიდნენ თხილსა და ტებილეულს. ქორნილიდან რამდენიმე ხნის  
შემდეგ პატარძალი მიემგზავრებოდა თავის მშობლებთან და  
გარკვეული დროის შემდეგ (ძველად ბავშვის დაბადების შემდეგ)  
ბრუნდებოდა ქმრის სახლში და ერთვებოდა სამეურნეო საქმი-  
ანობაში. ქმარი ცოლს მხოლოდ ღამით აკითხავდა, დანარჩენ დროს  
საყონალოში ან მამაკაცთა მხარეს ატარებდა. ცოლის ქონებას ნარ-  
მოადგენდა საქორნილო საჩუქრად მიღებული საქონელი. ცოლ-  
ქმარი ერთმანეთს სახელით არ მიმართავდა. ქალს არ ჰქონდა  
უფლება მამაკაცებთან დამჯდარიყო, ქმართან ერთად ეჭამა, და-  
ნოლილიყო ქმრის მოსვლამდე და ა. შ. ქმრის გარდაცვალების  
შემთხვევაში იგი მაზლს მიყვებოდა ცოლად. სხვაზე გათხოვები-  
სას ბავშვები მამის სახლში რჩებოდნენ.

ყაბარდოელები სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან. ისლ-  
ამი ყაბარდოში XVIII საუკუნეში თურქებისა და ყირიმელი თათრე-  
ბის გავლენით გავრცელდა საზოგადოების ზედა ფენებში. მანამ-  
დე ყაბარდოელებში ქრისტიანობა იყო გავრცელებული. ქრის-  
ტიანობა VI-VII საუკუნეებში გავრცელდა ბიზანტიისა და  
საქართველოს გავლენით. ქრისტიანობის კვალი ჩანს კვირის  
დღეებისა და ზოგიერთი ღვთაების სახელწოდებაში. მოზდოკსა  
და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ყაბარდოელები  
მართლმადიდებლები არიან (მათ მართლმადიდებელ ჩერქეზებს  
უწოდებენ). მაგრამ არც ქრისტიანობას და არც ისლამს არ  
გამოუდევნია სრულად მანამდე არსებული რწმენა-წარმოდგენე-  
ბი. თაყვანს სცემდნენ მთებს (მაგალითად, იალბუზი — ბედნიერი  
მთა, სულებით დასახლებულად ითვლებოდა), ტყეების, გარეუ-  
ლი ცხოველებისა და მონადირეების მფარველ (მაზითხა), ელვის  
(შიბლე), მეომართა და მოგზაურთა მფარველ (ზეკუთხა), მჭედელ-  
თა და რკინის მფარველ (თლეპშა) ღვთაებებს. ცალკეულ  
მფარველ ღვთაებებთან ერთად არსებობდა წარმოდგენა სიცოცხ-

ლის შემქმნელ ღმერთზე (თბილი). იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ წარმოდგენები მუსლიმანურს შეესატყვისება. მუსლიმანურია დაკრძალვის წესიც იმ გამონაკლისით, რომ საფლავის ქვებზე გამოხატავენ იმ საგნებს, რაც შეიძლება დაჭირვებოდა იმ-ქვეყნად გარდაცვლილს. უფრო ადრე იცოდნენ ამ საგნების ხის გამოსახულებების საფლავზე დაწყობა. ჰქონდათ მინისზედა დასაკრძალი ნაგებობები – ქვის აკლდამები. ბევრი რელიგიური ჩვეულება დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან (მაგ., ნვიმის გამოწვევის რიტუალები, კალის ნინაღმდეგ მიმართული რიტუალი და სხვ.) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დასაწყისი და დასასრული მსხვერპლშენირვით აღინიშნებოდა. იცოდნენ ურაზის (ერთოვანი მარხვის) დაცვა. გავრცელებული იყო სხვადასხვა მაგიური ქმედებები, მათ განსაკუთრებით ხშირად მკურნალობის საჭიროებისას მიმართავდნენ (მაგ., ჰქონდათ ამულეტები, მალარიის შემთხვევისას იცოდნენ გველის ტყავის დაწვა. განსაკუთრებული წესები არსებობდა ბატონებისა და მშობიარობის დროს). საზოგადოების სოციონორმატიული კულტურა რეგულირდებოდა ტრადიციული ეთნიკური და ეტიკეტით, რომელიც სინთეზირებულია სუნიტურ ისლამთან.

## პპაზეპი

აბაზების თვითსახელწოდებაა აბაზა. ისინი ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხია. ლაპარაკობენ ადილეურ-აფხაზური შტოს აბაზურ ენაზე, რომელსაც ორი ეთნოგრაფიული ჯგუფის შესატყვისი დიალექტი აქვს: ტაპანთური და აშხარული.

აბაზთა უძველეს საქმიანობას ნადირობა და ბეწვეულის რენვა წარმოადგენდა. აგროვებდნენ თაფლს, მოგვიანებით განვითარდა მეფუტკრეობა. XIX საუკუნიდან მეურნეობის წამყვან დარგად გადარეკვითო მესაქონლეობა იქცა. აშენებდნენ ცხვარს, თხას, ძროხას, კამეჩს, ცხენებსა და ვირებს. მინათმოქმედება დამხმარე

დარგს წარმოადგენდა. მოჰყავდათ ფეტვი, ჭვავი. ფეტვისგან შეა-დედოდა სქელი ფაფა (ბისტა), რომელიც პურის მაგივრობას სწორ-და, და ხმიადი (მგალ). სამინათმოქმედო იარაღები მარტივი იყო. არ იცნობდნენ სარწყავ მინათმოქმედებას. მეურნეობის დამხმარედარ-გი იყო შინამრეწველობა. ამზადებდნენ ნაბდებს, ქეჩას, ამუშავებდ-ნენ ტყავს. განვითარებული იყო მჭედლობა. ამზადებდნენ სამეურ-ნეო და საომარ იარაღებს.

აბაზების სოფელი საერთო ზღუდის შიგნით მოქცეულ არა-თანაბრად გაფანტული ეზოებისგან შედგებოდა. სოფელი იყოფო-და უბნებად. აბაზური ტრადიციული სახლი თიხით შელესილი ნნულია, იგი ერთ ან ორ ოთახს მოიცავდა და ჩალით იყო გადახუ-რული. კერაშიდა კედელთან იყო მოთავსებული. კედლების გასწვრივ იდგა ხის ან თიხის ტახტები, რომლებიც ქეჩით ან ბალიშებით იყო განყობილი. კედლები მორთული იყონ ბენვეულით, ფარდაგებით, იქვე ეკიდა ტანსაცმელი და იარალი. სახურავის ქვეშ ჰქიდებდნენ სიმინ-დის შეკვრებს. სახლს არ ჰქონდა ფანჯრები, სინათლე კედელში და-ტანებული პატარა ღრიფობიდან და კარებიდან შემოდიოდა. XX საუკუნის დასანყისიდან შეიცვალა სახლის ტიპი, დაინტეს სამოთ-ახიანი, შეთეთრებულ კედლებიანი სახლების შენება.

სხვა კავკასიელი ხალხების მსგავსად აბაზებთანაც გავრცელე-ბული იყო ათალიკობის, ყონალობის, სისხლის აღების ჩვეულებები. საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობები პატრიარქალური იყო. XIX საუკუნიდან უმთავრესად მცირე ოჯახი იყო გავრცელე-ბული. მკაცრად იყო დაცული უფროს-უმცროსის იერარქია. იცოდ-ნენ ქალის მოტაცება, არსებობდა ყალიმის გადახდის ჩვეულება. გავრცელებული იყო მრავალცოლიანობა.

XVII-XVIII საუკუნეებში ნოლაელთა გავლენით აბაზებში გავრ-ცელდა სუნიტური ისლამი, მაგრამ დიდხანს შემორჩია ადილელთა მსგავსი ისლამამდელი წარმოდგენები. ძლიერი იყო მონადირეთა ღვ-თაებისა და სამჭედლო საქმის კულტი. აბაზურ ფოლკლორში და-დასტურებულია გადმოცემები ნართებზე, განვითარებულია მუსიკალური ფოლკლორი (სასიმღერო-ინსტრუმენტული).

ოსების საკუთარი სახელებია ირონ, დიგორონ (შემორჩენილია ასევე თვითდასახელებები თუალაგ და ხუსაირაგ). ოსების რუსული და ევროპული სახელწოდება ქართული ოსიდან (ოვსი) მომდინარეობს. ოსები ლაპარაკობენ ოსურ ენაზე, რომელიც შედგება ირონული და დიგორული დიალექტებისგან და განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო-აღმოსავლურ ჯგუფს. ოსების უმეტესობა ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში ჩრდილო თემის რესპუბლიკა ალანიაში, სადაც უმრავლესობას წარმოადგენს.

ოსები ირანულად მოლაპარაკე შერეული წარმოშობის ტომობრივი გაერთიანების შთამომავლები არიან, რომლებიც ცენტრალური აზიიდან მოვიდნენ IV საუკუნეში. ოსთა ეთნოგრენეზი ჩრდილო კავკასიის მთიან რაიონებში მიმდინარეობდა. ანთროპოლოგიური და კულტურული თვალსაზრისით ისინი კავკასიის სხვა ხალხებთან ავლენენ მსგავსებას, რაც ხანგრძლივი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს. XIII-XIV საუკუნეებში ოსებმა თაგაურის, ქურთათის, ალაგირის და დიგორის საზოგადოებები ჩამოაყალიბეს. 1920-24 წლებში ოსეთი შედიოდა მთიელთა რესპუბლიკაში, შემდეგ მიიღეს ავტონომიური ოლქის, 1936 წლიდან კი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. დღეს ჩრდილო თემის რესპუბლიკა (ალანია) რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაშია, დედაქალაქია ვლადიკავკაზი.

ოსეთში დასახლების ორ ტიპი იყო გავრცელებული: მთური და ბარული. მთაში სოფელი (კაუ) შედარებით პატარა იყო. აქ საცხოვრებელი სახლი გვაროვნული დასახლების გამაგრებულ კომპლექსს წარმოადგენდა, რომელშიც შედიოდა ქვის გალავნის შიგნით მოქცეული საცხოვრებელი სახლი (ხაძარ), თავდაცვითი კოშკი და სამეურნეო ნაგებობანი. ასეთი კომპლექსის მახლობლად იყო განთავსებული საგვარეულო სასაფლაო და სალოცავი (ძუარ). ბარის დასახლებები გამოირჩეოდა მრავალრიცხოვნობით



და ქუჩებიც დაგეგმარებული იყო. სახლები ქვის ან ხის იყო, ურთისესობის მიზანით ან მინიჭილი იყო. საცხოვრებელ სახლში ქვე-და სართული საქონლის სთვის და სამეურნეო დანიშნულების სთვის იყო გამოყოფილი, ზედა კი საცხოვრებლად. ქვის ნეობა მშრალი იყო, სიცარიელეს მინით, იშვიათად თიხით ან კირქვის ხსნარით ავსებდნენ. სართულებშორის გადახურვა ხის იყო, სახლს ხის კარები ჰქონდა. ბრტყელი მიწატკეპნილი, ბანიანი გადახურვა ბოძებს ეყრდნობოდა. სახლის იატაკი მინის, იშვიათად ხის იყო. საცხოვრებელი ოთახის კედლები ილესებოდა და შეთეთრდებოდა. ფანჯრების ნაცვლად იყო ღრიფოები, რომლებიც ქვის ფილებით ან ხის დაფებით იხურებოდა. ორსართულიან სახლებს ხშირად ფასადის მხრიდან აივნები ჰქონდათ. სახლები მრავალოთახიანი იყო. ყველაზე დიდი ოთახი (ხადარ) ერთდროულად სასა-დილოც იყო და სამზარეულოც. აქ ატარებდა ოჯახი დროის დიდ ნანილს. ხადარის ცენტრში იყო კერა ღია საკვამურით, კერის თავზე ეკიდა ჯაჭვი ქვაბის სთვის. კერა და ჯაჭვი წმინდა საგნებად ითვლებოდნენ, აქ ლოცულობდნენ. კერა იყო ოჯახის ერთიანობის სიმბოლო. კერა ყოფდა ხადარს ქალისა და მამაკაცის მხარებად. მამაკაცთა მხარეს კედელზე ჰკიდებდნენ იარაღს, რქებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს. აქ იდგა ოჯახის უფროსის სისთვის განკუთვნილი, ხის, მოჩქურთმებული, ნახევრად მრგვალი სავარძელი. ქალების მხარეს იყო განთავსებული საოჯახო ნივთები. დაქორნინებულ ვაჟებს ოჯახით ცალკე საძინებელი ოთახები (უატ) ჰქონდათ გამოყოფილი, ზოგიერთ სახლში ასევე გამოყოფილი იყო სასტუმრო ოთახი (უაზაგდონ).

თავდაცვითი კოშკები ქვისაგან იგებოდა, მათ ოთხკუთხა პირამიდის ფორმა ჰქონდათ და სამ-ხუთსართულიანი იყო. კოშკის კედლები ყრუდა მყარი იყო, შესასვლელი მხოლოდ მეორე სართულის სიმაღლეზე ჰქონდა. ზედა სართულების კედლებს სათო-ფურები დაუყვებოდა. ასეთი კოშკის პირველი სართული სამეურნეო დანიშნულების იყო, ზედა სართულები საცხოვრებელად გამოყენებოდა, ბოლო კი სათვალთვალოდ. მთაში აშენებდნენ აგრეთვე გამაგრებულ საცხოვრებლებს ან საცხოვრებელ კოშკე-

ბს (განახ), რომლებიც თავდაცვითი კოშკების ტიპის იყო, ოღონდული გაცილებით ფართო და გეგმაში კვადრატული. სახლი-სიმაგრე შეიგნიდან ილესებოდა და ილებებოდა. საცხოვრებელ კოშკს და-ტანებული ჰქონდა პატარა ზომის ფანჯრები. პირველი სართუ-ლი აქაც სამეურნეო იყო, მეორე სართულზე იყო მოთავსებული ხაძარი, მესამეს კი თავდაცვითი ფუნქცია ეკისრებოდა. მთებში აშენებდენ აგრეთვე ერთიანი კედლით შემოსაზღვრულ, თავ-დაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისგან შემდ-გარ კომპლექს-სიმაგრეებს (გალუან). ასეთ სიმაგრეებში დიდი პა-ტრიარქალური საოჯახო თემები ცხოვრობდნენ.

ტყიან ადგილებში გავრცელებული იყო ხის სახლები. მოგვი-ანებით გაჩნდა ორსართულიანი მრავალოთახიანი სახლები, რომელთა პირველი სართული ქვის იყო, მეორე კი ხის. ასეთ სახ-ლებში პირველი სართული ზამთარში ოჯახის საცხოვრებლად გამ-ოყენებოდა, ან ბეღელი იყო განთავსებული. მეორე სართულს ფართო დახურული აივანი ჰქონდა და საზაფხულო საცხოვრე-ბელი იყო. სახლის გადახურვა ოთხფერდა იყო, მკვეთრი დაქა-ნებით. ასეთივე სახლები გვხვდება დაბლობშიც და მთიან და მთისწინა ზოლშიც.

მთისწინეთსა და დაბლობში გავრცელებული იყო ასევე წნუ-ლი სახლები, რომელსაც ერთ, ძირითადად ეზოს მხარეს ჰქონდა კარები და პატარა ფანჯრები. სახლი თიხით ილესებოდა და ათე-თრებდნენ. სახურავი ფიცრებით იკვერებოდა და ჩალა ეფინებო-და. ასეთი სახლები, ერთ, ორ, ან სამოთახიანი იყო. დაბლობში დამახასიათებელი იყო სახლებზე დახურული სათავსის (უარონ-დონ) მიდგმა, რომელშიც სამეურნეო იარაღები და საოჯახო ნივთები ინახებოდა, ზაფხულში კი სამზარეულოს მოვალეობას ასრულებდა. ეზოში ცალკე იდგა სასიმინდე. დაბლობში მცხოვრე-ბი ოსების საცხოვრებლის თავისებურება ის იყო, რომ იგი ფასა-დით ეზოსკენ იყო მიქცეული, ყრუ კედლით კი ქუჩისკენ. ჩვეუ-ლებრივ სახლები ეზოს სილრმეში იდგმებოდა. XIX ს. ბოლოდან დაიწყო მაღალ ფუნდამენტზე მდგარი აგურისა და ხის, კრამიტით გადახურული სახლების შენება, ხის ჭერითა და იატაკით, დიდი

შემინული ფანჯრებით. ასეთი სახლის ოთახებს ცალკე გასასაცილებელები ჰქონდათ ლია ან შემინულ ვერანდაზე. ეზო შემოღობილი იყო მაღალი ქვის ღობით. სახლები წაგრძელებული ან კვადრატული იყო და ფასადით ქუჩისკენ იდგა. სახეცვლილ ტრადიციულ საცხოვრებელში უცვლელი დარჩა ვერანდა და მიშენებული საზაფხულო სამზარეულო კერით. ტრადიციული ავეჯიდან გამოიყენება სამფეხა დაბალი მაგიდა (ფინგ), ჭურჭლიდან ხის სასმისები, ყანწები და სხვ.

ოსების ტანსაცმელი ტრადიციული ჩრდილო კავკასიური ტანსაცმლის მსგავსია. მამაკაცის კოსტიუმი შედგებოდა ჩოხის (ცუხა), ახალუხის (კუირატ) და შარვლისგან (სალბარ). ზამთარში იცვამდნენ ქურქს, ნაბადს. მამაკაცის თავსაბურავი იყო ფაფახი ან ქეჩის ფართოფარფლებიანი ქუდი. ქალის ტანსაცმელი იყო წინ ჩაჭრილი გრძელი კაბა (კაბა), გრძელი და განიერი, ზოგჯერ ვინო სწორი სახელოებით, ასეთ შემთხვევაში ხელებზე იცვამდნენ განიერ და გრძელ ხავერდის ან პარეშუმის სახელურებს. კაბის შიგნით ეცვათ კაბის ფერისაგან განსხვავებული ფერის ქვედაკაბა. სამკერდეზე აკერებდნენ მოოქროვილ სამშვენისებს. ატარებდნენ ნაქარგობით დამშვენებულ ფართო ქამარს. ქამრის ქვეშ იმაგრებდნენ წინსაფარს. ქალებს თავზე ეხურათ მრგვალი, დაბალი ხავერდის ქუდი, ზევიდან კი მსუბუქი მოსახვევი. გოგონები თავსაბურავს არ ატარებდნენ. ფეხზე ეცვათ ტარსიკონის ფეხსაცმელი. საზეიმო ტანსაცმელი შემკული იყო ნაქარგობით.

საკვებად გამოიყენება ბოსტნეული, ხორცეული და ცომეული კერძები. ამზადებდნენ ხორციან, კარტოფილიან, ყველიან, ლობიოიან და კომბოსტოიან ღვეზელებს. ტრადიციული კერძია ძიკა (ფქვილში შერეული ყველი). ინტენსიურად გამოიყენება რძის პროდუქტები. სასმელებიდან აღსანიშნავია ხორბლის ან ქერის ლუდი.

ოსების ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. დაბლობ რაიონებში მოჰყავდათ ხორბალი, სიმინდი, ქერი, ჭვავი და სხვ. გავრცელებული იყო ხენის სამმინდვრიანი სისტემა. ხნავდნენ ნიჩბისმაგვარი რკინის სახნისიანი ხის კავით

(ძივირ), რომელშიც წყვილი ხარი ებმოდა. გავრცელებული იყო ასევე ქართული ორხელას ტიპის სახნისები. რელიეფის შესაბამისად არსებობდა ტერასული ნაკვეთები. შედარებით გვიან განვითარდა მევენახეობა და მებაღჩეობა. მთაში მიწათმოქმედებასთან ერთად მისდევდნენ მესაქონლეობას. აშენებდნენ როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა რქოსან პირუტყვს. მისდევდნენ ნადირობას და მეფუტტერეობას. განვითარებული იყო ხეზე, ქვასა და ძვალზე კვეთა, ლითონის მხატვრული დამუშავება (გრავირება, კვეთა, სევადი), ქარგვა, მეხალიჩეობა, ტყავის დამუშავება. XIX საუკუნემდე მეურნეობა ნატურალური ხასიათის იყო. სახლში მზადდებოდა საჭირო იარაღი, ჭურჭელი, ავეჯი და ტანსაცმელი.

ოსური ოჯახი პატრიარქალური იყო. ახლო მონათესავე ოჯახები ქმნიდნენ პატრონიმიას, რომელთა საერთო წინაპრიდან მომდინარე რამდენიმე პატრონიმიის გაერთიანება ქმნიდა გვარს (მიგაგ). ოჯახი ძირითადად მონოგამიური იყო, თუმცა მუსლიმ ოსებში არსებობდა პოლიგამიური ოჯახებიც. ნომინალური ცოლის მოყვანის უმთავრესი მიზეზი უშვილობა ან მუშახელის ნაკლებობა იყო. გავრცელებული იყო ლევირატი. XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არსებობდა დიდი ოჯახები. ოჯახს უძლვებოდნენ ოჯახის უფროსი მამაკაცი (ხისტარ, ხიცაუ) და უფროსი ქალი (ეფშინ). ოჯახს საერთო მეურნეობა ჰქონდა. შრომა დანანილებული იყო სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით. საქორნინო ურთიერთობებში მკაცრად იყო დაცული ეგზოგამია. იცოდნენ ქალის მოტაცება. ქორნინებისთვის დაწესებული იყო გადასახადი (ურვადი). მუსლიმან ოსებს ურვადის გარდა დაწესებული ჰქონდათ საქორნინო შეთანხმებით საცოლისათვის გამოყოფილი ფულადი თანხა (ფეჩახი), რომელიც ქალს ქმრის მიზეზით გაყრის შემთხვევაში მიეცემოდა. უმეტეს შემთხვევაში ვაჟის მშობლები ირჩევდნენ სარძლოს. თუ ახალგაზრდა თვითონ შეარჩევდა საცოლეს, მეგობრის ან ნათესავის მეშვეობით გააგებინებდა ოჯახის უფროსს და თანხმობის შემთხვევაში დაიწყებოდა მაჭანკლობა. მაჭანკლები შეიძლება მხოლოდ საქმროს ნათესავი ან მეზობელი

მამაკაცები ყოფილიყვნენ. ისინი საცოლის ოჯახის გვარის უფროსებთან მოითათბირებდნენ. საცოლესაც ეკითხებოდნენ აზრს, მაგრამ მას ჩვეულების მიხედვით დუმილით უნდა ეპასუხა. საპატარძლოს ოჯახის დათანხმების ნიშნად წარმოითქმებოდა სიტყვა „გადავწყვიტეთ“ და მაჭანკლები ოჯახში დატოვებდნენ რაიმე იარაღსა და გარკვეულ ფულად თანხას. ამის შემდეგ ქორნილის ჩაშლა აღარ შეიძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სისხლის აღების საბაბი გახდებოდა. დანიშნული ქალიშვილი თავს არიდებდა საქმროს სახლის მიდამოში გავლას, მისი გვარის წარმომადგენელ უხუცესებთან შეხვედრას და სხვ. ქორნილი შემოდგომით, სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ იმართებოდა. ქორნილის დღეს საქმრო მაყრების დიდ ჯგუფთან ერთად მიდიოდა საცოლის სახლში. ოღონდ შიგნით არ შედიოდა, არამედ იქვე ნაცნობებთან ჩერდებოდა (სადაც საქმრო იმყოფებოდა იმ სახლს ფისიმს უნოდებდნენ). პატარძლის სახლში მაყარს მასპინძლობდნენ. პატარძალი არაფერში არ მონაწილეობდა. თუ ახალგაზრდები ერთი სოფლიდან იყვნენ, მაშინ ქეიფი ერთი დღე გრძელდებოდა საპატარძლოს სახლში, სხვა შემთხვევაში ორი დღე. პატარძლის ნაყვანის წინ სრულდებოდა მისი კერასთან გამომშვიდობების რელიგიური რიტუალი, რაც კერის სულის (საფოს) თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული. ოჯახის უფროსი დაილოცებოდა, ხელისმომჟიდე და პატარძალი კერას სამჯერ შემოუვლიდნენ, ხელისმომჟიდე ამოღებული ხმლით შეეხებოდა კერის ჯაჭვს და დაილოცებოდა, შემდეგ პატარძალს სიმღერით გამოაცილებდნენ. მაყრის ნანილი – ახალგაზრდა მამაკაცები, კიდევ ცოტა ხანს რჩებოდნენ, რათა გამოსასყიდი გაეღოთ მათ-თვის მოტაცებული იარაღისთვის და უნაგირებისთვის. ქრისტიანობის საპატარძლო ეკლესიაში მიჰყავდათ ჯვრისდასანერად. საქმროს ოჯახში შესვლას თოფის სროლით და სიმღერით აღნიშნავდნენ. პატარძალი ხელისმომჟიდეს შეჰყავდა მისთვის განკუთვნილ ოთახში, სადაც იგი ქორნილის ბოლომდე რჩებოდა. საქმრო ხელისმომჟიდის სახლში იმყოფებოდა და მხოლოდ გვიან ღამით, მოცეკვავე ახალგაზრდობის დაშლის შემდეგ შეჰყავდა იგი



ხელისმომკიდეს პატარძალთან. სიძე დილით ადრე შეუმჩნევლად ისევ ხელისმომკიდეს სახლში ბრუნდებოდა. მეორე დღეს საღა-  
მოს ხელისმომკიდეს პატარძალი ხაძარში შეჰყავდა, მიიყვანდა  
კერასთან და შეახვედრებდა დედამთილს. ქორწილიდან რამდენ-  
იმე დღეში ახალგაზრდებს ჩართავდნენ სამეურნეო საქმიანობა-  
ში. პატარძლის ქცევა პირველ ხანებში მყაცრად რეგლამენტირე-  
ბული იყო. მას არ ჰქონდა ხმამაღლა ლაპარაკის, ქმრისა და  
უფროსი ნათესავებისადმი სახელით მიმართვის უფლება და სხვ.  
პატრიარქალური ურთიერთობების ამსახველია ბავშვებთან  
თავშეეავებული ქცევა და ვაჟის დაბადებისადმი უპირატესობის  
მინიჭება.

ბიზანტიისა და საქართველოს გავლენით VI საუკუნიდან ოს-  
ებში გავრცელდა ქრისტიანობა, X საუკუნიდან იგი ოუიციალურ  
რელიგიად გამოცხადდა. XVII-XVIII საუკუნეებში დიგორში მცხ-  
ოვრებმა ოსებმა ისლამი მიიღეს, რომელიც ყაბარდოდან შემოვი-  
და. დღეს ოსების უმეტესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია,  
მცირე ნანილი კი სუნიტი მუსლიმანი. დღემდე შემორჩენილია  
მონოთეისტურ რელიგიებამდე არსებული ხალხური რწმენა-წარ-  
მოდგენები. განსაკუთრებით ძლიერია კერის, როგორც თემის  
მთავარი ღვთაების კულტი, წინაპართა კულტი, კეთილი და  
ბოროტი სულების რწმენა, აგრარული კულტები და სხვ. სულებ-  
ის სამყოფელს და თვით სულებსაც ჰქვია ძუარ. ძუარი არის ზოგა-  
დოსურიც და საგვაროც. ძუართან სრულდებოდა ლოცვა და მსხ-  
ვერპლშენირვა (კუვდ). ოსურ პანთეონში უმაღლესი ღვთაებაა ხუ-  
ცაუ. ღვთაებებიდან გამორჩეულია უასტერჯი (წმ. გიორგის  
კულტთან სინკრეტიზებული, მამაკაცების, მეომრებისა და მოგ-  
ზაურთა მფარველი და ქურდებისა და დამნაშავეების დამსჯელი  
წინარექტისტიანული ღვთაება). თაყვანს სცემენ უაცილას (ნაყ-  
ოფიერების ღვთაება), მაირამს, ალარდის.

ოსთა შეხედულებით მზის ჩასვლისას იკეტებოდა გარდაცვ-  
ლილთა სამეფო და აუცილებელი იყო მიცვალებული მანამდე  
დაკრძალულიყო. დაკრძალვაზე ყველა ახლო მდებარე სოფლიდან  
მოიყრიდნენ თავს. იმართებოდა დოლი. იცოდნენ გარდაცვლილთ-  
ათვის მსხვერპლშენირვა, საყოფაცხოვრებო ნივთების გატანება.

საყოველთაოდ ცნობილია ოსური ნართული ეპოსი: მშენი-  
კალური ინსტრუმენტებიდან გავრცელებული იყო არფა,  
ფანდური, სალამური. უკრავდნენ მამაკაცები. ცეკვებიდან ალ-  
სანიშნავია სიმდი, ტიმბილ კაფტი (ლეკურის ნაირსახეობა), როგ  
კაფტი (თითის ნვერებზე ცეკვა), კასგონ კაფტი და სხვ.

## ინგუშები

ინგუშების თვითსახელწოდებაა ღალღა. ეს არის კავკასიის ინ-  
დიგენური მოსახლეობა, რომლებიც ჩეჩენების მონათესავეა ენითაც  
და კულტურითაც. ინგუშთა უმეტესობა ცხოვრობს ინგუშეთის რე-  
სპუბლიკაში, რომელიც 1992 წელს შეიქმნა (დედალაქი ნაზრანი).

ინგუშთა დასახლებები განლაგებული იყო მთების დამრეც  
ფერდობებზე ან ღრმა ხეობებში. ისინი ერთმანეთთან და გარეშე  
სამყაროსთან ვიწრო ბილი კებით იყვნენ და კავშირებული. სოფლებ-  
ში, რომლებიც ძირითადად 6-9 კომლისგან შედგებოდა, ერთი პა-  
ტრონიმიის ნევრები ცხოვრობდნენ. ზოგჯერ რომელიმე გვარს  
რამდენიმე ახლომდებარე სოფელი ეკავა. ყველა სოფელში იყო  
თავდაცვითი, საცხოვრებელი ზოგან კი – საგუშაგო კოშკები. გავრ-  
ცელებული საცხოვრებელი იყო ორსართულიანი ქვის სახლი, ქვე-  
და სამეურნეო და ზედა საცხოვრებელი სართულებით. ზოგ სახლს  
ჰქონდა საყონალო (სასტუმრო) ოთახი. იგი შენდებოდა ცალკე,  
საცხოვრებლისგან მოშორებით. საყონალო ჩვეულებრივ შედ-  
გებოდა საცხოვრებელი ოთახისა და დერეფნისგან. ინგუშურ სახ-  
ლში გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად გამოიყენებოდა  
საერთო ოთახში მოთავსებული კერა. ავეჯიდან ტრადიციული იყო  
გრძელი ხის სკამები და დაბალი სამფეხა მრგვალი მაგიდები. კარა-  
დის მოვალეობას კედელში დატანებული თახჩები ასრულებდა, სა-  
დაც განთავსებული იყო სადღესასწაულო სპილენძის და მინის  
ჭურჭელი. გვხვდება სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკები,  
რომელიც მუხის კარით ან ქვის ფილით იკეტებოდა. კოშკს ღრი-  
ჭოსმაგვარი ფანჯრები ჰქონდა, რომლებიც დარაბებით იკეტებო-  
და. ქვედა სართული აქაც საქონლისთვის იყო განკუთვნილი. მე-

ორე და მესამე, საცხოვრებელი იყო. თითოეულ ოჯახს ცალკე იმანახობი ჰქონდა. თავდასხმისდორს ასეთი კოშკი სიმაგრედ იქცეოდა. ხშირად კოშკები ახლოს იყო ერთმანეთთან განლაგებული და საერთო ქვის ღობით შემოლობილი. ასეთი სიმაგრეები ინგუშების გარდა გვხვდება ოსებთან, ჩეჩენებთან, დაღესტანსა და კავკასიის სხვა რაიონებში. ინგუშთა დასახლების პრინციპი ბარშიც ისეთივე იყო, როგორც მთაში. თავდაპირველად მამულის ტიპის დასახლებები იყო გავრცელებული, შემდეგ გზებისა და მდინარეების გასწორივ სახლდებოდნენ. გვარები სოფელში უბნებად ნაწილდებოდნენ. ბარში გავრცელებული იყო რუსული ხატას ტიპის სახლი – ნნული სახლი ორფერდა ჩალის სახურავით, ორი ოთახისაგან შემდგარი. მოგვიანებით მიშენებების გზით ასეთი სახლიდან გაჩნდა და გრძელი სამ-ხუთოთახიანი სახლი, ოთხფერდა გადახურვით. ოთახები გადახურულ აივანზე გამოდიოდა, რომელიც მთელ სახლს გაუყვებოდა. ასეთ სახლში ჩვეულებრივ დიდი ოჯახი ცხოვრობდა. სახლის ცენტრალურ ნაწილში საერთო ოთახის გვერდით (რომელშიც ოჯახის უფროსი ცოლითა და უმცროსი შვილებით ცხოვრობდა და ამავდროულად სამზარეულოდაც გამოიყენებოდა) მდებარეობდა საყონალო. სახლს ჟქონდა საერთო ოთახის უკანა კედელზე მიდგმული ბუხარი. ბარში გავრცელებული იყო აგრეთვე კვადრატული ხის ან ქვის სახლები, ერთმანეთში გამავალი ოთახებით. სახლი ჩვეულებრივ მაღალი ნნული ან ფიცრული ღობით შემოლობილი ეზოს სიღრმეში იდგა. ეზოშივე იდგნენ სამეურნეო ნაგებობანი: თავლა, ბოსელი, ფარდული საქათმეები და სხვ.

ინგუშთა ტანსაცმელი ჩეჩენებისა და ოსების ტანსაცმლის მსგავსია. მამაკაცის ტრადიციულ კოსტიუმს ავსებდა მაღალი, ზევითკენ გაფართოებული ფაფახი. ქალები, ჩრდილო კავკასიის ბევრი ხალხისგან განსხვავებით, ატარებდნენ მოკლე ცხვრის ქურქებს.

საკვებ რაციონში ჭარბობდა რძის პროდუქტები და ხორცეული. ამას მოგვიანებით დაემატა ცომეული. მთაში ქერის პური მზადდებოდა, ბარში სიმინდისა, ხორბლის ფქვილი არ იყო ყოველ-

დღიური მოხმარების პროდუქტი და მხოლოდ დღესასწაულებზე  
იყენებდნენ. სადილობის ბოლოს მიღებული იყო ხორცის ნახარ-  
შის დალევა.

ინგუშების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მესაქონლეო-  
ბა და მინათმოქმედება იყო. მთაში ნამყვანი დარგი მესაქონლე-  
ობაა. ბარისაგან განსხვავებით აქ სახნავ-სათესი კერძო, ხოლო  
ტყე და საძოვრები სათემო საკუთრება იყო. ბარში მინა მთლი-  
ანად სათემო საკუთრება იყო. ყოველ სამ-ექვს წელიწადში ერთხ-  
ელ ხდებოდა გადანანილება კომლების მიხედვით, მიუხედავად  
სულადობისა. მთაში სახნავი ტერასისებრად იყო განლაგებუ-  
ლი. მინა იწმინდებოდა და ნოყიერდებოდა. მოჰყავდათ ხორბა-  
ლი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი, ნაწილობრივ სიმინდი. ბარში  
მთავარი კულტურა სიმინდი იყო. მოსავალს იღებდნენ ნამგლით.  
მისდევდნენ მებალეობასაც. მესაქონლეობა ორიენტირებული  
იყო როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლის  
მოშენებაზე. ჰყავდათ ძროხები, ხარები, კამეჩები, თხები, ცხ-  
ენები და ვირები. ყველაზე მეტი ჰყავდათ ცხვარი. გავრცელე-  
ბული იყო გადარევითი მესაქონლეობის ფორმა. იცოდნენ შრო-  
მის დანანილება. დამხმარე დარგებიდან განვითარებული იყო  
ქვაზე კვეთა, მეხალიჩეობა და სხვ.

დიდხანს იყო შემორჩენილი დიდი ოჯახი, პატრონიმია, ლევი-  
რატი. დიდი ოჯახის უფროსი იყო უფროსი მამაკაცი, მისი სიკედი-  
ლის შემდეგ უფროსობა უფროს ვაჟზე გადადიოდა, ზოგჯერ კი  
უფროს ძმაზე. ოჯახის უფროსი ანანილებდა საქმეს მამაკაცებს  
შორის, ქალებს შორის კი უფროსი ქალი. ოჯახის უფროსი ერთ-  
პიროვნულად განაგებდა ქონებას. დიდი ოჯახის გაყოფა ადათის  
მცოდნე უხუცესების ჩარევით ხდებოდა. არ იყოფოდა და პატ-  
რონიმიის საერთო ქონებას ნარმოადგენდა ლუდის სახარში ქვა-  
ბები. ზოგჯერ გაყოფილი ოჯახები ერთ კოშკი რჩებოდნენ საცხ-  
ოვრებლად. პატრონიმიის ნევრები ეხმარებოდნენ ერთმანეთს  
სამეურნეო საქმიანობაში, მათი მოვალეობა იყო სისხლის აღება,  
დიდ გვარებს ცალკე სასაფლაოები ჰქონდათ, პატრონიმიული ნა-  
კვეთებით. დიდ პატივს სცემდნენ უფროსებს (მამაკაცსაც და

ქალსაც). პატარა ოჯახიც პატრიარქალურ ურთიერთობებზე იყო დაფუძნებული. გაყრისას ქალს მარტო მისი მზითევი ეძღვოდა, ბავშვები მამას რჩებოდა. მეუღლეები ერთმანეთს სახელით არ მიმართავდნენ და სხვ.

ქორწინება ეგზოგამიური იყო, როგორც გვარის, ასევე სოფელს შეგნით. ქორწინება სისხლით და არა სისხლისმიერ ნათე-სავებთან იკრძალებოდა მერვე-მეთორმეტე მუხლამდე. არ შეიძლებოდა დედის და ბებიების (ორივე მხრიდან) გვარის ქალზე დაქორწინება. ქორწინებისთვის საჭირო იყო, როგორც მამის, ისე პატრონიმის უფროსის თანხმობა. იცოდნენ მცირენლოვანთა დანიშვნა, გავრცელებული იყო მოტაცების ჩვეულება. ქალის-თვის იხდიდნენ გადასახადს. ნიშნობის შემდეგ ქორწილამდე ახ-ალგაზრდები ერთმანეთს თავს არიდებდნენ. ქორწილის დღეს საპატარძლოს სახლში მაყარი მიდიოდა და მოჰყავდათ, მასთან ერთად მოჰყონდათ მზითევი. ქმრის ოჯახში შესვლამდე პატარძალი ფეხს აბიჯებდა ცოცხს, აქვე ხვდებოდა მას დედამთილი და სიტყბოსა და სირბილის დასაბედებლად კოვზით მიაწვდიდა თაფ-ლსა და კარაქს. ამის შემდეგ პატარძალს მისთვის განკუთვნილ კუთხეში სვამდნენ და იქ რჩებოდა ქორწილის დამთავრებამდე. იცოდნენ პატარძლისთვის კალთაში პატარა ბიჭის ჩასმა შვილ-იერების სასურველად. ქორწილი სამი დღე გრძელდებოდა. მასში არ მონაწილეობდა არც ნეფე, იგი ნათესავის ან მეგობრის სახლ-ში იმაღლებოდა და სახლში მხოლოდ ქორწილის დამთავრების შემ-დეგ მოვიდოდა ხელისმომკიდეებთან ერთად. ქორწილიდან ორი კვირის შემდეგ პატარძალი ოჯახის ქალიშვილებთან და ახალ-გაზრდა რძლებთან ერთად პირველად გადიოდა წყალზე. ამ რიტ-უალის შემდეგ იგი ერთვებოდა საოჯახო მეურნეობაში. გან-საკუთრებით ზეიმობდნენ ვაჟიანობას. სახელს ახალშობილს სპე-ციალურად გამართულ წვეულებაზე რომელიმე ნათესავი მამაკა-ცი ურჩევდა.

ინგუშებში ქრისტიანობა გავრცელდა XI საუკუნეში. დღემ-დეა შემორჩენილი ქრისტიანული ძეგლების ნაშთები. XVIII საუკუ-ნის დასაწყისიდან დაიწყო გავრცელება ისლამმა, მაგრამ ფეხი

მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოსთვის მოიკიდა. ინგუშები სუნიტი მუსლიმანები არიან, ძირითადად კადირიის ტარიკატს ეკუთვნიან. ამასთან, შემორჩენილია ნინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენების ელემენტები (ნაყოფიერების მფარველ მიატცელის კულტი და სხვ.)

## ჩიჩები

ჩეჩების თვითსახელწოდებაა ნოხჩი. ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ინდიგენურ მოსახლეობას წარმოადგენენ, რომლებიც ინგუშებთან ერთად ქმნიან ვეინახურ ჯგუფს. ჩეჩები ძირითადად ცხოვრობენ ჩეჩებთის ავტონომიურ რესპუბლიკა იჩქერიაში, ასევე დაღესტანსა (აკიელი ჩეჩები) და ცენტრალურ აზიაში. თავდაპირველად ჩეჩების საცხოვრებელი ტერიტორია იყო მთა, სადაც ისინი დამოუკიდებელ ტერიტორიულ ჯგუფებად სახლობდნენ. XV-XVI საუკუნეებში ჩეჩებმა დაიწყეს დაბლობი – მდინარე თერგისა და მისი შენაკადების – სუნჯისა და არღუნის ველზე ჩამოსახლება.

დაბლობში დამახასიათებელი იყო გზისპირული დასახლება: მდინარეების ნაპირებზე ან დიდი გზების გასწვრივ გრძლად გადაჭიმული დასახლებები, ასეთი დასახლება შედგებოდა ერთი გრძელი ქუჩისა და მისი გადამკვეთი რამდენიმე გადასახვევისაგან. სახლები წნული ლობით იყო შემოსაზღვრული, ერთმანეთთან ახლოს იდგა და ტაიპურ უბნებს ქმნიდა. ტყიან რაიონებში ძირითადად მცირე ტაიპურ დასახლებებად სახლდებოდნენ. წნულით შემოლობილ ნაკვეთში შედიოდა სახლი, ხილის ბაღები და ნათესები. მთიან რაიონებში დასახლება გამოირჩეოდა დიდი სიმჭიდროვით. ეზოები ჩვეულებრივ მეზობელი სახლის სახურავზე გამოდიოდა. სოფლებს ერთმანეთთან ვიწრო ბილიკები აკავშირებდა, მთიან რაიონებში ბორბლიანი ტრანსპორტის გზები არ იყო, გარდა ე. წ. „სამეფო გზისა“, რომელიც სტრატეგიული მიზნებით გაიყვანეს ჩეჩენეთის დაბლობიდან ავარელთა სოფელ ბოთლიხამდე, და გროზნოდან ითუმ-ყალემდე.



საცხოვრებლის ძირითადი ტიპი იყო, როგორც წესი, ორთახისგან შემდგარი (ოთახებს შორის ვინრო დერეფნით), ორფერდა გადახურვიანი, შესასვლელთან გადმოკიდებულ სახურავიანი სახლი. მოგვიანებით ჩამოყალიბდა გრძელი სწორკუთხა, აივანზე ცალკე გასასვლელების მქონე რამდენიმე ოთახისაგან შემდგარი სახლი. აივანი მთელ სახლს გასდევდა. ჩვეულებრივ ერთ-ერთი ოთახი იყო საყონალო, რომელიც სხვა ოთახებისაგან გამოირჩეოდა მორთულობით. აქ ათავსებდნენ საუკეთესო ნივთებს, საზეიმო ჭურჭელს, თექას, ხალიჩებს და სხვ. XIX საუკუნიდან დაბლობ და ტყიან რაიონებში ჩნდება კვადრატული სახლი ოთხფერდა გადახურვით და ერთმანეთში გამავალი ოთახებით. გრძელი და კვადრატული სახლები პატარა ქვის ფუნდამენტზე იდგმებოდა. გავრცელებული იყო როგორც ქვის, ისე წნული ნაგებობები. კვადრატული სახლები, ხშირად ადგილობრივი ნარმოების აგურისაგან შენდებოდა. ხურავდნენ ერამიტით. მთიან რაიონებში დამახასიათებელი იყო მთელ მთიან კავკასიაში გავრცელებული ორსართულიანი ქვის სახლები, სადაც ქვედა სართული საქონლისათვის იყო განკუთვნილი, ზედა სართული კი, რომელიც ჩვეულებრივ ორთახიანი იყო, საცხოვრებლად გამოიყენებოდა. სინათლე ოთახში კედელში დატანებული პატარა ჭრილებიდან შედიოდა. მთიან რაიონებში (უმეტესნილად დასავლეთ ჩეჩენეთში) გავრცელებული იყო უხეშად თლილი ქვით აგებული თავდაცვითი კედელები, საცხოვრებელი, თავდაცვითი, საგუშავო და საბრძოლო კოშკები (XIV- XVIII სს.). საცხოვრებელ კოშკი, რომელიც სამი იარუსისგან შედგებოდა, დიდი ოჯახი ან პატრონიმია ცხოვრობდა. იგი ჩვეულებრივ ხუთიარუსიანი თავდაცვითი კოშკის გვერდით იდგა. იარუსები ხის კიბით ერთიანდებოდა. კოშკს პირამიდის ფორმა ჰქონდა და ზედა იარუსებზე სათოფურები იყო დატანებული. შემორჩენილია ხეობის შესასვლელებში და სხვა სტრატეგიულ ადგილებში აშენებული საგუშავო კოშკები. საცხოვრებელს ჰქონდა თავისებური ბუხარი (ტაუ). მისი ქვედა ნანილი ქვებით შემოფარგლულ ნახევრადნრიულ კერას ნარმოადგენდა, ზედა ნანილი პირამიდის მსგავსი იყო. ბუხ



არს ორივე მხრიდან თიხით შელესილი წნული კედლები ჰქონია. ტრადიციული ჩეჩინური ავეჯი შედგებოდა ხის ტახტების, გრძელი სკამებისა და სამფეხა დაბალი მაგიდებისგან. ეზოში, ფარდულში ან ზოგჯერ სახლში მოთავსებულ სამზარეულოში დგამდნენ ორგანულოფილებიან ქვის ღუმელს (კიურკ), რომლის ერთ განყოფილებაში ცეცხლი ინთებოდა, მეორე კი სიმინდისა და ხილის (კერძოდ მსხლის) გასაშრობად გამოიყენებოდა. მოგვიანებით გავრცელდა რუსული ღუმელი. სამზარეულო ჩვეულებრივ სახლშია განთავსებული, მაგრამ ზოგჯერ ამ მიზნით გამოიყენებოდა ეზოში მდგარი პატარა ოროთახიანი ნაგებობა. სხვა სამეურნეო ნაგებობანი სახლისგან მოშორებით იდგა. სამეურნეო ნაკვეთისაგან სახლი და ეზო წნული ღობით გამოიყოფოდა.

გადასაადგილებლად გამოიყენებოდა პატარა ხის ორბორბლიანი ურემი, რომელშიც წყვილ ხარს აბამდნენ, დაბლობში გავრცელებული იყო მაღალბორბლიანი, ცხენშებმული ურემი. გადაადგილებისა და გადაზიდვის საშუალება იყო აგრეთვე ცხენი.

ჩეჩინების ტრადიციული ტანსაცმელი სხვა კავკასიელთა მსგავსია. მამაკაცები ატარებდნენ ჩოხა-ახალუხსა და ქვევით დავინროებულ შარვალს. ქალები — გრძელ პერანგს, განიერ კოჭთან შეკრულ შარვალს, გრძელ და განიერ სახელოებიან კაბას ქამრით. ხნიერი ქალები ქამარს არ ხმარობდნენ. საქორწილო-გამოსასვლელი კაბა ყოველდღიურისგან გამოირჩეოდა ჩაჭრილი სახელოებით და ვერცხლის მორთულობით. თავს იკრავდნენ შალის ან აბრეშუმის მოსახვევით, ასაკოვნები მოსახვევის შიგნით პატარა თავსაფარს (ჩოხტა) ატარებდნენ, რომელშიც იმალებოდა ნაწნავები. ასეთივე მოსახვევი გავრცელებული იყო დაღესტანშიც.

ჩეჩინების რაციონი ძირითადად ცომეული კერძებისგან შედგება. ვეინახთა გამორჩეული კერძია გალნაშ, რომელიც სიმინდის ფქვილისგან მზადდება და მოხარშულ ხორცთან და დანაყილ ნიორთან ერთად ჭამენ. ინტენსიურად გამოიყენება სიმინდის ფქვილი, რომლისგანაც ამზადებენ ფაფებსა და ნვინანებს. ხმიადი პური უმეტესად ხორბლის, ზოგჯერ სიმინდის (ძველად კი

ძირითადად ქერის) ფქვილის იყო. გავრცელებულია ყველა კარტოფილის, თაღგამის და სხვ. შიგთავსიანი ღვეზელები. ხორცის კერძები მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ძირითადად მიირთმევენ მწვადს და მოხარშულ ხორცს, უპირატესად ზამთარში.

ჩეჩენები მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. გავრცელებული იყო მთის ტიპის მიწათმოქმედება, ტერასული სისტემით და ბარის მაღალნაყოფიერი მიწათმოქმედება (ძირითადად მემარცვლეობა). დაბლობში მიწის მესაკუთრე სასოფლო თემი იყო და მის შიგნით თავისუფალი მიწათსარგებლობის წესი არსებობდა. მოგვიანებით, სახნავ-სათესი ნაკვეთები პერიოდულად გადანაწილდებოდა კონტლობრივად. საძოვრები და ტყეები საერთო სარგებლობაში იყო. ხვნის დაწყების წინ ყოველ მეხუთე წელს სოფელი უბნების მიხედვით ირჩევდა ერთ რწმუნებულსა და სამ მის თანაშემნეს. ისინი სახნავ მიწებს ხარისხის მიხედვით სამ ზონად (უარესი, საშუალო და უკეთესი) ყოფდნენ და ანანილებდნენ. ასევე ნაწილდებოდა სათიბები, ოღონდ ყოველწლიურად. მთაში მიწისმფლობელობის სისტემა და თავად მიწათმოქმედების კულტურა განსხვავებული იყო. აქ სახნავ-სათიბი კერძო მფლობელობაში იყო, სათემო საკუთრება კი მხოლოდ საძოვრები და ტყეები. დაბლობში მოჰყავდათ ძირითადად სიმინდი, ხორბალი, ქერი და ფეტვი, მთაში ძირითადი კულტურა იყო ქერი. მთაში მიწას ანაყოფიერებდნენ, დაბლობში გამართული იყო მცირე სარწყავი არხები. ჩეჩენების სახნავ იარაღს ბევრი პქონდა საერთო მეზობლების სახნისებთან. დაბლობში გავრცელებული იყო ქართული ტიპის ხის გუთანი. სალენი დაფებიც საერთო კავკასიური ტიპის იყო. გადასაზიდად გამოიყენებოდა ურემი და ციგა. პრაქტიკაში დამკვიდრებული იყო სანათესაო და სამეზობლო ურთიერთდახმარების ფორმები. დაბლობში მემინდვრეობის გარდა განვითარებული იყო მებაღეობა, მებაღჩეობა. მთაში მოჰყავდათ ნიორი და ხახვი, მისდევდნენ მეფუტკრეობას. მაგრამ წამყვანი დარგი მთაბარული ფორმის მესაქონლეობა იყო, საილალო გადარეკვითო მეურნეობით. თუ დაბლობში მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს აშენებდნენ, მთაში განვითარებული იყო მეცხ-

ვარეობა, ასევე მეცხენეობა, რომელმაც მოგვიანებით დაკარგდა. თავისი მნიშვნელობა და შესუსტდა.

მეურნეობის დამხმარედარგებიდან განვითარებული იყო შინამრეწველობა. ამზადებდნენ ნაბდებს, თექის ნაკეთობებს, ხალიჩებს (ისტანგ), რომლებიც ჩეჩინური სახლის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ამზადებდნენ მაუდს, ამუშავებდნენ ტყავს, ხეს, მისდევდნენ მექოთნეობას. განვითარებული იყო ლითონის (ვერცხლის, სპილენძის) დამუშავება, ამზადებდნენ იარაღს. ყველა სოფელში იყვნენ სხვადასხვა დარგის ოსტატები, ცნობილი იყო ხელოსნობის დიდი ცენტრებიც (მაგ., სოფლები შატოი, აგატი და სხვ.). დამხმარე როლს ასრულებდა ვაჭრობა. შინამრეწველობის ნაწარმითა და საქონლით ვაჭრობდნენ გასაღების ისეთ დიდ ბაზრებში როგორიც იყო მოზდოკი, გროზნო, ყიზლარი, ხასავიურტი. მოგვიანებით დაიწყეს ნავთობის მოპოვება-გადამუშავება.

ჩეჩინური საზოგადოება პატრიარქალური იყო. საზოგადოება იყოფოდა ტაიპებად. სოფლები რამდენიმე ტაიპით იყო დასახლებული. ტაიპის ნევრები ერთი წინაპრისგან მომდინარეობდნენ. ყოველ ტაიპს ჰყავდა უხუცესი. უხუცესები მართავდნენ სასოფლო თემს. ტაიპები უფრო მცირე ჯგუფებად (ნეკე ან გარ) იყო-ფოდნენ, რომლებიც 10-50 მონათესავე ეზოებისაგან შედგებოდა. დიდი ტაიპები ბევრი ნეკესგან შედგებოდა, ისინი საერთო საძოვრებით და ტყით სარგებლობდნენ. მთებში შემორჩა ასევე თუხუმები – რამდენიმე ტაიპის გაერთიანება. ზოგ თუხუმს საკუთარი დიალექტი ჰქონდა. იცავდნენ სტუმარმასპინძლობისა და სისხლის აღების ჩვეულებებს.

ჩეჩინური ოჯახის მმართველი უხუცესი მამაკაცი იყო. მისი ავტორიტეტი ასაკთან ერთად შრომის ორგანიზაციის უნარით განისაზღვრებოდა. ოჯახის მართვა სოლიდარობის პრინციპს ემყარებოდა. ერთპიროვნული მმართველობა ისლამის გავრცელებასთან ერთად დამკვიდრდა საოჯახო ყოფაში. მიუხედავად ამისა, ოჯახის შიგნით არსებული ურთიერთობები, ასევე აღზრდის წესები და ქცევის ტიპები ტრადიციული ადათობრივი ნორმე-

ბით რეგულირდებოდა და არა შარიათით. ოჯახის ძირითადი ფორმა პატარა ოჯახი იყო. დაშვებული იყო ლევირატი. ცოლს ჰქონდა საკუთრება, რაც მისი სიკედილის შემთხვევაში მის ნათე-სავებს და არა შვილებსა და ქმარს მიეკუთვნებოდათ. დაშვებუ-ლი იყო გაყრა და ხელმეორედ ქორწინება. საქორწინო ურთიერ-თობებში აკრძალვა მხოლოდ სამი თაობის ნათესავებზე ვრ-ცელდებოდა. სხვა მხრივ, ქორწინება დაშვებული იყო ერთი ტაბ-ისა და ნეკეთ ნარმომადგენელთა შორისაც კი ინგუშებისგან გან-სხვავებით, რომლებიც მკაცრ ეგზოგამიას იცავდნენ.

ქორწინების აუცილებელი ატრიბუტი იყო გარკვეული გადა-სახადი (კებინი), რომლის ერთ ნაწილსაც გაყრის შემთხვევაში ცოლისთვის განკუთვნილი საკუთრება (ურდო) ნარმოადგენდა. კებინი შეიცავდა ფულს, საქონელს, სხვადასხვა ფასეულ ნივთებს. გავრცელებული იყო მოტაცების ჩვეულება. გარიგებით ქორ-წინების შემთხვევაში, ქორწილამდე დანიშნულები ერთმანეთს ერიდებოდნენ. რამდენიმე დღიან ქორწილს (ლოვზარ) საქმროს ოჯახში იხდიდნენ. პატარძალი მაყარს მოჰყავდა, სოფელში შე-მოსვლას თოფის სროლით აღნიშნავდნენ. პატარძალი მისთვის განკუთვნილ სპეციალურ თახაში შეჰყავდათ, სადაც ნათესავი ქალებით გარშემორტყმული ქორწილის ბოლომდე რჩებოდა. არც საქმრო იღებდა მონანილეობას ქორწილში. იგი მეგობრის ან ნათე-სავის სახლში, ზოგჯერ კი ტყეში იმაღლებოდა. ქორწილის შემდეგ რამდენიმე ხანი იგი მხოლოდ მაღლად დამით მიდიოდა ცოლთან. ქორწილში სტუმრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჯირ-ითში, ცეკვაში, სიმღერაში, გონებამახვილობაში და ა.შ. ცეკვა ეზოში იმართებოდა, სადაც ნრეზე სხდებოდნენ, ერთ მხარეს მა-მაკაცები, მეორე მხარეს ქალები. ცეკვებსაც და ქორწილსაც სპე-ციალურად გამოყოფილი პირი (შნალ) უძღვებოდა, ორი თანაშემ-ნის (თხამდა) დახმარებით. ქორწილში მონანილეობდნენ მასხარე-ბი (ჯუხურგ) და თოკზე მოსიარულენი (პელხუო). ქორწილის ბო-ლოს სრულდებოდა პატარძლის წყალზე გაყვანის წესი, მას თან მიჰქონდა ნამცხვრებიანი ლანგარი და წყლის სურა. წყაროსთან მისული პატარძალი ნემსით ჩხვდეტდა ნამცხვრებს და წყალში



ყრიდა, შემდეგ დოქით ამოპქონდა. დოქის მხარზე შემოდგენისაც მხოლოდ თოფს ისროდნენ, ზოგჯერ ნამცხვრებსაც ესროდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა პატარძალი ახალი ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში ჩაერთოთ.

პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობები დაბადებასთან დაკავშირებულ ჩვეულებებშიც აისახა. მშობიარობის ვა-დის დადგომისას ქმარი სახლიდან მიდიოდა და მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ ბრუნდებოდა. დაბრუნებული გარკვეული ხანი ცოლს არ ელაპარაკებოდა. ქალი ხშირად მამის სახლში მიდიოდა სამშობიაროდ. ვაჟიანობა უფრო მეტად უხაროდათ, ვაჟის დე-დას მეტი პატივით ექცეოდნენ, მისი მდგომარეობა ოჯახში მყარდებოდა. ბავშვის დაბადების აღსანიშნავად გამართულ ქე-ითზე მამის ერთ-ერთი ნაოცხავი სახელს არქმევდა ახალდაბადე-ბულს. ჩეჩინებში ადათის გარდა, ურთიერთობებს არეგულირებ-და მასლაგათი (მედიატორთა სამართალი) და შარიათი (სასული-ერო სამართალი).

ჩეჩინებში ქრისტიანობა საქართველოდან გავრცელდა VIII საუკუნეში. დღემდე შემორჩენილია, ძველი ეკლესიებისა და ჯვრების ნაშთები (ძირითადად არღუნის ხეობაში). ქრისტიანული კულ-ტის კვალი ზოგ ჩვეულებაშიც ჩანს. XVI საუკუნიდან ძირითად რელიგიად თანდათანობით სუნიტური ისლამი იქცა, რომელიც დალესტნიდან გავრცელდა. ისლამის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა შამილის დროს. მიუხედავად ამისა, სუფიური ის-ლამის გავრცელებამ შესაძლებელი გახადა შენარჩუნებულიყო უძველესი რწმენა-წარმოდგენები. ყველა სოფელსა და საზოგა-დოებას თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა. გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის კულტები. დაკრძალვის ჩვეულებებში შეთავსებულია მუსლიმური და ხალხური შეხედულებები. მუსლიმურია განბანვის, სასავლაოზე წასვენების, საფლავის მოწყობის და დაკრძალვის წესი. დაკრძალვის დღეს იციან ქელების გამართვა. დაკრძალვა ხალხმრავალია. განსაკუთრებული როლი ჰქონდა ხმით მოტირალ ქალს. მუსლიმური წესის მიხედვით მიცვალებულს გარდაცვალების დღესვე კრძალავენ. ომში მოკლულს ისევე კრძა-

ლავენ როგორც იყო, განბანისა და სუდარის გარეშე. მის საფლავი ინტერიერი კი მარტინ გვივარებულის ხელის გარდა დროშასაც აღმართავდნენ. მიცვალებულს, როგორც წესი, მამაკაცები მიაცილებენ, ქალები პროცესიას სოფლის გარეთ აღარ მიჰყვებიან. ქვრივი ერთი წელი შავების ატარებს. დაკრძალვის მეორე დღეს იმართება დიდი ქელები. ინგუშებისა და ოსებისგან განსხვავებით, დაღესტნის ხალხების მსგავსად, ჩეჩენებთან შედარებით მცირე რაოდენობის დღეები უკავშირდება გარდაცვლილთა ხსენებას.

ჩეჩენებისა და ინგუშების მუსიკალურ ფოლკლორს ახასიათებს დიატონური წყობა. ხალხური მელოდიები უანრულად მრავალფეროვანია: ჰეროიკულ-ეპიკური სიმღერები – ილი, ილეში, რომელსაც მამაკაცები ასრულებენ. მამაკაცთა საგუნდო სიმღერას განეკუთვნება ნაზმა (ორ და სამ ხმიანი), ქალთა სიმღერებია ეშარში, ხალხარანი, იიში. გავრცელებული საკრავებია დეცვ-ფანდური, შედაგი (სალამური), ზურნა, მაა (რქის საკრავი), ვოტა, უირგია, ცუზამი. ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლური გარმონიკა, რომელზეც სხვა ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, ძირითადად ქალები უკრავდნენ.

## დაღესტნის ხალხები

დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა (დედაქალაქი მაჟაჩი-ალა) შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. დაღესტანში დაახლოებით 30 ეთნიკური და ეთნოგრაფიული ჯგუფი ცხოვრობს დამოუკიდებელი ენებითა და 70-მდე დიალექტით. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან ხუნდები, დარგუელები, ყუმუხები, ლეზგები, ლაკები, თაბასარანელები, ნოღაელები.

დაღესტნური ენები მრავალრიცხოვანი მონათესავე ენების ჯგუფს ნარმოადგენს. იგი შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში. დაღესტნური ენები სამი ქვეჯგუფისგან შედგება, ესენია: 1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, 2. ლაკურ-დარგუული და 3. ლეზგიური. ქვეჯგუფის ენები, თავის მხრივ, მოიცავენ კილოებს.

პირველ ქვეჯგუფში ხუნძურია მხოლოდ სამწერლობო ენაზე იგი ასრულებს ჯგუფში სალიტერატურო ენის ფუნქციას. მეორე ჯგუფში ორივე ენა სამწერლობოა, ამასთან, დარგული დიალექტებისგან შედგება. მესამე ქვეჯგუფში შემავალი ენებიდან სამწერლობოა ლეზგიური და თაბასარანული. ამ ჯგუფის თავისებურება ისაა, რომ აქ მოქცეული ენები მნიშვნელოვნად სცილდება ლეზგიურ ნორმას.

დაღესტნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები, მიუხედავად მთელი რიგი თავისებურებებისა, შეიძლება ყოფისა და კულტურის თვალსაზრისით ზოგადად ერთად დახასიათდნენ. მსგავსია მთის სასოფლო დასახლება, სადაც სახლები ტერასულად, ერთმანეთთან მჭიდროდაა ნაგები. დაღესტანში მეურნეობა ნატურალური ხასიათის იყო. დაღესტნის ხალხების განსხვავებული მახასიათებელია ენდოგამიური ქორნინების არსებობა, რაც არ გვხვდება არც ერთ სხვა კავკასიელ ხალხში. ქორნინება დაღესტანში დაშვებული იყო ნათესაურ ჯგუფს შიგნით, მხოლოდ ერთი დედ-მამის შვილებს შორის იკრძალებოდა. ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობები დაღესტანში არათანაბრად იყო განვითარებული სხვადასხვა რეგიონში. დაღესტნის ტერიტორიაზე არსებობდა რიგი ფეოდალური სამფლობელოები, რომელთაც განაგებდნენ შამხლები, ხანები, უწმიები და სხვ. ფეოდალური იერარქიის კიბეზე უფრო დაბალ საფეხურს ბეკები, უფრო ქვევით ჩანკები წარმოადგენდნენ. სასულიერო წოდების წარმომადგენლები იყვნენ ყადი, მოლა და სხვ. დამოკიდებული ფენა იყო გლეხები: უზდენები, ჩაგარები და რაიატები (ყმები) და მონები. გვარი (თუხუმი) არ წარმოადგენდა სამეურნეო თვალსაზრისით ერთიან კოლექტივს. მთელ დაღესტანში განსახლების ტერიტორიული პრინციპი იყო გავრცელებული და სამეურნეო-პოლიტიკურ ერთეულს სასოფლო თემი (ვჯამაათი) წარმოადგენდა. ვჯამაათი რამდენიმე თუხუმისგან ან რამდენიმე ნვრილი დასახლებული პუნქტისგან შედგებოდა. დიდი ოჯახი დაღესტნის რუსეთთან შეერთების დროისთვის უკვე აღარ არსებობდა. მცირე ოჯახი პატრიარქალური იყო. დაღესტნის ბარში განვითარებული იყო მინათ-

მოქმედება, მთაში მესაქონლეობა. კარგად იყო განვითარებული ხელოსნობის დარგები: სამჭედლო და საიუველირო საქმე, ხალიჩების ქსოვა, ნაბდებისა და კავკასიური მაუდის დამზადება და ხეზე მხატვრული ჭრა. დაღესტნელთა ყოფა შარიათითა და ადათით რეგულირდებოდა. მუსლიმანური სალოცავების გარდა დაღესტნის ტერიტორიაზე მემორჩენილია აღრე ფეოდალური ხანის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები.

## ხუნძები

ხუნძების თვითსახელწოდებაა მაარულალ. ისინი დაღესტნის ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს ქმნიან. მათ მუსლიმანობა XI საუკუნისთვის არაბთა გავლენით მიიღეს და XIII საუკუნეში ოქროს ურდოს ექვემდებარებოდნენ. კავკასიონის მაღალმთიანეთის დაბლობებზე მათ დააპირეს სახანო, რომელიც რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა XIX საუკუნეში. ავარიის სახანოს დაღესტნის სხვა გაერთიანებებთან შედარებით ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. ჯერ კიდევ VIII-XIV სს. დაღესტანში გავრცელდა ქართული კულტურა, ქართული ანბანის საფუძველზე შეიქმნა ხუნძური ენის პირველი წერილობითი ძეგლი. ხუნძეთში დღემდევა შემორჩენილი ქართული მონასტრების ნაშთები. ხუნძები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მიურიდისტულ მოძრაობაში და რუსეთის კავკასიური დაპყრობების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხუნძების სოფლები მთის მჭიდრო დასახლებას წარმოადგენს. სახლები ერთმანეთთან მიჯრითაა ნაგები ისე, რომ ერთის სახურავი მეორე სახლის ეზოა. განაპირა სახლები ისე იყო ნაშენი, რომ სოფლის გარშემო შემოვლებულ კედელს წარმოადგენდნენ, საომარი კოშკებით, რომლებიც ამავე დროს საგუშავო კოშკებიც იყო. კოშკები ექვს-შვიდ სართულიანი იყო. საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა გაუთლელი ქვებით ნაგებ ოთხეუთხა ნაგებობას ბრტყელი გადახურვით, შესადუღებელ მასალად მინის ხს-

ნარი გამოიყენებოდა. სახლი ან ფუნდამენტზე ან კლდოვან გრუნტზე შენდებოდა. სახურავი ბანური იყო, რომელსაც ყოველი წევიძის შემდეგ ტკეპნა სჭირდებოდა. ქვედა სართული სამეურნეო დანიშნულების იყო, აქვე იყო განთავსებული ზამთარში საცხოვრებლად გამიზნული ოთახი. მეორე სართულზე, სადაც ერთიდან სამამდე საცხოვრებელი ოთახი იყო, გარეთა კიბით ადიოდნენ. ოთახების კარები გამოდიოდა გალერეაში, სადაც ჩვეულებრივ ხის ტახტი და რამდენიმე ხის სკამი იდგა. სამოთახიან სახლში შუა ოთახი დერეფნის როლს ასრულებდა, მის შიდა კედელთან მარცვლეულის სათავსი იდგა. გვერდითა კედლებს გაუყვებოდა ჭურჭლის თაროები და სხვა სათავსები, ზედა თაროზე სადღესასწაულო ჭურჭელს აწყობდნენ. მისაღები ოთახი ხალიჩებით და იარაღით იყო მორთული. ერთ კედელთან იყო მიდგმული ტახტები სტუმრისა და თავად ოჯახის უფროსისთვის. კერა ჩვეულებრივ ცენტრში იყო მოთავსებული და ოთახს ყოფდა მარჯვენა მამაკაცების, მარცხენა ქალების, შიდა ბავშვების და წინა შეშისა და ფიჩის დასაწყობ მხარეებად.

სუნდი მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი იყო ტუნიკი-სებრი პერანგი, შარვალი, ჩოხა-ახალუხი, ნაბადი და მოსასხამი ქურქი, რომელსაც საყელო და ვიწრო ცრუ სახელოები ჰქონდა, თავსაბურავად — ფაფახი. თავისებურია სუნდი მამაკაცის ქურქი. ქალის კოსტუმი შედგებოდა ტუნიკისებრი კაბა-პერანგისგან (გორდე), რომელსაც ქამრით ატარებდნენ. ქალის თავსაბურავი იყო ჩიხტი (ჩუხტო), რომელსაც მოსახვევით იკრავდნენ. ზოგან ჩიხტს შუბლის მხარეს ჰქონდა ლითონის მოსართავები.

სუნდების ძირითად სამეურნეო დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა. ძირითადად მისდევდნენ მეცხვარეობას, ასევე ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მცირე რაოდენობით ცხენი. განვითარებული იყო ხელოსნობა. ამუშავებდნენ ლითონს. ამზადებდნენ ხანჯლებს, ვერცხლის და სპილენძის ჭურჭელს, ქამრებს, ვერცხლის საიუველირო ნანარმს, კეთდებოდა გრავიურა, სევადი, ხეზე ვერცხლის ან სპილენძის მავთულით ინკრუსტაცია. იცოდნენ ხისა და ლითონის ჭედვა, იარაღის მოვერცხლვა, სპილოს ძ-



ლით, ოქროს ჭედურობით, ღრმა გრავიურითა და სევადით მორტკებული იყო ვაკრობა და სეზონური მუშაობა.

ხუნდებმა შეინარჩუნეს ტრადიციული სასოფლო თემი, სასოფლო კრება და უხუცესთა საპჭო. სასოფლო თემი (ბო) მოიცავდა რამდენიმე ნათესაურ ჯგუფს თუხუმს, კიბილს (ძირი). სასოფლო თემის წევრები თანასწორუფლებიანად ითვლებოდნენ. შენარჩუნებული იყო სათემო საკუთრება საძოვრებზე, სათიბებსა და მინდვრებზე. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ სასოფლო კრება (ჯამაათი) ითვლებოდა. საკმაო გავლენას ფლობდნენ ბეგები და ხანები, ასევე მუსლიმი სასულიერო პირები (ყადები და დიბირები). მათი ძალაუფლების ეკონომიკურ საფუძველს ვაკუფები წარმოადგენდნენ.

ხუნდებთან ქორწინება ჩვეულებრივ სოფელში ნათესაური ჯგუფის შიგნით ხდებოდა. აკრძალვა მხოლოდ ღვიძლ ძმებთან და დებთან ქორწინებას შეეხებოდა. ზოგ რაიონში იცოდნენ მცირენლოვანთა დანიშვნა. ნიშნობისას ვაჟის მამა საპატარძლოს მშობლებთან პატივსაცემ ნათესავებს გზავნიდა. მაჭანკლებს საზეიმოდ მიჰქონდათ ლანგრით მრგვალი პური ყველით და ტკბილული. მათ საპატარძლოს დედა მასპინძლობდა. ნიშნობის დარღვევა სისხლის აღების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო. ქორწილზე პატიუებდნენ მთელ სოფელს. ქორწილის დღე სიძის ერთ-ერთი ამხანაგის სახლში აღინიშნებოდა. ირჩეოდა ცერემონიის გამგებელი. ის ჩვეულებრივ სიძის რომელიმე ამხანაგი იყო. მეორე დღეს დღესასწაული სიძის სახლში გადაინაცვლებდა, სადაც მეგობარი გოგონების თანხლებით გადავიდოდა პატარძალი. მას დედამთილი ხვდებოდა, რაიმე საჩუქარს გადასცემდა და სახლში შესვლას სთხოვდა. მასვე შეჰყავდა პატარძალი მისთვის სპეციალურად მომზადებულ ოთახში, აქ რჩებოდა იგი თავის მეგობრებთან ერთად ქორწილის ბოლომდე. პატარძალს სახე დაფარული ჰქონდა. მამამთილს და მაზლებს არ ჰქონდათ მის ოთახში შესვლის უფლება. ქორწილის მანძილზე სიძე მეგობრების გარემოცვაში უნდა ყოფილიყო, მას მეთვალყურეობდნენ „მოტაცების“ აღსაკვეთად. მის „მოტაცებას“ ნათესავები ცდი-

ლობდნენ, რათა თავიანთ სახლში გაეგრძელებინათ ქორწილი, ხშირად სიძეს ქალები, პატარძლის მეგობრები იტაცებდნენ და გამოსასყიდს ითხოვდნენ. ჩვეულების მიხედვით სიძეს წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია „მომტაცებლებისთვის“. წვეულების შემდეგ ყველანი გამოდიოდნენ მოედანზე მუსიკის (ზურნისა და დოლის) თანხლებით საცეკვაოდ. ახალდაქორნინებულები ერთი ნელი ან პირველი ბავშვის დაბადებამდე სიძის მშობლებთან ცხოვრობდნენ, შემდეგ შესაძლებლობის ფარგლებში მათ გამოუყოფდნენ სახლს, მინის ნაკვეთს, საქონელს და სხვ. ოჯახში ყველაზე დიდ სიხარულს ვაჟის დაბადება წარმოადგენდა. პირველი მშობიარობის წინ ქალი მიდიოდა თავისი მშობლების სახლში, სადაც 20-30 დღე რჩებოდა. მომდევნო მშობიარობისას უკვე ქმრის სახლში რჩებოდა, მაგრამ ქმარი მიდიოდა სახლიდან. მშობიარეს დედა ეხმარებოდა. ბავშვის დაბადებას თოფის სროლით აღნიშნავდნენ. კლავდნენ ცხვარს, ნათესავებს უმასპინძლდებოდნენ და ერთად არჩევდნენ ბავშვის სახელს. ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელო იყო. იგი არ მონანილეობდა კრებებში, დღესასწაულებზე. ოჯახი მკაცრად პატრიარქალური იყო. ქმარი განაგებდა ყველაფერს, შვილების ბედის ჩათვლით. მისი საკუთრება იყო მთელი ქონება, თუ ოჯახს საშუალება ჰქონდა იგი ცალკე ოთახში ცხოვრობდა, ქალები და ბავშვები კი ერთად. ვაჟები დედასთან ცხოვრობდნენ სრულწლოვანებამდე, ე. ი. 15 წლამდე, შემდეგ გადადიოდნენ მამის კუთხეში.

საბჭოთა პერიოდში ხუნძებად იწერებოდნენ ანდიურ-დიდოური (ცემური) მოდგმის ხალხები, რომლებიც შედგებიან ანდიელების (საკუთარი სახელი ყვანალი), ბოთლიხელების, ღოდობერიელების, ჭამალალების, ბაგულალების, ტინდიელების, კარატელების, ახვახელების, დიდოელების, ხვარშიელების, ჰუნზიბელების, არჩიბელებისგან, თუმცა მათი ენა ლეზგურ ჯგუფს განეკუთვნება. ეს ხალხები ეთნიკურად ენათესავებიან ხუნძებს, მათვის დამახასიათებელია საერთო ტერიტორია, საერთო ენა (ე.ნ. თემის ენა – ბოლმან, რომელიც საფუძვლად დაედო ხუნძურ სალიტერატურო ენას), ყოფისა და კულტურის მსგავსება. თუმ-

ცა ანდიურ-დიდოური ხალხებისა და არჩიბელების სახლში საკუთრებული აპარაკო ენა განსხვავებულია და ისინი ინარჩუნებენ მატერი-ალური და სულიერი კულტურის გარკვეულ თავისებურებებს. მათი სამეურნეო საქმიანობა მსგავსია, ზოგიერთი სპეციფიკური მახასიათებლის გამოკლებით. მაგალითად, ანდიურები ანარმოებენ შავი აბრეშუმისებრი მატყლის ნაბდებს, ასევე მარილს; ბოთლიხელები განთქმული არიან მეთუნეობით.

არსებობს განსხვავებები საცხოვრებლის ტიპებშიც. ბევრ დასახლებაში გვხვდება ქართული წარმომავლობის საგნები საცხოვრებლის შიდა მონყობილობისთვის, ასევე ქართულის მსგავსი სამშენებლო ელემენტები (მაგ., ყავრით გადახურვა და სხვ.). ანდიულების სახლს ქვის ღობით შემოსაზღვრული ეზო აქვს, ეზოშია განთავსებული ბოსელი, ბეღელი და სხვ. აქვე იდება შეშა, თივა. საცხოვრებელ სახლს აქვს გალერეა და კედლის კერა. დიდოელებთან გვხვდება მთის ფერდობში შეჭრილი მაღალი სახლები ორფერდა გადახურვით, სადაც ქვედა სართული საქონლის სადგომად გამოიყენება, მეორე თივის სათავსოდ, ზედა სართული კი საცხოვრებლად. არჩიბელების საცხოვრებელში მეორე სართული ზამთრის საცხოვრებელი იყო, რომლის ბუნებრივ დამათბობლად პირველ სართულზე განთავსებული ბოსელი იქცეოდა. ზამთრის საცხოვრებელი ძალიან ბნელი და დაბალი იყო, თბებოდა შუა ცეცხლით, აქვე მზადდებოდა საჭმელი, თუ სახლი სამსართულიანი იყო მესამე სართული საზაფხულო საცხოვრებელი იყო. ბოთლიხელებთან ბეღელელი სახლის გარეთ იყო განთავსებული და სპეციალურ ქვის კედლებზე ან შემაღლებაზე იდგმებოდა. ბაგულალების ტრადიციული სახლი ერთსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც ხუნძური სახლისგან განსხვავებით ეზო ჰქონდა. ეზოში იდგა ბოსელი, ბეღელი და სხვა სამეურნეო ნაგებობები, ზოგჯერ ბეღელი სახლის სახურავზე აჰქონდათ. ზოგიერთ სოფელში საომარი კოშკების გარდა, აშენებდნენ განსაკუთრებულ სწორკუთხა, ორსართულიან სიმაგრეებს (ხალა), რომლებსაც ერთი გასასვლელი ჰქონდა და წყალი თიხის მილებით მიეწოდებოდა. კარატაელთა საცხოვრებელი ერთსართულიანი, ქვის შენობა იყო, მინისქვეშა



ბოსლით. სხვადასხვა ჯვეფებს ახასიათებდათ თავისებურებები ტანსაცმელში: მაგ., ბაგულალელი ქალების ჩიხტი ვერცხლის სასაფეთქლებიანი იყო, არჩიბელი ქალების ჩიხტს ვერცხლის მონეტები ამშვენებდა, ბოთლიხელები ე.ნ. რქიან ჩიხტს ატარებდნენ, დიდოელ ქალს გამოარჩევდა დიდი საყურები საკიდებით. თუმცა თანდათან ლოკალური თავისებურებები გაქრა და დღეს ტრადიციული ტანსაცმელი ყოფაში აღარ გამოიყენება. შეიცვალა საცხოვრებლის ტიპიც: თანამედროვე სახლი ორსართულიანია აივნით, სამეურნეო ნაგებობების ზომა შემცირდა და საცხოვრებელთან ერთად ერთ კომპლექსში მოექცა.

## ლაკები

ლაკების თვითსახელნოდებაა ლაკ, უფრო ადრინდელი ლაზიუმუხ. ლაკები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ინდიგენურ მოსახლეობას წარმოადგენს. ისინი ძირითადად ცხოვრობენ ცენტრალური დაღესტნის ტერიტორიაზე. ლაკების ენაა ლაკური. სუნიტი მუსლიმანები არიან. XIV საუკუნიდან ლაზი-ყუმუხთა ხაკანატი შედარებით დამოუკიდებელი ისლამური ცენტრი იყო მაღალი კულტურით. იგი დასუსტდა და საბოლოოდ დაიშალა XVII საუკუნეში. XIX საუკუნის დასაწყისში ლაკთა ტერიტორია რუსეთის გამგებლობის ქვეშ მოექცა. ლაკები თავდაპირველად ნებაყოფლობით, მოგვიანებით კი იძულებით იქნენ ჩამოსახლებული ცენტრალური დაღესტნის დაბლობებში. ლაკების მატერიალური და სულიერი კულტურა დაღესტნის სხვა ხალხების კულტურის მსგავსია.

ლაკებთან დიდხანს შენარჩუნდა გვაროვნულ-თემობრივი ურთიერთობები. გვარი — თოხუმი, შედგებოდა ერთი ან რამდენიმე კულისგან (გვარი ვინრო მნიშვნელობით). კული თავის მხრივ პატრონიმიებად (უსურსუ) იყოფოდა. ეს იყო მცირე ოჯახების ჯგუფი, რომელთაგან თითოეულს ცალკე მეურნეობა ჰქონდა, ერთმანეთის ახლო ნათესავები იყვნენ, ახლოს ცხოვრობდნენ და მუდმივ ურთიერთობაში იყვნენ.

ლაკური სოფელი (შარ), იყოფოდა უბნებად (მახლა ან უამიტად ატ). თითოეულ მახლას, თავისი მეჩეთი, სასაფლაო და მამაკაც-თა თავშეყრის ადგილი (კურჩა) ჰქონდა, ჰყავდა თავისი უხუცესი (ვაკილ). სოფელს ჩვეულებრივ ჰქონდა სოფლის ქვევით მდებარე წყარო. ბევრ სოფელს ჰქონდა მრგვალი, ხელოვნური ტბორი, რომელიც წვიმის წყლით ივსებოდა და საქონლის დასარწყლულებლად, ზაფხულში კი ბავშვების საჭყუმპალაოდ გამოიყენებოდა. ლაკების საცხოვრებელი სახლი მცირედ განსხვავდება დაღესტნის სხვა ხალხების სახლებისგან. იგი ორსართულიანია, მეორე სართულზე აუცილებელი გალერეით, ბრტყელი გადახურვით, პატარა შიდა ეზოთი. სახლის შესასვლელთან კედელში ატანდნენ ქვას სახლის აშენების თარიღითა და არაბულ ენაზე შესრულებული რელიგიური წარწერით. სახლის შესასვლელში ჰყიდებდნენ ხარის რქებს. პირველი სართულის ნაწილი, ძველად კი მთელი სართული საქონლისთვის იყო განკუთვნილი, მოგვიანებით მან სამეურნეო დანიშნულება შეიძინა. დღეს საცხოვრებლად გამოიყენება. მეორე სართულზე ეზოდან ადიოდა ხის კიბე. ერთ-სართულიანი მინაშენების სახურავი დამატებით ეზოებად გამოიყენებოდა, აქ ისხდნენ, მუშაობდნენ, ზაფხულში კი ეძინათ კიდეც. მეორე სართულის სახურავზე ზაფხულში ნეხვს ფენდნენ გასაშრობად. ერთ-ერთ ოთახში კედელთან კეთდებოდა ნახევარმეტრიანი ამაღლება, რომელიც იატაკთან ერთად ხალიჩებით იფინებოდა. მასზე ეძინათ და ჭამდნენ ბალიშებზე ფეხმორთხმით მსხდომნი. ხის მასალის სიმცირის გამო მეორე სართულის იატაკიც თიხატკეპნილი იყო. საცხოვრებელი ოთახის კედლები ხალიჩებით და იარაღით იყო მორთული. ოთახის გასანათებლად იყენებდნენ კვარს, ან ქონისა და ნავთის სანათურებს, მოგვიანებით ნავთის ლამპებს.

მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმლის რამდენიმე ელემენტი, კერძოდ ნაქსოვი ფეხსაცმელი, ფაფახი და ქამარი დიდხანს შემორჩა ყოფაში. ქალების ტრადიციული კოსტიუმი შედგება თეთრი აბრეშუმის მეერდზე ღრმაჭრილიანი, გრძელი კაბისაგან, რომელ-საც გრძელი, მთელ სიგრძეზე ჩაჭრილი სახელოვები ჰქონდა. ასეთი

კაბის შიგნით ატარებენ იგივე ნაჭრის კოფთას დამდგარი საყველო თი და შარვალს. თავზე იხურავდნენ დიდ მოქარგულ მოსახვევებს. ქალები და ბავშვები ატარებდნენ ცრუ სახელოებიან, მოკლე, ცხვრის ტყავის ქურქებს. ბავშვებს აცმევდნენ ასევე ფერადი ნაჭრების ნაკუნძებისგან შეკერილ ქურქებს, რომლებსაც ზურგსა და მხრებზე ვერცხლის მონეტები ჰქონდათ მიკერებული.

ლაკების საკვები ძირითადად რძისა და ხორცის პროდუქტებისგან და ცომეულისგან შედგებოდა, მოგვიანებით დაემატა რაციონს კარტოფილი და სხვა ბოსტნეული.

ლაკების ძირითადი საქმიანობა გადარევითი მესაქონლეობა (უმთავრესად მომთაბარე მეცხვარეობა, ასევე მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და ცხენების მოშენება) იყო. მიწათმოქმედებას დაბლობ რაიონებში მისდევდნენ და მას დამხმარე დარგის მნიშვნელობა ჰქონდა. დაკავებული იყვნენ ასევე მეფუტკრეობით. განვითარებული იყო ხელოსნობა (საიუველირო საქმე, ლითონის, ქვის, ტყავის დამუშავება, მეთუნეობა). გავრცელებული იყო ხელოსნების საშოვარზე სიარული და ვაჭრობა. გადაადგილების საშუალებად გამოიყენებოდა ურემი, ცხენი, ვირი.

ლაკების საქორწინო ჩვეულებები დაღესტნის სხვა ხალხების მსგავსი იყო. ლაკები უპირატესობას ანიჭებდნენ ენდოგამიურ ქორწინებას. საპატარძლოსთან გზავნიდნენ სასიძოს დედას, დას ან სხვა ნათესავ ქალს, თანხმობის მიღების შემთხვევაში საბოლოო შეთანხმებისთვის მამაკაცები მიღიოდნენ. მთავარი საკითხი ყალიმის რაოდენობის განსაზღვრა იყო. ზოგჯერ ნიშნობიდან ქორწილამდე ერთი-ორი წელი გადიოდა. სასიძოს ეკრძალებოდა ქორწილამდე საპატარძლოს ნახვა და მასთან საუბარი. ქორწილამდე 40 დღით ადრე სასიძო უგზავნიდა საპატარძლოს საქორწილო კაბას, ბეჭდებს და სხვა ნივთებს, სამაგიროდ იღებდა ქისას, ცხვირსახოცს და ა.შ. ქორწილი წვეულებით იწყებოდა, რომელსაც სასიძოს პატივსაცემად ერთ-ერთი მისი მეგობარი მართავდა. საღამოს სასიძო სტუმრებითურთ სახლში ბრუნდებოდა და იქ იმართებოდა ცეკვები. სასიძო მხიარულებაში არ მონაწილეობდა და თამადასა და საპატიო სტუმრებთან ერთად სუფრასთან იჯდა.



ხელისმომენდები ჯოხის მხარზე დარტყმით ირჩევდნენ მაყარდები მაყარი მუსიკის თანხლებით მიღიოდა პატარძალის სახლში და მის გამოსვლას ელოდებოდა. პატარძალი არ ჩქარობდა საქმროს სახლში წასვლას. ბოლოს თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი დაფარულსახიანი პატარძალი, მეგობარი გოგონებისა და ნათესავი მამაკაცების თანხლებით გამოდიოდა მშობლების სახლიდან. მაყარი მას მუსიკით ეგებებოდა და მიჰყავდათ საქმროს სახლში. იქ მისულებს შესასვლელში ხვდებოდათ დიდი კოცონი, რომლის გვერდის ავლითაც შედიოდა პატარძალი სახლში. მას შეჰყვებოდნენ ქალები და გოგონები, თანმხლები მამაკაცები საქმროს ეზოში არ შედიოდნენ. პატარძალს ხვდებიან საქმროს მშობლები, ახედებენ სარკეში და დედამთილი კოცნის შუბლზე. სახლში შესვლისას პატარძალს გადასცმენ საჩუქრებს. იგი შეჰყავთ ოთახში, სადაც ფარდის უკან დამრიგებელ ნათესავ ხნიერ ქალთან ერთად რჩება. პატარძლის მაყარი მისი მშობლების სახლში ბრუნდება, საქმროს მხარე კი აგრძელებს ქეიფს საქმროს სახლში. შუალამისთვის პატარძალთან მოდის საქმრო მეგობრის თანხლებით. საქმრო-პატარძალი, მისი ნათესავი ქალი და საქმროს მეგობარი სვამდნენ ერთ ბოთლ ტკბილ ღვინოს, რის შემდეგაც ნეფე-პატარძალს მარტო ტოვებდნენ. ქორნილი ორი-სამი დღე გრძელდებოდა. შემდეგ პატარძალი გაჰყავდათ წყაროზე წყლის მოსატანდ. მისი თანმხლები ქალი ტკბილეულით უმასპინძლდებოდა ახალგაზრდებს, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ პატარძლისთვის წყლის აღებაში. სახლში დაბრუნებული პატარძალი წყალს პირველად ქმარს ასმევდა. ამ რიტუალის შესრულების შემდეგ პატარძალი ერთვებოდა ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში. მშობიარობის მოახლოებისას მომავალი დედის უახლოესი ნათესავები ჩვილისათვის ამზადებდნენ აკვანს, საბნებს და სხვა აუცილებელ ნივთებს. მშობიარეს ეხმარებოდა ბებიაქალი, რომელსაც საფასურს ხორბლით უხდიდნენ. მშობიარობის გასაიოლებლად იცოდნენ მელოგინის მეჩეთიდან მოტანილი თივით შებოლვა, შელოცვილი წყლის მიცემა. ბავშვის დაბადებიდან მეშვიდე დღეს ახალდებადებულის მშობლები წვეულებას



მართავდნენ. ამ დღეს არქმევდა ბავშვს სახელს მოლა. ორილი შვიდ წლამდე სრულდებოდა წინადაცეტის რიტუალი.

გავრცელებული იყო სისხლის აღების ჩვეულება. მკვლელობის შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უხუცესი ცდილობდა დაეთანხმებინა დაზარალებული მხარე აეღო სისხლის საზღაური. თუ შერიგება ვერ შედგებოდა, მაშინ მკვლელს გადასცემდნენ დაზარალებულ გვარს. მოგვიანებით დაწესდა მკვლელის 5-7 წლით სოფლიდან გასახლება, ამ პერიოდში დაზარალებულებს შეეძლოთ შური ეძიათ ისე, რომ მათ პასუხს არ მოკითხავდნენ. ამ დროის გასვლის შემდეგ კი მკვლელი დაბრუნდებოდა სოფელში და ხანთან გამოცხადდებოდა, რომელიც შეერებდა მოკლულის ნათესავებს, დაანახებდა მათ ზურგით მდგარ მკვლელს და გამოაცხადებდა მას ხელშეუხებლად, რის შემდეგაც შურისძიება წყდებოდა. ზოგჯერ მკვლელი მოკლულის დედასთან მივიდოდა მალულად, თეთრ გადასაფარებელმოხვეული და იძულებით ძუძუზე კბილს დაადგამდა, რითაც იგი მოკლულის ძუძუმტე ხდებოდა და მისი მოკვლა აღარ შეიძლებოდა. სისხლის აღება დაჭრის შემთხვევაშიც სავალდებულო იყო. საზღაური სხვადასხვა იყო იმის მიხედვით თუ რა იარაღი იქნებოდა გამოყენებული და რა სახის იქნებოდა ჭრილობა. მტკიცე იყო სტუმარმასპინძლობის ჩვეულებები და ურთიერთდახმარების (მარშა) ვალდებულებები.

ლაკები სუნიტი მუსლიმანები არიან. ისლამი მათ შორის არაბების გავლენით გავრცელდა, საბოლოოდ ფეხი XIII-XIV საუკუნეებში მოიკიდა. წინარეისლამური წარმოდგენებიდან შემორჩენილია გარკვეული კვალი. კერძოდ, ღმერთი აღინიშნება სიტყვით „ზალუ“ სიტყვასიტყვით ბატონი. შემორჩენილია გაზაფხულზე პირველი ხნულის გაჭრის აღნიშვნის დღესასწაული (ხარას შავუ — სახვნელად გასვლა), მოსავლის აღების წინ „პურის აღების“ დღესასწაული (კურნიესა), შემოდგომაზე, ცხვრის პარსვის დაწყების წინ დღესასწაულის გამართვა. საგაზაფხულო დღესასწაულების დროს იცოდნენ „ქვების ომის“ გამართვა, რომელშიც მოზარდების გარდა ზოგჯერ უფროსებიც მონანილეობდნენ. მართავდნენ დოღს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქვების სროლა-



ში, სიმძიმის აწევაში, ხტუნვა-სირბილში, ჭიდაობაში, ხის ხმლების ბით ფარიკაობაში, ზოგი სოფელი განთქმული იყო ბაგირზე მოსიარულებითა და აკრობატებით, თამაშობდნენ ჭადრაკის ნაირსახეობას.

ძველი ეპიკური უანრის ფოლკლორული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ლაკური "ფარტუ ფატიმა". გავრცელებული იყო ხალხური მომღერალ-მუსიკოსის (აშუკი) ხელოვნება. მუსიკალურ ინსტრუმენტებზე (ჩონგური, ზურნა, დოლი, დაირა, თარი, ქამანჩი, და სხვ.) ძირითადად მამაკაცები უკრავდნენ.

## დარგულები

დარგულები (თვითსახელწოდებაა დარგან) ყოფითა და კულტურით მონათესავე ხაიდაყებსა (საკუთარი სახელი ხაიდაყ) და კუბაჩელებთან (საკუთარი სახელი ურბუგან) ერთად რიცხოვნებით მეორე ხალხია დაღესტანში. მათი სალიტერატურო და სამწერლობო ენა დარგულია, თუმცა სამივე ჯგუფი ლაპარაკობს დიალექტზე. XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე დარგულები თავისუფალ თემებად ცხოვრობდნენ და ხაიდაყის უნიმის ემორჩილებოდნენ. მოსახლეობის ძირითად მასას თავისუფალი მეტემები (უზდენები) შეადგენდნენ, ჰყავდათ ყმები (რაიათი) და მონებიც (ყული).

დარგულთა დასახლება რიცხობრივად სხვადასხვა იყო (იყო როგორც 100 კომლამდე, ისე 700-ზე მეტკომლიანი სოფლებიც). სოფელი ზღვის დონიდან რაც უფრო მაღლა მდებარეობდა, მით უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული და საფეხურებრივი, ამფითეატრისებური დაგეგმარება ჰქონდა. სახლები ერთმანეთზე იყო მიდგმული და ქვედა სახლის სახურავი ზედა სახლის ეზოს ფუნქციას ასრულებდა. სახლები ჩვეულებრივ ორ-ოთხ, ან ზოგჯერ ექვს სართულიანები იყო. დაბლობში ფასადით ეზოსკენ მიქცეული სახლები ერთსართულიანი იყო. სოფლებს ჰქონდა წყარო და მასთან მიმდებარებატატარა მოედნები. ზოგ სოფელს საერთო მოხ-



მარების საცხობი ღუმელიც ჰქონდა, რომელიც ქალთა თავშეუწიო  
რის ადგილი იყო. სახლებს ქვის ან გამოუწვავი აგურისგან  
აშენებდნენ და თიხის ხსნარით ადუღაბებდნენ. იცოდნენ მშრალი  
ნყობით აგებაც. იატაკი თიხატკეპნილი, იშვიათად ხის იყო. სახ-  
ლს ფასადის მხარეს გალერეა ან ლია აივანი ჰქონდა. რამდენიმე  
სართულიან სახლებში საცხოვრებლად ჩვეულებრივ ზედა  
სართულები გამოიყენებოდა, ქვედას კი საჯინიბოს, ბოსლის ან  
სხვა სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. ზოგ რაიონში ბოსელს სახ-  
ლისგან მოშორებით აშენებდნენ. დაბლობ რაიონებში ოთახები სი-  
გრძეზე იყო განლაგებული ერთმანეთის მიყოლებით და თი-  
თოეულს ცალკე გასასვლელი ჰქონდა აივანზე. იშვიათად ოთახ-  
ები ერთმანეთს დამატებითი კარითაც უკავშირდებოდა. მთიან  
რაიონებში ოთახების განლაგება ფერდობის თავისებურებებს  
შეესატყვისებოდა და შეიძლებოდა ოთახი ხუთკუთხა, ან მრგვალ-  
კუთხეებიანიც ყოფილიყო. ოთახები მორთული იყო ხალიჩებით,  
ხელოსნური ნანარმით და სხვ.

დარგუელი მამაკაცის ტანსაცმელი ზოგად კავეასიური ტიპისაა  
(ჩოხა-ახალუხი, ნინდები). ტრადიციული ტანსაცმლის ელემენტე-  
ბიდან დღემდე გამოიყენება ფაფახები, ნაბდები, ნაქსოვი ორნამენ-  
ტიანი ნინდები, ცხვრის უმკლავებო და ცრუუმკლავიანი ტყაპუჭები  
ქალებისთვის და მამაკაცებისთვის, ქალის ტუნიკისმაგვარი კაბა,  
ქალისა და მამაკაცის შარვალი და ქალის თავსაკრავები.

დარგუელთა საკვები დაღესტნის სხვა ხალხების მსგავსია.  
ყველაზე გავრცელებული ცხელი კერძებია ხორცის წვნიანი და  
ხინკალი. რაციონი შედგებოდა ხორცისა და რძის პროდუქტები-  
სგან (ერბო, კარაქი, ცხვრის ყველი), გამოიყენებოდა დუმის ქონი.  
მოგვიანებით დაემატა კარტოფილი და ბოსტნეული. ტკბილეულ-  
იდან ტრადიციულია თაფლით, შაქრითა და კარაქით შეზავებუ-  
ლი დანაყილი სელის მარცვლები.

დარგუელები ტრადიციულად მესაქონლე ხალხი იყო. მის-  
დევდნენ გადარეკვით მესაქონლეობას. ჰყავდათ ცხვარი, მსხვილ-  
ფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენები, ჯორები, ვირები. განვითარე-  
ბული იყო მცირე მასშტაბის მთური ტერასული მინათმოქმედე-

ბა. იცოდნენ მიწის განოყიერება. მიწას ამუშავებდნენ გუთნი გუთან (გუთან) და კავით (დურაზ). მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები: ხორბალი, სიმინდი, ქერი. არსებობდა ურთიერთდახმარების ფორმები (ბულხა). თითქმის არ იცნობდნენ მებოსტნეობას. განვითარებული იყო ხელოსნობა. ზოგიერთ სოფელში მამაკაცები მხოლოდ ხელოსნობას, კერძოდ ლითონის დამუშავებას მისდევდნენ. ამზადებდნენ ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის სამკაულებს და ნივთებს. განვითარებული იყო აგრეთვე ხეზე და ქვაზე კვეთა, ქეჩის დამზადება.

დარგულებმა დიდხანს შეინარჩუნეს დიდი ოჯახის სტრუქტურა, სოფლის საბჭო, უხუცესთა საბჭო. დარგული სოფელი წარმოადგენდა სასოფლო თემს, რომელიც იყოფოდა დიდ და მცირე ნათესაურ ჯგუფებად (თოხუმები და უინსები). საერთო სათემო საკუთრებაში იყო საძოვრები, ტყეები, წყლები და სხვა. უინსების საერთო საკუთრებაში იყო მარცვლეულის საშრობი ქურა, ზოგჯერ წყლის ნისქვილებიც. თოხუმების და უინსების წევრები ერთად ამუშავებდნენ მინდვრებს. ქალები მონანილეობას არ იღებდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, საერთო სასოფლო დღესასწაულებზე ქალებს არ ჰქონდათ უფლება დალაპარაკებოდნენ მამაკაცს, არც ქმარს მიმართავდნენ სხვების თანდასწრებით. ამასთან, არსებობდა მხოლოდ ქალების დღესასწაულებიც, სადაც მამაკაცები არ მონანილეობდნენ. ასევე არსებობდა „ქალების სახლი“ და „გოგონების სახლი“, სადაც იკრიბებოდნენ ქალები დროის ერთად გასატარებლად. ოჯახში მამაკაცი იყო მესაკუთრე და ერთპიროვნული გამგებელი, ქონებიდან ქალს მხოლოდ მზითევი ეკუთვნოდა. ჯერ მამაკაცს უნდა ეჭამა და მერე ქალს, ქმრის მოსვლამდე ქალს არ უნდა დაეძინა. მამაკაცის საქმე იყო ხვნა-თესვა და მესაქონლეობა, ქალს ებარა ბავშვების აღზრდა, თუმცა ზრდასრული შვილების ბედს მამა წყვეტდა. ქორწინება ენდოგამური იყო, უპირატესობა ენიჭებოდა ქორწინებას თოხუმის და უინსის შიგნით. შეძლებულ ფენებში პრაქტიკაში იყო მრავალცოლიანობა, სამეურნეო საქმიანობას პირველი ცოლი უძღვებოდა. არსებობდა მრავლჯერადი ხელის თხოვნის ჩვეულე-



ბა (მატანელები რამდენჯერმე უნდა მისულიყვნენ საპატარის მშობლებთან).

დარგულლთა სოფლები მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით: საფლავის ქვები, რელიეფები, პიქტოგრაფიული ნახატები.

დარგულები ისლამზე მერვე საუკუნეში მოქმედნენ არაბთა გავლენით. ისინი სუნიტი მუსლიმანები არიან.

## ლეზგები

ლეზგების თვითსახელნოდებაა კიურინ, ლეზგიარ. ლეზგები ცხოვრობენ ძირითადად დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და აზერბაიჯანში მდინარე სამურის აუზში, სასაზღვრო რაიონებში. ლაპარაკობენ ლეზგიურ ენაზე.

ლეზგიური სოფელი (ხურ) მჭიდრო დასახლების ტიპისაა, რომელიც უბნებად (მიაგლე) იყოფა. ტრადიციული სახლები, შიდა დაკეტილი ეზოთი და ეზოს გარეთ გამავალი ფანჯრების სიმცირით სიმაგრეების მსგავსია. მთაში სახლები ერთმანეთს ეკვროდა, დაბლობში განლაგებულ სოფლებში დასახლება ისეთი მჭიდრო არ იყო. მთაშიც და ბარშიც გავრცელებული იყო ერთსართულიანი, ბრტყელგადახურვიანი სახლები, სასტუმრო ოთახით, სამზარეულოთი და აივნით. ლეზგიური სახლი გეგმაში მართულთხედს, სამფერდა ოთხეუთხედს ან კვადრატს ქმნიდა შუაში ეზოთი. სასტუმრო ოთახის იატაკი და კედლები ხალიჩებით იყო დაფარული, კედლის ნიშებში აწყობდნენ ლოგინს. სამზარეულო ოთახში იყო მოთავსებული კედლის ბუხარი და თიხის, ხალიჩებით დაფარული ტახტი, კედლებზე ჰკიდებდნენ სპილენძის ჭურჭელს.

ლეზგიური ტრადიციული ტანსაცმელი დაღესტნის სხვა ხალხების ტანსაცმლის ანალოგიურია. მამაკაცის კოსტიუმი შედგება პერანგის, ჩოხა-ახალუხის (ჩუხვა), შარვლის, კარაკულის ან ცხვრის ტყავის ფაფახისა (ბარმაკ) და ქურქისგან. ქურქი ორნაირი ჰქონდათ: გრძელი, ცრუსახელობით (კავალ), და უფრო მსუბუქი (კურტ). ნაბდების ნაცვლად ხმარობდნენ ქეჩის მოსასხ-

ამს (ლიგ). ლეზგიური კოსტიუმის დამახასიათებელი ელემენტია მატყლისგან მჭიდროდ ნაქსოვი, ორნამენტირებული, ცხვირანეული ჩექმა და ნაქსოვი, ფერად ორნამენტიანი წინდები. ქალის ტანსაცმელია თეთრი შიდა პერანგი, წითელი, ყვითელი, შავი ან ცისფერი შარვალი, იგივე ფერების გრძელი კაბა, ახლუხი, ნაქსოვი წინდები, რომელიც ხშირად უფეხსაცმლოდ აცვიათ, და ცრუ-სახელოებიანი ქურქი.

ლეზგიურ საკვებ რაციონში სჭარბობს ხორცისა და რძის პროდუქტი. ხორცეული კერძებიდან გავრცელებულია ქაბაბი, მნვადი, ბოზბაში და სხვ. ყოველდღიური საკვებია სხვადასხვა გულიანი (ხორცის, ხაჭოს, კვერცხის, ბალახეულის) ხინკალი, ფლავიდა ფენოვანი (ყველის, ხაჭოს, ქიშმიშის, ბრინჯის ან ნიგვზიგულიანი) ლვეზელი.

ლეზგების ძირითადი საქმიანობა იყო მინათმოქმედება და მე-საქონლეობა. მინათმოქმედება მთისწინა ზოლის წამყვანი დარგი იყო. განვითარებული იყო მებალეობა. მისდევდნენ გადარევით მესაქონლეობას (ძირითადად ჰყავდათ ცხვარი, ასევე თხა, კამეჩი). მეურნეობის დამხმარე დარგი იყო შინამრეწველობა (მისდევდნენ მესალიჩეობას), იცოდნენ საშოვარზე სიარული.

ლეზგიური ოჯახი პატრიარქალურია. იგი შედგება ცოლ-ქმრის, ბავშვების, ერთ-ერთი მეუღლის მშობლების და დაუქორნინებელი და-ძმებისგან და დაქვრივებული რძლისგან. ქორნინება ენდოგამიურია: ქორნინდებოდნენ ნათესაურ ჯგუფებს შიგნით. იცოდნენ ბავშვების დანიშვნა. ასევე ქალის მოტაცება. სხვა შემთხვევაში ქორნინებას წინ უძღვდა მაჭანკლობა და მშობლების შეთანხმება. სასიძოს ახლო ნათესავი წინადადებით მივიდოდა საპატარძლოს სახლში. თანხმობის შემთხვევაში საპატარძლოსთან მიჰქონდათ ფლავი, ბეჭედი, მოსახვევი და თანხმდებოდნენ გამოსასყიდის რაოდენობაზე. ამის შემდეგ ქორნილამდე სასიძო საპატარძლოს არ უნდა შეხვედროდა. ქორნილი საქმროსა და საპატარძლოს სახლებში ცალ-ცალკე წვეულებით იწყებოდა. ხდებოდა საპატარძლოსა და საქმროს მხარეებს შორის ბრძოლის ინსცენირება. საქმრო ქორნილის დაწყებისთანავე ერთ-

ერთი ნათესავის ან მეგობრის სახლში მიდიოდა და იქ მხარების ლობდა მეგობრებთან ერთად. შემდეგ იგი თავისი მაყრებით მუსიკითა და ცეკვით მივიდოდა საპატარძლოს სახლში, ეს უკანასკნელი გარკვეული დროის მანძილზე უარობდა სახლის დატოვებას, საბოლოოდ მოსახვევით სახედაფარული პატარძალი ურმით ან ცხენით მიჰყავდათ სასიძოს სახლში. პროცესის წინ ქორწილის გამგებელი მიუძლოდა, მერე მოდიოდნენ მუსიკოსები, სასიძო ამხანაგებითურთ და სხვა სტუმრები. ბოლოს მოდიოდა პატარძალი, ხნიერი ნათესავი ქალისა და ერთი მეგობრის თანხლებით, მას მოჰყვებოდა მზითევი. საქმროს სახლთან მიახლოებულ პატარძალს მეზობელი სახლებიდან ესროდნენ ფულს, თხილს, კანფეტებს, შაქრის ნატეხებს. სახლში შესვლისას პატარძალი მარჯვენა ფეხს ადგამდა კარაქიან კოვზს, შემდეგ შეჰყავდათ ოთახში და მზითვის სკივრზე სვამდნენ, სადაც უნდა მჯდარიყო ჩუმად მთელი ქორწილის მანძილზე. შუალამისთვის მოვიდოდა საქმრო, რომელიც დილით მდინარეზე წავიდოდა საბანაოდ და შემდეგ მთელ დღეს ამხანაგთან ან ნათესავთან ატარებდა. გარკვეული დროის შემდეგ ახალდაქორწინებულები ერთვებოდნენ ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში. დიდ სიხარულად მიიჩნეოდა ვაჟის დაბადება. ბავშვის დაბადების წინ მამა სახლიდან მიდიოდა და მახარობლისგან შეიტყობდა შვილის დაბადების ამბავს. სახელს ბავშვს უფროსი ნათესავი ურჩევდა, ხშირად ბავშვს გარდაცვლილი პაპის ან სხვა ნათესავის სახელს არქმევდნენ.

ლეზგები სუნიტი მუსლიმანები არიან VIII საუკუნიდან. ისლამი არაბთა გავლენით გავრცელდა. ლეზგთა რწენა-წარმოდგენებში დღემდეა შემორჩენილი წინარეისლამური შეხედულებების კვალი. მაგალითად, ალაპის მნიშვნელობით იხმარება სიტყვა - გუცარ, რომელიც, როგორც ჩანს, რომელიღაც ღვთაების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ისლამამდელი ხასიათისაა გაზაფხულის ბუნიობის დღესასწაული, ყვავილების დღესასწაული მაისში, გვალვისას ან უამინდობისას გარკვეული რიტუალების შესრულება (მამაკაცთა მსვლელობა დაფერილი შუბებით და ერთმანეთის გაწუნვა, გოგონების მსვლელობა თოვლინით), წმინდა მთის თაყ-

ვანისცემა, ავი თვალისგან დასაცავად ნალების, ძალლისა ფრთხოებისა და მკლების გამოკიდვა ეზოში, მაგიური ქმედებები მშობიარობისას, სახლის შენებისას და სხვ. დაკრძალვა ლეკებთან დალესტნის სხვა ხალხების მსგავსად გარეგნული ფორმით არ განსხვავდება მუსლიმანური წესისგან (გარდაცვლილს სუდარაში ახვევენ, საფლავში მარჯვენა მხარზე აწვენენ თავით დასავლეთისკენ).

## აღულები

აღულები დალესტნის სამხრეთ ნაწილში, ოთხ ხეობაში მცხოვრები ხალხია. ლაპარაკობენ აღულურ ენაზე, სალიტერატურო ენაა ლეზგური. ყოფითა და კულტურით აღულები ენათესავებიან ლეზგებს. მათი რელიგია სუნიტური ისლამია, რომელიც VIII-X საუკუნეებში გავრცელდა.

აღულური სოფლები სამი-ოთხი თოხუმისგან შედგებოდა და სასოფლო თემს ქმნიდა. თოხუმები 20-40 კომლს მოიცავდა. ყოველ თოხუმს თავისი საძოვრები, სათიბები და სასაფლაო ჰქონდა. თოხუმი ენდოგამიური იყო. თოხუმს გარე ქორნინება ძალიან იშვიათი მოვლენა იყო. ასეთი ცხოვრების წესი იწვევდა იზოლაციას, აკონსერვებდა ცალკეულ კილოებსა და დიალექტებს, ხელს უშლიდა აღულების ერთიან ხალხად ჩამოყალიბებას. ისინი ერთმანეთს სოფლების დასახელების მიხედვით მოიხსენიებენ.

სასოფლო თემს ჰყავდა უხუცესი. დიდი გავლენით სარგებლობდნენ ყადები და მოლები. სოფელი თოხუმების დასახლების მიხედვით იყოფა უბნებად. სოფლის ცენტრში მეჩეთი იყო. უბნები ძალიან მჭიდროდ იყო დასახლებული, სახლები მიჯრით იდგა. მეჩეთის ნინა მოედანი ჯამაათის თავშეყრის ადგილი იყო. ზოგ სოფელს რამდენიმე მეჩეთი ჰქონდა, რომლებიც შეძლებულ თოხუმებს ეკუთვნოდა. ყველა სოფელში იყო თავდაცვითი კოშკები. აღულების საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული თვალსაზრისით არ განსხვავდებოდა მთიანი დალესტნის სხვა ხალხების მიხედვით.



ის სახლებისგან. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ აღულელთა სახლი მამაკაცებისა და ქალების მხარედ კი არ იყოფა, არამედ ოჯახისა და სასტუმრო მხარეებად. ოთახს ფანჯრები არ ჰქონდა შეუქი ოთხკუთხედი ღრიფოლებიდან შემოდიოდა, რომლებიც გარედან ხის დარაბით იხურებოდა. საჭმელს ოთახის ცენტრში მდებარე კერის ცეცხლზე ამზადებდნენ. კვამლი სახურავიდან გადიოდა.

აღულელთა ტანსაცმელი ლეზგურის მსგავსია და ზოგად კავკასიურ ელემენტებს შეიცავს: მამაკაცები ატარებდნენ ჩოხა-ახალუხს, ფაფახს, ნაბადს, შალის წინდებს, ქურქს. ქალების კოსტიუმიც ლეზგურისნაირია. ადრე ქალები თმას იფარავდნენ, დღეს თავმოხდილი დადიან.

აღულელთა საკვებიც ლეზგების მსგავსია. ჭამენ ტრადიციულად ხალიჩიან იატაკზე მსხდარნი. სხვა კავკასიელებისგან განსხვავებით სუფრასთან არ იციან სადღეგრძელოების თქმა. განსხვავებულია სტუმრის მიღების წესიც. აღულები მანამ არ მიესალმებიან სტუმარს, სანამ იგი არ გაიხდის, იარაღს არ აიყრის და გარკვეული დროის მანძილზე საყონალოში არ გაჩერდება. აღულთა ტრადიციულ ყოფაში ძირეული ცვლილებები მოხდა საბჭოთა პერიოდში.

მეურნეობის მთავარი დარგია მესაქონლეობა, ძირითადად მეცხვარეობა, ნანილობრივ მსხვილფეხარქოსანი პირუტყვისა და ცხენების მოშენება. მისდევდნენ გადარეკვით მესაქონლეობას. მინათმოქმედება (მემინდვრეობა, მებაღეობა) მცირედ იყო განვითარებული, დადიოდნენ საშოვარზე.

აღულებთან დაფიქსირებული ერთი ჩვეულება განასხვავებს მათ დაღესტნის სხვა ხალხებისგან. კერძოდ, დიდი ოჯახის გაყოფისას, წილი ერგებოდათ წლების წინ გათხოვილ დებსაც. ისინი იღებდნენ მოძრავი ქონების ნაწილსა და მინის ერთ წილს. ოჯახის გაყოფის შემდეგ ძმები გვერდიგვერდ სახლდებოდნენ.

## რუთულელები

რუთულელები დაღესტანსა (ოცამდე სოფელი) და აზერ-ბაიჯანში (ორი სოფელი) მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხია, რომლებიც ლეზგიურ ენათა ოჯახს ეკუთვნიან. რუთულელებს საერთო საკუთარი სახელი არა აქვთ და ერთმანეთს სოფლების სახელწოდებების მიხედვით მოიხსენიებენ. მათი სოფლები ერთ-მანეთისგან მაღალი ქედებით არის გამოყოფილი და მჭიდრო კავ-შირები არ აქვთ. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით რთულია რუთულელების გამოყოფა მდინარე სამურის აუზის სხვა მთიე-ლი ხალხებისგან. ყოფითა და კულტურით რუთულელები ახლოს დგანან ლეზგებთან.

რუთულელების ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა; ძირ-ითადად გადარევებითი მეცხვარეობა იყო, ჰყავდათ ასევე თხები, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და ცხენები. მინათმოქმედება, კერძოდ მემინდვრეობა სუსტად იყო განვითარებული. არ მის-დევდნენ მებალეობასა და მებოსტნეობას. ამუშავებდნენ ქვასა და ხეს. გავრცელებული იყო საფეიქრო საქმე (მეხალიჩეობა, შალის წარმოება). ფოლკლორი, ცეკვები, მუსიკალური ინსტრუმენტე-ბი ლაკებისა და აზერბაიჯანელების მსგავსია. რუთულელები სუნიტი მუსლიმანები არიან. ისლამი მათ შორის VII-VIII საუკუ-ნეში გავრცელდა.

## თაბასარანელები

თაბასარანელები (თვითსახელწოდებაა თაბასარანი) დაღესტ-ნის სამხრეთ აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხია. ლაპარაკობენ თაბასარანულ და ლეზგიურ ენებზე. ყოფითა და კულტურით ახ-ლოს დგანან ლეზგებთან.

თაბასარანელები დაკავებული იყვნენ მესაქონლეობითა და მინათმოქმედებით. მეურნეობა ნახევრად ნატურალური ხასია-თის იყო. თესდნენ მარცვლეულ კულტურებს, ხნავდნენ კავით,



გამწევ ძალად გამოიყენებდნენ წყვილ ხარს. ხენა-თესვა შამაცხადა  
ცების, მოსავლის აღება კი ქალების საქმედ მიიჩნეოდა. მესაქონ-  
ლეობის დარგებიდან განვითარებული იყო მეცხვარეობა. დამხ-  
მარე დარგი იყო ხელოსნობა, განსაკუთრებით განვითარებული  
იყო მეხალიჩეობა.

თაბასარანელთა სოფლები ლეზგურის მსგავსი იყო. სოფელი  
იყოფოდა უბნებად (მახლე). სახლები უმეტესწილად ორსართუ-  
ლიანი (ზოგან სამსართულიანი), ქვის იყო, გალერეით. საცხოვრე-  
ბლად მეორე სართული გამოიყენებოდა. ფანჯრებს ჭერზე და-  
ტანებული ღიობები ცვლიდა. იატაკი მინის იყო. ოთახი კერით  
თბებოდა, მის შიდა მორთულობას ხალიჩები, დასაჯდომი ბალიშე-  
ბი, კედლებზე დაკიდული იარაღი წარმოადგენდა. შეძლებულთა  
სახლებში ცალკე გამოიყოფოდა სასტუმრო ოთახი.

თაბასარანელი მამაკაცის ტანსაცმელი სხვა კავკასიელი  
ხალხების მსგავსია: ჩოხა-ახალუხი, შარვალი და ფაფახი. ქალის  
კოსტუმის ელემენტებია: ტუნიკისმაგვარი ყვითელი ან წითელი  
კაბა (ვალუაგ) და შარვალი. კაბას მონეტებიანი ვერცხლის ბალ-  
თიანი ქამარი ერტყა. ქალების თავსაბურავი იყო ჩიხტი, ზევიდან  
მოსახვევით.

თაბასარანელთა საზოგადოება პატრიარქალური იყო. გავრ-  
ცელებული იყო სტუმართმოყვარეობის, სისხლის აღების  
ჩვეულება. ადათი სისხლის აღებას მოითხოვდა პირადი შეურაცხ-  
ყოფის, მკვლელობის, დაჭრის, საზოგადოებრივი წესრიგის დარ-  
ღვევის და სხვა შემთხვევებში.

გავრცელებული იყო მრავალცოლიანობა, იცოდნენ ქალის  
მოტაცება, ქალისთვის გამოსასყიდის გადახდა. დაშვებული იყო  
ნათესავებს შორის ქორწინება. ხშირი იყო თაბასარანელებისა და  
ლეზგების ქორწინება, შედეგად თაბასარანელბში ლეზგიური ენა  
გავრცელდა. საპატარძლოს არჩევისას ყურადღება ექცეოდა მისი  
ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას. წინასწარი შეთანხმების  
შემთხვევაში ვაჟის დედა თვითონ გაუკეთებდა ვერცხლის ან  
ოქროს ბეჭედს საპატარძლოს მარჯვენა ხელის ნეკზე. ნიშნობა-  
ზე საპატარძლოს სახლში მიდიოდნენ საქმროს მამა და ბიძები,

პატივსაცემი ხნიერი ნათესავი მამაკაცითურთ, რომელიც მაჭანდობის ფუნქციას ასრულებდა. მათ მოჰქმნდათ შეთანხმებული თანხის ნაწილი, ასევე ტანსაცმელი და საჩუქრები პატარძლი-სათვის. ნიშნობის შემდეგ ახალგაზრდები საქმრო-საპატარძლოდ ითვლებოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ იმართებოდა ქორნილი, იგი იწყებოდა სასიძოს სახლში, სადაც წვეულება სამი დღე გრძელდებოდა. პარალელურად საპატარძლოს სახლშიც იმართებოდა წვეულება. მეორე დღეს სასიძოს სახლიდან მაყარი მიდიოდა საპატარძლოს სახლში. გზად კაცები ჯირითობდნენ. პირველი მახარობელი, რომელიც საპატარძლოს საქმროს მაყრის მოახლოებას შეატყობინებდა საჩუქრად მოსახვევს მიიღებდა, რომელ-საც ცხენს ახვევდა ყელზე. საზეიმოდ გამოწყობილი, აბრეშუმის მოსახვევით დაფარული პატარძალი ძმას ან ახლო ნათესავს გამოჰყავდა. მასთან მიჰყავდათ აღკაზმული ცხენი, რომელზეც პატარძალი სამჯერ შეჯდებოდა. პატარძალს თან ახლდა დამრიგებელი ქალი (ენგა) და პატარა ბიჭი. პროცესია ცეკვითა და სიმღერით მიემართებოდა საქმროს სახლისკენ. გზაში ახალგაზრდობა ისევ ეჯიბრებოდა ერთმანეთს ჯირითში. საპატარძლოს უკან მოჰყვებოდა მზითევი (ხალიჩები, ბალიშები, ლეიბები, ზანდუკები, ტკბილეული). საქმროს სახლთან მიახლოებულ პატარძალს წვრილ მონეტას, შაქარს, ბურღულეულს აყრიდნენ და მდიდარ და ტკბილ ცხოვრებას უსურვებდნენ. პატარძალს შეეგებებოდნენ საქმროს დედა და და. ერთ-ერთი მათგანი მას ტკბილეულით სავსე ხონჩას მიაწვდიდა. შემდეგ შეიყვანდნენ ოთახში, სადაც ქალები იმყოფებოდნენ, დასვამდნენ საპატიო ადგილას, მოხდიდნენ მოსახვევს, შემოუყვანდნენ პატარა ბიჭს და კალთაში ჩაუსვამდნენ მომავალი ვაჟიანობის საწინდრად. შუალამისთვის ქალები მიდიოდნენ. პატარძალთან საქმროს მოსვლამდე მარტო დამრიგებელი რჩებოდა.

ქორნილიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლამაზად გამოწყობილი პატარძალი ახალგაზრდა ქალებთან ერთად წყალზე მიდიოდა. მათ თან მიჰქონდათ ტკბილეული და წყაროსთან მყოფთ უმასპინძლდებოდნენ. ამის შემდეგ პატარძალი ჩაერთვებოდა სახლის სამეურნეო საქმიანობაში. ქალი სახლში მშობიარობდა ბებიაქა-



ლის დახმარებით. ვაჟის დაბადებას დიდი ზეიმით ხვდებოდნენ, იხდიდნენ წვეულებას და ნაკლებ შეძლებულ ნათესავებს საჩუქრებს ურიგებდნენ. გოგონას დაბადება არ აღინიშნებოდა. ჩვილს სახელად ჩვეულებრივ რომელიმე გარდაცვლილი ნათესავის სახელს შეურჩევდნენ. ბავშვს ორნლამდე ძუძუს აწოვებდნენ, ორი-სამი წლის ბიჭს წინადაცვეთას უტარებდნენ. მრავალშვილიანი ქალი მეტი პატივისცემით სარგებლობდა ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. გაყრის შემთხვევაში შვილები მამას რჩებოდნენ. გაყრის მოთხოვნა ჩვეულებრივ მამაკაცს შეეძლო, ქალს ეს უფლება მხოლოდ ღალატის შემთხვევაში ჰქონდა.

თაბასარანელები სუნიტი მუსლიმანები არიან. თუმცა შემორჩენილია ისლამამდელი შეხედულებები. მეჩეთების გარდა სოფლებში იყო წმინდა ადგილები (პირი). ავადმყოფობისა და განსაკუთრებით უშვილობის შემთხვევაში ქალები პირს თხოვდნენ შემწეობას, ტოვებდნენ იქ საჭმელს, ხეებზე კიდებდნენ ტანსაცმლის ნაკუნებს. მიმართავდნენ მაგიურ ქმედებებსა და ბალახეულ ნამლებს. ზოგიერთი ხე (მაგ., თხილის) წმინდა ხედ ითვლებოდა და არ ჭრიდნენ. დაკრძალვა ჩვეულებრივ გარდაცვალების დღესვე ეწყობოდა. გარდაცვლილს ნათესავი და მეზობელი ქალები დაიტირებდნენ (იასს). მოლა ან ახლო ნათესავი მამაკაცი ლოცვებს კითხულობდა. გვამს განბანდნენ და სუდარაში ახვევდნენ. მოგვიანებით საფლავზე საფლავის ქვას დგამდნენ.

## წახურები

წახურები ძირითადად დალესტანში რუთულის რაიონის დასავლეთ ნაწილში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხია. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე აზერბაიჯანში. ლაპარაკობენ ლეზგიური ენობრივი ჯგუფის წახურულ ენაზე. წახურები სუნიტი მუსლიმანები არიან. წახურებისთვის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მესაქონლეობა (ძირითადად, მეცხვარეობა) იყო. განვითარებული იყო ხელოსნობა და შინამრეწველობა. ამზადებდნენ ლითო-

ნის ჭურჭელს, საიუველირო ნაწარმს, ამუშავებდნენ ქვას, ხეს, ტყავსა და მატყლს. ამზადებდნენ ხალიჩებს, ხურჯინებს, ქურქებს, ფეხსაცმელს, ნინდებს და სხვ. მინათმოქმედება სუსტად იყო განვითარებული, არ ჰქონდათ სარწყავი სისტემები, მხოლოდ ნიადაგის ზედა ფენას ამუშავებდნენ კავით. ძველი ნახურული სახლი ორი ოთახისგან შედგებოდა. მათგან ერთი ზამთრის საცხოვრებელი იყო, მეორე კი ზაფხულის. მთელი ოჯახი ერთ ოთახში ცხოვრობდა. ზამთრის ოთახი (ბეგა) მიწური იყო და მისი იატაკი მინის დონეზე ქვევით მდებარეობდა. ოთახის ცენტრში ერთი მეტრის სიღრმეზე ორმო (ლახა) ითხრებოდა, სადაც ინთებოდა ცეცხლი და მის გარშემო იკრიბებოდა ოჯახი. ცეცხლი რომ ჩაქრებოდა, ოჯახის ნევრები ორმოში ითბობდნენ ფეხებს. ოთახს ფანჯრები არ ჰქონდა და სინათლე ან კვამლისთვის ჭერში დატოვებული ღიობიდან შემოდიოდა, ან გაღებული კარიდან. სალამოობით ოთახი შუა ცეცხლით ან ქონის სანათურით ნათდებოდა. მოგვიანებით გაჩნდა ორსართულიანი, აივნიანი სახლები, ბრტყელი გადახურვით.

დღეს ჩვეულებრივ გავრცელებულია რამდენიმე ოთახიანი, აივნიანი საცხოვრებელი სახლები. სამზარეულო და სხვა სამეურნეო ნაგებობები საცხოვრებლისგან გამოცალეკევებულია. მამაკაცების ტრადიციული ტანსაცმელი იყო ტუნიკისმაგვარი პერანგები, თავისებური თარგის განიერი შარვლები, ჩოხა-ახალუხი, გრძელი, ცრუსახელოებიანი ქურქი ან ნაბდები (რომლებსაც ძირითადად სამგზავროდ და აგრეთვე მეცხვარეებიც იყენებენ). ქალის კოსტიუმში შედის ასხმული ქვედაკაბა, წელში გამოყვანილი კოფთა და წინსაფარი. თავსაბურავად, დაღესტნის ხალხები-სთვის დამახასიათებელი ჩიხტისა და მოსახვევის გარდა, იყენებენ ქუდ-ჩაჩს. შიდა ტანსაცმელი (ტუნიკისმაგვარი პერანგი, განიერი შარვალი და სხვ.) დაღესტნის სხვა ხალხების მსგავსია. ზამთარში ქალები იხვევენ შალს, ზაფხულში აბრეშუმის მოსახვევს.

## შუმუხები

ყუმუხები (თვითსახელწოდებაა ყუმუხი) ჩრდილო-აღმოსავა-  
 ლეთ დაღესტანში მცხოვრები ხალხია. ყუმუხური ენა განეკუ-  
 თვნება თურქული ენების ყივჩაყურ ჯგუფს. ყუმუხები ერთ დროს  
 რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით დომინანტ ყივჩაყურა და ხაზ-  
 ართა ტომობრივი გაერთიანების ინდიგენურ შთამომავლებად  
 მიიჩნევენ თავს. XV-XVI საუკუნეებში ყუმუხი შამხალის ფეო-  
 დალური მმართველობა ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიის აღ-  
 მოსავლეთ ნაწილზე. XIX საუკუნის დასაწყისში მათი საშამხლო  
 საბოლოოდ გაუქმდა და რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცნენ.  
 ანთროპოლოგიურად, ყოფისა და კულტურის ძირითადი მახასი-  
 ათებლებით ახლოს არიან დაღესტნის სხვა მთიელ ხალხებთან.  
 დაღესტნის სხვა ხალხებთან შედარებით ყუმუხებმა ყველაზე ნა-  
 კლებ შეინარჩუნეს ტრადიციული სამინათოქმედო კულტურა და  
 დასახლების ტიპი.

ყუმუხური სოფელი (იურტ, კეიტ) განლაგებული იყო ამაღ-  
 ლებულ, მაგრამ ჰორიზონტალურ ტერიტორიაზე. გამონაკლისი  
 იყო დაბლობში განლაგებული სოფლები და ახალშენები. საცხ-  
 ოვრებელი იყოფა სამ ტიპად: 1. ერთსართულიანი სახლი (ბირ-  
 კატ უი), შედარებით დაბალ ფუნდამენტზე, სადაც იატაკი მინის  
 დონეზე ოდნავ მაღალი იყო, 2. ერთნახევარ სართულიანი სახლი  
 (გოტერინკი უი) მაღალ ფუნდამენტზე, სადაც იატაკი მინის დონ-  
 ესთან შედარებით გაცილებით მაღლა იყო და 3. ორსართულიანი  
 სახლი (ეკინკატ უი ან ბიიკ უი). სახლები განსხვავებული გეგმის  
 იყო, ზოგიერთი სახლი გრძელი იყო, ზოგი მართულთხედის ფორმ-  
 ისა, სხვები სამი ფერდის მქონე სწორკუთხედისა. ყველა სახლს  
 ფასადის მთელ სიგრძეზე გასდევდა გალერეა (პურხა, დოგა). სახ-  
 ლს მხოლოდ ეზოს მხრიდან ჰქონდა ფანჯრები. ყველა ოთახის  
 კარი ღია აივანზე გადიოდა. ზოგიერთ სახლს ეზოში ჰქონდა  
 ცალკე სასტუმრო ოთახი. გადახურვა ბრტყელი, თიხატკეპნილი  
 იყო. მოვეიანებით დამკვიდრდა ორფერდა კრამიტის იშვიათად  
 თუნუქის გადახურვა. სახლებს კედლის კერა ჰქონდათ. ინტერი-

ერის აუცილებელი ატრიბუტი იყო ხალიჩები. იცოდნენ ასევე კედლებზე იარაღის დაკიდება და ჭურჭლის გამოფენა.

ყუმუხი მამაკაცის ტანსაცმელი იყო ტუნიკისმაგვარი პერანგი, ქვევით დავინროებული შარვალი, ნელში გამოყვანილი ახალუხი გრძელი ვინწრო სახელოებით (მოგვიანებით ახალუხი შეცვალა „კავკასიურმა პერანგმა”, რომელიც წინ იკვრებოდა), ჩოხა, ზამთარში ატარებდნენ გრძელ ცხვრის ტყაპუჭქს, რომელიც სხვა მთიელების ტყაპუჭქისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ნელში გამოყვანილი იყო და ქვევით ფართოვდებოდა. ატარებდნენ ნაბდებს, ნალებს, ყაბალახს, ცხვრის ფაფახს (მოგვიანებით გავრცელდა ნაჭერ გამოკრული ფაფახები, კარაკულის ფაფახები). ბიჭები 5-6 წლიდან ასეთივე ტანსაცმელს ატარებდნენ ნაბდისა და ყაბალახის გარდა, ზამთრობით იცვამდნენ სპეციალურ დაბამბულ ქურთუკებს. ქალის ტანსაცმელი უფრო მრავალფეროვანი იყო: შიდა ტანსაცმელი იყო მამაკაცების პერანგის მსგავსი პერანგი, ოლონდ უფრო გრძელი და განიერი ან აზღუდიანი პერანგი და შარვალი. კაბა (არსარ, პოლუშა, კაბალაი) რამდენიმე სახის იყო. ქალის ტანსაცმელი სეზონური არ იყო. თავი წაკრული პქონდათ მოსახვევით. ატარებდნენ ქამრებსა და სხვადასხვა სახის სამკაულს (მძიებს, საყურებს, ბეჭდებსა და სამაჯურებს).

ყუმუხების რაციონში შედის მრავალფეროვანი ხორცეული და ცომეული საკვები: ხინკალი, პილმენი (კიურზე), დოლმა, მწვადი, ბოზბაში, ღვეზელები (ჩუდუ). ასევე ამზადებენ სხვადასხვა სახის (ხორცის, რძის და სხვ.) ნვინიანებს (შორპა), ფლავს (აშ). დიდი რაოდენობით იყენებენ ხახვს, წინაკას, ტყემლის მსგავს სანებელს ქლიავისა და ალუჩისგან, ან ასკილის სანებელს. ყუმუხები განთქმული არიან პურით (ეტმეკ) და ცომეულით. მარტო პურის შვიდი სახეობა აქვთ. ტკბილეულიდან პოპულარულია სხვადასხვა სახის ჰალვა. აცხობენ ჰალვის გულიან ნამცხვრებს. მნიშვნელოვანი ნილი მოდის ხილზე, ყურძენსა და კენკრეულზე. ღვინის გარდა ყურძნისგან ამზადებენ არაალკოჰოლურ სასმელებსა და შარბათს.

ყუმუხები ძველთაგანვე მისდევდნენ მინათმოქმედებას, იც-

ნობდნენ სამმინდვრიან სისტემას და ხელოვნურ რწყვას. მართვა თადი სამეურნეო იარაღი იყო ხის სახნისი რკინის პირით. სხვა კავკასიელი ხალხებისგან განსხვავებით მინას არ ანოყიერებდნენ. სამეურნეო სამუშაოებისას მნიშვნელოვანი იყო ნათესავთა და მეზობელთა ურთიერთდახმარება (ბულკა). ხენისას იცოდნენ შეამხანაგება და გამწევი საქონლისა და სამეურნეო იარაღის რიგრიგობით გამოყენება. მოჰყავდათ ხორბალი, სიმინდი და ქერი, ზოგიერთ რაიონში ბრინჯი. განვითარებული იყო მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. მისდევდნენ მეფრინველეობას, მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობას.

სოფლები სამეზობლო თემს წარმოადგენდნენ, რომელსაც გვაროვნული გაერთიანებები (თუხუმი) ქმნიდა. ოჯახი პატრიარქალური იყო. ოჯახის უფროსი ერთპიროვნულად წყვეტდა ოჯახის საკითხებს, იგი აქორნინებდა ვაჟებს და ათხოვებდა ქალიშვილებს თავისი შეხედულებისამებრ, განაგებდა ოჯახის ქონებას. ცოლის მზითევიც მის განკარგულებაში იყო, ქალის ქცევა რეგულირებული იყო ადათითა და შარიათით. მას არ ჰქონდა გაყრის უფლება. ამასთან, უფროსი ქალი დიდი პატივისცემით სარგებლობდა ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. მაგალითად, სავალდებულო იყო მისი დროდადრო მონახულება, მას მამაკაცებთან ჯდომისა და ჭამის უფლებაც ჰქონდა. ახალგაზრდებს საუბარიც კი ეკრძალებოდათ, ერთადერთი შეხვედრის ადგილი წყაროები და სამეურნეო საქმიანობა იყო. ქორნინება მშობლების გადაწყვეტილებით ხდებოდა. არჩევანის გაკეთების შემდეგ იგზავნებოდნენ მაჭანკლები – საზოგადოებაში პატივცემული ადამიანები (ქალი ან მამაკაცი). თანხმობის შემთხვევაში ადგენდნენ ყალიმის ოდენობას. ყალიმში ფულის გარდა შედიოდა რამდენიმე ფუთი შაქარი, კარაქი, ტკბილეული და სხვა პროდუქტი. საჩუქრების გადაცემის წუთიდან ქალიშვილი პატარძლად ითვლებოდა. ქორნილამდე (ტოი) შეიძლებოდა საკმაო დრო გასულიყო. ქორნილიდან რამდენიმე დღეში პატარძალი ერთვებოდა ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში.

ყუმუხები მუსლიმანები არიან XI საუკუნიდან. მათ მრავალ-



ფეროვანი ფოლებები აქვთ: თქმულებები ნართებზე, ზღაპრები და ეპიკური და ისტორიული სიმღერები (აირი).

## ნოღაელები

ნოღაელები (თვითსახელწოდებაა ნოღაი) ცხოვრობენ უმთავრესად სტავროპოლის მხარესა და დაღესტანში. ენა ნოღაური თურქული ენების ჩრდილო-დასავლეთი (ყივჩაყური) ჯგუფის ყივჩაყურ-ნოღაურ ენათა ქვეჯგუფს ეკუთვნის. მას სამი დიალექტი აქვს: ყარანოღაური, აჩიკულაკური და ყუბანური (აკნოღაური). ამ დიალექტებს შეესატყვისება ნოღაელთა ძირითადი ეთნოგრაფიული ჯგუფები: ყარანოღაელები (ცხოვრობენ ყარანოღაისა და ყიზლარის რაიონებში), აჩიკულაკელი ნოღაელები და ყარაჩაი-ჩერქეზეთში მცხოვრები ნოღაელები. დამწერლობა არაბული იყო, 1928 წელს ლათინურ საფუძველზე შეიქმნა ნოღაური დამწერლობა, 1939 წლიდან კი რუსულ ალფაბეტზე გადავიდა. ნოღაელები სუნიტი მუსლიმები არიან XIII-XIV საუკუნიდან.

ნოღაელები იყოფოდნენ ოთხ ტომად (კუბ), თითოეული კუბი იყოფოდა ოთხ სააქსაკალოდ, თოთოეული სააქსაკალო რამდენიმე აულისგან შედგებოდა. კუბის სათავეში იდგა მეთაური, ხუთი უხუცესი და მეთაურის ხუთი თანაშემწე, რაც არჩევითი თანამდებობები იყო. ყოველ კუბს თავისი ნიშანი ჰქონდა, რომელსაც დამდად იყენებდნენ. ყარანოღაელები და მომთაბარე ნოღაელები ყუბანელი ნოღაელებისგან განსხვავებით უფრო პატრი-არქალურ-გვაროვნული ყოფის მქონენი იყვნენ. ყარანოღაელები და აჩიკულაკელი ნოღაელები მხოლოდ საბჭოთა წყობის პირობებში გადავიდნენ ცხოვრების მკვიდრ ფორმაზე. შეიცვალა მესაქონლეობის ტიპი – მომთაბარიდან მკვიდრზე, მხოლოდ ყუბანელი ნოღაელები მისდევდნენ გადარეკვით მესაქონლეობას. პყავდათ ცხენები, ცხვარი, აქლემები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ყუბანელები მისდევდნენ მინათმოქმედებასაც, როგორც დამხმარე დარგს. მეურენობის განსხვავებულმა ტიპმა

გამოიწვია განსხვავება ყოფაში. ჩერქეზეთში მცხოვრები ძალები გამოუწვავი აგურისგან ნაშენებ სახლებში (უი, ტამ) ცხოვრობდნენ. სახლის კედლებს ათეთრებდნენ კირქვით ან ცარცით. სახურავი კრამიტის იყო. სახლი შედგებოდა სამი ოთახის-გან: ერთი სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი, მეორე ოჯახის-თვის, აქვე ამზადებდნენ საჭმელს, მესამე ოთახი რძლის ან უფროსი მამაკაცის იყო. სახლები ქუჩისკენ გვერდულად იდგა და მათი უმეტესობის ფანჯარა ეზოში გადიოდა. ეზო შემოსაზღვრული იყო ნიული ან ქვის ლობით. სახლებში ედგათ თიხის საწოლები, რომლებიც იფარებოდა ქეჩით. ასეთი საწოლები დიდხანს შემორჩია ყარანოლადელებთან. ყარანოლადელები და აჩიკულაკელი ნოლადელები ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ ზემოთ აღნერილი სახლების მსგავს სახლებში ცხოვრობდნენ, მანამდე კი მათი საცხოვრებელი კარვები იყო. ისინი ორი სახის იყო: დიდი ასაწყობი (ტერმა) და პატარა დაუშლელი მომრგვალებული წვერით (ოტავ). ნოლადელთა კარვების სოფელი (კუპ) ერთმანეთისგან მოშორებით, ნრიულად მდგარი კარვების რამდენიმე ჯგუფისგან შედგებოდა. ნრის შუაგულში საქონელს ათავსებდნენ. ნოლადები თვეში ერთხელ იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს და ამდენად კარავიცა და მისი შიდა მოწყობილობაც შესაბამისი, გადასაადგილებლად იოლი იყო. ქეჩის კარავი ნრიული იყო ცენტრში კერით, სიღრმეში საძინებლით, მარჯვენა მხარეს საოჯახო ნივთებს ათავსებდნენ, მარცხენა მხარე ახალგაზრდებისთვის იყო განკუთვნილი. კარავი შიგნითაც ქეჩით იყო განწყობილი. მომთაბარე და ბინადარ ნოლადებს საკვებიც განსხვავებული ჰქონდათ. მომთაბარეთა საკვები ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ შევიდა მინათმოქმედების პროდუქტები.

ნოლადელი მამაკაცის კოსტიუმი ჩერქეზულის მსგავსი იყო. დღემდე ყოფაში შენარჩუნებული ფაფახი, კავკასიური ქამარი და ცხვრის ტყაპუჭი. ქალის ტანსაცმელი იყო სწორი თარგის გრძელი კაბა, ზოლიანი ან ჭრელი შარვალი და მუქი ახალუხი განიერი ქამრით. გათხოვილი ქალის თავსაბურავი იყო პატარა მოსახვევი, რომლითაც იკრავდნენ თავს და ზევიდან იფარებდ-



ნენ გადასაფარებელს (ტასტარ). შეძლებულები ატარებდნენ 1957 წლის მოწვევის მონეტებით მორთულ ჩადრს. გათხოვებამდე კი ბენვეულის ქუდებს წითელი წამახული წვერით, გავრცელებული იყო ასევე ჩერქეზული ხავერდისა და ფარშის ქუდები. ატარებდნენ ვერცხლის სამკაულებს.

გავრცელებული იყო სისხლის აღებისა და სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულებები. ქორწინება მშობლების გადაწყვეტილებით ხდებოდა, იცოდნენ დანიშვნა ბავშვობის ასაკში. ვაჟის მამა გოგონას მამას ყალიმის ნაწილს აძლევდა, მოლა ლოცვას წაიკითხავდა და ბავშვები დანიშნულად ითვლებოდნენ. ქორწილის წინ საქმროს მამა მოიწვევდა რამდენიმე ახლო ნათესავს, რომლებიც ყალიმის მეორე ნაწილს წაულებდნენ საპატარძლოს მამას. ქორწილის დღეს ბატარძალს თავისი მზითევით საქორწილო ურემზე სკამდნენ და საქმროსთან მიჰყავდათ. საქორწილო წვეულებაში პატარძალი არ მონაწილეობდა. პირველი შვილის დაბადებამდე იგი სახეს იფარავდა. მას არ ჰქონდა უფლება ქმრის მშობლებსა და ძმებს დალაპარაკებოდა.

## მთიელი ებრაელები

მთიელი ებრაელები (თვითსახელწოდებაა ჯუხური ან ჩუფუტი) უმეტესნილად დაღესტნისა და ყაბარდო-ბალყარეთის ურბანულ ცენტრებში, ასევე აზერბაიჯანში და ირანში მცხოვრები კავკასიელი ხალხია. ლაპარაკობენ თათურ ენაზე. დამწერლობა რუსულის საფუძველზეა განვითარებული. სავარაუდო მთის ებრაელები იმ ებრაელების შთამომავლები უნდა იყვნენ, რომლებიც სპარსეთიდან გადმოსახლდნენ კასპიისპირეთში V-VI საუკუნეებში. მათ ლინგვისტური ასიმილაცია განიცადეს თათებთან, სამხრეთ-დასავლეთ ირანულენოვან ჯგუფთან. შეითვისეს ბევრი რამ ადგილობრივი კულტურული გარემოდან და კავკასიის ნაწილად იქცნენ. მთიელ ებრაელებს ბევრი აქვთ საერთო მეზობელ ხალხებთან. მსგავსია მათი სამშენებლო ტე-



ქნიკა და სახლის დაგეგმარება. ძველად მთიელი ეპრაელების დასახლებები მთური სოფლის ნაწილი იყო, ისინი ცხოვრობდნენ ასევე ქალაქებში უბნებად (მაგალ). მათ ასეთ განცალკევებას რელიგიური კუთვნილება განაპირობებდა. ისინი არ განსხვავდებოდნენ ჩაცმულობით სხვა მთიელებისგან. ქალის ტრადიციული ტანსაცმელი იყო გრძელი პერანგი, შარვალი (შოვოლ), გრძელი ნელში გამოყვანილი კაბა, გარეთა ჩაჭრილი კაბა და მოსახვევი. მამაკაცის ტანსაცმელი — ჩოხა-ახალუხი ქამარ-ხანჯლით და ფაფახი.

მთიელ ეპრაელებს საკუვების მხრივ ჰქონდათ გარკვეული აკრძლავები, კერძოდ არ ჭამდნენ ღორისა და ცხენის ხორცს, არც საქონლის ხორცს თუ რაბინის დაკლული არ იყო, ასევე იკრძალებოდა ხორცისა და რძის პროდუქტების ერთდროული მომზადება და საკუვებად გამოყენება. მთიელი ეპრაელების საკუვებში დიდი ადგილი ეკავა ბრინჯას. დიდხანს შემორჩა დაბალ მაგიდებსა და იატაკზე ჭამის ჩვეულება.

მთიელი ეპრაელების ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა იყო მინათმოქმედება. განვითარებული იყო მებაღეობა და მევე-ნახეობა. ასევე ბრინჯის მოყვანა. მძიმე სამუშაოს მამაკაცები ასრულებდნენ. ქალები მონანილეობას იღებდნენ ნიადაგის სათე-სად მომზადებაში და თესვაში. მნიშვე ბრინჯას ხორბლის მსგავსად ნამგლით (ჩან) იღებდნენ. მარცვლეული კულტურებიდან გავრ-ცელებული იყო ასევე ხორბალი, ქერი, ფეტვი და სხვ. მოჰყავდათ საზამთრო, ნესვი, კომბოსტო, ხახვი. ხვნა-თესვას მამაკაცები ანარმოებდნენ. ქალები მოსავალს იღებდნენ. სამეურნეო საქმი-ანობის დაწყებისას იცოდნენ სანესჩვეულებო სიმღერების შეს-რულება. იცოდნენ ხელოვნური რწყვა. გვალვის დროს მიმარ-თავდნენ მაგიურ ქმედებებს. მოსავლის აღებისას დარჩენილ (დავინცებულ) ძნებს, ყურძენსა და ხილს აღარ იღებდნენ, ისინი შეეძლოთ ლარიბებს წაეღოთ. განვითარებული იყო მეაბრეშუმეო-ბა, მეთამბაქოეობა მევენახეობა. მოჰყავდათ ენდრო. მთიელი ეპრაელები კარგი მებაღები იყვნენ, აშენებდნენ თუთას, ლელვს, ბრონეულს, კომშს, ატამს, ნუშს, თხილს, ვაშლს, მსხალს, ბალს,

ალუბალს, ქლიავს. მეურნეობის დამხმარედარგები იყო მებოსტნეობა და მებაღეობა. ნაკლებ იყო განვითარებული მესაქონლეობა და მეფრინველეობა. სანაპირო ზოლში მთიელი ებრაელები მის-დევდნენ მეთევზეობას. შინა მრეწველობის დარგებიდან განვი-თარებული იყო მხატვრული ხელოსნობა (მესალიჩეობა, სპილენ-ძის ჭურჭლის დამზადება და სხვ.). მთიელი ებრაელები კავკასია-ში ცნობილი იყვნენ, როგორც კარგი ტყავის დამმუშავებლები, მექუდეები, მკერავები. ამზადებდნენ საღებავებს.

მთიელ ებრაელებთან დიდხანს შემორჩია დიდი ოჯახები და პატრონიმიები (თუხუმი, ტაიპი). საქორნინო ურთიერთობებში არსებობდა აკრძალვა სხვა აღმსარებლობის ნარმომადგენლებთ-ან ქორნინების შესახებ. დაშვებული იყო ორცოლიანობა, გან-საკუთრებით, პირველი ცოლის უშვილობის შემთხვევაში. ქალი სრულიად მამაკაცზე იყო დამოკიდებული. მას არ ეკუთვნოდა წილი მემკვიდრეობიდან. ქმარს შეეძლო გაყრა მოეთხოვა, ქალს კი არ ჰქონდა ეს უფლება. ქორნინება მშობელთა გადაწ-ყვეტილებით ხდებოდა, ყურადღება ოჯახის მატერიალურ მდგო-მარეობას უქცეოდა. მიღებული იყო დანიშვნა ადრეულ ასაკში. სავალდებულო იყო საქმროს მხრიდან გამოსასყიდის გადახდა. არსებობდა პროფესიონალი მაჭანკლის ინსტიტუტი (ილჩი). საპ-ატარძლოს მშობლების თანხმობის შემთხვევაში სასიძოს ოჯახი ნიშნობისთვის ემზადებოდა. ნიშნობის დღეს სასიძოს საჩუქრები საზეიმოდ მიჰქონდა საპატარძლოსთვის (თეთრი აბრეშუმის მო-სახვევი, ნიშნობის ბეჭედი და სხვ.). საზეიმო პროცესია სასიძოს ოჯახის საპატიო წარმომადგენლის, უფროსი მამაკაცის მეთაუ-რობით, ზოგჯერ მუსიკისა და ცეკვის თანხლებით მიემართებო-და საპატარძლოს სახლისკენ. საჩუქრების გადაცემის შემდეგ იმა-რთებოდა წვეულება, სადაც ახალგაზრდები და ასაკოვნები ცალ-ცალკე ატარებდნენ დროს. ნიშნობასა და ქორნილს შორის ხან-დახან რამდენიმე წელი გადიოდა. ამ ხნის განმავლობაში ხდებო-და მხარეებს შორის საჩუქრების გაცვლა და ურთიერთმიპატიუ-ბა. ამ პერიოდში საპატარძლო თავს არიდებდა სასიძოს ნათესავ-ებთან შეხვედრას, სასიძო კი – საპატარძლოს ნათესავებს.

ქორნილში დიდი როლი მექორნინეთა ბიძებსა და ძმებს



ეკისრათ. ქორნილში იწვევდნენ ყველა თანასოფლელს, ნათესავები ნაცნობს, ასევე მუსიკოსებს. ქორნილი ერთდროულად მიმდინარეობდა საპატარძლოსა და სასიძოს სახლებში და 3-4 დღე გრძელდებოდა. მთიელ ებრაელთა საქორნინო რიტუალში ზოგად კავკასიური გავლენა იგრძნობა. ქორნილის მიწურულს სასიძოს მაყარი მიემართებოდა საპატარძლოს მოსაყვანად. სახედაფარული პატარძალი მეგობრების თანხლებით გამოჰყავდათ. ორივე მხარის მაყარი ჩირალდნებითა და მუსიკის თანხლებით მიემართებოდა სასიძოს სახლისკენ. გზად სინაგოგაში სრულდებოდა ქორნინების რიტუალი. სახლში მისვლის შემდეგ იმართებოდა საზეიმო ვაბშამი. ახალგაზრდებისთვის საჩუქრების მიძღვნის შემდეგ სტუმრები იშლებოდნენ. პატარძალი მალევე ერთვებოდა ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში. პირველი შვილის დაბადების შემდეგ იგი თავისუფლდებოდა უფროსების თანდასწრებით სახის დაფარვის წესისგან. მშობიარეს ბებიაქალი ეხმარებოდა. განსაკუთრებით აღინიშნებოდა ვაჟის დაბადება, მახარობელი მამისაგან საჩუქარს იღებდა. დაბადებიდან მერვე დღეს სრულდებოდა წინადაცვეთის რიტუალი (მილო) უახლოეს სინაგოგაში ან სახლში რაბინის მიერ. იმართებოდა სადღესასწაულო წვეულება ახლო ნათესავების თანდასწრებით. ბავშვებს ჩვეულებრივ ბიბლიურ ან პაპის სახელებს არქმევდნენ.

მთიელი ებრაელების რელიგია იუდაიზმია, რომელიც, სხვა კავკასიელი მთიელი ხალხების რწმენა-წარმოდგენების მსგავსად, სინკრეტული ხასიათისაა. მთიელი ებრაელების წარმოდგენით ავადმყოფობას ბოროტი სულები იწვევდნენ და მათ წინააღმდეგ გამოიყენებოდა თილისმები. მიცვალებულს კუბოს გარეშე კრძალავდნენ საგვარეულო ნაკვეთზე. დაკრძალვის შემდეგ გარდაცვლილის სახლში იმართებოდა ლოცვა მის სახელზე და რიგდებოდა საკვები. იცოდნენ სამგლოვიარო სიმღერის (იასს) შესრულება, რომელსაც ქალებიც მღეროდნენ და მამაკაცებიც. გლოვა ორმოცი დღე გრძელდებოდა. საფლავზე იცოდნენ ძეგლის დადგმა, რომელზეც ამოჭრილი იყო სახელი, გვარი და გარდაცვალების თარიღი. 1970-იან და შემდეგ 1990-იან წლებში მთიელი ებრაელების დიდი ნაწილი ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად.

## THE ETHNOGRAPHY OF THE CAUCASIAN NATIONS

### SUMMARY

This work is a course of lectures intended for university students. The book deals with the lifestyle and culture of the nations inhabiting the Caucasus. It provides an ethnographic description of the Georgians, Abkhaz, Armenians, Azerbaijanis, Karachais, Balkars, Adyges, Circassians, Kabardians, Abazas, Ossetes, Ingush, Chechens, the Dagh estan peoples (Avars, Laks, Lezhins, Rutuls, Kumyk, Tabassarans, Aghuls, Nogays, Dargvas, Tsakhurs, and Mountain Jews). Along with a survey of the ethnonyms, areas of settlement, ethno-linguistic and religious characteristics of the Caucasians, the book contains information on the types of dwelling, utility and defensive constructions, clothing, furniture, food, etc. The book presents a comprehensive picture of social relations of the Caucasian peoples: forms of government, domestic life, social mode of living, family rituals such as marriage, birth, traditional ceremonies, custom of blood-revenge, tradition of hospitality, traditional beliefs and superstitions, funeral rites, calendars of religious and other celebrations.

The book is supplemented with the recommended bibliographic database and illustrations.

- Օբյեկտային, հոգաց նույնա, մատուցված, 2003. 1. 9891, հնր-2003  
ողովածքը ուղարկված է թիվ 120 ու թիվ 122 պատճեններուն, մաս  
1983 թվականին 9891 հնր-ըստու ռեկուրսակից ուղարկված է թիվ  
1983 ուղարկած մասնաշնորհը սահմանուած է օրենքութեան 1977 թվ.  
18 դրամուն, միայնու ընդունուած է սուբյեկտային հայութէ մասին 9891  
թիվ 28 դրամ պատճեն անհամարտուած է սուբյեկտային հայութէ մասին 9891  
թիվ 29 դրամուն, առաջարկուած է սուբյեկտային հայութէ մասին 9891  
ուղարկած մասնաշնորհ անդամակից ուղարկած է թիվ 121 ուղարկած  
է թիվ 120 ուղարկած մասնաշնորհու կողմէ սուբյեկտային հայութէ մասին 9891 ուղարկուած մասնաշնորհ

## ბიბლიოგრაფია

1. არჯევანიძე ი., თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, თბილისი, 1958.
2. ასათიანი ნ., ფშავი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა) ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1966.
3. ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ფშავი, ტ. 1, თბილისი, 1974.
4. ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. თუშეთი, ტ. 2, თბილისი, 1983.
5. ბარდაველიძე ვ., ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, მოამბე, ტ. XIII, თბილისი, 1952.
6. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაება ბარბარ- ბაბარ), თბილისი, 1941.
7. ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ., ხევსურული ორნამენტი, თბილისი, 1939.
8. ბერიაშვილი ლ., ნიადაგის ათვისებისა და დაცვის ტრადიცია საქართველოში, თბილისი, 1989.
9. ბოჭორიშვილი ლ., ხალხური დღეობები კახეთში, თბილისი, 1970.
10. ბალიაური ნ., სწორფრობა ხევსურეთში, თბილისი, 1991.
11. ბერაძე თ., რაჭა, თბილისი, 2004.
12. ბერაძე თ., მაისაია ი. სამეგრელო (მეგზური), თბილისი, 2004.
13. ბერიაშვილი ლ., მინათმოქმედება მესხეთში, თბილისი, 1973.
14. ბრეგაძე ნ., მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1969.



15. გაბუნია ს., ტიპოლოგიის საკითხები ეთნოლოგიაში პარიზი-თბილისი, 2003.
16. გაგულაშვილი ი., ქართული მაგიური პოეზია, თბილისი, 1986.
17. გეგეშიძე მ., სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბილისი, 1961.
18. გამყრელიძე ბ., ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბილისი, 1989.
19. გვასალია ჯ., საქართველოს მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, თბილისი, 2001.
20. გვიმრაძე თ., სამეურნეო-რელიგიური დღესასწაულები კახეთში, თბილისი, 2005.
21. გეგეშიძე მ., ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბილისი, 1978.
22. გეგეშიძე მ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბილისი, 1956.
23. გონიაშვილი თ., ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურსა და ქართველურ ენებთან, ენიმკის მოამბე V-VI, თბილისი, 1940.
24. ეთნოგრაფია, რედ. ვ. შამილაძე, თბილისი, 1992.
25. ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი (ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში), რედ. გ. ნოდია, თბილისი, 2003.
26. ელანიძე ვ., თუშეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1988.
27. ერიაშვილი უ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ძელი მოსახლეობის ეთნო-სოციალური სტრუქტურის საკითხები. თბილისი, 2001.
28. ერიაშვილი უ., უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1984.
29. ერისთავი რ., ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1986.
30. თოფჩიშვილი რ., ეთნიკური სიჭრელისა და მრავალენიანობის მიზეზების შესახებ დაღესტანში, გელათის მეცნიერებისა და მეცნიერებების მიმართული სამსახურის მიერ გამოსახულება, თბილისი, 1990.

ბათა აკადემიის უურნალი №2, ოქტომბერი, ქუთაისი, 2002.

31. თევდორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფილისი, 1930.

32. თოფურია ნ., ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები), თბილისი, 1984.

33. თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს. (ფშავ-ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბილისი, 1984.

34. თოფჩიშვილი რ., სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, თბილისი, 2000.

35. თოფჩიშვილი რ., მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესების მნიშვნელობისათვის საქართველოს ისტორიაში, კრ. ალ. ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1998.

36. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, 1967.

37. ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960.

38. ითონიშვილი ვ., ნარკვევი კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, 2002.

39. ითონიშვილი ვ., ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბილისი, 2003.

40. ითონიშვილი ვ., ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1989.

41. კანდელაკი მ., ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მსე, XVIII თბილისი, 1975.

42. კეკელია მ., ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის, თბილისი, 1982.

43. კანდელაკი მ., ამანათობა და „ხარ-ქვაბით შეყრის“ წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მაცნე, ისტორიის სერია 1, თბილისი, 1984.

44. კონფლიქტური სიტუაციები პოლიტიკურ საზოგადოებრივ დოებაში, თბილისი, 1998.
45. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975.
46. მაკალათია ს., ატენის ხეობა, თბილისი, 1957.
47. მაკალათია ს., თემის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1959.
48. მაკალათია ს., თუშეთი, თბილისი, 1983.
49. მაკალათია ს., კავთურის ხეობა, თბილისი, 1960.
50. მაკალათია ს., ხევსურეთი, თბილისი, 1984.
51. მაკალათია ს., ფშავი, თბილისი, 1985.
52. მაკალათია მ., მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1985.
53. მაკალათია მ., წყლის კულტის გადმონაშთები შიდა ქართლში, თბილისი, 1987.
54. მიცვალებულის კულტი ხევსურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის III, თბილისი, 1940.
55. მარგოშვილი ლ., პანკისელი ქისტების ნეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა, თბილისი, 1985.
56. მარგოშვილი ლ., პანკისელი ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა) თბილისი, 2002.
57. მგელაძე ნ., აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004.
58. მელიქიშვილი ლ., ხარშილაძე მ., მეცნიერები ლატენტური კონფლიქტის ზონაში, თბილისი, 2003.
59. მელიქიშვილი ლ. საველე მუშაობის მეთოდი კონფლიქტურ საზოგადოებაში, თბილისი, 2000.
60. ნადირაძე ე., საქართველოს მემორიალური კულტურა, თბილისი, 2001.
61. ოჩიაური ალ., ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), თბილისი, 1991.
62. ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1967.
63. ოჩიაური ა., სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბილისი, 1980.

64. ოჩიაური თ. , ხევსურეთი და ხევსურები, თბილისი, 1977.

65. რუხაძე ჯ., ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1976.

66. რეხვიაშვილი ს., ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა სავაჭრო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1980.

67. რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბილისი, 1999.

68. სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986.

69. სონღულაშვილი ა., ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში, თბილისი, 2002.

70. ფუტყარაძე ტ., ქართველები, ნან. I, ქრისტიანობამდელი ეპოქა, ქუთაისი, 2005.

71. ფრუიძე ლ., მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, რაჭა, თბილისი, 1974.

72. ქანთარია მ., დროის გამოთვლის ხალხური წესები ჩაჩნეთ-ინგუშეთში, მაცნე 4, თბილისი, 1977.

73. ქალდანი ა., პიროვნების სოციალურ აღზევებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, №3, თბილისი, 1984.

74. ქურდიანი მ., ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო-ქართველური ეთნოსის ტომობრივი შემადგენლობა, კრებული ქართველი ხალხის ეთნოგრანეზი, თბილისი, 2002, გვ. 57-86.

75. შავხელიშვილი ა., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI- XIX ს. I ნახევარში), თბილისი, 1977.

76. შავხელიშვილი ა., საქართველო ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთერთობა XVI-XVIII სს-ში, თბილისი, 1980.

77. შამილაძე ვ., ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბილისი, 1969.

78. ჭანტურიშვილი ს., კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური



შესწავლის და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, 1997.

79. ჭანტურიშვილი ს., ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია, თბილისი, 1989.
80. ჭანტურიშვილი ს., ეთნოლოგია, თბილისი, 1993.
81. ჭინჭარაული ა., ქართველებისა და ვეინახების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ზოგი საკითხი, 1, თუშოლი, არნ. ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1979.
82. ხარაძე რ., ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, მიმომხილველი 1, თბილისი, 1949.
83. ხარაძე რ., ხევსურული რჯული, ანალები, თბილისი, 1947.
84. ხიზანიშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940.
85. ხუციშვილი ლ., გალ-ერდი — ქრისტიანობის დროინდელი ძეგლი ინგუშეთში, ძეგლის მეგობარი, №64, თბილისი, 1983.
86. ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში თბილისი, 1939.
87. ჯალაბაძე გ., მინათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში თბილისი, 1963.
88. ჯალაბაძე გ., ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრ. ქვემო ქართლი, თბილისი, 1990.
89. ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბილისი, 1960.
90. ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1986.
91. Абаев В.И., Дохристианская религия Алан, Москва, 1960.
92. Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка, т. 1, Москва-Ленинград, 1958.
93. Авксентьев А.В., Национальное самосознание народов Северного Кавказа и религиозная идеология, в сб.: Социология,

атеизм, религия, том 3, Грозный 1976.

94. Алборов Б.А., Ингушское „галъерды“ и осетинское „аларды“, ИНИИК, I, Владикавказ, 1928.

95. Ахриев Ч., Ингушские праздники, ССКГ, вып.V, отд.II, Тифлис, 1871.

96. Акаев В.Х., Суфизм и вахабизм на северном кавказе, Москва, 1999.

97. Алборов Б. А., Ингушское "Гальерды" и осетинское "Аларды" (к вопросу об осетино-ингушских культурных взаимоотношениях), ИНИИК I, Владикавказ, 1928.

98. Анчабадзе Г., Вайнахи (Чеченцы и Ингуши), Тб., 2002.

99. Бараниченко Н.Н., Доисламские верования и культуры в исторических системах общественных отношений вайнахов, Диссертация, Грозный, 1985.

100. Бараниченко Н., К хронологии некоторых типов святыни Чечено Ингушетии в кн.: Археология и вопросы атеизма, Грозный, 1977.

101. Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрадовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957.

102. Берже А. П., Чечня и чеченцы, Тифлисъ, 1859.

103. Биджелов Б. Х., Происхождение и эволюция первобытных форм религии Осетин (диссертация), Махачкала, 1973.

104. Броссе М., Переписка на иностранных языках Грузинских Царей с Российскими государями от 1963 по 1770 г., Спб., 1861.

105. Бепиева Н., Хангошвили М., Ислам в Панкиском ущелье, Кавказский форум НПО, Тбилиси, 2001.

106. Бессонов М., Православие в наши дни, Москва, 1990.

107. Великая Н.Н., Виноградов В.Б., Доисламский религиозный синкретизм у вайнахов, СЭ, №3, Москва, 1989.

108. Вопросы общественного быта народов Дагестана в XIX-XX вв. Махачкала, 1987.

109. Головинский П.А., Заметки о Чечне и чеченцах, сб. свед.

о Терской области, вып. 1, Владикавказ, 1878.

110. Грабовский Н., Ингушки (их жизнь и обычия), ССКГ 9, Тифлисъ, 1876.

111. Гатуев К., Суеверия и предрассудки у Осетин ССКГ, вып. IX отд. III, Тифлис, 1876.

112. Гараджа В., Протестантизм, Москва, 1971.

113. Гольдштейн А.Ф., Средневековое зодчество Чечено-Ингушетии и Северной Осетии, М., 1975.

114. Далгат Б., Первобытная религия чеченцев, , сб. свед. о Терской области, вып. 3, кн. 2, Владикавказ, 1893.

115. Диедбуладзе З., Роль Грузии в распространении христианской религии на центральном Предкавказии в X-XII веках, Тбилиси, 1971.

116. Этнография, под ред. Маркова, Москва, 1985.

117. Дугин А. Основы Геополитики, Москва, 1999.

118. Зеленин Д., Палитра ислама, в журн. Россия №2 февраль 1997.

119. Ислам, Энциклопедический словарь, Москва, 1991.

120. Калоев Б.А., Осетины, Москва, 1971.

121. Кантария М. В., Экологические аспекты традиционной хозяйственной культуры народов Северного Кавказа, Тбилиси, 1989.

122. Культура и быт народов Северного Кавказа, М., 1968.

123. Кокоева А., Осетины в панкисском ущелье, в журн.: Кавказский Форум НПО, Панкисское ущелье, проблемы требуют решения, Тбилиси, 2001.

124. Ковалевская В.Б., Изображение коня и всадника на средневековых амулетах северного Кавказа, сб. Вопросы древней и средневековой археологии восточной Европы, Москва, 1978.

125. Кушева Е.Н., Народы Северного Кавказа и их связи с Россией (вторая половина XVI в., 30-е годы XVII века), Москва, 1963.

126. Кобринская И., Общая безопасность и безопасные

сообщества, Вестник Евразии, 1-2 (4-5), 1998.

- 127.Лаудаев У., Чеченское племя, ССКГ, вып.VI, Тифлис, 1872.
- 128.Ломсадзе Ш., Месхети и месхи, Тбилиси, 1999.
- 129.Мадаева З. А., Зимний календарный цикл у Вайнахов, СЭ 6, Москва, 1980.
- 130.Маргошвили Л.Ю., Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечено-ингушетией, Тбилиси, 1990.
- 130.Миграция и безопасность в России, под ред. Г. Витковской и С. Панарина, Москва, 2000.
- 131.Миллер Вс. Ф., Археологические наблюдения в области чеченцев, МАК вып. 1, Москва, 1888.
132. Народы мира. Народы Кавказа, т. I-II, под ред. Толстова С.П., М., 1960-1962.
- 133.Панеш Э.Х., Этническая психология и межнациональные отношения. Взаимодействие и особенности эволюции (на примере западного Кавказа), СПб, 1996.
- 134.Попов А.И., Названия народов СССР, Ленинград, 1973
- 135.Панкисское ущелье, проблемы требуют решения Кавказский форум НПО, Тбилиси, 2001.
- 136.Речменский Н.С., Музыкальная культура Чечено-Ингушской АССР, М., 1965.
- 137.Рыжаков В.В., Гребенников П.А., Зоев С.О., Чечено-Ингушская АССР, Грозный, 1971.
- 138.Рыбаков Б., Язычество древних Славян, Москва, 1981.
- 139.Сулейманов А. С., Топонимия Чечено-ингушетии, часть 2, Грозный, 1978.
- 140.Тер-Акопов А., Безопасность человека. Теоретические основы социально-правовой концепции, Москва, 1998.
- 141.Татаев В.А., Шабаньянц Н.Ш., Декоративно-прикладное искусство Чечено-Ингушетии (Альбом), Грозный, 1974.
- 142.Ужахов М. Р. Годичные циклы хозяйственных работ чеченцев и ингушей периода средневековья, Грозный, 1979.
- 143.Христианство в панкисском ущелье, в журн. Кавказский



Форум НПО, Панкисское ущелье, проблемы требуют решений,  
Тбилиси, 2001.

144. Христианство – прошлое, настоящее, будущее, краткие  
содержания докладов международного симпозиума, Тбилиси,  
2000.

145.Хангошвили М., Ислам в Панкисском ущелье, Кавказский  
форум НПО, Тбилиси, 2001.

146.Характер религиозности и проблемы атеистического  
воспитания, Грозный, 1979.

147.Хозяйство и материальная культура народов Кавказа, М.,  
1968.

148.Хоперская Л., Проблемы безопасности в Северо-  
Кавказском регионе Бюллетень 3, Центр социальных и  
гуманитарных исследований Владикавказского института  
управления, Владикавказ, 1999.

149.Чеснов Ян., Быть чеченцем: личность и этнические  
идентификации народа. в кн.:Чечня и Россия: Общества и  
государства, вып. 3, М., 1999.

150.Чибиров Л.А., Народный земледельческий календарь  
Осетин, Цхинвали, 1976.

151.Шавхелишвили А. И., Архитектурные памятники  
средневековья и исторические места, связанные с гражданской  
войной в Чечено Ингушетии, Грозный, 1966.

152.Шамилев А.А., К вопросу о христианстве у чеченцев и  
ингушей, ИЧИНИИ, т. III, вып. I, Грозный, 1963.

153. Шегрен А. М., Религиозные обряды осетин, ингуш и их  
соплеменников при разных случаях, «Кавказ» 27-30, Тифлисъ,  
1846.

154.Шиллинг Е. М., Ингуши и Чеченцы, сб. Религиозные  
верования народов СССР, т. 2, Москва-Ленинград, 1931.

155.Эткин М., Ваххабизм и Фундаментализм: термины -  
«страшилки» (лексикологические изыскания противников ислама)  
журн. Центральная Азия и Кавказ 1 (7) 2000, Швеция.



## სარჩევი

რედაქტორისაგან .....	3
ქართველები .....	5
აფხაზები .....	29
სომხები .....	35
აზერბაიჯანელები .....	60
ყარაჩაელები .....	78
ბალყარელები .....	83
ადილელები .....	87
ჩერქეზები .....	92
ყაბარდოელები .....	94
აბაზები .....	101
ოსები .....	103
ინგუშები .....	110
ჩეჩენები .....	114
<u>დალესტნის ხალხები</u> .....	121
ხუნძები .....	123
ლაკები .....	128
დარგუელები .....	133
ლეზები .....	136
აღულები .....	139
<u>რუთულელები</u> .....	141
თაბასარანელები .....	141
<u>ნახურები</u> .....	144
ყუმუხები .....	146
ნოღაელები .....	149
მთიელი ებრაელები .....	151
Summary .....	155
ბიბლიოგრაფია .....	156

თემის აღმოჩენის მიზანი არის მას სამართლის მიერ განვითარება.

სამართლის მიერ განვითარება.

0541 ქ. მართლის გ. 10, სამართლის

## ქეთევან ხუციშვილი

### კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია

თბილისი  
2006

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდს  
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support  
to the European Foundation HORIZON

დამკაბაფონებელი ნიაოლოზ გელაშვილი

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი  
„კავკასიური სახლი“  
თბილისი, ვალაყაფიონის ქ. №20



წურნუმიანი დოქი (ხე)  
ჩრდილო კავკასია XIX ს.

კულტურის მინისტრის  
მიერ გადაცემის  
მიზანის სამსახური

თბილისი

2006



გვიმი (კერამიკა) XIX – XX სს.


აუგუსტ 2006 წლის 20 ივნისის დღის  
აუდიტორიუმის დადგენერაცია №20



Տառապոսե Տյամի




ახალციხური დარბაზის ინტერიერი (ბუხარი)



დარბაზის ფასადი (ქართლი)




დიდი გუთანი ქართლიდან




დარბაზის ინტერიერი (ქართლი)



დოლმენი აფხაზეთიდან (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანები)



დარბაზის გვირგვინი (ქართლი)



ოდა სახლი (სამეგრელო)



სასიმინდე (იმერეთი)



კევრი კაშის კოხებით


ზოგიერთი სახურავის მიმღებად  
(ეს) არის აუკანი



სამარილე (ხე), ჩრდილო კავეასია



კალათა (ხე)



კულა, დოქი, ყანწი (საქართველო)



სევსურული სათაურა მანდილით

ქართველი ქალი  
მაქს ტიოლე




დალესტაფნელი (ლეკი)  
მამაკაცი  
მაქს ტიოლე



ტყავისძირიანი ხევსურული  
თათები



სომეხი ქლის თავსაბურავი  
მაქს ტილკე



ერდო-გვირგვინიანი სახლი (საქართველო)



ფარი (ტყავი/რკინა) (საქართველო)



თბილისური ხანჯალი (XVIII – XIX სს.)



დამბაჩის საპირნამლე



ხელნავები და საფუხარი



სპილენძის ჭურჭელი (ჩრდილო კავკასია)

K257.420  
3

25845